

სიმონ გელაშვილი

ზამირა შონია

რუსუდან ქინქლაძე

სოციალური სტატისტიკა

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2020

დამხმარე სახელმძღვანელო „სოციალური სტატისტიკა“ წარმოადგენს 2013 წელს გამოცემულ ამავე დასახელების სალექციო კურსის შევსებულ და გადამუშავებულ გამოცემას. მასში განხილულია სოციალური სტატისტიკის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური საკითხები, კერძოდ: სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანი და ობიექტი, ძირითადი ამოცანები, სოციალური სტატისტიკისა და ეკონომიკური თეორიის ურთიერთკავშირი, სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება; განხილულია სოციალური სტატისტიკის განვითარების ისტორია, სოციალურ მოვლენათა სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდოლოგია, სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობა და სხვ.

დამხმარე სახელმძღვანელოში გაშუქებულია ასევე სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური საკითხები – მოსახლეობის შემადგენლობის სტატისტიკა, შრომითი საქმიანობის სტატისტიკა, მორალურ-სამართლებრივი სტატისტიკა, მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტატისტიკა, მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა და სხვ.

დამხმარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

რედაქტორი: ქეთევან მარშავა, ემერიტუს პროფესორი,

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

რეცენზენტები: ნინო აბესაძე, ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მარინე მინდორაშვილი, ასოცირებული პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის დადგენილების შესაბამისად.

© სიმონ გელაშვილი, ზამირა შონია, რუსუდან ქინქლაძე

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას #4.

ელ. ფოსტა: gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN

Simon Gelashvili

Zamira Shonia

Rusudan Qinqladze

Social Statistics

Textbook

Publishing House „UNIVERSAL”

Tbilisi 2020

შინაარსი

შესავალი.....	6
თემა 1. სოციალური სტატისტიკის საგანი და ამოცანები.....	7
1.1. სოციალური სტატისტიკის ცნება და მისი განვითარების რეტროსპექტივა.....	7
1.2. სოციალური სტატისტიკის ობიექტი	11
1.3. სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანი და მეთოდი.....	15
1.4. სოციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები.....	16
1.5. სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა	18
1.6. სოციალური სტატისტიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან	23
1.7. საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი მეთოდოლოგია	226
1.8. ტესტები	27
თემა 2. სოციალური მონაცემების სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგია	29
2.1. სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის ცნება	29
2.2. სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ფორმები, სახეები და ხერხები	341
2.3. სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების უტყუარობა	49
2.4. მოვლენათა გაზომვა-სკალირების მეთოდი.....	567
2.5. დაჯგუფების თავისებურებანი სოციალურ სტატისტიკაში	62
2.6. ტესტები	66
თემა 3. მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის დახასიათება	68
3.1. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცნება	68
3.2. საზოგადოების სტრატეფიკაცია კასტებად.....	72
3.3. საზოგადოების კლასობრივი დაყოფის მარქსისტული თეორია და მისი კრაზი ..	74
3.4. მოსახლეობის შემადგენლობის დახასიათებლები და ინფორმაციული ბაზა	77
3.5. მოსახლეობის შემადგენლობის დინამიკის შესწავლის მეთოდები.....	85
3.6. მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური შესწავლა.....	86
3.7. მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა.....	87
3.8. ტესტები	92
თემა 4. ოჯახებისა და შინამეურნეობათა სტრუქტურა სოციალურ სტატისტიკაში	95
4.1. ოჯახი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში	95
4.2. ოჯახებისა და შინამეურნეობების ტიპოლოგია.....	97
4.3. შინამეურნეობათა სტრუქტურის მაჩვენებელთა სისტემა	99
4.4. ტესტები	101
თემა 5. შრომის სოციალური სტატისტიკა	120
5.1. შრომის ბაზრის შემადგენლობა და სტატისტიკის ამოცანები	120

5.2. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა სისტემა	124
5.3. სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკა	128
5.4. შრომის ანაზღაურების სტატისტიკა	131
5.5. შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა.....	132
5.6. ტესტები	115
თემა 6. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა.....	138
6.1 მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლები	138
6.2. შინამეურნეობათა შემოსავლების მაჩვენებლები	143
6.3. მოსახლეობის გასავლებისა და მომსახურების სტატისტიკური შესწავლა.....	146
6.4. მოსახლეობის შემოსავლებისა და მოხმარების დიფერენციაციის შესწავლა; სიღარიბის სტატისტიკა	148
6.5. ტესტები	135
თემა 7. მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტატისტიკა.....	140
7.1. მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტრუქტურა	140
7.2. სამუშაო დროის სტატისტიკური შესწავლა	140
7.3. თავისუფალი (არასამუშაო) დროის სტატისტიკური შესწავლა.....	145
7.4. ტესტები	149
თემა 8. მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა	152
8.1. განათლების ცნება, განათლების სისტემის საფეხურები	15175
8.2. განათლების სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა	156
8.3. უცხოელი სტუდენტების სტატისტიკა საქართველოში	161
8.4. ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა	164
8.5. ტესტები	170
თემა 9. მორალურ–სამართლებრივი სტატისტიკა.....	174
9.1. მორალური სტატისტიკის არსის საკითხისათვის	174
9.2. სამართლებრივი სტატისტიკის ინფორმაციული წყაროები.....	175
9.3. სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა	181
9.4. ტესტები	183
თემა 10. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა.....	187
10.1. პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკის ცნება.....	216
10.2. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური მაჩვენებლები	188
10.3. საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკა	190
10.4. ტესტები	193
გამოყენებული ლიტერატურა	195

შესავალი

თანამედროვე პირობებში, საქართველოში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების შედეგად, საზოგადოებაში იცვლება როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ურთიერთობების ფორმები. ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ეს პროცესი მეტ-ნაკლებად მტკივნეულად მიმდინარეობს. იზრდება საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია და, შედეგად, სოციალური დაძაბულობა, იზრდება ფარდობითი უმუშევრობა, რაც იწვევს მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლების მკვეთრ შემცირებას. სახელმწიფო ვალდებულია ადეკვატური პოლიტიკით შეამციროს სოციალური დაძაბულობა და აამაღლოს მოსახლეობის ცხოვრების დონე. სოციალური პრობლემები – უმუშევრობა, სოციალური დიფერენციაციის ზრდა, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესება, ხარისხიანი ჯანდაცვისა და განათლების შეზღუდული ხელმისაწვდომობა და სხვა, აფერხებს ქვეყნის გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

დიდი ხნის მანძილზე ჩვენში მთავარი ყურადღება მოვლენების ეკონომიკურ ასპექტს ექცეოდა, სოციალურს კი – არა. ბოლო ხანებში შეიცვალა ეს სურათი – სოციალური მოვლენების შესწავლა უპირველეს საქმედ მიიჩნიეს. სოციალურ სფეროში ხდება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის შედეგების რეალიზაცია, რომლებიც ადამიანთა სასიცოცხლო ინტერესებს ეხება.

დაიწყო სოციალური სტატისტიკის საკითხების განხილვა სხვადასხვა დონეზე – ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სტატისტიკის მუდმივ კომისიაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, იუნესკოში, საერთაშორისო სტატისტიკურ ინსტიტუტში, ევროსტატში და სხვაგან. რიგ სოციალურ-სტატისტიკურ პრობლემებზე დაცულ იქნა სადისერტაციო ნაშრომები, შეიქმნა სახელმძღვანელოები.

მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი მოვლენების კომპლექსური სტატისტიკური შესწავლა ჩვენს სტატისტიკურ ლიტერატურაში ჯერაც არაა სათანადო დონეზე, არადა ამ ნაბიჯის გადადგმას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

ამ მიზნით, მოცემულ ნაშრომში განხილულია სოციალური სტატისტიკის როგორც ზოგადი, ისე სპეციფიკური თემები, განსაკუთრებით „წმინდა“ სოციალური სფეროდან, როგორცაა, მაგალითად, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მოვლენების რაოდენობრივი ცვლილებები, სამართლებრივი პროცესების სტატისტიკა და სხვ.

წარმოდგენილ დამხმარე სახელმძღვანელოს გაამდიდრებს ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ანა ლეონ-გერეროს წიგნის – „სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“ – ინგლისური მე-6 გამოცემის ავტორიზებული თარგმანი, რომელიც მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით (გამომცემლობა „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2012 წ.). ამ წიგნში მოცემულია სტატისტიკა SPSS-ის გამოყენებით, ასევე პრაქტიკული ამოცანები აშშ-ის ცხოვრებიდან SPSS-ის გამოყენებით და თავისი სავარჯიშოები, რომელთა ერთობლივი შესწავლა სიღრმისეულ ცოდნას მისცემს სტუდენტებს სოციალურ სტატისტიკაში.

თემა 1. სოციალური სტატისტიკის საგანი და ამოცანები

1.1. სოციალური სტატისტიკის ცნება და მისი განვითარების რეტროსპექტივა

ცნება „სოციალური სტატისტიკა“ ორი გაგებით გამოიყენება: როგორც მეცნიერების დარგი და როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო. სოციალური სტატისტიკა, როგორც მეცნიერების დარგი, საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური მოვლენებისა და პროცესების მახასიათებელი რიცხვითი ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის ხერხებისა და მეთოდების სისტემას შეიმუშავებს. სოციალური სტატისტიკა, როგორც პრაქტიკული საქმიანობის სფერო, მიმართულია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ამა თუ იმ სოციალური პროცესების დამახასიათებელი რიცხობრივი მონაცემების შეგროვებისა და განზოგადებისაკენ. სოციალური სტატისტიკის ამ ორი სფეროს განვითარება ხდება მათ ერთიანობასა და ურთიერთკავშირში.

სოციალური სტატისტიკა წარმოადგენს სტატისტიკის ერთ-ერთ დარგს. მისი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების საშუალებით მოიპოვებს ინფორმაციას საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების შესახებ, განაზოგადებს მას და შედეგებს წარუდგენს როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ისე საზოგადოებას.

როგორც ცნობილია, საზოგადოებაში მიმდინარეობს ეკონომიკური და სოციალური პროცესები, რომელთა გადაკვეთაზეც აღმოცენდება სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე მოვლენა სოციალურიცაა და ეკონომიკურიც. თუმცა, შეიძლება პირიქითაც ვთქვათ – ერთი და იგივე მოვლენა ეკონომიკურიცაა და სოციალურიც. მაგალითად, დასაქმება სოციალური კატეგორიაა იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს განვიხილავთ სოციალური სტატუსის მიხედვით, ხოლო თუ იგი განხილულია მთლიანი შიდა (სამამულო) პროდუქტის მწარმოებლის ან სამუშაო ძალის კუთხით, მაშინ დასაქმება ეკონომიკურ კატეგორიას წარმოადგენს. ამრიგად, განხილვის კუთხის შესაბამისად, იგი სოციალ-ეკონომიკურ ან ეკონომიკურ-სოციალურ კატეგორიას მიეკუთვნება.

ასეთი მიდგომა მკაცრთ ეორიულ-ეკონომიკურ მიდგომას წარმოადგენს. ჩვენთვის სრულიად საკმარისია ვიცოდეთ, რომ არსებობს სოციალური, ეკონომიკური და ასევე სოციალ-ეკონომიკური პროცესები. შესაბამისად, სტატისტიკის საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკაში არსებობს სასწავლო დისციპლინები:

- სოციალური სტატისტიკა,
- ეკონომიკური სტატისტიკა და
- სოციალ-ეკონომიკური სტატისტიკა.

სოციალური და ეკონომიკური მოვლენების დიფუზიის შედეგია, რომ ეკონომიკური სტატისტიკის ისეთი საკითხები, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლები, ხარჯები, დასაქმება და ა. შ., სოციალურ სტატისტიკაშიც განიხილება, მაგრამ სოციალური კუთხით.

საზოგადოების ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირების ადრეულ პრიმი-

ტიულ ფორმებს არ გააჩნდა სპეციალურად შემუშავებული მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია. მონაცემების შინაარსის გართულებამ და სახელმწიფოსა და ეკონომიკის მმართველობაში მათი მნიშვნელობის გაზრდამ მონაცემების რეგისტრაციისა და განზოგადების უფრო რთული ხერხების გამოყენება, ინფორმაციის ერთგვაროვნებისა და უტყუარობის უზრუნველყოფისათვის სპეციალური ზომების მიღება გამოიწვია.

სააღრიცხვო სტატისტიკის სამუშაოები პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელ სახეობად იქცა და შეიქმნა სპეციალური ორგანოები, რომლებიც ამ სამუშაოებს ასრულებდნენ. აღრიცხვის მხრივ სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობა გამოეყო პრაქტიკულ მუშაობას. სტატისტიკის სფეროში დაიწყო სპეციალისტთა კადრების მომზადება. ერთიანი სტატისტიკიდან გამოეყო ამ მეცნიერების დამოუკიდებელი დარგები: მრეწველობის სტატისტიკა, სოფლის მეურნეობის სტატისტიკა, ბიზნესის სტატისტიკა, მოსახლეობის სტატისტიკა და ა.შ. მათგან სოციალურმა სტატისტიკამაც მიიღო „ავტონომიის უფლება“.

სოციალური სტატისტიკა სხვა დარგების სტატისტიკებისაგან არა მხოლოდ თავისი კვლევის საგნითა და ობიექტით განსხვავდება, არამედ იმ თავისებურებებით, რომელიც მდგომარეობს მისი ამოსავალი ინფორმაციის მოპოვების განსაკუთრებულ წყაროებში, დამუშავებისა და განზოგადების ხერხების გამოყენებაში, ანალიზის შედეგების პრაქტიკული გამოყენების განსაკუთრებულ გზებში. ყოველივე ეს ადასტურებს იმას, რომ აუცილებელია სოციალური სტატისტიკის გამოყოფა სააღრიცხვო სტატისტიკის სამუშაოების ცალკე მიმართულების სახით.

არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სოციალური სტატისტიკა ჩაისახა სტატისტიკის მეცნიერების ერთ-ერთი დამაარსებლის, ცნობილი „პოლიტიკური არითმეტიკოსის“ – ინგლისელი უილიამ პეტის (1623-1687) შრომებში.

მოგვიწოდებთ, ა. კეტლე, რ. მაიო-სმიტი, ა. ბოული დაინტერესდნენ სოციალური სტატისტიკის ქვედარგით – მორალური სტატისტიკით – და შეისწავლეს სტატისტიკისა და სოციოლოგიის ურთიერთკავშირი.

ცნობილმა ბელგიელმა სტატისტიკოსმა ა. კეტლემ (1796-1874), რომელმაც პირველმა გამოიყენა მონაცემთა შეგროვების თანამედროვე მეთოდები და დააფუძნა სტატისტიკის მათემატიკური მიმდინარეობა, შეისწავლა ადამიანის მორალური თვისებები და მისი მიდრეკილება თვითმკვლელობაზე. თავისი წიგნის პირველ ტომში, იგი აცალიბებს რა დამნაშავეობის ციფრებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ეს მთელ რიგ კანონზომიერებას ექვემდებარება. სწორედ, სოციალურ საკითხებს ეკუთვნის მის მიერ 1829 წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაანგარიშებული პირველი პროგნოზული მაჩვენებელი - 1830 წლისათვის საფრანგეთში ცალკეული იარაღების გამოყენებით მკვლელობათა მოსალოდნელი რაოდენობის შესახებ. მან დაადგინა, რომ საზოგადოებრივი მოვლენებიც ხასიათდება განვითარების შინაგანი აუცილებლობით, თუმცა ამ აუცილებლობის ახსნა ვერ შეძლო.

რუსი ფილოსოფოსი და მწერალი ნ. გ. ჩერნიშევსკი მაღალ შეფასებას აძლევს კეტლეს დამიაჩნია, რომ „ზნეობრივმა სტატისტიკამ უნდა დაიკავოს თავისი ადგილი ჭეშმარიტების შესწავლაში.“

ინგლისელი რ. მაიო-სმიტის წიგნში კი – „სტატისტიკა და სოციოლოგია“ – განხილულია სტატისტიკის როლი სოციოლოგიაში.

გერმანელი გ. მაირი თავის ნაშრომში – „სტატისტიკა და საზოგადოებათმცოდნეობა“ – ასკვნის, რომ მოქმედების სტატისტიკა, შემთხვევების სტატისტიკა და, აქედან გამომდინარე, შედეგის სტატისტიკა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ხალხში ზნეობრიობის მდგომარეობა.

ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა ა. ბოულიმ წიგნში „სოციალური სტატისტიკის ნარკვევი“ – შეიტანა თავისი ხუთი ლექცია, რომლებშიც ა. კეტლეს, რ. მაიო-სმიტის და გ. მაიერის მიერ შეუსწავლელი საკითხებია განხილული.

XIX ს. პირველ ნახევარში რუსმა მეცნიერებმა ვ. ფ. გერმანმა, კ. ი. არსენიევმა და დ. ს. ჟურავსკიმ ყურადღება სოციალურ სტატისტიკასაც მიაქციეს.

აკადემიკოს ვ. ფ. გერმანს ეკუთვნის სოციალური ხასიათის შრომები, განსაკუთრებით მორალურ სტატისტიკაში, კერძოდ, 1819-1922 წლებში რუსეთში თვითმკვლელობისა და მკვლელობათა რიცხვის შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ისტორიაში პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო სტატისტიკაში გამოსცა გერმანმა 1809 წელს, რომლის სახელწოდებაც „სტატისტიკის საყოველთაო თეორია“.

აკადემიკოსმა კ. ი. არსენიევმა, რომელიც პ. პ. სემიონოვის შეფასებით, სტატისტიკის მეცნიერების კორიფეს წარმოადგენდა, გამოაქვეყნა ნაშრომები სოციალურ სტატისტიკაში. ასევე, დ. პ. ჟურავსკიმ შეისწავლა განათლებულობასა და ზნეობრიობას შორის ურთიერთკავშირი. დ. პ. ჟურავსკი აღნიშნავდა, რომ ადამიანის მორალზე განათლების გარდა, ზეგავლენას ახდენს კვების საშუალებები, სისხლის სამართლის კანონი, ადგილობრივი წეს-ჩვეულება, ტემპერამენტი, კლიმატი და ა. შ. და ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული აღნიშნული საკითხის შესწავლისას.

სასამართლო სტატისტიკის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ა. ნ. რადიშევმა. ახალი სამართლის სისტემისათვის მან შეიმუშავა სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვების სქემა, რომლისთვისაც გამოიყენა მასალები საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა შესახებ. მის მიერ შემოთავაზებული სქემა საზოგადოებრივ მოვლენათა დიდ წრეს მოიცავს და, პირველ რიგში, იმ საკითხებს, რაც სისხლის სამართალს შეეხება.

სოციალური სტატისტიკის პრობლემებს ეხება ვ. ს. ვესელოვსკის ნაშრომი „რუსეთის ზნეობრივი სტატისტიკის გამოცდილებები.“

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ი. ე. იანსონის წიგნში – „მიმართულებები ზნეობრივი სტატისტიკის მეცნიერული დამუშავების შესახებ“ – მოცემულია „საშუალო ადამიანის შესახებ“ ა. კეტლეს კონცეფციის კრიტიკა.

ა. დ. ფორტუნატოვმა სოციოლოგიისა და სტატისტიკის ურთიერთობას მიუძღვნა თავისი ნაშრომი „სოციოლოგია და სტატისტიკა.“ სოციოლოგიური სტატისტიკის განვითარებაში დიდი წვლილი იქნა შეტანილი ს. გ. სტრუმილინის, ნ. გერმენტის და სხვათა მიერ.

ს. გ. სტრუმილინი მუშაობდა კონკრეტულ თემებზე, როგორცაა: უფასო ტრამვაი, შრომის დაცვა, საყოველთაო სწავლების რენტაბელობა, მუშების ცხოვრება. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა რუსი მუშების, გლეხებისა და მოსამსახურეების

დროის ბიუჯეტზე.

მ. ნ. გერმენტი 1922 წელს აქვეყნებს ნაშრომს „მორალური სტატისტიკა“, რომელშიც შეეხო სისხლის სამართლისა და თვითმკვლელობის სტატისტიკას.

სოციალური სტატისტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის ვ. ს. ნემჩინოვს, რომლებშიც მოცემულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლა. ამ მხრივ, ინტერესი გამოიწვია გლახთა მეურნეობის კლასიფიკაციამ, სოფლის მეურნეობის კლასობრივ შრეებად დაშლამ და ა. შ. მანვე საზოგადოებას შესთავაზა სოციოლოგიისა და სტატისტიკის ურთიერთკავშირის შესახებ გამოკვლევა – „სოციოლოგია და სტატისტიკა“. ჭეშმარიტებაა, აღნიშნავდა იგი, რომ სოციოლოგია და ეკონომიკური თეორია ეყრდნობა სტატისტიკურ ციფრებს, სტატისტიკა კი – სოციოლოგიისა და ეკონომიკური თეორიის მიერ დადგენილ მეცნიერულ დებულებებს.

ვ. ს. ნემცოვის გლახთა მეურნეობის კომბინაციურ დაჯგუფებას სოფლის კლასობრივი შემადგენლობის შესახებ, დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება.

ცნობილი მეცნიერი ს. გ. სტრუმლინი სპეციალურად იკვლევდა რუსეთის მშრომელთა დროის ბიუჯეტს, აქვეყნებდა მეცნიერულ შრომებს ადამიანთა ყოფაცხოვრების პირობების, კვალიფიკაციის, ადამიანის უნარის, შრომის, საწარმოო ძალთა განვითარებაში მეცნიერების როლისა და სხვა საკითხთა შესახებ.

სოციალური სტატისტიკის უდიდეს სპეციალისტს – ი. მ. ბოგდანოვს ეკუთვნის ნაშრომი „ნარკვევები საყოველთაო სასკოლო სწავლების შესახებ (1948)“. მის წიგნში – „კულტურის სტატისტიკა“ – შემუშავებულ იქნა სასკოლო განათლების, სკოლამდელ დაწესებულებათა, ბიბლიოთეკების, თეატრების, კინოს, სასკოლო დაწესებულებების სტატისტიკისა და სხვათა შესახებ ძირითადი საკითხები. ი. მ. ბოგდანოვის შემდეგ სოციალური სტატისტიკის შესწავლას მრავალი ცნობილი სტატისტიკოსი ეწეოდა. რუსმა მეცნიერმა ი. გ. მალიმ გამოაქვეყნა წიგნი – „სტატისტიკის საკითხები ვ. მარქსის „კაპიტალში“. მან სტატისტიკის მეცნიერების კლასიფიკაცია და ეკონომიკური სტატისტიკის გვერდით სოციალური სტატისტიკის დამოუკიდებელ დარგად გამოყოფა შემოგვთავაზა.

სტატისტიკისა და სოციოლოგიის ურთიერთკავშირის შესწავლა გრძელდებოდა და ახლაც გრძელდება. ამ მხრივ აღსანიშნავია 1967 წელს პ. პ. მასლოვის ავტორობით გამოცემული წიგნი „სოციოლოგია და სტატისტიკა“. 1971 წელს პ. პ. მასლოვმა მეორე წიგნი – „სტატისტიკა სოციოლოგიაში“ დაბეჭდა, სადაც ის უბრუნდება ადრე გამოცემული ნაშრომის საკითხებს და უფრო ფართოდ, სიღრმისეულად განიხილავს მათ.

რუსმა მეცნიერებმა ი. პ. სუსლოვმა და ე. დ. გრაჟდანიკოვმა ასევე სოციალურ პრობლემებს მიუძღვნეს წიგნი – „სოციალური სტატისტიკის საფუძვლები“. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მ. რ. ეიდელმანის სტატიები – „საერთაშორისო სემინარი სოციალურ სტატისტიკაში“ და „აქტუალური პრობლემები სოციალურ სტატისტიკაში“.

ლენინგრადის (ამჟამად სანკტ-პეტერბურგის) უნივერსიტეტის ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ წიგნში (ი. პ. ოქტიაბრსკი, ტ. ს. ბუტალინა, ს. ლ. ტრეტიაკოვი) – „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა“, მოცემულია სოციალური სტატისტიკის საგანი, ამოცანები, მაჩვენებელთა სისტემა და ა. შ. აქვეა მსჯელობა

სოციალური სტატისტიკის, სოციოლოგიისა და ეკონომიკური სტატისტიკის ურთიერთკავშირის შესახებ.

უკანასკნელ წლებში არაერთი წიგნი დაიბეჭდა სოციოლოგიაში, რომლებშიც გადმოცემულია სტატისტიკური მეთოდების გამოყენების სპეციფიკა. ერთ-ერთი ასეთია ავტორთა კოლექტივის ნაშრომი - „სოციოლოგიის სამუშაო წიგნი“, სადაც სოციოლოგიაში გაზომვისა და მასთან დაკავშირებულ სკალათა ნაირსახეობაა ახსნილი.

რუსი მეცნიერის მ. გ. ნაზაროვის რედაქციით გამოცემულ წიგნში - „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის კურსი“ გაანალიზებულია სოციალური სტატისტიკის საკითხებიც. სოციალური სტატისტიკის სიღრმისეულად შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი - „სოციალური სტატისტიკის პრობლემები“.

სოციალური სტატისტიკისადმი, მათ შორის, დარგობრივი სოციალური სტატისტიკისადმი ინტერესი დღითიდღე ძლიერდება. აღსანიშნავია, რომ პირველად საქართველოში სოციალური სტატისტიკის საკითხებზე სადოქტორო დისერტაცია დაიცვა მ. ტურავამ. მის მიერვე იქნა გამოცემული მონოგრაფია (რუსულ ენაზე) და ლექციების კურსი (I ტომი). მნიშვნელოვანია ასევე პირველი ქართული სახელმძღვანელო იურიდიულ სტატისტიკაში, რომლის ავტორები არიან ქ. მარშავა და მ. მინდორაშვილი.

ითარგმნა და გამოიცა ამერიკელი მეცნიერების ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ანა ლეონ-გერეროს წიგნი „სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის“ (მე-6 გამოცემა). იგი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით – სამეცნიერო რედაქტორი: პროფესორი სიმონ გელაშვილი, რედაქტორი: პროფესორი ქეთევან მარშავა, მთარგმნელები: მარინა მინდორაშვილი, გიორგი ყუფარაძე, გამომცემლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (2012 წ.).

თანამედროვე სოციალური სტატისტიკის მიმართულებით გამოცემული წიგნებიდან აქვე უნდა აღინიშნოს ამერიკელი თომას ლინემანის ცნობილი 2 წიგნი „სოციალური სტატისტიკის საფუძვლები“ (2010 წ.) და „სოციალური სტატისტიკა: მონაცემთა ანალიზი და შედეგების პრეზენტირება“ (2017 წ.).

1.2. სოციალური სტატისტიკის ობიექტი

სოციალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური (არაეკონომიკური) მოვლენები და პროცესები. საკითხთან დაკავშირებით საჭიროა განვმარტოთ სოციალური სფეროს რიგი კატეგორიები.

სოციალური – წარმოიქმნა ლათინურისიტყვიდან *socialis* და ნიშნავს საზოგადოებრივს.

სოციალური ურთიერთობები – ურთიერთობები, რომელიც მყარდება საზოგადოებაში ადამიანებს შორის სოციალური კუთხით.

სოციალური მოვლენები და პროცესები – სოციალური მოვლენები ყალიბდება კონკრეტული სოციალური ურთიერთობებისგან დროისა და სივრცის მოცემულ პირობებში. სოციალური პროცესები ყალიბდება კონკრეტული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნების შედეგად დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, სოციალური პროცესები შეიძლება გაგრძელდეს დროის ნებისმიერი ხანგრძლივობით, ან არსებობენ მარადიულად, როგორცა არელიგიური, ქონებრივი და სხვა ურთიერთობები.

საზოგადოება – ადამიანთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობების ტიპი, სოციალური ურთიერთობების გარკვეული ფორმა. როგორც წესი, საზოგადოებაში გულისხმობენ ადამიანების გარკვეულ ჩამოყალიბებულ ჯგუფებს. საზოგადოება გულისხმობს საერთო, კოლექტიურ ცხოვრებას კონკრეტულ ტერიტორიაზე.

საზოგადოებრივი – ის, რაც ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფებისთვის არის საერთო.

სოციუმი – ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია რაიმე ნიშნით.

დახურული საზოგადოება - საზოგადოება, რომელიც ხასიათდება სტატიკური, უცვლელი, სოციალური სტრუქტურებითა და ურთიერთობებით, ავტორიტარული იდეოლოგიით, ჩაკეტილი საზღვრებით. ასეთი იყო, მაგალითად, სოციალისტური საზოგადოება.

ღია საზოგადოება – ესაა საზოგადოება, რომელიც ხასიათდება დინამიკური სოციალური სტრუქტურებით და ურთიერთობებით, დემოკრატიული იდეოლოგიით, ღია საზღვრებით, ადამიანების თავისუფლებით და ა. შ.

სტრატა – წარმოდგება ლათინურიდან (*stratum* – ფენა). სოციალური სტრატა - სოციალური ფენა ან ჯგუფია, რომელიც რაიმე ნიშნით (ქონებრივი, პროფესიული, განათლების, ოჯახური მდგომარეობის და სხვ.) არიან გაერთიანებულნი.

სტრატოფიკაცია – ლათინური სიტყვაა (*stratum* – ფენა + *fasio* – ვაკეთებ) და წარმოადგენს ინდივიდების ან ადამიანთა ჯგუფების რანჟირებას ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ფენებად, სტრატებად, უთანაბრობის მახასიათებელი ნიშნის მიხედვით. აღნიშნულის მკაფიო მაგალითია მოსახლეობის განაწილება შემოსავლების და ხარჯების მიხედვით 10 ჯგუფად (სტრატად), რომელიც სტატისტიკაში ცნობილია 10 დეცილურ ჯგუფად. სტრატოფიკაციას მიეკუთვნება ასევე მოსახლეობის დაჯგუფება განათლების დონის, თანამდებობრივი პრესტიჟის და ა. შ. მიხედვით. შესაბამისად,

სტრატეგიკაცია ახასიათებს საზოგადოების, ადამიანების სოციალურ არაერთგვაროვნებას, სოციალურ უთანაბრობას.

სოციალური სტატისტიკისათვის დამახასიათებელია შესასწავლ ობიექტთა სიმრავლე, რომელიც შეიძლება დაყვით ორ ტიპად:

1. პირველ ძირითად ტიპს შეადგენენ მომსახურების მატერიალური და სულიერი ფასეულობებისა და ინფორმაციის მომხმარებლები;
2. ობიექტის მეორე ტიპი მოიცავს პირებს, ორგანიზაციებს, სუბიექტებს, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ მომსახურებას, მართავენ ამა თუ იმ სოციალურ პროცესებს.

სოციალური სტატისტიკის ობიექტის პირველ ტიპში ისინი წარმოდგენილი არიან ინდივიდუალური და ჯგუფური ობიექტების სახით. ინდივიდუალური ობიექტია ადამიანი (მოსახლეობა, როგორც ინდივიდების ერთობლიობა), ასევე, მთელი მოსახლეობა და მისი ცალკეული კატეგორიები საკვლევი სოციალური პროცესის შესაბამისად. ჯგუფური ობიექტი იმ პირთა ჯგუფია, რომლებიც ერთობლივად მოიხმარენ და მონაწილეობენ სოციალურ პროცესებში. ასეთ ობიექტს მიეკუთვნება: ოჯახი, მშობელთა კოლექტივი, ამხანაგობა, ბინათმშენებლობის კოოპერატივი და სხვ., ხოლო მეორე ტიპში შემავალი ერთეულების საქმიანობა განსაზღვრავს შეთავაზებული მომსახურებისა და ფასეულობების მოცულობასა და ხარისხს.

მომსახურების, ფასეულობების, ინფორმაციის წარმოება და მოხმარება პროცესის ორ ურთიერთდაკავშირებულ მხარეს შეადგენენ. ამით განისაზღვრება მათი პარალელური გამოკვლევების მიზანშეწონილობა. ასე, მაგალითად, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პრობლემა შეიძლება მოიხსნას, თუ ინფორმაცია მიღებულია სხვადასხვა სახის ობიექტიდან – ოჯახიდან, სადაც მაჩვენებელთა სისტემა ახასიათებს საცხოვრებელ პირობებს და მის დინამიკას და, ასევე, ორგანიზაციებიდან, რომლებიც ახორციელებენ ბინის ბაზრის ფორმირებას. ასეთი ორგანიზაციებია: სამშენებლო ფირმები, სხვადასხვა საბინაო განყოფილებები და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შემადგენლობაში მყოფი კომისიები, მრავალფეროვანი საშუაშავლო კანტორები და ფირმები, რომლებიც ახორციელებენ ბინების გაცვლას, ყიდვა-გაყიდვას და გაქირავებას.

ცალკეულ შემთხვევებში, ობიექტების ორივე ტიპი წარმოდგენილია ერთიანობაში როცა, მაგალითად, ოჯახები საკუთარი ძალებით ახორციელებენ თავისი საცხოვრებელი ბინის მშენებლობას. თუმცა, ასეთი მდგომარეობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს, რადგან სახლის მშენებლობა შედარებით მოკლევადიანი შემთხვევაა, ხოლო ოჯახი – სახლის მუდმივი მომხმარებელია.

აუცილებელია კვლევის ობიექტის ზუსტი განსაზღვრა, რადგან ეს საკითხი ინფორმაციის შეგროვების, დაჯგუფების, კლასიფიკაციისა და მაჩვენებელთა სისტემის აგების სტადიაზეა, გამოდის როგორც საწყისი, ამოსავალი.

წარმოების სფეროში ერთობლიობის ერთეულად წარმოდგენილია საწარმოები, რომლებიც გამოირჩევიან ტერიტორიული მიმარებულობით, არ აქვთ მიდრეკილება სწრაფი, ხშირი და რადიკალური ცვლილებებისადმი. სოციალურ სტატისტიკაში, პირველი ტიპის ობიექტების განხილვისას, ერთობლიობისათვის დამახასიათებელია

ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებები. მოსახლეობა გამოირჩევა დიდი ტერიტორიული მოძრაობით, ამიტომ გაძნელებულია ინფორმაციის შეგროვება. შობადობა და მოკვდაობა უწყვეტად ცვლის ყოველი ტერიტორიის მოსახლეობის შემადგენლობას. ყოველი ადამიანი, ყოველი ოჯახი საკმაოდ ხშირად იცვლის თავის დემოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. შედეგად, გამოდის, რომ გართულებულია ყველა ცვლილებების რეგულარული კონტროლი. მხოლოდ 10 წელიწადში ერთხელ, მოსახლეობის აღწერები იძლევა საშუალებას მოსახლეობის შესახებ მივიღოთ მეტ-ნაკლებად საჭირო ინფორმაცია, თუმცა ისინიც არ არის სრულყოფილი.

ინფორმაციის დეფიციტი მხოლოდ ნაწილობრივ კომპენსირდება იმით, რომ გარკვეული მონაცემების აღრიცხვა შერჩევით ხორციელდება. ამ მხრივ, ყველაზე ღირებულია საბიუჯეტო სტატისტიკის მასალები. ტარდება ერთდროული გამოკვლევები სოციალური სტატისტიკის პრობლემებზე, როგორც წესი, ასეთ სამუშაოებში შედის მომხმარებელთა მდგომარეობის მაჩვენებლები, მათი დიფერენციაცია მოხმარების პირობებისა და დონის მიხედვით. ინფორმაციის ამ წყაროს სუსტი მხარე ისაა, რომ ყველა პრობლემა არ შეისწავლება მასალების მიხედვით, ყოველთვის არ არის უზრუნველყოფილი ასეთი სამუშაოების ჩატარების საკმარისი რეგულირება.

იმისათვის, რომ რესურსების განაწილების დროს არ მოხდეს არასწორი გადაწყვეტილების მიღება და უზრუნველყოფილ იქნას სხვადასხვა პრაქტიკული ზომის მიღების საჭირო მიმართულებების განსაზღვრა, აუცილებელია ოპერატიული და კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებულ სუბიექტებს ცალკეული უწყებების ინიციატივით მიეწოდებათ.

სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება სტატისტიკურ კრებულებში, რომლებსაც გამოცემენ ადგილობრივი და ცენტრალური სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოები. ასე, მაგალითად, ამერიკის სტატისტიკის ასოციაციის მიერ ყოველწლიურად გამოდის „სოციალური სტატისტიკის ცნობარი“; დიდ ბრიტანეთში – ყოველწლიური კრებული „სოციალური ტენდენციები“, რომელიც 1970 წლიდან გამოდის. სულ მსოფლიოში მინიმუმ 30 ასეთი გამოცემა არსებობს. მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით სოციალური ინდიკატორების პუბლიკაციების გამოცემას ახორციელებს საერთაშორისო ორგანიზაციები – გაერო, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და მრავალი სხვა.

1.3. სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანი და მეთოდი

სოციალური სტატისტიკის შესწავლის საგნის შესახებ სხვადასხვა პოზიცია არსებობს. მაგალითად, რუსი პროფესორი მ. რ. ეიდელმანი თვლის, რომ სოციალური სტატისტიკა შეისწავლის ადამიანთა ცხოვრების სოციალურ პირობებს, საზოგადოების განვითარების კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში¹. მ. გ. ნაზაროვი და ვ. ვ. ოსიენკო მიიჩნევენ, რომ სოციალური სტატისტიკის შესწავლის საგანია სოციალური მოვლენები. ასეთი აზრისაა ა. ა. რომანოვი და სხვები. ქართველი მეცნიერის მ. ი. ტურავას მოსაზრებით, სოციალური სტატისტიკა შეისწავლის სოციალური ცხოვრების წესის ძირითადი სტრუქტურული ელემენტების (შრომა და სამუშაო დრო, მოსახლეობა, პიროვნება, ოჯახი და არასამუშაო დრო, მოსახლეობისა და საზოგადოების მომსახურება, მოსახლეობის შემოსავლები, მატერიალური დოვლათისა და მომსახურების მოხმარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობა და ა. შ.) სოციალური ასპექტების რაოდენობრივ მხარეს დროსა და სივრცეში.²

ეკონომისტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, სოციალური სტატისტიკის შესწავლის საგნის ჩვენეული ვერსიის მიხედვით, სოციალური სტატისტიკა შეისწავლის მასობრივი სოციალური მოვლენების რაოდენობრივ მხარესმის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, იკვლევს სოციალური განვითარების კანონზომიერებებს ადგილისა და დროის კონკრეტულ პირობებში.

საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური ანალიზი ხორციელდება სტატისტიკის სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით, რომელიც ასახავს ობიექტის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების რიცხობრივ განზომილებას, მათ შორის კავშირს, მათი ცვლილების ტენდენციებს. ეს მაჩვენებლები ასახავენ საზოგადოების სოციალურ ცხოვრებას, რომელიც სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანს წარმოადგენს.

თავისი ბუნების მიხედვით, საზოგადოების სოციალური ცხოვრება წარმოადგენს რთული, განსხვავებული თვისებების, დონეებისა და ხარისხის ურთიერთობათა სისტემას. ეს ურთიერთობები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. მათი ერთიანობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება. კერძოდ, ურთიერთქმედებაში, თანადაქვემდებარებაში, წინააღმდეგობრიობაში.

იზოლირებულად აღებული მოსახლეობის ცხოვრების პირობების სტატისტიკა, ან მოსახლეობის ბიუჯეტის სტატისტიკა ისევე პირობითია, როგორც, მაგალითად, მედიცინის დამოუკიდებელ დარგში ისეთი სპეციალობების გამოყოფა, როგორცაა: დერმატოლოგია, მიკრობიოლოგია, ონკოლოგია და ა. შ. ამგვარი ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც კონკრეტულ სფეროში ცოდნის გაღრმავების საშუალებას იძლევა, იმის პოტენციურ საშიშროებას ქმნის, რომ აზროვნების მიღმა დარჩება ზოგადი კავშირები და ურთიერთობები. საწყისი მიზეზები შეიძლება შეიცვალოს სიმპტომებით. ამ შემთხვევაში განკურნებისა და გაჯანსაღების პროგრამები (მედიცინაში – ცალკეული

¹ იხ. ვრცლად, Эидельман М. Р. Социальная статистика. Большая советская энциклопедия. Т. 24, кн. 1.

² ტურავა მ. ი. სოციალური სტატისტიკა. (ლექციების კურსი, ნაწ. 1) „თბილისის უნივერსიტეტის“ გამომცემლობა, თბ., 1990, გვ. 44

ადამიანის ორგანიზმი, სოციალურ სფეროში – მთლიანად საზოგადოების ორგანიზმი) ორიენტირებული იქნება არა მიზეზების, არამედ მხოლოდ არასასურველი შედეგების თავიდან აცილებისაკენ.

კრიმინალური სტატისტიკის ჩარჩოებში ასე შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს მთავარი სტრატეგიული ამოცანა – კრიმინოგენური მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების დაძლევა. ვიწროდ გაგებული კრიმინალური სტატისტიკა მოგვცემს მხოლოდ პრაქტიკული ხასიათის დასკვნებსა და რეკომენდაციებს მიმდინარე პერიოდში დამნაშავეობასთან ბრძოლის მეთოდებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ. აქედან გამომდინარეობს მეცნიერული ცოდნის ინტეგრაციის ტენდენციის აქტუალობა.

ასეთი მიდგომა უფრო მეტად შედეგიანია სოციალური სტატისტიკის საგნის განსაზღვრისას, რომლის დროსაც ანალიზისათვის ერთდროულად გამოიყოფა საზოგადოების სოციალური ცხოვრების ცალკეული მხარეები და მხედველობაში მიიღება მათი ერთიანობა და ურთიერთკავშირი.

სოციალურ სტატისტიკაში კვლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებებს მიეკუთვნება: მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურა და მისი დინამიკა, მოსახლეობის ცხოვრების დონე, კეთილდღეობის დონე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დონე, თავისუფალი დროის გამოყენება, კულტურა და განათლება, მორალური სტატისტიკა, საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკური ცხოვრება. კვლევის ყოველ სფეროში მუშავდება მაჩვენებელთა სისტემა, განისაზღვრება ინფორმაციის წყაროები და ხდება სტატისტიკური მონაცემების გამოყენებისადმი სპეციფიკური მიდგომა. ეს მასალები გამოიყენება ქვეყანასა და ცალკეულ რეგიონებში არსებული სოციალური მდგომარეობის რეგულირებისათვის. ამასთან ერთად, ყველა ეს მიმართულება, საბოლოო ჯამში, გვაძლევს ერთინ საშედეგო და ინტეგრირებულ ინფორმაციას სოციალური ცხოვრების, საზოგადოების განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერების შესახებ.

სტატისტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკა. მეთოდოლოგია განსაზღვრავს კვლევის ზოგად პრინციპებსა და მიმართულებებს. დიალექტიკა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების მეთოდოლოგია, მოვლენების შესწავლას გულისხმობს მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში, საზოგადოებას განიხილავს უწყვეტ განვითარებაში. ანუ, მარტივად რომ თქვათ, მოვლენები განიხილება მუდმივ მოძრაობასა და ურთიერთკავშირში.

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შემეცნების საშუალებას, გზას, ხერხს. სტატისტიკის მეთოდი კონკრეტულად მოიცავს კვლევის სპეციფიკური ხერხების ერთობლიობას, რომელსაც ის გამოიყენებს სოციალური, ეკონომიკური, ბიზნესისა თუ სხვა მოვლენების შესწავლისას.

სტატისტიკური გამოკვლევა იყოფა სამ ეტაპად:

1. სტატისტიკური დაკვირვება;
2. მოპოვებული მასალების თავმოყრა-დაჯგუფება;
3. სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი.

სოციალური მოვლენების სტატისტიკური კვლევა იწყება ერთობლიობის ერთეულზე დაკვირვებით. სტატისტიკური დაკვირვება წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის მახასიათებელი არსებითი ნიშნების გეგმაზომიერ და მეცნიერულად ორგანიზებულ რეგისტრაციას. დაკვირვების შედეგად მოიპოვება პირველადი ინფორმაცია, ან როგორც მას უწოდებენ სტატისტიკური მასალები, რომლის საფუძველზეც შემდგომი სტატისტიკური სამუშაოების წარმოება ხორციელდება. მაგალითად, ისეთი სახის სტატისტიკური დაკვირვებისას, როგორცაა მოსახლეობის აღწერა, ხდება ადამიანის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნიშნების რეგისტრაცია, როგორცაა სქესი, ასაკი, განათლება, საქმიანობა და ა. შ.

საერთოდ, ქვეყანაში სტატისტიკური დაკვირვება ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოს ხელმძღვანელობით. დაკვირვების შედეგად მიღებული პირველადი მონაცემები საჭიროებენ შემდგომ დამუშავებასა და ანალიზს. იგი, პირველ რიგში, ხორციელდება თავმოყრისა და დაჯგუფების საშუალებით, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური გამოკვლევის მეორე ეტაპს.

დაჯგუფება არის ერთობლიობის ერთეულების გაერთიანება ერთგვაროვან ჯგუფებში მათთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, მოპოვებული ინფორმაცია მოსახლეობის განათლების მიხედვით ჯგუფდება ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა: დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება.

სტატისტიკური დაჯგუფება რიგი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს. ზოგადად ესენია: აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო მაჩვენებლები, ვარიაციის მაჩვენებლები, ინდექსები და ა. შ. აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება-ანალიზის საშუალებით ხდება სოციალური მოვლენებისა და პროცესების განვითარების კანონზომიერებების დადგენა. სტატისტიკური კვლევის სამივე ეტაპი მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთს განაპირობებს.

კვლევის საკუთარი მეთოდების გარდა, სტატისტიკა და შესაბამისად, სოციალური სტატისტიკა, გამოიყენებს კვლევის ზოგადფილოსოფიურ ხერხებს, როგორცაა ანალიზი და სინთეზი.

ანალიზი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დანაწილებას. ანალიზის მეთოდი გულისხმობს შესასწავლი მთლიანი მოვლენის აზრობრივი ან ფაქტების დანაწილებას შემადგენელ ნაწილებად და ისე შესწავლას.

სინთეზი ასევე ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შეერთებას. სინთეზი, როგორც მეცნიერული კვლევის მეთოდი გულისხმობს მოვლენის შემეცნებას მთლიანობაში. იგი მოვლენის ცალკეულ ნაწილებს განიხილავს ერთიანობაში და ურთიერთკავშირში.

ვინაიდან სტატისტიკა სწავლობს მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, ამიტომ საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისას იგი სარგებლობს მათემატიკის და, კერძოდ, მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებით, როგორცაა დისპერსიული, კორელაციური ანალიზი და სხვ.

1.4. სოციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები

სოციალური სტატისტიკის ამოცანებს მიეკუთვნება:

1. სოციალურ სფეროებში სიტუაციის სისტემური ანალიზი;
2. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების ანალიზი;
3. მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და დონის შესწავლა;
4. ამ მახასიათებლების დიფერენციაციის ხარისხის შეფასება;
5. დინამიკის ანალიზი;
6. შესაძლო განვითარების პროგნოზირება ახლო და შორეული პერსპექტივისთვის;
7. იმ ფაქტორების გამოკვლევა, რომელთა გავლენით შეიქმნა არსებული მდგომარეობა;
8. ფაქტორივი პარამეტრების მათ ნორმატიულ მნიშვნელობებთან შესაბამისობის ხარისხის შეფასება;
9. ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების როლის და თანაფარდობის გარკვევა;
10. ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების როლის და ზემოქმედების ხარისხის დადგენა;
11. სოციალური პროცესების საზოგადოების განვითარების სხვა შემადგენლებთან ურთიერთმოქმედების გამოკვლევა.

გარდა ამისა, არსებობს განსაკუთრებული ამოცანები, რომლებიც უშუალოდ სოციალურ სტატისტიკას მიეკუთვნება. მათი სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, იმ სირთულეებზეა დამოკიდებული, რომლებიც სოციალური პროცესების შესწავლის პრაქტიკაში გვხვდება. მათ მიეკუთვნება შემდეგი ამოცანები:

1. სოციალური სტატისტიკის ცალკეულ მიმართულებათა ავტონომიურობის მიღწევა და ამით განპირობებული სტატისტიკური მაჩვენებლის შესადაარისობის დაძლევა;
2. სოციალური სტატისტიკის ერთიანი ურთიერთდაკავშირებული სისტემის ფორმირება.

ამ ამოცანების არსებობა აიხსნება არა მხოლოდ ობიექტური მიზეზით – სხვადასხვა სოციალური პროცესების არსსა და გამოვლენის ფორმებს შორის მკვეთრი განსხვავებით, არამედ ზოგიერთი საორგანიზაციო წინაპირობით. სოციალური ინფორმაციის შეგროვება ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების განყოფილებების მიერ: ფასების, საოჯახო ბიუჯეტის, შრომის ბაზრის სტატისტიკის და ა. შ. სოციალური მაჩვენებლები თავიდანვე ერთვებიან სოციალ-ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლების სხვადასხვა ქვესისტემაში, რაც კვალს ტოვებს რიგი მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას. გარდა ამისა, ზეგავლენას ახდენს სოციალური სტატისტიკის ცალკეული მაჩვენებლების სხვადასხვა ასაკი. ზოგიერთი

მაჩვენებელი სტატისტიკურ სამუშაოებში დიდი ხანია გამოიყენება და ამის გამო ინერციით შენარჩუნებულია მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტისადმი ტრადიციული მიდგომა; სხვა მაჩვენებლები შედარებით გვიან აღმოცენდნენ და მეტწილად თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე არიან ორიენტირებულნი.

3. რიგი სტატისტიკური მაჩვენებლებისა და სოციალური მოვლენებისა თუ პროცესების შეფასებასთან შესაბამისობის მიღწევა. რადგან მაჩვენებლები არ იძლევიან მათ ხარისხობრივ დახასიათებას, გაითვალისწინება მხოლოდ ცალკეული ფორმალური რაოდენობრივი პარამეტრები. მაგალითად, მეტად რთულია ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობის რეალურად შეფასება მხოლოდ იმ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორცაა: მოსახლეობის ყოველ 10 000 კაცზე ექიმებისა და საწოლების რიცხვი. კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული სამედიცინო დახმარების სხვადასხვა ფორმის გაფართოებასთან ერთად ხდება მომსახურების ხარისხის დიფერენციაცია, იქმნება მრავალფეროვანი სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებები.

4. მაკრო და მიკრო პირობებზე გამოკვლევების თანდათანობით ინტეგრირება, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სიღრმისეულად დავადგინოთ შესასწავლი პროცესების საწყისი მიზეზები და მექანიზმები. სოციალური სტატისტიკა ჯერ კიდევ უმეტესად ორიენტირებულია მოვლენებისა და პროცესების მაკრო დონის გამოკვლევებზე, სადაც პროცესების საბოლოო შედეგები ჩანს. ამ ამოცანის გადაწყვეტა – ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს რადიკალურად შევცვალოთ შემეცნების დონე;

5. მოსახლეობის უფრო მეტად დამახასიათებელი სოციალ-კულტურული, სოციალ-დემოგრაფიული ჯგუფებისათვის მაჩვენებელთა დამუშავება, მოდელების აგება, ჰიპოთეზების შეფასება. ამასთან, მოსახლეობის დაჯგუფების გამოყენებული სქემები უნდა შესწორდეს იმის მიხედვით თუ როგორ მიმდინარეობს ცვლილებები მოსახლეობის შემადგენლობაში, სოციალური სტატისტიკის მოქმედი მაჩვენებელთა სისტემა პრაქტიკულად სპობს რეალურად არსებულ დიფერენციაციას მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ცხოველქმედების პირობებს, მათი ფასეულობითი ორიენტაციის სისტემებსა და ა. შ. საზოგადოების სოციალური დაყოფის ზრდის ტენდენცია აძლიერებს ამ საკითხის აქტუალობას;

6. სოციალური სტატისტიკის და სხვა დარგობრივი სტატისტიკების მაჩვენებლებს შორის არსებული არაშესადარისობის დაძლევა;

7. სოციალ-ეკონომიკური კავშირების მოდელირება საზოგადოებრივ სისტემაში ურთიერთმოქმედების მექანიზმების აღმოჩენის მიზნით, მაკრო დონეზე წარმოდგენილია მთელი რიგი ობიექტურად არსებული შემომსახვრელი ფაქტორები, მაჩვენებლების შესაძლო მერყეობის საზღვრებს, ამის გათვალისწინება აუცილებელია სოციალური პროგრამების შემუშავებისას;

8. საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკის მაჩვენებელთა წრის გაფართოება. ამ ამოცანის აქტუალობა იმაში მდგომარეობს, რომ სოციალური პროცესების მთავარ შემადგენელს წარმოადგენს ფსიქოლოგიური ფაქტორი. ფაქტორებისა და შემთხვევების სუბიექტური პიროვნული შეფასება განსაზღვრავს მათზე

მოსახლეობის რეაქციას, ქცევას სხვადასხვა სფეროში.

9. სპეციალური ღონისძიებების გატარება, რომლებიც კომპენსაციას გაუკეთებენ მრავალი მაჩვენებლის ისეთ სუსტ მხარეებს როგორცაა სუბიექტივიზმის ელემენტები, ანამნეზის მონაცემების უზუსტობა, ფაქტების აღრიცხვის არასრულობა, რომლებზედაც უხალისოდ იძლევიან ინფორმაციას; სხვადასხვა სახის შეფასებითი დასკვნისათვის ობიექტური ერთმნიშვნელოვანი კრიტერიუმებისა და სკალების არარსებობა და ა. შ. ეს სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სრულფასოვანი სისტემის აგების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელიც აამაღლებს მის საიმედოობას. ნეგატიური გამოვლენის შემცირება შეიძლება სპეციალური ხერხების მეშვეობით. მათ შორის ერთი და იმავე საკითხის ფაქტებსა და მოსაზრებაზე ინფორმაციის ერთობლივი ანალიზი; კითხვის დეტალიზაცია, მისი დაყოფა რამდენიმე ცალკეულ კითხვად, საკონტროლო კითხვები, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ პასუხები და ა. შ.
10. ხელისუფლების რეგიონალური და ცენტრალური ორგანოებისათვის აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაციის სისტემური მიწოდება. მდგომარეობის სტაბილიზაციისა და შესაძლო კრიზისების თავიდან ასაცილებლად საჭირო დროული ზომების მისაღებად.

სოციალური პრობლემების კვლევის აქტუალურობა განისაზღვრება სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების დონით. ასე, მაგალითად, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში, მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში მომსახურების სფეროზე მოდიოდა: აშშ-ში – 60%, ინგლისში – 59%, სსრკ-ში – 38 %. მოცემული მაჩვენებლები შეიძლება განვიხილოთ, როგორც მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ეკონომიკის ორიენტაციის ხარისხის საერთო შეფასება და როგორც ეკონომიკის განვითარების საერთო დონის შეფასება.

მომსახურების მწარმოებლები დიფერენცირებულია საკუთრების ფორმების, სამუშაოს ორგანიზაციის პრინციპების, ზომის, დარგობრივი სპეციალიზაციის მიხედვით და არსებობს არაკომერციული ორგანიზაციები, რომელთაც მიეკუთვნება საქველმოქმედო ორგანიზაციები, მიკრორაიონებში მოსახლეობის თვითმმართველობის ორგანოები და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სტატისტიკის ჩარჩოებში მიმდინარე აღრიცხვის დროს ძირითადად იზომება მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მოცულობა. მოხმარების ხარისხობრივი თავისებურებები, მისი ტენდენციები და ფაქტორები, როგორც წესი, მასობრივ დონეზე არ ექვემდებარებიან აღრიცხვას. ამიტომ სტატისტიკურ მონაცემებში აქტუალური სოციალური პრობლემები ჩვეულებრივ დაფიქსირებულია როგორც სიმპტომები, მიზეზები, რომლებიც გახსნილი არაა.

1.5. სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

სოციალურ სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს სტატისტიკა ახასიათებს მაჩვენებელთა სისტემის დახმარებით. სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა ერთობლიობას.

ნებისმიერი სტატისტიკური გამოკვლევა, მიუხედავად მისი მასშტაბისა და მიზნისა, ყოველთვის ითვალისწინებს სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშებასა და ანალიზს.

სტატისტიკური მაჩვენებელი არის თვისებრივი განსაზღვრულობის მქონე საზოგადოებრივი მოვლენისა და პროცესის რაოდენობრივი მახასიათებელი, ზომა კონკრეტულ დროსა და სივრცეში. ე. ი. მაჩვენებელი შესასწავლი მოვლენის სიდიდის გამოხატულებაა, რომელიც მიუთითებს შესასწავლი ობიექტის რაოდენობრივ (ზომის, მოცულობის) ან ხარისხობრივ, თვისებრივ გამოსახულებაზე.

როგორც წესი, სტატისტიკის მიერ შესწავლილი მოვლენები და პროცესები საკმაოდ რთული და მრავალფეროვანია. შესაბამისად, მათი არსი აისახება არა უშუალოდ ერთი მაჩვენებლის მიერ, არამედ სხვადასხვა მაჩვენებლით, რომელთა ერთობლიობა სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემას წარმოადგენს.

სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა ურთიერთდაკავშირებულ მაჩვენებელთა ერთობლიობაა, რომელსაც გააჩნია ერთი ან მრავალდონიანი სტრუქტურა და ემსახურება კონკრეტული სტატისტიკური ამოცანის გადაწყვეტას.

შესასწავლი ნიშნისგან განსხვავებით, სტატისტიკური მაჩვენებელი მიიღება გაანგარიშების გზით. ეს შეიძლება იყოს ერთობლიობის ერთეულთა უბრალო დათვლა, ნიშნის მნიშვნელობათა შეჯამება, ორი ან რამდენიმე სიდიდის შედარება ან სხვა რთული გაანგარიშებანი.

განასხვავებენ კონკრეტულ სტატისტიკურ მაჩვენებელსა და მაჩვენებელ-კატეგორიას.

კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებელი ახასიათებს მოცემულ დროში, მოცემულ ადგილას შესწავლილი მოვლენის სიდიდეს, მოცულობას.

მაჩვენებელ-კატეგორია გამოხატავს ადგილის, დროის, რიცხოვრივი მნიშვნელობის მითითების გარეშე ერთი და იგივე სახის კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებლების არსს, მის ზოგად განმასხვავებელ თავისებურებებს. იგი ძირითადად გამოიყენება თეორიული სამუშაოების მიმდინარეობისას, აგრეთვე სტატისტიკური დაკვირვების პროექტირების ეტაპზე ოპერირებისას. მაგალითად, შრომის ანაზღაურების ცნება – იგი არის გაწეული სამუშაოს ანაზღაურება, მაჩვენებელ-კატეგორიას წარმოადგენს – „მუშაკის ხელფასი“, ხოლო კონკრეტული მუშაკის ხელფასი, მაგალითად, თვეში 300 ლარი კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებელია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მაჩვენებელ-კატეგორია საერთოა ყველა ერთობლიობისათვის და არ იცვლება, მაშინ როცა, კონკრეტული სტატისტიკური მაჩვენებელი იცვლება კონკრეტული დროისა და სივრცის მიხედვით.

ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი ერთობლიობის ერთეულთა მომცველობის მიხედვით იყოფა ინდივიდუალურ და ჯამობრივ, ხოლო გამოხატვის ფორმის მიხედვით

აბსოლუტურ, შეფარდებით და საშუალო სიდიდეებად.

ინდივიდუალური მაჩვენებლები ახასიათებენ ერთობლიობის ცალკეულ ერთეულებს ან ობიექტებს: კორპორაციას, საწარმოს, საამქროს, შინამეურნეობას და ა. შ. ინდივიდუალურ აბსოლუტურ მაჩვენებელს წარმოადგენს მაგალითად, საწარმოს პერსონალის რიცხვი, სავაჭრო საწარმოს რეალიზებული პროდუქციის მოცულობა, შინამეურნეობათა ერთობლივი შემოსავალი და ა. შ.

იმ ორ აბსოლუტურ მაჩვენებელთა შეფარდებით, რომლებიც ახასიათებენ ერთი და იმავე ერთეულს ან ობიექტს, ღებულობენ ინდივიდუალურ შეფარდებით მაჩვენებელს. სტატისტიკაში გაიანგარიშება აგრეთვე ინდივიდუალური საშუალო მაჩვენებელი, ოღონდ დროითი განსაზღვრულობით (მაგალითად, საწარმოს პერსონალის საშუალო წლიური რიცხოვნობა).

ინდივიდუალურისგან განსხვავებით, ჯამობრივი მაჩვენებლები ახასიათებენ იმ ერთეულთა ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ სტატისტიკური ერთობლიობის ნაწილს, ან მთელ ერთობლიობას. მაგალითად, საწარმოების სამრეწველო-საწარმოო მუშაკთა საერთო რიცხვი, მუშაკთა ხელფასის ფონდი, მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ყველა დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების ჯამი და ა. შ.

თავის მხრივ, ინდივიდუალური და ჯამობრივი მაჩვენებლები იყოფა მოცულობით და გაანგარიშებით მაჩვენებლებად.

მოცულობითი მაჩვენებელი მიიღება ერთობლიობის ცალკეულ ერთეულთა ნიშნის მნიშვნელობათა შეჯამების გზით. მიღებული სიდიდე (ნიშნის მოცულობა) შეიძლება განვიხილოთ როგორც მოცულობითი აბსოლუტური მაჩვენებელი (მაგალითად, დარგის საწარმოს ძირითადი კაპიტალის ღირებულება). იგი შეიძლება შედარებულ იქნას სხვა, აბსოლუტურ მოცულობით სიდიდესთან (მაგალითად, საწარმოს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის რიცხვთან), ან ერთობლიობის მოცულობასთან (მაგალითად, საწარმოთა რიცხვთან). უკანასკნელ ორ შემთხვევაში ღებულობენ მოცულობის შეფარდებით და მოცულობის საშუალო მაჩვენებლებს.

გაანგარიშებითი მაჩვენებლები ემსახურებიან სტატისტიკური ანალიზის ცალკეული ამოცანების გადაწყვეტას. კერძოდ, ვარიაციის გაზომვას, სტრუქტურული ძვრების დახასიათებას, ურთიერთკავშირის შეფასებას და სხვ. ისინი იყოფიან აბსოლუტურ, შეფარდებით, საშუალო და ვარიაციის მაჩვენებლებად.

არსებობს სტატისტიკურ მაჩვენებელთა შემდეგი სახეები: მოცულობითი, ხარისხობრივი, ნატურალური და ღირებულებითი.

მოცულობითი მაჩვენებლები ახასიათებენ შესასწავლი მოვლენის აბსოლუტურ სიდიდეს. მაგალითად, მუზეუმების საერთო რიცხვი, განათლებაზე გაწეული ხარჯები, პენსიონერთა რიცხოვნობა და ა. შ.

ხარისხობრივი მაჩვენებლები ახასიათებენ თანაფარდობას მოვლენის ცალკეულ ელემენტებს, ან ორ მოვლენას შორის. მაგალითად, ექიმების რიცხვი ყოველ 10 000 მცხოვრებზე, ქალების რიცხვი ყოველ 1000 მამაკაცზე გაანგარიშებით და ა. შ.

ნატურალური მაჩვენებლები შესასწავლ მოვლენას ახასიათებენ გარკვეული ფიზიკური ერთეულების – ზომის, წონის, რიცხვის და სხვათა საშუალებით.

ღირებულებითი მაჩვენებლებით იზომება ისეთი მოვლენები როგორცაა შრომის

ანაზღაურება, სოციალური ღონისძიებების დაფინანსება, შემოსავლების საერთო მოცულობა, პენსიების სიდიდე და ა. შ.

ერთობლიობის ერთეულთა მომცველობა და გამოხატვის ფორმა წარმოადგენს სტატისტიკური მაჩვენებლების ძირითად, მაგრამ არა ერთადერთ საკლასიფიკაციო ნიშანს.

მნიშვნელოვან საკლასიფიკაციო ნიშანს წარმოადგენს დროითი ფაქტორი. საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, რომელიც დროის განსაზღვრული მომენტისათვის მდგომარეობის მიხედვით (როგორც წესი, წლის დასაწყისისთვის ან ბოლოსთვის) შეიძლება აისახოს სტატისტიკურ მაჩვენებლებში, წარმოადგენს სამომენტო მაჩვენებელს, ხოლო – გარკვეული პერიოდის მიხედვით გამოსახული მაჩვენებლები – დღე, კვირა, თვე, კვარტალი, წელი არის ინტერვალური. ამასთან, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ინტერვალური მაჩვენებლების შეჯამება, ხოლო სამომენტოსი – არა.

იმის მიხედვით, თუ რამდენ ობიექტთან მიმართებაშია გაანგარიშებული სტატისტიკური მაჩვენებელი, განასხვავებენ ერთობიექტიან და ობიექტთაშორის მაჩვენებლებს. ერთობიექტიანი მაჩვენებელი ახასიათებს მხოლოდ ერთ ობიექტს, ხოლო ობიექტთაშორისი მაჩვენებლები მიიღება სხვადასხვა ობიექტის მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლების შეფარდებით (მაგალითად, საშუალო სკოლადამთავრებულ ბავშვთა რიცხვისა და უმაღლეს სასწავლებლებში ადგილების რიცხვის თანაფარდობა). ასეთი მაჩვენებლები შეფარდებითი მაჩვენებლების სახით გამოისახება.

და ბოლოს, სივრცითი განსაზღვრულობის თვალსაზრისით, სტატისტიკური მაჩვენებლები იყოფა საერთო ტერიტორიულ (რომელიც ახასიათებს შესასწავლ ობიექტს ან მოვლენას მთელი ქვეყნის მასშტაბით), რეგიონულ და ადგილობრივ (მუნიციპალურ, ლოკალურ) მაჩვენებლებად, რომლებიც მოიცავენ ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილს, ან მის ცალკეულ ობიექტს.

1.6. სოციალური სტატისტიკის კავშირი მეცნიერების სხვა დარგებთან

სოციალური სტატისტიკის თეორიულ საფუძველს, პირველ რიგში, წარმოადგენს სტატისტიკის თეორია. ეს უკანასკნელი იძლევა რაოდენობრივი, სტატისტიკური კვლევის მეთოდოლოგიას და კონკრეტულ მეთოდებს, რომლებსაც ეყრდნობა ყველა დარგობრივი სტატისტიკური დისციპლინა, მათ შორის, სოციალური სტატისტიკა. მაგალითად, სტატისტიკის თეორია გვაძლევს ინდექსების თეორიას, საშუალო სიდიდეების თეორიას და სხვ. ამასთანავე, სტატისტიკის თეორია გვაძლევს კონკრეტული ინდექსებისა და საშუალო სიდიდეების გამოთვლის მეთოდებსა და ხერხებს, ანალოგიური მდგომარეობაა სტატისტიკური კვლევის დანარჩენი მართულებების შემთხვევაშიც.

სოციალურ სტატისტიკას, ისევე როგორც მეცნიერების სხვა დარგებს, კავშირი აქვს სხვა მრავალ მეცნიერებასთან. ყველაზე მჭიდროდ იგი უკავშირდება სტატისტიკურ დისციპლინებს და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, სტატისტიკის თეორიას, რომელიც დარგობრივი სტატისტიკებისათვის ამუშავებს საერთო (ზოგად) მეთოდოლოგიურ ბაზას. თავისი არსით ერთგვაროვანი მეთოდოლოგიური ხერხები კონკრეტდება და მოდიფიცირდება სოციალური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის პირობებისა და ამოცანების გათვალისწინებით. ხშირად სტატისტიკის თეორიის მიერ შემოთავაზებული კვლევის მეთოდები არასაკმარისია. ასეთ შემთხვევაში სოციალური სტატისტიკა სხვა მეცნიერებებისგან სესხულობს აუცილებელ მეთოდებს. ეს დისციპლინებია: სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა. შ.

სოციალური სტატისტიკის კვლევის ობიექტს სრული ან ნაწილობრივი შესაბამისობა (ერთიანობა) აქვს სხვა მეცნიერებათა ობიექტებთან. კერძოდ, დემოგრაფია, სოციოლოგია, მოსახლეობის სტატისტიკა, შრომის ეკონომიკა, ეთნოგრაფია, სამედიცინო სტატისტიკა, იურიდიული სტატისტიკა და სხვ. მათთან სოციალურ სტატისტიკას გარკვეული შეხების წერტილები აქვს კვლევის საგნის მხრივაც, მაგრამ ეს კავშირი უფრო სუსტია. მეცნიერებათა სიახლოვე, უფრო მეტად შეიძლება გამოვლინდეს კვლევის მეთოდოლოგიის, მეთოდიკისა და ობიექტის განსაზღვრის საკითხებში.

მეცნიერებათა ნაწილობრივი ერთიანობა ისტორიულადაცაა განპირობებული. თუმცა, ეს ერთიანობა არ ნიშნავს იგივეობას. მაგალითად, მოსახლეობის სტატისტიკაც და სოციალური სტატისტიკაც სწავლობს მოსახლეობას, როგორც თავისი კვლევის ობიექტს. ამასთან, თუ პირველისათვის საინტერესოა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, მეორისათვის – მხოლოდ მისი ცალკეული კატეგორიები. მოსახლეობის სტატისტიკა იკვლევს მოსახლეობის რიცხოვნობას, შემადგენლობასა და კვლავწარმოებას, ხოლო სოციალური სტატისტიკა ყურადღებას მოსახლეობის ცხოვრების პირობების სხვადასხვა მხარეზე ამახვილებს. ასე, მაგალითად, სოციალური უზრუნველყოფის საკითხები, პირველ რიგში, ეხება ინვალიდებისა და საპენსიო ასაკის პირებს; სწავლა, განათლების პროგრამები – ახალგაზრდებს და სასკოლო ასაკის ბავშვებს და ა. შ.

მოსახლეობის სტატისტიკა მოსახლეობას შეისწავლის (ტრადიციულად) როგორც ბიოლოგიურ პოპულაციას, ხოლო სოციალური სტატისტიკა იკვლევს ხალხის ცხოვრების სოციალურ ასპექტებს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიდგომებს შორის არსებული ზღვარი პირობითია: მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების, განქორწინების, მიგრაციული პროცესების შესწავლა შეუძლებელია სოციალური ფაქტორების ანალიზის გარეშე.

სოციალური პროცესები, რომლებსაც სკოლამდელ დაწესებულებებში აქვს ადგილი, საჯარო საგანმანათლებლო სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ა. შ., შეისწავლება არა მხოლოდ განათლების სტატისტიკის, არამედ სოციალური სტატისტიკის მიერაც. სოციალური სტატისტიკა განათლების სტატისტიკას უთითებს მოცემულ პერიოდში განათლების რომელ პრობლემაზე უნდა გავაძლიეროთ ყურადღება.

სოციალური სტატისტიკა დაკავშირებულია ასევე კულტურისა და ხელოვნების სტატისტიკასთან. ყველა სოციალური საკითხი, რომელიც კულტურის, ხელოვნების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (ბიბლიოთეკების, კლუბების,

თეატრების, მუზეუმების, ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობის და ა. შ.) საქმიანობასთანაა დაკავშირებული, შეისწავლება სოციალური სტატისტიკის მიერ.

თვით ის ფაქტი, რომ მორალურ-სამართლებრივი სტატისტიკა იკვლევს სოციალური სტატისტიკის შესწავლის საგნის ნაწილს – ზნეობრივ პრინციპებს, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სახის სამართალდარღვევებს, მეტყველებს იმაზე, რომ მათ შორის ურთიერთკავშირია.

სოციალური სტატისტიკა კავშირშია ასევე საბინაო, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ჯანდაცვის და სხვა ამგვარი სახის სტატისტიკასთანაც.

სოციალური სტატისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე სოციოლოგია. ის შეიმუშავებს სოციალური მოვლენების ამსახველ ისეთ კატეგორიებს, როგორცაა: საზოგადოება, სოციალური, სოციუმი, სტრატა, განათლება და ა. შ., რომლებიც განხილულია მოცემული თავის მეორე პარაგრაფში. ეყრდნობა რა აღნიშნულ კატეგორიებს, სოციალური სტატისტიკა მათ აძლევს რიცხობრივ, რაოდენობრივ-სტატისტიკურ გამოსახულებას.

ტერმინი „სოციოლოგია“ შედგება 2 სიტყვისგან: ლათინური – socius (საზოგადოებრივი) და ბერძნული – λογος (მეცნიერება). სოციოლოგიის შესწავლის საგანს წარმოადგენს საზოგადოება და მისი შემადგენელი სისტემები, საზოგადოების ფუნქციონირება და განვითარება, სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ურთიერთობები.

ტერმინი სოციოლოგია მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა ფრანგმა ფილოსოფოსმა, სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ფუძემდებელმა ოგიუსტ კონტმა (1798-1857) თავის ნაშრომში „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი“ (1832).

არის შეხედულება, რომ სოციოლოგიას, როგორც მეცნიერებას, საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა მეცნიერმა, სტატისტიკაში პოლიტიკური არითმეტიკის მიმართულების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ჯონ გრაუნტმა (1620-1674) თავისი მეტად გრძელი დასახელების ნაშრომით „ბუნებრივი და პოლიტიკური დაკვირვებები.... გაკეთებული მოკვდაობის ბიულეტენების საფუძველზე ქ. ლონდონში“ (1662).

სოციოლოგია შედგება რიგი დარგებისაგან, როგორცაა:

- თეორიული სოციოლოგია, რომელიც ემსახურება საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების თეორიულ ახსნა-დასაბუთებას და შეიმუშავებს სოციოლოგიურ კატეგორიებს.
- ემპირიული (გამოყენებითი) სოციოლოგია - იმ მეთოდთა ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის მოსაპოვებლად. ემპირიული სოციოლოგიის ფუნქციაა საზოგადოებრივი აზრისა და სოციალური პროცესების, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ადამიანის სხვადასხვა მხარეების აღწერა.

თეორიული სოციოლოგია თავისი დებულებების არგუმენტაციისათვის საჭიროებს ემპირიული სოციოლოგიის მონაცემებს. თავის მხრივ, ემპირიული სოციოლოგია ეფუძნება თეორიულ სოციოლოგიას. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ემპირიული სოციოლოგიის მეთოდოლოგიურ საფუძველს. ემპირიული სოციოლოგია

მოვლენათა შესასწავლად მოიპოვეს საჭირო სოციოლოგიურ ინფორმაციას და აღწერს მოვლენასა თუ კატეგორიას.

დარგობრივი სოციოლოგია მოიცავს პიროვნების, კულტურის, პოლიტიკის, სამართლის, მედიცინის და სხვა კონკრეტული დარგების სოციოლოგიას.

1.7. საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი მეთოდოლოგიები სოციალური მიმართულებით

სოციალური სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, როგორცაა: იუნესკო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.

იუნესკო წარმოადგენს გაერთიანებული ერების სპეციალურ ორგანიზაციას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებში. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ხელშეწყობა ქვეყნებსა და ხალხებს შორის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაფართოების საშუალებით.

იუნესკო შეიქმნა 1945 წლის 16 ნოემბერს. მისი შტაბ-ბინა მდებარეობს პარიზში. დღეისთვის ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 194 სახელმწიფო, ასევე 7 თანამშრომელი წევრი. ესაა ტერიტორიები, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთ საგარეო პოლიტიკაზე.

ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს ხუთი მიმართულებით, როგორცაა: განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები, კულტურა, კომუნიკაცია და ინფორმაცია.

აღნიშნული მიმართულებით იუნესკოს საქმიანობა მოიცავს აგრეთვე სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებასაც, მათ შორის აღნიშნული მიმართულებების სტატისტიკის, ე. ი. სოციალური სტატისტიკის დარგშიც. იუნესკო აქვეყნებს წიგნებს, მონოგრაფიებსა და საცნობარო მასალებს, მათ შორის პერიოდულ გამოცემებს. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ იმართება განათლების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები. პერიოდულად გამოცემულ მასალებს შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი სტატისტიკური კრებულები: „იუნესკოს სტატისტიკური წელიწადეული“, „მსოფლიო მოხსენება განათლების საკითხებზე“, რომელიც შეიცავს მდიდარ სტატისტიკურ მასალებს, ასევე მსოფლიოს განათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციების მიმოხილვასა და ანალიზს.

ამუშავებს რა სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიას – კვლევის ზოგად პრინციპებს, იმავდროულად, იუნესკო წევრი სახელმწიფოებისგან სავალდებულო წესით იღებს ინფორმაციას, მათ შორის სოციალურ სტატისტიკაში, მისთვის საინტერესო საკითხებზე და აწარმოებს მის განზოგადებას. კერძოდ, იუნესკოს წესდების მე-8 მუხლის

თანახმად, ორგანიზაციის ყოველი წევრი-სახელმწიფო ვალდებულია იუნესკოს მიერ დადგენილ ვადებში და მის მიერ განსაზღვრული ფორმით, იუნესკოს წარუდგინოს მოხსენებები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ამ ქვეყნებში მიღებული კანონებისა და დებულებების, ასევე, იუნესკოს რეკომენდაციებისა და კონვენციების შესრულების შესახებ. აღნიშნულ მუხლში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ასევე სტატისტიკური ინფორმაციის საკითხს, რომლის თანახმადაც, იუნესკოს წარუდგენენ სტატისტიკურ ინფორმაციას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის შესახებ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო) შეიქმნა 1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შედეგ ვერსალის (პარიზი) სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო 1946 წლიდან ორგანიზაციის შტაბ-ბინა, რომელსაც ეწოდება „შრომის საერთაშორისო ბიურო“, იმყოფება ჟენევაში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს შრომითი ურთიერთობების რეგულირება. ამიტომ შსო-ს შექმნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებთან ერთად უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა სოციალურმა მიზნებმა, კერძოდ: მშრომელთა შრომისა და ცხოვრების პირობები იყო მეტად მძიმე და აუტანელი. სოციალური დაცვის პრაქტიკულად არარსებობის პირობებში ხდებოდა მათი მკაცრი ექსპლუატაცია.

თავისი არსებობის განმავლობაში შსო დგას ადამიანთა სოციალური დაცვის სადარაჯოზე. მის საქმიანობაში განსაკუთრებით აღსანიშნავია 1988 წლის დეკლარაცია, რომელიც შრომის სფეროში განსაზღვრავს ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს. ესენია:

1. დაქირავებულების უფლება გაერთიანების და კოლექტიური მოლაპარაკებების წარმოებაზე;
2. დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობებში;
3. იძულებითი შრომის აღმოფხვრა;
4. ბავშვთა შრომის აკრძალვა.

აღნიშნულ პრინციპებს მიეძღვნა შსო-ს რვა ფუნდამენტური კონვენცია, რომლებიც შეტანილია შსო-ს საერთაშორისო შრომითი სტანდარტების მონაცემთა ბაზაში. კონვენციები რატიფიცირებულია მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების მიერ და შსო ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს. თუ რომელიმე ქვეყნის მიერ ჯერ არ მომხდარა კონვენციის რატიფიცირება, მისი შსო-ს წევრობის შემთხვევაში, წესდების თანახმად, ეს ქვეყანა მაინც ვალდებულია კონვენციის ცხოვრებაში გატარებაზე.

შსო-ს უმაღლესი ორგანოა შრომის საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც მტკიცდება შსო-ს ყველა აქტი. 1944 წელს ფილადელფიაში (აშშ) ჩატარებულმა შრომის საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო ე. წ. ფილადელფიის დეკლარაცია, რომელმაც განსაზღვრა შსო-ს მიზნები და ამოცანები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. აღნიშნული დეკლარაცია წარმოადგენს შსო-ს წესდებას. მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან შრომის საერთაშორისო კონფერენცია ტარდება ყოველ ორ წელიწადში. კონფერენციაზე განისაზღვრება ორგანიზაციის მუშაობის ორ-წლიანი პროგრამა.

შსო აწარმოებს სტატისტიკურ სამუშაოებს, ატარებს კვლევებს სოციალურ და შრომით პრობლემებზე და აქვეყნებს კვლევების შედეგებს. შსო-ს სტატისტიკურ

სამუშაოებს ხელმძღვანელობს „შრომის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენცია“, რომელიც რეგულარულად ტარდება მეორემსოფლიო ომის შემდეგ.

კონფერენციის აღმასრულებელი ორგანოა შრომის საერთაშორისო ბიუროს სტატისტიკის განყოფილება. აღნიშნული ორგანო მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას უწევს შრომის სტატისტიკას მსოფლიოს მასშტაბით. იმავდროულად, შსო-ს წევრი სახელმწიფოებიდან სტატისტიკური განყოფილება აგროვებს და აქვეყნებს მონაცემებს სამუშაო ძალის, დასაქმებისა და უმუშევრობის, ხელფასის, სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის, სამომხმარებლო საქონლის ფასების, საწარმოო ტრავმატიზმის, სოციალური უზრუნველყოფის, შრომითი კონფლიქტების, ცხოვრების დონის და სხვ. შესახებ.

შრომის სტატისტიკის ბიურო აქვეყნებს შედეგ სტატისტიკურ კრებულებს: „შრომის სტატისტიკის წელიწადული“; 1976 წლიდან რეგულარულად ქვეყნდება „ტექნიკური სახელმძღვანელო სტატისტიკური მაჩვენებლების გამოსათვლელად“. ბიურო ასევე ყოველკვარტალურად გამოსცემს „შრომის სტატისტიკის ბიულეტენს“.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაფუძნდა 1948 წლის 7 აპრილს³ და წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებას, რომელშიც გაერთიანებულია 194 წევრი-სახელმწიფო. მათი ძირითადი ფუნქციაა ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრა და მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (შემდომში „ორგანიზაცია“) თანამედროვე სახით დაფუძნებამდე და დღევანდელი სახით ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი გზა გაიარა. კერძოდ, ჯანდაცვის პირველ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენდა „კონსტანტინოპოლის ჯანდაცვის უმაღლესი საბჭო“, რომელიც შეიქმნა 1839 წელს. მის ამოცანას შეადგენდა თურქეთის პორტებში უცხო ქვეყნების გემების კონტროლი, შავი ჭირისა და ქოლერის ეპიდემიის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება. შემდგომში ანალოგიური ორგანიზაციები შეიქმნა 1840 წელს მაროკოში და 1846 წელს – ეგვიპტეში. 1851 წელს პარიზში ჩატარდა საერთაშორისო სანიტარული კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 12 სახელმწიფო. კონფერენციაზე მიღებულ იქნა საერთაშორისო სანიტარული კონვენცია, რომელმაც განსაზღვრა საზღვაო კარანტინის წესები ხმელთაშუა ზღვაში. XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1902 წელს შეიქმნა პანამერიკული სანიტარული ბიურო (ვაშინგტონი) და 1907 წელს ჰიგიენის საერთაშორისო ბიურო (პარიზი). 1923 წელს ერთა ლიგასთან შეიქმნა ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია (ჟენევა). მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946 წლის ივლისში, ნიუ-იორკში, ჯანდაცვის საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რომლის წესდებაც (კონსტიტუცია) რატიფიცირებულ იქნა 1948 წლის 7 აპრილს.

ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნულია, რომ „ჯანმრთელობა წარმოადგენს სრულ ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ კეთილდღეობაში ყოფნას და არა მხოლოდ ავადმყოფობისა და ფიზიკური დეფექტების არარსებობას“.

ორგანიზაციის საქმიანობის სფეროებს მიეკუთვნება: სხვადასხვა ქვეყნის ჯან-

³ 1948 წლის 7 აპრილის შემდეგ 7 აპრილი აღინიშნება როგორც ჯანმრთელობის დაცვის დღე“

დაცვის სამსახურების ინსტიტუციური სრულყოფა, ბრძოლა კონკრეტული ავადმყოფობების წინააღმდეგ, გარემოს გაჯანსაღება და დაცვა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო კადრების მომზადება, სამეცნიერო კვლევების განვითარება ჯანმრთელობის დაცვის დარგში, ჯანმრთელობის დაცვის და სანიტარული სტატისტიკის წარმოება.

კონკრეტულად, ორგანიზაციას ევალება ჯანდაცვისა და სანიტარული სტატისტიკის, როგორც მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავება, ასევე მოცემულ სფეროებში საერთაშორისო სტატისტიკის წარმოება (ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, ანალიზი, პუბლიკაცია). ორგანიზაციის წესდებით, მასში გათვალისწინებულია ისეთი სტრუქტურული ერთეულის არსებობა, რომელიც აწარმოებს სტატისტიკურ საქმიანობას მსოფლიოს მასშტაბით.

ზემოთ აღნიშნული საქმიანობის მხარდასაჭერად, ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს წესდებით ევალება ორგანიზაციაში ყოველწლიურად ამ ქვეყანაში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის წარდგენა.

ორგანიზაციის წესდებით ასევე განსაზღვრულია, რომ ყოველი წევრი-სახელმწიფო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ორგანიზაციას მნიშვნელოვანი კანონების, წესების, ოფიციალური მოხსენებებისა და სტატისტიკური მონაცემების შესახებ, რომელიც ეხება ჯანდაცვას და გამოქვეყნებული იყო მოცემულ ქვეყანაში. ამასთან, ყოველი წევრი-სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს სტატისტიკური და ეპიდემიოლოგიური მოხსენება იმ ფორმით, როგორითაც მოითხოვს ორგანიზაცია.

აღნიშნულ სტატისტიკურ-ეპიდემიოლოგიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ორგანიზაცია ეწევა ფართო საგამომცემლო საქმიანობას, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტატისტიკის თემატიკას. კერძოდ, ორგანიზაცია გამოსცემს შემდეგ პუბლიკაციებს: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბიულეტენი“, „ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ფორუმი“, „მსოფლიოს ჯანმრთელობა“, „მსოფლიოს სანიტარული სტატისტიკის წელიწადი“, მონოგრაფიები ჯანმრთელობის დაცვის სხვადასხვა საკითხზე.

გაეროს სტატისტიკური კომისია დაარსდა 1946 წელს, რომელიც პასუხს აგებს ოფიციალური სტატისტიკის ჰარმონიზაციაზე მსოფლიოს მასშტაბით. ის ამუშავებს დემოგრაფიული, სოციალური და საბინაო სტატისტიკის მეთოდოლოგიას, ადგენს მოსახლეობისა და საბინაო ფონდის აღწერის, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის პრინციპებს და რეკომენდაციებს.

სტატისტიკური კომისია თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს წინაშე. კომისია ეხმარება სახელმწიფოებს სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზის მეთოდების სრულყოფაში, რომლის გარეშეც შეუძლებელია კაცობრიობის წინაშე არსებული პრობლემების ჭეშმარიტი მასშტაბების განსაზღვრა და მათი გადაწყვეტის გზების დასახვა.

გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს 1946 წლის 21 ივნისის და 1971 წლის 3 მაისის რეზოლუციები განსაზღვრავს სტატისტიკური კომისიის საქმიანობის სფეროებს. ესენია:

1. სტატისტიკური სამუშაოების განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა ქვეყანაში

- და მისი შესადარისობის გაუმჯობესება;
2. სპეციალიზებული დაწესებულებების (შსო, იუნესკო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვ.) სტატისტიკური სამუშაოების კოორდინაცია;
 3. გაეროს სამდივნოს ცენტრალური სტატისტიკური სამსახურების განვითარების ხელშეწყობა;
 4. გაეროს ორგანიზაციებისთვის ხელშეწყობა სტატისტიკური ინფორმაციის შეკრებაში, ანალიზსა და გავრცელებაში;
 5. დახმარების გაწევა სტატისტიკური კომისიის წინაშე და სტატისტიკური ანალიზის მეთოდების გაუმჯობესებაში.

ზოგადად, გაეროს სტატისტიკური კომისიის წინაშე დასმულია მეთოდოლოგიური მიზანი, რომელიც გამოიხატება გაეროს სისტემის ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ საერთაშორისო სტატისტიკური ინფორმაციის შეკრების, დამუშავებისა და გავრცელების ერთიანი სრულყოფილი სისტემის შექმნაში.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სოციალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტი და საგანი?
2. დაახასიათეთ სოციალური სტატისტიკის ამოცანები.
3. რა მეთოდებს იყენებს სოციალური სტატისტიკა თავისი საგნის შესწავლისათვის?
4. დაახასიათეთ სოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა.
5. როგორია სოციალური სტატისტიკის კავშირი სხვა მეცნიერებებთან?
6. დაახასიათეთ სოციალური სტატისტიკის ორგანიზაცია საქართველოში.
7. როგორია სოციალური სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა გარდამავალ პერიოდში?
8. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სოციალური სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში?

1.8. ტესტები

1. სოციალური სტატისტიკის კვლევის საგანია:

1. საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი მხარე თვისებრივთან მჭიდრო კავშირში;
2. საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების თვისებრივი მხარე;
3. საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მხოლოდ რაოდენობრივი მხარე;
4. საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები და პროცესები.

2. ფართო გაგებით, სოციალური სტატისტიკა არის:

1. საზოგადოებრივი სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერებაა;
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა;
3. საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაა;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

3. სოციალური სტატისტიკის კვლევის ობიექტია:

1. მომსახურების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების და ინფორმაციის მომხმარებლები;
2. პირები, ორგანიზაციები, სტრუქტურები, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ მომსახურებას;
3. პირები, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ მომსახურებას;
4. მომსახურების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების და ინფორმაციის მომხმარებლები, პირები, ორგანიზაციები, სტრუქტურები, რომლებიც მოსახლეობას სთავაზობენ მომსახურებას.

4. სოციალური სტატისტიკა არის:

1. მეცნიერება,
2. პრაქტიკული საქმიანობა
3. პრაქტიკული საქმიანობა და მეცნიერება
4. მეთოდი

5. სოციალურ სტატისტიკაში კვლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიმართულებებს მიეკუთვნება:

1. მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურა და მისი დინამიკა,
2. მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის დონე,
3. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და განათლების დონე,
4. სამივე.

6. სოციალური სტატისტიკა სწავლობს:

1. სტატისტიკური მეცნიერების ზოგად კატეგორიებს, პრინციპებსა და მეთოდებს;
2. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებს;
3. ადამიანის ცხოვრების წესის სოციალურ ურთიერთობათა ასპექტების რაოდენობრივ მხარეს;
4. არცერთი

7. სტატისტიკის ზოგად პრინციპებსა და მეთოდოლოგიურ საკითხებს შეისწავლის:

1. სოციალური სტატისტიკა
2. ეკონომიკური სტატისტიკა;
3. სტატისტიკის თეორია;
4. ბიზნესის სტატისტიკა.

8. სოციალური სტატისტიკის ამოცანებს მიეკუთვნება:

1. სოციალურ სფეროებში სიტუაციის სისტემური ანალიზი;
2. სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების ტენდენციებისა და კანონზომიერებების ანალიზი;
3. მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და დონის შესწავლა;
4. სამივე.

9. სოციალურ სტატისტიკას, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებს, კავშირი აქვს:

1. დემოგრაფიასთან;
2. სტატისტიკის თეორიასთან;
3. სოციოლოგიასთან;
4. სამივესთან.

10. ჩამოთვლილთაგან სოციალური სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში რომელ საერთაშორისო ორგანიზაციებს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი:

1. იუნესკო-ს;
2. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას;
3. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას;
4. სამივეს.

თემა 2. სოციალური მონაცემები და მათი სტატისტიკური ანალიზის მეთოდოლოგია

2.1. სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის ცნება

საზოგადოებაში, კერძოდ, სოციალურ სფეროში, მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შემეცნების აუცილებელ პირობას ინფორმაციის არსებობა წარმოადგენს. შეუძლებელია მაღალკვალიფიციური მმართველობითი საქმიანობა განხორციელდეს საკმარისად სრული და სანდო ინფორმაციული ბაზის გარეშე, ვინაიდან ინფორმაციის არარსებობა ქმნის ბარიერებს შემეცნებითი და არგუმენტირებული მოქმედებისათვის, რამდენადაც ის გამოდის, როგორც ადამიანის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის, შესაძლებლობის რეალობაში გადასვლის მექანიზმის გახსნის საფუძველი. აკადემიკოს ა. ი. ბერგის ⁴ მოსაზრებით, ადამიანს შეუძლია ხანგრძლივი ნორმალური აზროვნება მხოლოდ გარესამყაროსთან განუწყვეტელი ურთიერთობის პირობებში. ეს პროცესი ისეთივე აუცილებელია, როგორც საკვები და სითბო.

მაინც რა არის ინფორმაცია?

ერთი შეხედვით, ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ მარტივი და ნათელია. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. საკმარისია აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს ინფორმაციის ერთიანი განმარტება, იმდენად რთული აღმოჩნდა მისი განსაზღვრა.

ცნობილი მეცნიერი ი. ვინერი ინფორმაციას უწოდებდა გამოყენებითი თვალსაზრისით ნებისმიერ შეტყობინებას, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ მონაცემს საზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარე მოვლენების, პროცესებისა და საგნების შესახებ⁵.

ბევრი სპეციალისტი ინფორმაციის ქვეშ გულისხმობს არა ყველა მონაცემს, არამედ მხოლოდ იმას, რომელიც სასარგებლოა ამა თუ იმ ამოცანის გადასაწყვეტად.

რუსი მეცნიერის ბ. გ. აფანასიევის მოსაზრებით, ინფორმაცია - ეს არის ცნობა, რომელსაც გააჩნია მომხმარებელი, რომელიც გამოიყენებს მას სისტემაზე აქტიური ზემოქმედების, რეგულირებისა და განვითარებისათვის. მანამდე ის ითვლება პრაგმატულ ხმაურად, როგორც მონაცემები, რომლებიც ელოდებიან თავიანთ რეალიზაციას.⁶

ფილოსოფიურ-ენციკლოპედიურ ლექსიკონში ინფორმაცია განმარტებულია, როგორც ყველა მატერიალური ობიექტების მახასიათებელი.⁷ არსებობს ასევე სხვა ავტორთა მოსაზრებებიც, რომლებიც თვლიან მას, როგორც ცოცხალი, როგორც გონიერი არსებების თვისებად და სხვ.⁸ ჩვენი აზრით, ზოგადად, ინფორმაცია - ეს არის საზოგადოებრივი ცხოვრების, ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების შესახებ შეტყობინება.

⁴ იხ. Берг А. И. Кибернетика и надежность. М., 1964, с. 29.

⁵ იხ. Винер Н. Кибернетика и общество. М., 1950, с. 31.

⁶ Афанасьев В. Г. социальная информация и управление обществом. М., 1975 с. 39.

⁷ Философский энциклопедический словарь. М., 1983, с. 217-218.

⁸ Петров Г. И. Основы социального управления. М., 1978, с. 184.

ინფორმაციის მრავალი სახესხვაობა შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

1. **გამოკვლევის სფეროს მიხედვით:** სამეცნიერო, საზოგადოებრივი;
2. **ინფორმაციის მატარებლების მიხედვით:** ზეპირი (მიღებული პირადი საუბრების დროს, კონფერენციებისა და სხვ.), წერილობითი, ტელე-რადიო, საგაზეთო და სხვა ნაბეჭდი სახის ინფორმაცია (წიგნი, ჟურნალი და სხვ.);
3. **შინაარსის მიხედვით:** სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური და სხვ.;
4. **ხასიათის მიხედვით:** ოფიციალური (პასუხისმგებელი პირების მიერ მოწოდებული), არაოფიციალური (კერძო პირებისაგან მოწოდებული);
5. **ინფორმაციის გამოყენების სფეროების მიხედვით:** უნივერსალური (მაგალითად, დემოგრაფიული ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში), სპეციალური (სპეციალურ საინფორმაციო სისტემებში განთავსებული და მომხმარებლისთვის განკუთვნილი);
6. **ინფორმაციის გამოყენების ხასიათის მიხედვით:** პირობით-მუდმივი (საინფორმაციო ცნობარებში მოცემული ინფორმაცია) და ცვალებადი (მოვლენებისა და პროცესების მდგომარეობისა და დინამიკის ამსახველი მონაცემები).

კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს სოციალური ინფორმაცია, კერძოდ, სოციალურ-სტატისტიკური.

სოციალური ინფორმაცია ინფორმაციის რთული სახეა, რაც დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან. მისი შინაარსი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს, მოვლენებსა და პროცესებს. იგი ცოდნის, ცნობების, მონაცემებისა და შეტყობინების ერთობლიობაა, რომელიც საზოგადოებაში ყალიბდება, კვლავ იწარმოება და გამოიყენება ინდივიდების, კლასების, ორგანიზაციების, ჯგუფების, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის მიერ სოციალური ზემოქმედების, საზოგადოებრივი ურთიერთობების, აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთობების რეგულირებისათვის.¹ სოციალური ინფორმაცია ცოდნის მრავალი დონის მომცველია, რომელიც მთლიანობაში ახასიათებს საზოგადოებრივ პროცესებს (ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ა.შ.), საზოგადოების სხვადასხვა ელემენტში მიმდინარე კონკრეტულ პროცესებს (საწარმოო, საოჯახო და ა.შ.), ასევე განსხვავებული სოციალური, პროფესიული, ტერიტორიული ჯგუფების ადამიანთა ინტერესებს (ახალგაზრდებს, პენსიონერებს და ა. შ.).

სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური ინფორმაციის სოციალურისაგან განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ იგი მოიცავს ადამიანთა შეხედულების, განწყობის, აქტივობისა და ქცევის შესახებ სუბიექტურ მონაცემებს.

სოციალური ინფორმაცია საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს უნდა ასახავდეს ადექვატურად, ობიექტურად, კომპლექსურად (სხვა მოვლენებთან კავშირში) და გამჭვირვალედ. იგი წარმოადგენს საზოგადოებაში განსხვავებული მდგომარეობის მქონე ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებულ (ან შესაძლო) ურთიერთობათა შესახებ ინფორმაციას.

¹ Краткий словарь по социологии. М., 1988, с. 101

სოციალური ინფორმაცია ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რაც განპირობებულია იმ განსხვავებებით, რომელიც არსებობს:

1. სოციალური (სოციოლოგიური) ინფორმაციის წყაროებში;
2. ემპირიული ინდიკატორების ხასიათში;
3. სხვადასხვა სახის ობიექტთა ანალიზის არსებობაში;
4. ანალიზისათვის ამოსავალი მონაცემების ფორმებში (ანალიზისათვის როგორი მონაცემები იქნეს გამოყენებული);
5. ინფორმაციის მიღების ტექნიკაში;
6. ანალიზის მეთოდებში;
7. მიზნებში (რისთვის ვიყენებთ ინფორმაციას).

სოციალური ინფორმაცია შეიძლება დავეყოთ შემდეგ ტიპებად:

- I. სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემები;
- II. „მარტივი“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემები;
- III. „რთული“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემები;
- IV. დროის ბიუჯეტის შესახებ არსებული მონაცემები;
- V. ტექსტური მონაცემები.

მონაცემთა პირველი ტიპი – „სახელმწიფო სტატისტიკის“ მონაცემები - მიიღება სხვადასხვა სახის დოკუმენტური წყაროებიდან. ეს არის იბიექტური ხასიათის მქონე მონაცემთა ერთობლიობა, რომელიც ასახავს რაიმე სოციუმს (სახელმწიფო, რეგიონი, მხარე, წარმოება, სოციალური ერთობები და სხვ.) კონკრეტულ დროსა და სივრცეში. თავის მხრივ, ამ ტიპის მონაცემები შედგება სხვადასხვა სპეციფიკური ნაწილისაგან, რაც განპირობებულია მათი მიღების წყაროებისა და ანალიზის ობიექტების განსხვავებულობით. კერძოდ:

1. **ოფიციალური სოციალური მაჩვენებლები** - საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის (დემოგრაფიული, კულტურული, შრომითი და სხვ.) ამსახველი რეგულარულად შეგროვებადი ინფორმაცია.

ამ ინფორმაციის მომწოდებელია, ძირითადად, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები. გარდა ამისა, ასეთი სახის ინფორმაციას შეიცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცემული სტატისტიკური წელიწადეულები დემოგრაფიის, კულტურის, შრომის, ჯანდაცვის და ა.შ. მოვლენების შესახებ. მათში მოცემულია ყველა ქვეყნის შესახებ არსებული ეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები. ამასთან, სოციალური მაჩვენებლები მოცემულია, როგორც ცალკე აღებული მაჩვენებლების სახით, ასევე მაჩვენებელთა სისტემის სახითაც. მაგალითად, ცხოვრების ხარისხის საერთაშორისო სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა შედგება სოციალური მნიშვნელობის მქონე 11 ჯგუფისა და 186 მაჩვენებლისაგან.¹

2. **მოსახლეობის აღწერების მონაცემები**, რომელთა ინფორმაციულ წყაროს

¹ იხ. Журкова И. В. Индикаторы социального развития как инструмент социального программирования // Социология М: методология, методы, математические модели, 1993-1994, №3-4, с. 110-153

წარმოადგენს ინდივიდები, ხოლო ანალიზის ობიექტს – სოციალური ერთობები, რეგიონები, სოციალური მაჩვენებლები.

3. დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოებიდან მიღებული ინფორმაცია.

ამ მიმართულებით 2002 წლიდან დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და იმდროინდელი საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის „სოციალური განვითარების“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაიწყო შობადობისა და სიკვდილიანობის აღრიცხვიანობის ახალი სისტემის დანერგვა, რაც გულისხმობდა ინფორმაციის მიღებას სამედიცინო დაწესებულებებიდან. ამასთან, ინფორმაცია მიიღება ასევე ძველი სისტემითაც – სამოქალაქო რეესტრიდან. მოსახლეობის ქორწინება-განქორწინებისა და მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ერთადერთ წყაროს კვლავ სამოქალაქო რეესტრები წარმოადგენენ.

4. ცხოვრების დონის ამსახველი სპეციალური გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემები.

ამ მიმართულებით საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოები (1996 წლის ივლისიდან დაწყებული) რეგულარულად (ყოველთვიურად) ატარებენ შინამეურნეობათა გამოკვლევებს შემდეგი სახის მონაცემების საფუძველზე: დემოგრაფიული მონაცემები; შინამეურნეობათა საცხოვრისის დახასიათება; შინამეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო აქტივობა; მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსის შეფასება; დასაქმების სტრუქტურა, ხელფასები, წმინდა შემოსავლები დასაქმებისადაც; შემოსავლები; ხარჯები; შემოსავლებისა და ხარჯების განაწილებები; მისაწვდომობა განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე; კვების პროდუქტების მოხმარება; სიღარიბის მაჩვენებლები. ამ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს შინამეურნეობის უფროსი, ანალიზის ობიექტს – შინამეურნეობა. ამასთან, ხდება სამომხმარებლო კალათის ღირებულების, საარსებო მინიმუმის, სამომხმარებლო ფასების საერთო დონის და სხვა მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მიღება.

5. არჩევნებისა და რეფერენდუმების შედეგები. იგი სტატისტიკური ინფორმაციის განსაკუთრებული სახეა. ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ტერიტორიული წარმონაქმნები (რეგიონები, მხარეები, რაიონები, უბნები), ანალიზის ობიექტს – კანდიდატები, ელექტორატის ქმედება;

6. საარქივო დოკუმენტებიდან (სტატისტიკურ სამსახურებში განთავსებულ არქივებში) მიღებული მონაცემები.

ჩვენს მიერ განხილული სოციალური ინფორმაციის ტიპი, პირველ რიგში, შეიცავს სოციალური პროცესების დახასიათებას გამოკვლევის სხვადასხვა დონეზე: ინსტიტუციურ, ჯგუფურ, პირადულ, ინდივიდუალურ დონეზე; მეორე – მასში ასახულია სოციალურ პროცესთა დინამიკა; მესამე – იგი ადამიანთა საქმიანობის ობიექტური მახასიათებლებია, რომელიც არაა დამოკიდებული მათ სუბიექტურ შეფასებებზე.

სოციალური ინფორმაციის აღნიშნული ტიპი, ანალიზის მეთოდოლოგიურ საკითხთა თვალსაზრისით, გამოიყენება სხვადასხვა სიტუაციაში, მაგალითად, როცა ხდება სწორედ იმ ინფორმაციის გამოყენება, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის ამ ტიპის წყაროდან მიიღება. ამ მხრივ შეიძლება გამოვიყენოთ დემოგრაფიული (შობადობა, გარდაცვალება, მიგრაცია და ა. შ.), ეკონომიკური (შემოსავლები, ხარჯები და სხვ.) და

სოციალური მდგომარეობის (დასაქმება, უმუშევრობა და სხვ.) მაჩვენებლები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართულებით სხვა მაჩვენებლების გამოყენება არ ხდება. ასეთ სიტუაციაში ახალი მაჩვენებლების შექმნა დამოკიდებულია სტატისტიკური ანგარიშგების მეთოდის სრულყოფაზე.

სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემებს მიმართავენ მაშინ, როცა იგი პირდაპირი სახით არ შეიცავს სოციალური სტატისტიკისათვის აუცილებელ ინფორმაციას, მაგრამ მასში მოიპოვება მახასიათებლები – ემპირიული ინდიკატორების სახით, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალური მაჩვენებლების ფორმირებას (იგულისხმება გაანგარიშებითი და განზოგადებული მაჩვენებლები).

როცა საჭიროა შერჩევითი ერთობლიობის ფორმირება, როგორც მინიმუმ, აუცილებელია მსგავსი, ერთმანეთთან ახლოს მდგომი, ერთტიპიური ობიექტების (რაიონები, მხარეები) ჯგუფების გამოყოფა, რათა ცალკეული ჯგუფებიდან გამოკვლევისათვის საჭირო ერთი ან რამდენიმე ობიექტი შეირჩეს.

აღნიშნული მონაცემები ორი სახის ნაკლოვანებით ხასიათდება: 1) არასრულყოფილებით, რომელიც გულისხმობს, რომ სოციალური მოვლენების შესწავლისათვის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არასაკმარისია და საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მოპოვება და 2) არასაიმედოობით, როცა ხდება ინფორმაციის დამახინჯება (მაგალითად, ასაკის მომატება ან დაკლება). ინფორმაციის არსებობის ფორმები კი ვარიაციული და დინამიკული მწკრივებია.

მონაცემთა მეორე ტიპი – „მარტივი“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემები, ინფორმაციის ის ნაწილია, რომელთა მოპოვება ხდება მკაცრად ფორმალიზებული გამოკითხვის საფუძველზე და მიიღება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად. ისინი, როგორც წესი, ატარებს აღწერილობით ხასიათს. ანკეტა მკაცრად ფორმალიზებულია და შეიცავს მარტივ და მოკლე კითხვებს, რადგან გათვლილია რესპოდენტთა არაერთგვაროვან ერთობლიობაზე (განათლების, ასაკის და ა. შ. მიხედვით). ინფორმაციის არსებობის ფორმებია ვარიაციული მწკრივები, ორი ემპირიული ინდიკატორის დამაკავშირებელი ცხრილები, მატრიცები, სადაც ობიექტი არის რესპოდენტები, ნიშანი – ანკეტის კითხვები (ემპირიული ინდიკატორები). ანალიზის ობიექტს ინფორმაციის ამ ტიპის ფარგლებში წარმოადგენს საზოგადოებრივი ერთობები, საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა პრობლემათა შესახებ.

მონაცემთა მესამე ტიპი – „რთული“ სტრუქტურის ანკეტებიდან მიღებული მონაცემები, მიიღება ანალიტიკური ხასიათის გამოკვლევების საფუძველზე, სადაც ფაქტის არსებობასთან ერთად მისი მოხდენის მიზეზებიცაა მოცემული. ასეთ გამოკვლევებში მონაცემთა მოპოვების საშუალებები შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. მონაცემთა მოპოვებისათვის გამოიყენება სპეციფიკური, საკმაოდ რთული წესები, მეთოდები და ტექნიკა. ანკეტირებასთან ერთად შეიძლება ტესტების გამოყენებაც (მაგალითად, კონფლიქტების პრობლემის შესწავლა). ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენენ ინდივიდები, ინფორმაციის არსებობის ფორმებს – ვარიაციული მწკრივები; მატრიცები და ურთიერთდამოკიდებულების ცხრილები. ინფორმაციის ეს ტიპი გამოიყენება მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზისათვის.

მონაცემთა მეოთხე ტიპი – დროის ბიუჯეტის შესახებ არსებული მონაცემები, ახასიათებს ადამიანთა რეალურ ქცევას (თუ რაში ხარჯავს იგი დროს - სამუშაოსთვის, დასვენებისთვის, სწავლისთვის და ა. შ.). ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს დროის გარკვეული პერიოდისათვის (ორი, სამი დღე, კვირა) ცალკე აღებული ინდივიდები. მიუხედავად იმისა, რომ დროის ბიუჯეტის გამოყენების კვლევის შედეგად მიიღება უნიკალური ინფორმაცია, ისინი ნაკლებად ტარდება, რადგან მათი ჩატარება რთული და შრომატევადია, როგორც ინფორმაციის მოპოვების, ისე ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით. ანალიზის ობიექტებია გამოკვლევაში მონაწილე ცალკე აღებული რესპოდენტების, საზოგადოებრივი ერთობებისა და ჯგუფების მიერ დროის გამოყენების სტრუქტურა, საქმიანობის სახეები და სხვ.

მონაცემთა მეხუთე ტიპი – ტექსტური მონაცემები, ძირითადად მოიცავს დოკუმენტურ ტექსტებს. იგი შეიძლება მიღებულ იქნეს შემდეგი სახის ინფორმაციული წყაროსაგან: ანკეტებში არსებულ ღია კითხვათა სამუშაო ტექსტები; ინდივიდუალური და ჯგუფური არაფორმალური სახის ინტერვიუს ტექსტები; ავტობიოგრაფიათა ტექსტები; საარქივო მასალათა ტექსტები.

არსებობს ტექსტების ანალიზისადმი სხვადასხვა მიდგომა, რომელთაგან პირველი ითვალისწინებს ინტერვიუერის მიერ ანკეტურ მონაცემებში ტექსტური ინფორმაციის გარდაქმნას, დამუშავებისას; მეორე – კონტენტ-ანალიზი, რომელიც ითვალისწინებს ტექსტში განმეორებათა რიცხვის, საგაზეთო ტექსტთა მოცულობის და სხვ. დადგენას (თუმცა სოციალურ სტატისტიკაში კონტენტ-ანალიზი არ გამოიყენება); მესამე - ე. წ. ტექსტთა ტრანსაქციული ანალიზი, რომელიც განპირობებულია კვლევის სპეციფიკითა და მიზნებით. იგი ითვალისწინებს ტექსტის ხასიათის შესწავლას (მაგალითად, ბიოგრაფიათა ანალიზის დროს დასმული ამოცანებიდან ერთ-ერთს ინფორმაციის ქრონოლოგიური ან თემატური ხასიათის მიხედვით მოწესრიგება წარმოადგენს). მისი გამოყენება შეიძლება სამართლებრივ სტატისტიკაში.

ტექსტების ანალიზის ერთეული შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც კი მისგან შეიძლება ავიღოთ მეორადი ანალიზისათვის. იგი მრავალჯერადი გამოყენების უნიკალურ საშუალებას იძლევა, რისთვისაც მისგან ეტაპობრივად ხდება აუცილებელი ინფორმაციის ამოღება.

ინფორმაცია, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალური ასპექტების რაოდენობრივ მხარეს, წარმოადგენს სოციალურ-სტატისტიკურ ინფორმაციას. იგი ყალიბდება მოსახლეობის აღწერებისა და მიმდინარე აღრიცხვის, სპეციალური სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევებისა და სხვათა ბაზაზე. სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი თვისებაა მასობრივობა და სტაბილურობა. პირველი დაკავშირებულია სტატისტიკის, როგორც მეცნიერების საგნის თავისებურებებთან, მეორე კი ნიშნავს, რომ ერთხელ შეგროვებული ინფორმაცია არ იცვლება და, შესაბამისად, გააჩნია მოძველების თვისება. ამიტომ მოვლენის მდგომარეობისა და განვითარების შედეგები, რომელიც წლების წინ მოპოვებული და შენახული ინფორმაციის ანალიზის შედეგადაა მიღებული, შეიძლება იყოს არასრული და, ამასთან, არასწორი.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ მრავალი პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დააყენა აღრიცხვისა და ანგარიშგების სისტემა. სახელმწიფო

საკუთრების განსახელმწიფოებრიობამ და პრივატიზაციამ სტატისტიკური აღრიცხვის ძირეული შეცვლა და საერთაშორისო სტატისტიკურ პრაქტიკასთან მიახლოება მოითხოვა. ადრე ყოველგვარი სტატისტიკური აღრიცხვა სახელმწიფოს მიერ მკაცრად კონტროლდებოდა და სტატისტიკური ანგარიშგებითი ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებს განსაზღვრულ ვადებში წარედგინებოდა, შესაბამისად, სტატისტიკურ ორგანოებს საკმაოდ კარგ პირობებში უხდებოდა ფუნქციონირება. ჩვენი აზრით, გეგმური ეკონომიკის პირობებში ინფორმაციის მიწოდება ზედმეტად ცენტრალიზებული იყო, რადგან იგი, უპირველეს ყოვლისა, აკმაყოფილებდა საგეგმო ორგანოების ინტერესებს და სრულყოფილად ვერ ითვალისწინებდა ეკონომიკის რეგულირების მოთხოვნებს.

საბაზრო ურთიერთობების პირობებში ძირეულად შეიცვალა მდგომარეობა - ცალკეულ ორგანიზაციებს ძირითადად თვითონ უხდებათ მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ამ მიზნით სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვების ჩატარება, მაშინ როდესაც მანამდე სოციალური პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ძირითად ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენდა სტატისტიკური ანგარიშგებები.

როგორც ცნობილია, სტატისტიკური ინფორმაცია პირველადი სტატისტიკური მასალაა, რომლის ფორმირება ხდება სტატისტიკური დაკვირვების პროცესში, შემდეგ კი ხორციელდება მისი სისტემატიზაცია, დაჯგუფება, დამუშავება, გაანალიზება, განზოგადება და პრაქტიკაში დანერგვის ღონისძიებათა შემუშავება. სოციალური სფეროს საქმიანობის სტატისტიკური ინფორმაცია გარკვეული კუთხით ეკონომიკური ხასიათისაა. ამიტომ იგი საჭიროა ნებისმიერი მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად. ეფექტიანი მენეჯერული საქმიანობისათვის აუცილებელია მრავალფეროვანი ინფორმაცია, რომელიც უნდა იყოს ახალი და ობიექტური. აქ გათვალისწინებული უნდა იქნას კომერციული საიდუმლოების პრობლემის არსებობაც, რის გამოც სოციალური ინფორმაციის მოპოვება გართულებულია. ამასთან დაკავშირებით და კიდევ იმის გამოც, რომ სოციალურ ორგანოებს გაუადვილდეთ მათთვის საჭირო ინფორმაციის მოპოვება, სტატისტიკაში მიმართავენ ინფორმაციული ბაზის კლასიფიკაციას სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე. ესენია:

1. **საინფორმაციო საგნის მიხედვით**, ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, კულტურულ, პენიტენციურ და ა. შ. სისტემაში შემავალ ორგანიზაციათა რიცხვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, შრომისა და ხელფასის, კადრების, მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა და ა. შ. აღრიცხვას.
2. **მიზნობრივი გამოყენების მიხედვით**, ინფორმაცია შეიძლება იყოს ოპერატიული, გეგმური, საბუღალტრო, ანალიზური, პროგნოზული, სოციალური სფეროს ცალკეული ნაწილების დამახასიათებელი. ასეთი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მაშინ, როცა ფაქტობრივად არსებობს შესაბამისი მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა.
3. **წარმოშობის ადგილის მიხედვით**, ინფორმაცია შეიძლება იყოს შიგა და გარე. შიგა ინფორმაცია წარმოიშობა სოციალური სფეროს ცალკეულ ინსტიტუციონალურ

ერთეულებში და შეეხება მათი საქმიანობის სხვადასხვა მხარეს. გარე ინფორმაცია ასახავს ამ სფეროს საქმიანობასა და მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორებს.

4. **მოძრაობის მიმართულების მიხედვით**, ინფორმაცია არის გამავალი და შემომავალი. გამავალი – სოციალური სფეროს ინსტიტუციური ერთეულების ცალკეული მხარეების დამახასიათებელი ინფორმაციაა.
5. **ინფორმაცია აღმოცენების გზების მიხედვით** შეიძლება იყოს პირველადი და მეორადი. პირველადი მოიპოვება მისი წარმოშობის ადგილზე აღმოცენებისთანავე, მეორადი კი –პირველადი ინფორმაციის სტატისტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენებით გადამუშავების საფუძველზე.
6. **მოთხოვნის დაკმაყოფილების სიხშირის მიხედვით** ინფორმაცია არის პირობით - მუდმივი და ცვალებადი. პირობით-მუდმივი ინფორმაცია ყოველდღიური გამოყენების საგანია, ცვალებადი კი - პერიოდული, საჭიროების წარმოშობის მიხედვით.
7. **მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის მიხედვით** ინფორმაცია შეიძლება იყოს: საკმარისი, არასაკმარისი და ზედმეტი. საკმარისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაუყოვნებლივ იქნას მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები და სხვა ხასიათის ღონისძიებები. არასაკმარისი კი მოითხოვს დამატებითი სამუშაოების განხორციელებას (სხვადასხვა სახის სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებას) საჭირო ინფორმაციის დამატებით მოპოვებისთვის. ზედმეტი ინფორმაციის დროს სათანადო წესით შეირჩევა პრაქტიკაში გამოსაყენებლად საჭიროდა ობიექტური ინფორმაცია.
8. **გამოყენების მზადყოფნის დონის მიხედვით** ინფორმაცია შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც უკვე არსებობს გამზადებული სახით შესაბამის ადგილზე (ანგარიშგებითი მონაცემები, სტატისტიკური კრებულები, ცნობარები და სხვ.) და ისეთი, რომლის მოპოვებაც მოითხოვს სპეციალური გამოკვლევის ჩატარებას.
9. **წყაროების მიხედვით** ინფორმაცია შეიძლება იყოს სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში არსებული ინფორმაცია, სტატისტიკური ინფორმაციის მომპოვებელ სპეციალურ კერძო სტრუქტურებში არსებული ინფორმაცია და კონკრეტულ დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კარდინალურად შეიცვალა ცენტრალური სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების როლი და გავლენა, საჭიროა ინფორმაციის მოპოვების ახალი პოლიტიკის შემუშავება, რაც საშუალებას მოგვცემს აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოთ არა მარტო სახელმწიფო და მუნიციპალურ დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციები, არამედ კერძო სექტორში შემავალი ფირმებიც. ეს სისტემა მოამარაგებს ორგანიზაციებს (ფირმებს) თავიანთი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის აუცილებელი ინფორმაციით. ამასთან, საჭირო ინფორმაციის დაგროვების მიზნით და საინფორმაციო ბანკის შესაქმნელად გამოიყენებს ისეთ ინფორმაციულ წყაროებს, როგორცაა: სახელმწიფო სტატისტიკური ორგანოების ანგარიშგება, შერჩევითი გამოკვლევის შედეგები, მოქმედი კანონებისა და ნორმატიული

აქტების შესახებ არსებული ინფორმაცია, არასახელმწიფო ინფორმაციული წყაროების ინფორმაცია, სარეკლამო ინფორმაცია, კერძო სტრუქტურის ინფორმაცია და სხვ.

2.2. სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების ფორმები, სახეები და ხერხები

როგორც ცნობილია, სოციალურ-სტატისტიკური კვლევის პირველ სტადიაზე წარმოებს ინფორმაციის მოპოვება (შეგროვება). პირველადი ემპირიული ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულია რიგი სპეციფიკური ამოცანის გადაჭრა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკურ გამოკვლევათა შედეგების საიმედოობის უზრუნველყოფის საქმეში. ამ ეტაპზე ხდება კვლევის ობიექტზე არსებული თეორიული ცოდნიდან ემპირიულ აღწერასა და ანალიზზე გადასვლა.

სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების დასაწყისში პასუხი უნდა გაეცეს ორ კითხვას: 1. რომელი წყაროდან უნდა მივიღოთ აუცილებელი (სადიებო) ინფორმაცია და 2. რომელი მეთოდებით. ამისათვის, პირველ რიგში, წარმოებს კვლევის (იგულისხმება სოციალურ-სტატისტიკური) სტრატეგიის განსაზღვრა, ანუ მონაცემთა მოპოვების აუცილებელი და საჭირო მეთოდების შერჩევა, აგრეთვე კვლევის მიზნების ადეკვატურობიდან გამომდინარე, მათი შეთანაწყობისა და გამოყენების ხერხების დადგენა.

ემპირიულ მონაცემთა მისაღებად გამოყოფენ წყაროთა სამ ძირითად სახეს. ემპირიულ მონაცემთა მრავალრიცხოვანი სხვადასხვა სახის დოკუმენტური წყაროები მოითხოვენ დოკუმენტთა ანალიზის მეთოდის გამოყენებას. სოციალურ პროცესთა და მათი განვითარების კანონზომიერებათა გარეგანი გამოვლინება აშკარა სოციალურ სიტუაციებში, ადამიანთა მოღვაწეობის სფეროში დაკვირვების მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელი ინფორმაციის წყაროს ადამიანები წარმოადგენენ, სხვადასხვა სოციალურ ერთობათა წევრების გამოკითხვის მეთოდს მიმართავენ.

სოციალური ინფორმაციის თითოეულ დასახელებულ წყაროში მოვლენათა და პროცესთა ესა თუ ის სისტემა სხვადასხვა ასპექტით, სხვადასხვა მოცულობით, საკვლევი მოვლენის არსებით მახასიათებლებთან სიახლოვის სხვადასხვა ხარისხით აისახება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მონაცემთა მოპოვების არცერთი მეთოდი კვლევის საგანთან მიმართებაში არ არის უნივერსალური. ამიტომ მინიმალური საიმედო ინფორმაციის მისაღებად აუცილებელია სხვადასხვა მეთოდთა კომპლექსური გამოყენება. ამავე დროს “მონომეთოდური” კვლევისას დაცული უნდა იქნას მიღებულ მონაცემთა ინტერპრეტაციის საზღვრები ისე, რომ არ გადავაჭარბოთ გამოყენებული მეთოდისა და ინფორმაციის წყაროს შემეცნებით შესაძლებლობებს, ანუ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებას – ასახოს ობიექტური რეალობა. ინფორმაციის წყაროებში შესასწავლი რეალობის ასახვა თითოეული ძირითადი მეთოდის საზღვრებში წარმოშობს მის მრავალრიცხოვან ტექნიკურ სახესხვაობას. ამასთან, თითოეულ მათგანს

აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ზემოქმედებენ მიღებული ინფორმაციის ხარისხზე, კვლევის ჩატარების ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ხარჯებზე. თითოეული მეთოდის შემეცნებითი შესაძლებლობის ასეთი ადაპტაცია კონკრეტულ საკვლევ სიტუაციაში, რაც შეიძლება სრული რეალიზაციის საშუალებას იძლევა.

როგორც ცნობილია, მეთოდების ტექნიკურ სახეობათა ერთობლიობას მათი გამოყენების წესების მითითებით, კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენებისა და კონკრეტული კვლევის ამოცანის გადასაწყვეტად – მონაცემთა მოპოვების მეთოდიკას უწოდებენ. სწორედ ემპირიულ მონაცემთა მოპოვების მეთოდიკის დასაბუთების ეტაპი მოიცავს იმ მეთოდიკურ გადაწყვეტათა მაქსიმალურ რაოდენობას, რომელიც უზრუნველყოფს საიმედო და სანდო შედეგების მიღების ფუნდამენტურ პირობებს.

სტატისტიკური გამოკვლევის პირველ სტადიაზე ისეთი სოციალურ-სტატისტიკური დაკვირვება წარმოებს, რომელიც რეალური სინამდვილის ობიექტის შესახებ აუცილებელ მონაცემთა მიღების საშუალებას იძლევა.

სტატისტიკური დაკვირვება, როგორც სოციალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, სოციალური მოვლენებისა და პროცესების შესახებ მიზანმიმართულ, სისტემატურ, უშუალო გამოვლენასა და დაფიქსირებას გულისხმობს. დაკვირვება გარკვეულ შემეცნებით მიზნებს ემსახურება და ექვემდებარება კონტროლსა და შემოწმებას.

როგორც ცნობილია, განასხვავებენ დაკვირვების სამ ორგანიზაციულ ფორმას – ანგარიშგებას, სპეციალურად ორგანიზებულ სტატისტიკურ დაკვირვებასა და სარეგისტრაციო დაკვირვებას. სოციალურ მოვლენათა შესახებ ინფორმაციის მიღების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოებში წარდგენილი სტატისტიკური ანგარიშგებები. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისას უფრო ხშირად სტატისტიკური დაკვირვების სპეციალურად ორგანიზებულ სახეებს მიმართავენ. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კონკრეტული შერჩევითი და სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებამ, რომლებიც სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა სტატისტიკური მუშაობის ნაწილად იქცა. იგი საჭიროა სოციალურ მოვლენათა და პროცესთა შესახებ უფრო ვრცელი და შინაარსიანი ინფორმაციის მისაღებად, რომლებიც არასაკმარისად ან საერთოდ არ აისახება სტატისტიკურ ანგარიშგებებში.

სარეგისტრაციო დაკვირვება, რომელიც მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში შეემატა დაკვირვების ორგანიზაციულ ფორმებს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე პროცესებზე უწყვეტი სტატისტიკური დაკვირვების ფორმას და გააჩნია ფიქსირებული დასაწყისი, განვითარების სტადია და ასევე ფიქსირებული დასასრული. იგი ეფუძნება სტატისტიკური რეგისტრის წარმოებას, რომელიც ისეთი სისტემაა, სადაც მუდმივად ხდება დაკვირვების ერთეულის მდგომარეობაზე სპეციალური დაკვირვება და შესასწავლ მაჩვენებლებზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შეფასება. მასში დაკვირვების თითოეული ერთეული მაჩვენებელთა ერთობლიობით ხასიათდება. მათგან ერთი ნაწილი უცვლელი რჩება მთელი დაკვირვების განმავლობაში და რეგისტრირდება მხოლოდ ერთხელ. სხვა მაჩვენებლები, რომელთა ცვლილების პერიოდულობა უცნობია, განახლდება ცვლილების შესაბამისად. მესამე კი გვევლინება დინამიკური (დროითი) მწკრივების მაჩვენებლების ფორმით. ყველა მაჩვენებელი

ინახება გამოსაკვლევი ერთობლიობის ერთეულებზე დაკვირვების სრულ დამთავრებამდე.

მოსახლეობის რეგისტრი, როგორც სარეგისტრაციო დაკვირვების ერთ-ერთი ფორმა, ქვეყნის მოსახლეობის სახელდებითი და რეგულარულად განახლებადი ჩამონათვალია, რომლის დაკვირვების პროგრამა შეზღუდულია ისეთი საერთო ნიშნებით, როგორიცაა - სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ქორწინების თარიღი (ეს მონაცემები უცვლელია დაკვირვების მთელი პერიოდისათვის) და ქორწინებითი მდგომარეობა (ცვალებადი ნიშანი). როგორც წესი, რეგისტრში შენახულია მხოლოდ ის ცვალებადი ნიშნები, რომელთა ცვლილება დოკუმენტურადაა გაფორმებული. მასში აისახება ინფორმაცია თითოეულ დაბადებულსა და იმიგრანტზე და ამოიღება მონაცემები გარდაცვლილსა და ემიგრანტზე. მოსახლეობის რეგისტრის შევსება მიმდინარეობს ქვეყნის ცალკეული რეგიონების მიხედვით. საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შესახებ ცნობები გადაეცემა შესაბამის ტერიტორიულ რეგისტრებს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის რეგისტრი, როგორც ნებისმიერი სხვა რეგისტრი, მოიცავს ერთეულთა მნიშვნელოვან ერთობლიობაზე დაკვირვების შედეგს და შეიცავს მონაცემებს ნიშანთა შეზღუდული რიცხვის შესახებ. ამიტომ რეგისტრების წარმოება ითვალისწინებს სპეციალური გამოკვლევის ჩატარებას, მათ შორის მოსახლეობის აღწერას.

სტატისტიკური დაკვირვების სახეებიდან სოციალურ სტატისტიკაში გამოიყენება სრული და არასრული დაკვირვება (შერჩევითი დაკვირვება, ძირითადი მასივის მეთოდი, მონოგრაფიული დაკვირვება, ანკეტური გამოკვლევა), უწყვეტი (სისტემატური, მიმდინარე) და წყვეტილი (პერიოდული, ერთდროული) დაკვირვებები. ამასთან, სრული დაკვირვება სოციალურ გამოკვლევაში ისეთ წამყვან ადგილს არ იკავებს, როგორც ეკონომიკურში. მისი ჩატარება მიზანშეწონილია მაშინ, როცა დაკვირვება მოიცავს 20-30-დან 500-მდე ერთეულს ან ტარდება მოსახლეობის აღწერა და საქმე გვაქვს ისეთ ნიშნებთან, როგორიცაა - სქესი, ასაკი, განათლება და სხვა, რომელიც ეკუთვნის ერთობლიობის ყველა ერთეულს.

სოციალურ-სტატისტიკურ გამოკვლევებში ძირითადად გამოიყენება არასრული დაკვირვება, რომლის მნიშვნელოვანი სახეა შერჩევითი. იგი მოვლენების შესწავლის ყველაზე სრულყოფილი სახეა.

შერჩევითი დაკვირვების დროს გამოირიცხება გენერალური ერთობლიობიდან წინასწარ განსაზღვრულ ერთეულთა შერჩევა და შერჩევაც შემთხვევით ხასიათს ატარებს. იგი მასობრივი სოციალური მონაცემების მიღების საშუალებას იძლევა და, გარდა ამისა, ასრულებს სხვა ფუნქციებსაც, როგორიცაა: სამართლებრივი ნორმებისა და სამართლებრივი პროპაგანდის ეფექტურობის ექსპერიმენტალური შესწავლა; სახელმწიფო ინსპექციის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის მიერ სპეციალური კონტროლი; სოციალური პროგნოზირება და ა. შ. ამასთან, შერჩევა ისე უნდა განხორციელდეს, რომ მიღებულ იქნეს რაც შეიძლება სრულად და ასახული შესასწავლი მოვლენები და ნიშნები რეპრეზენტატიულობის მინიმალური შეცდომებით.

როგორც ცნობილია, შერჩევა ორი სახისაა: განმეორებითი და განუმეორებელი. განმეორებითი შერჩევის დროს შესაძლებელია ერთი და იგივე დაკვირვებაში დაკვირვების ერთეულის ხელახალი მოხვედრა. ასეთი შერჩევის დროს ადგილი აქვს

რეპრეზენტატულობის სერიოზულ შეცდომებს. განუმეორებელი შერჩევის დროს დასაკვირვებელი ერთეული მხოლოდ ერთხელ შეირჩევა, რაც ამცირებს გენერალური ერთობლიობის შემადგენლობას და ყოველი მომდევნო ერთეულის შერჩევაში მოხვედრის ალბათობას წინასთან შედარებით. ასეთი შერჩევა უფრო ზუსტ შედეგს იძლევა, ვიდრე განმეორებითი შერჩევა, რადგან არარეპრეზენტატული ერთეული შესწავლის შემდეგ კვლავ ბრუნდება ერთობლიობაში, რაც კიდევ უფრო გაადიდებს დაშვებული შეცდომების რიცხვს. ამასთან, სოციალური მოვლენების უმეტეს ნაწილზე შეუძლებელია განმეორებითი დაკვირვების ჩატარება (ასე, მაგალითად, კონკრეტული მარშრუტის ავიარების მგზავრთა ნაკადის განმეორებითი გამოკითხვა).

არსებობს შერჩევითი დაკვირვების სხვადასხვა სახე, რომლებიც სხვადასხვა სტატისტიკურ გამოკვლევაში გამოიყენება. მაგრამ თითოეული გამოკვლევისათვის უნდა შეირჩეს ოპტიმალური ვარიანტი – შერჩევის სახისა და შერჩევის მეთოდის შესაბამისად, ანუ საშუალებათა და დროის მინიმალური დანახარჯებით მიღებულ იქნას მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია.

სოციალურ-სტატისტიკური კვლევების დროს გენერალური ერთობლიობიდან ერთეულთა შერჩევა წარმოებს ინდივიდუალური და სერიული წესით. შერჩევითი ერთობლიობები იქმნება შერჩევის პროცესში, რაც საშუალებას იძლევა კვლევის ამოცანებიდან, მასობრივ მოვლენათა და რიგ კონკრეტულ პირობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, გენერალური ერთობლიობიდან დაკვირვების ერთეულის შერჩევისათვის სხვადასხვა მეთოდი იქნას გამოყენებული.

მარტივი შემთხვევითი შერჩევა ხორციელდება მთელი ერთობლიობიდან დაკვირვების ერთეულის შერჩევის ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი ალბათობის პრინციპის საფუძველზე. ამასთან, შერჩევის ერთეული ემთხვევა დაკვირვების ერთეულს. იგი არ ატარებს ქაოსურ ხასიათს. გენერალური ერთობლიობიდან შერჩევით ერთობლიობაში დაკვირვების ერთეულის მოხვედრის თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპი ალბათობის თეორიის კლასიკურ მოდელს უნდა დაემთხვეს.

შემთხვევით შერჩევას ზოგჯერ საკუთრივ-შემთხვევითსაც უწოდებენ. რადგან საკუთრივ-შემთხვევითი შერჩევისათვის საჭიროა გენერალური ერთობლიობის ყველა ერთეულის სრული ჩამონათვალი, ხოლო ერთობლიობის ერთეულები შეიძლება კენჭისყრამდე წარმოიქმნას ან გაქრეს. ეს მეთოდი სოციალურ სტატისტიკაში იშვიათად გამოიყენება.

ამასთან, ორივე ხერხს საერთო ნაკლი გააჩნია: ისინი წარმატებით მხოლოდ 800-1000-ზე მეტი ერთეულის გენერალური ერთობლიობისათვის შეიძლება გამოვიყენოთ. ერთეულთა რიცხვის გაზრდის შემთხვევაში ამ ხერხის გამოყენება მეტად შრომატევადია. ამიტომ უფრო მოხერხებულია მექანიკური შერჩევის მეთოდის გამოყენება, ისიც მხოლოდ ერთგვაროვანი და რაიმე ნიშნის მიხედვით დალაგებული გენერალური ერთობლიობის შემთხვევაში. თავისი ბუნებით იგი განუმეორებელი შერჩევაა, რადგან ერთხელ შერჩეული ერთეულები აღარ უბრუნდება გენერალურ ერთობლიობას და აღარ მონაწილეობს ახალ შერჩევაში. ამ ხერხის გამოყენებისათვის წარმოებს გენერალური ერთობლიობის ყველა ელემენტის ერთიანი სიის შედგენა, საიდანაც თანაბარი ინტერვალებით შეირჩევა რესპონდენტთა შესაბამისი რიცხვი. ამასთან, წინასწარ

განისაზღვრება ერთეულთა ამორჩევის პროპორცია (შერჩევითი და გენერალური ერთობლიობის ერთეულთა ურთიერთშეფარდებით).

შესასწავლ მოვლენათა ერთობლიობის სპეციფიკურ თავისებურებათა და კვლევის ამოცანების გათვალისწინებით, მექანიკური შერჩევა შეიძლება სიების, ტერიტორიული უბნების, დროისა და პერიოდების მიხედვით. ამასთან, ტერიტორიული შერჩევა შეიძლება განხორციელდეს წერტილების, კვადრატების, სწორი კუთხეების, ხაზების მიხედვით.

მექანიკური შერჩევის სახესხვაობას წარმოადგენს სისტემატური, ან როგორც მას უწოდებენ, რანჟირებული შერჩევა, რომლის დროსაც შერჩევა ხდება შესასწავლი მონაცემების ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით მოწესრიგებული ერთობლიობიდან ერთეულთა მექანიკური შერჩევით, რაც ნაკლებ მოთხოვნებთან არის დაკავშირებული, ვიდრე მოუწესრიგებელი ერთობლიობიდან მარტივი შერჩევა.

საკმაოდ მოხერხებული და ზუსტია – სერიული შერჩევის ხერხი, რომლის დროსაც გენერალური ერთობლიობა მოცემული ნიშნის მიხედვით შეიძლება „დაიყოს“ ერთგვაროვან ნაწილებად (სერიებად), შერჩევა კი განხორციელდეს თითოეული სერიიდან ცალ-ცალკე. იგი განუმეორებელი შერჩევაა. ამასთან, სერიიდან შერჩეულ ერთეულთა რიცხვი მასში არსებულ ერთეულთა საერთო რიცხვის პროპორციულია.

პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ე. წ. ბუდობრივი შერჩევის ხერხი, რომელიც კვლევის ერთეულად მიიჩნევს არა ცალკეულ ერთეულებს, არამედ ჯგუფების შერჩევას და შერჩეულ ჯგუფებში სრულ გამოკითხვას.

კარგ შედეგს იძლევა ტიპური შერჩევის ხერხი, რომლის გამოყენების დროსაც გენერალური ერთობლიობა წინასწარ დაიყოფა ჯგუფებად (რაიონებად), სადაც ყოველი მათგანი რაიმე მიმართებაში არსებითად ერთგვაროვანია. ამიტომ ასეთი დაყოფა უნდა განხორციელდეს არსებითი ნიშნის (ან ნიშნების) მიხედვით. შემდეგ კი მოხდეს შერჩევა (ჩვეულებრივ, შემთხვევითი ან სხვა ხერხით) თითოეული ქვეჯგუფიდან ცალ-ცალკე. მისი სწორად ჩატარება მოითხოვს გენერალური ერთობლიობის გულმოდგინედ შესწავლას; თითოეული ტიპური ჯგუფიდან ჯგუფების სიდიდის პროპორციული ერთეულების რაოდენობისა და ყველა ქვეჯგუფისათვის საჭირო შერჩევის ერთნაირი პროცენტის დადგენას. ასეთი შერჩევა გამართლებულია, როცა სხვადასხვა ჯგუფში შესასწავლ ნიშანთა ვარიაცია ან სხვა სტატისტიკური მონაცემები ძლიერ არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. თუ ადგილი აქვს ასეთ განსხვავებებს, იგი უნდა განხორციელდეს ოპტიმალური განაწილების წესის მიხედვით, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება არა მარტო ერთეულთა ჯგუფების განსხვავებული მოცულობა, არამედ ვარიაციის ხარისხიც, ანუ თითოეული ჯგუფის ვარიაციის წილი საშუალო ჯგუფურ ვარიაციაში. ასეთი წილები პროპორციული წესით დგინდება.

სოციალურ დაკვირვებათა სპეციფიკა მოითხოვს სამომენტო დაკვირვებას, ანუ დროის რომელიმე თარიღისათვის დაკვირვებას. ამ შემთხვევაში შერჩევითი ერთობლიობის ყველა ერთეულის მდგომარეობა ფიქსირდება დროის ერთი, გარკვეული მომენტისათვის; შემდეგ მიღებულ მონაცემთა დამუშავებისას განისაზღვრება დაკვირვების საერთო მასაში იმ მდგომარეობათა ან თავისებურებათა წილი ან საშუალო სიდიდეები და მსგავსი მახასიათებლები, რომელთა შესწავლაც ხდება (მაგალითად,

მოცდენის). სამომენტო დაკვირვების შემთხვევითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად დროის მომენტები შეიძლება შეირჩეს ე. წ. მ. კადროვის შემთხვევით რიცხვთა ცხრილის მიხედვით, ხოლო პერიოდული სამომენტო დაკვირვება განხორციელდეს მექანიკური შერჩევის პრინციპით (ყოველ 2, 3 და ა. შ.

საათში). თავის მხრივ, მომენტური დაკვირვება არის ერთმომენტიანი და სხვადასხვა მომენტიანი. ერთმომენტიანი დაკვირვებები წარმატებით გამოიყენება დასაქმებულთა დროის ბიუჯეტის კვლევისას და ხორციელდება გრაფიკის შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრულ დღეს. ამასთან, თითოეული დასაკვირვებელი პირი გამოკვლევის დღეს ავსებს დღიურს დროის იმ დანახარჯებზე, რომელიც რაიმე საქმის წარმოებისათვის 10 წთ-ს აღემატება. ამრიგად, ადგილი აქვს დროის ბიუჯეტის ხარჯვის სურათის ანალიზს. სხვადასხვა მომენტიანი დაკვირვების მეთოდის საშუალებით შეისწავლება (მაგალითად, შრომითი დისციპლინის მდგომარეობა საწარმოებში).

რეალიზების ფორმის მიხედვით, განასხვავებენ ერთსაფეხურიან და მრავალსაფეხურიან ან შერჩევებს. ზემოთ განხილული მეთოდები ერთსაფეხურიანი შერჩევის მაგალითებს წარმოადგენს. მრავალსაფეხურიანი შერჩევები რამდენიმე საფეხურად ხორციელდება და თითოეულ მათგანზე ერთი ან რამდენიმე მეთოდი გამოიყენება. პირველ რიგში, შეირჩევა მსხვილი ტერიტორიული ან საწარმოო ქვედანაყოფები (ადამიანთა მოღვაწეობის სფეროები და ა. შ.). შემდეგ უფრო მცირე მასშტაბის დანაყოფები (ქალაქები, საწარმოები და ა. შ.), ხოლო ბოლო საფეხურზე ხორციელდება აშერჩეულ ერთეულებზე ან სერიებზე უშუალოდ დაკვირვება. პირველ საფეხურზე გამოიყენება ბუდობრივი შერჩევა, საიდანაც შერჩევა უკვე შემთხვევითი ხერხით წარმოებს. სოციალურ-სტატისტიკური კვლევები ძირითადად ემყარება 3-5 საფეხურიან შერჩევას. ამასთან, რაც მეტია საფეხურები, მით მეტია შერჩევის შეცდომის ალბათობა.

მრავალსაფეხურიანი შერჩევა, რომელიც ერთეულთა ბუნებრივ დაყოფას ემყარება, რიგ შემთხვევაში დიდი მოქნილობით გამოირჩევა, ვიდრე ერთსაფეხურიანი შერჩევა. გარდა ამისა, ამ მეთოდის გამოყენებისას შეიძლება გამოკვლევა გამარტივდეს კვლევის ტერიტორიული საზღვრების შემცირებისა და სხვა სახის გამარტივებათა ხარჯზე.

სოციალურ გამოკვლევებში ასევე გამოიყენება ერთჯერადი და მრავალჯერადი შერჩევა. ერთჯერადი შერჩევა ყველაზე მარტივია, რადგან დაკვირვების ერთეულები გენერალური ერთობლიობიდან შეირჩევა ერთხელ შერჩევის ამა თუ იმ მეთოდის საფუძველზე, წინასწარ დადგენილი პროცენტით (10%-იანი, 20%-იანი შერჩევა და ა. შ.).

მრავალჯერადი შერჩევა, როგორც მრავალსაფეხურიანი შერჩევის ნაირსახეობა, უფრო რთულია და მისი ჩატარებისათვის, პირველ რიგში, შერჩევა წარმოებს გენერალური ერთობლიობიდან, რომლის შედეგებით განისაზღვრება საჭირო მონაცემები. სხვა მახასიათებელთა მისაღებად შერჩეული მონაცემებიდან ხდება მეორედ შერჩევა – ქვეშერჩევა და ა. შ. შერჩევის ასეთი ხერხი გამოიყენება მაშინ, როცა მოცემულ გამოკვლევაში შერჩევის აუცილებელი რიცხოვნობა სხვადასხვა მახასიათებლისათვის განსხვავებულია. მრავალჯერადი შერჩევისას, ფაზების რიცხვისგან დამოუკიდებლად, გამოიყენება შერჩევის ერთი და იგივე ერთეულები, ხოლო მრავალსაფეხურიანი შერჩევის დროს კი სხვადასხვა.

სოციალური მოვლენებისა და პროცესების სტატისტიკური შესწავლის პრაქტიკაში „დიდ“ შერჩევებთან ერთად (თუ ისინი მოიცავენ 100 და მეტ ერთეულს), დროისა და სახსრების ეკონომიის მიზნით, ხშირად მცირე შერჩევებიც გამოიყენება, რომლის პირობებში მთლიანი ერთობლიობის არა უმეტეს 30 ერთეული შეისწავლება ($N \leq 30$).

შემთხვევით (ალბათურ) შერჩევასთან ერთად სოციალურ-სტატისტიკურ კვლევებში გამოიყენება აგრეთვე მიზანმიმართული შერჩევა, რომელიც ხორციელდება სტიქიური შერჩევის, კვოტური შერჩევისა და ძირითადი მასივის მეთოდის მიხედვით.

სტიქიური შერჩევის მეთოდი გამოიყენება რადიოთი, ტელევიზიით ან პრესაში გამოქვეყნებული ანკეტებით გამოკითხვის დროს. მოცემულ შემთხვევაში წინასწარ არ შეიძლება მასივის სტრუქტურის განსაზღვრა, გენერალური ერთობლიობიდან ჩვენთვის საინტერესო ჯგუფების პროპორციულად მიღება. ამიტომ, როგორც წესი, კვლევის დასკვნები მხოლოდ გარკვეული ერთობლიობით ვრცელდება. სწორედ ეს არის შერჩევის ამ წესის ნაკლი.

ყველაზე უფრო ზუსტი და ფართოდ გამოყენებული მეთოდია კვოტური შერჩევა, რომელიც უმეტესად სამართლებრივ საკითხებზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისას ინტერვიუს მეშვეობით ხორციელდება. იგი წარმოადგენს უპირატესად სოციალურ-დემოგრაფიული ხასიათის ელემენტთა გენერალური ერთობლიობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ფორმულირებული სოციოლოგიური გამოკვლევის ობიექტის მიკრო მოდელს. სოციალური სტატისტიკის სხვა დარგებში კვოტური მეთოდი, რომელიც წინასწარ მონაცემებს მოითხოვს, გენერალურ ერთობლიობას და მონაცემთა შერჩევის გამო, სირთულეებით ხასიათდება და იშვიათად გამოიყენება.

კვოტური შერჩევის დროს, შერჩევითი ერთობლიობის ერთეულთა რიცხვი, რომელსაც საჭირო მონაცემები ახასიათებს, უნდა შეესაბამებოდეს მათ წილს გენერალურ ერთობლიობაში. ამ მიზნის მისაღწევად დგება ე. წ. „განგარიშებითი ცხრილები“, რომლებშიც არჩეულ ნიშანთა რაოდენობა ოთხს არ აღემატება. „ფიქსირებულ“ ნიშანთა დიდი რიცხვის დროს რესპონდენტთა შერჩევა ძალზე შრომატევადია და ინტერვიუერთა მუშაობა კი რთული, რაც, საბოლოოდ, ზრდის სისტემატური შეცდომების დაშვების ალბათობას. კვოტები შეიძლება მოცემული იყოს როგორც დამოუკიდებელი, ასევე ურთიერთდაკავშირებული პარამეტრების მიხედვით.

ძირითადი მასივის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას საძიებო კვლევებში რომელიმე კონკრეტული საკითხის „ზონდაჟისთვის“. მაგალითად, საინტერესოა, მოხერხებულია თუ არა სასწავლო დაწესებულების მიერ დანიშნული სასწავლო დრო. ასეთ შემთხვევაში გამოკითხება მსმენელთა დაახლოებით 60-70%.

სოციალურ სტატისტიკაში მონაცემთა შესაგროვებლად ხშირად მიმართავენ დოკუმენტურ დაკვირვებას, რომლის დროსაც, როგორც წესი, ხდება გამოსაკვლევი ობიექტის ქცევის აქტების დაფიქსირება, რომელსაც განსაზღვრავს გარემო და არა დამკვირვებელი. დოკუმენტები სხვადასხვა სისრულით ასახავენ საზოგადოების სულიერი და მატერიალური ცხოვრების მხარეებს. დოკუმენტებს წარმოადგენს არა მხოლოდ საანგარიშო მონაცემები, არამედ ბეჭდვითი გამოცემებიც, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, სახელმწიფო და ცენტრალური არქივის მასალები, კვლევისათვის სპეციალურად

შედგენილი ანკეტები, კითხვარები, ადამიანური რესურსების სამსახურების სიები, ამომრჩეველთა სიები, ტელე და რადიოგადაცემები, კრებათა ოქმები, პრესის მასალები და სხვ.

სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების მოპოვების მნიშვნელოვან ხერხს წარმოადგენს გამოკითხვა. ცოდნის ყველა სფეროში, რომლის შესახებაც დამკვირვებელი ცდილობს მიიღოს ინფორმაცია, იგი ამ მეთოდის სხვადასხვა მოდიფიკაციას აწყდება. მიუხედავად ამ მეთოდის პოპულარობისა, იგი არ შეიძლება სოციალური ინფორმაციის მიღების უნივერსალურ მეთოდად ჩაითვალოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირველადი ინფორმაციის მოპოვებისას ამ მეთოდს სხვადასხვა დატვირთვა აქვს. გამოკითხვით მიღებული მონაცემები გამოიყენება განზოგადებული სოციალურ-სტატისტიკური მაჩვენებლების მისაღებად საზოგადოების ცხოვრების წესზე, ან სხვა მეთოდით მიღებული ინფორმაციის შესამოწმებლად.

გამოკითხვა, როგორც პირველადი ვერბალური ინფორმაციის მოპოვების მეთოდი, ემყარება დამკვირვებელსა და რესპონდენტს შორის უშუალო ან გაშუალებულ ურთიერთქმედებას.¹ მოცემული განმარტება, ჩვენი აზრით, საკმაოდ სრულად ახასიათებს მეთოდის შინაარსს და, ამავე დროს, ასახავს მის სპეციფიკას ინფორმაციის მოპოვების სხვა მეთოდებთან შედარებით.

გამოკითხვის დროს ურთიერთქმედება ძირითადი პარამეტრია, რომელიც გამოკითხვის მეთოდის არსს ახასიათებს. დამკვირვებელი ერევა რესპონდენტის ქცევაში, გამოკითხვას წარმართავს საჭირო გზით და ამ დროს გაწეული ზემოქმედება აისახება კვლევის შედეგებზე.

გამოკითხვის გზით მიიღება, როგორც ყოფითი (ფაქტობრივი), ასევე რესპონდენტის აზრების, შეხედულებების და მათ მიერ გაკეთებულ შეფასებათა შესახებ ინფორმაცია. იგი უზრუნველყოფს მიღებული ინფორმაციის სისტემატურობას და სიზუსტეს, აფართოებს მისაღები ინფორმაციის წყაროების არეალს, კვლევის პროცესში ჩართავს იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავისი სურვილით და ინიციატივით თავს შეიკავებდნენ აზრის გამოთქმისაგან. გამოკითხვები საშუალებას იძლევა ინფორმაცია მიღებულ იქნას შედარებით სწრაფად და იაფად, რაც ამ მეთოდის პოპულარობას განსაზღვრავს. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მას ნაკლოვანებები არ ახასიათებს. ამიტომაც გამოკითხვათა შედეგები უნდა გადამოწმდეს და შეივსოს დოკუმენტების ანალიზით, ან სხვა სოციალური ინფორმაციით, დაკვირვებებით, საქმიანობის შესწავლის შედეგებით და ა.შ.

არსებობს გამოკითხვის მეთოდის ორი დიდი და ძირითადი კლასი: ანკეტური გამოკითხვა და ინტერვიუ. თითოეული მათგანი მრავალრიცხოვანი სახესხვაობებით გვხვდება.

სოციალურ-სტატისტიკური კვლევების პრაქტიკაში ანკეტირება გამოკითხვის ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეა. აქ დამკვირვებელსა და რესპონდენტს შორის ურთიერთობა ხორციელდება ანკეტის მეშვეობით. თავის მხრივ, ანკეტა კითხვების სისტემაა, რომელსაც ერთიანი საკვლევი ჩანაფიქრი აერთიანებს და მიმართულია

¹ იხ. Рабочая книга социолога. М., 1977 г., с. 378.

საკვლევო ობიექტისა და ანალიზის საგნის შესახებ რაოდენობრივ-თვისებრივი მაჩვენებლების მიღებისაკენ. ანკეტაში გამოყენებული კითხვები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს: შინაარსის მიხედვით (კითხვები ცნობიერებაზე, ქცევაზე, რესპონდენტის პიროვნებაზე); ფორმის მიხედვით (ღია და დახურული, პირდაპირი და ირიბი). თუმცა არსებობს კლასიფიკაციის სხვა სახეებიც.¹

ანკეტის ყოველი კითხვა პირდაპირ, უშუალოდ თუ არაპირდაპირ, მაგრამ ლოგიკურად მიმართული უნდა იყოს გამოკვლევის მთავარი, ცენტრალური მიზნისკენ. დახურულ კითხვას ანკეტაში პასუხთა სრული ჩამონათვალი გააჩნია, რომლისგანაც რესპონდენტი ირჩევს შემოთავაზებული პასუხებიდან თავისი დამოკიდებულების გამომხატველ პასუხს: თანხმობა – უთანხმოება, მოწონება – არმოწონება და ა. შ. პასუხი ფიქსირდება ინსტრუქციით განსაზღვრული შესაბამისი ნიშნით.

დახურული კითხვები შეიძლება იყოს ალტერნატიული და არაალტერნატიული. ალტერნატიული კითხვები რესპონდენტს საშუალებას აძლევს შემოხაზოს კითხვის მხოლოდ ერთი ვარიანტი, შედეგად მათი ჯამი ყოველთვის 100%-ის ტოლია. არაალტერნატიული კითხვები კი საშუალებას იძლევა რესპონდენტმა შემოხაზოს პასუხების რამდენიმე ვარიანტი, ამიტომ მათი ჯამი შეიძლება 100%-ზე მეტიც იყოს.

გარდა ამისა, არსებობს ნახევრად დახურული კითხვები, როცა კითხვის ფორმულირება რესპონდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს პასუხის ვარიანტი და დააფიქსიროს დამატებული ვარიანტი. ასეთ შემთხვევაში პასუხთა ვარიანტების შემდეგ მითითებულია: „სხვა აზრი“, „სხვა ვარიანტი“ და ა. შ.

ღია კითხვები არ შეიცავენ მინიშნებებს და რესპონდენტებს „თავს არ ახვევენ“ პასუხის ვარიანტს. რესპონდენტი დამოუკიდებლად აყალიბებს ერთ-ერთ შესაძლო პასუხს, ემყარება რა კითხვის არსის საკუთარ გაგებას.

კითხვათა დასახელებულ სახესხვაობებს თავისი კონკრეტული სახესხვაობები გააჩნიათ, რაც დაკავშირებულია ურთიერთობის ლოგიკასა და ფსიქოლოგიასთან.

ჩატარების სიხშირის მიხედვით, განასხვავებენ ერთჯერად და მრავალჯერად (პანელურ) გამოკითხვას. ეს უკანასკნელი გამოიყენება საზოგადოებრივ მოვლენათა დინამიკის შესწავლისას, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის ფორმირების შესწავლისას.

კომუნიკაციის გზების მიხედვით, მკვლევარსა და რესპონდენტს შორის ანკეტირება სამი გზით ხორციელდება – ფოსტით, პრესით, ანკეტების უშუალო დარიგებით და ელექტრონულად (ინტერნეტით).

საფოსტო ანკეტის საშუალებით ვარიანტთა შესაბამისი რაოდენობა დაეგზავნება ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს თხოვნით, გასცეს პასუხები მასზე და ფოსტის საშუალებით დააბრუნოს მითითებულ მისამართზე. იგი პირველადი ინფორმაციის მიღების ძალზე ეფექტიანი ხერხია. მისი მნიშვნელოვანი უპირატესობაა:

1. ორგანიზების სიმარტივე, საფოსტო გამოკითხვის დოკუმენტაციის მომზადება და

¹ იხ. Рабочая книга социолога. М., 1977 г; Белнап Н., Стил Т. Логика вопросов и ответов. М., 1981; Берков В. Ф. Вопрос как форма мысли. Минск, 1972; Воитвилло Е. К., Петров Ю. А. Язык и логика вопросов. Логика и методология научного знания. М., 1974; Хаич В. О функциях вопроса в развитии научного знания. М., 1980 и др.

გაგზავნა 2000-3000 კაცისათვის და პასუხების მიღება 7-10 დღის განმავლობაში 2 თანამშრომელსაც შეუძლია;

2. იგი საშუალებას იძლევა გამოკითხვა ჩატარდეს ძნელად მისადგომ რაიონებშიც;
3. ანკეტას ავსებს რესპონდენტი, გამორიცხულია რესპონდენტისა და მკვლევარის კონტაქტი და, შესაბამისად, არ არსებობს ფსიქოლოგიური ბარიერი;
4. რესპონდენტი კითხვებზე პასუხს სცემს მისთვის მოსახერხებელ დროს.

საფოსტო გამოკითხვის ნაკლოვანებას, პირველ რიგში, წარმოადგენს ანკეტათა არასრული დაბრუნება - ბრუნდება მხოლოდ 20-30% კითხვარებისა. დაბრუნებულ ანკეტათა რაოდენობა დამოკიდებულია გამოსაკითხი ერთობლიობის სოციალურ-დემოგრაფიულ სტრუქტურასთან ინდივიდუალური აზრის ნაცვლად ბრუნდება ჯგუფური პასუხები. რესპონდენტი ანკეტას ავსებს არა სპონტანურად, არამედ მოფიქრების შემდეგ. დაბრუნების დაბალი ხარისხი აისახება სიზუსტესა და სისწორეზე, რადგანაც დაკვირვების მოცულობის შემცირება ზრდის შეფასებათა დისპერსიას. აღნიშნულის გამო, თანამედროვე ეტაპზე საფოსტო გამოკითხვა უკვე იშვიათად გამოიყენება

საფოსტო გამოკითხვის სახესხვაობას წარმოადგენს ე. წ. პრესის მეშვეობით გამოკითხვა, როცა ანკეტა იბეჭდება გაზეთის ან ჟურნალის ფურცლებზე, მკითხველს სთხოვენ წერილობითი პასუხი გასცეს და დააბრუნოს იგი რედაქციაში. არსებობს მისი ორი სახე: 1) როდესაც რედაქციას აინტერესებს მკითხველის აზრი მის ბეჭდვით ორგანოზე და 2) როცა ბეჭდვითი ორგანოს საშუალებით შეისწავლება მკითხველის აზრი ამა თუ იმ აქტუალურ საკითხზე.

იმის გამო, რომ მკითხველი პასიურად ებმება ასეთ გამოკითხვაში (დაახლოებით 20%), დაბალია ანკეტების უკან დაბრუნების ალბათობა, მაშინაც კი, როცა გამოცემის ტირაჟი მნიშვნელოვანია და მეტი რაოდენობის ანკეტა შეიძლება დაბრუნდეს. მიღებული შედეგების ანალიზი და განზოგადება სიფრთხილეს მოითხოვს - არ შეიძლება ამ შედეგების მკითხველთა მთელ მასაზე გავრცელება. პასუხების ჯამობრივი სტატისტიკური განაწილება ინტერპრეტაციისათვის საკმაოდ რთულია. ამავე დროს შევსებული ანკეტების საერთო მასივიდან თითქმის ყოველთვის შეიძლება შეიქმნას ერთგვაროვანი ქვემასივები, რომლებსაც კონკრეტული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი ქმნის. ეს კი აზრთა დიფერენციაციის შესწავლის საშუალებას იძლევა.

თანამედროვე ეტაპზე მეტად გავრცელებულია ელექტრონული ანკეტირება, როდესაც რესპონდენტი პასიურად ებმება ასეთ გამოკითხვაში და შეუძლია უპასუხოს ანკეტის კითხვებს მისთვის სასურველ დროს. ამ შემთხვევაში მაღალია ანკეტების უკან დაბრუნების (ანუ გამოპასუხების) მაჩვენებელი და იგი დაახლოებით 40-50 %-ია. ამასთან, ინფორმაციის შეგროვების ამ ხერხის გამოყენებისას მცირეა ადამიანური, ფულადი და მატერიალური დანახარჯები.

უშუალო დარიგებითი ანკეტირების გამოყენების დროს ანკეტა ურიგდება ერთ ადგილას მყოფ ადამიანთა ჯგუფს, რომლებმაც დაუყონებლივ უნდა შეავსონ ისინი და დაუბრუნონ უშუალოდ დამკვირვებელს.

ანკეტირება შეიძლება იყოს ინდივიდუალური და ჯგუფური. ინდივიდუალური ანკეტირების დროს კითხვარები რიგდება წინასწარ შეთანხმებულ დროს სამუშაო ადგილის ან საცხოვრებლის მიხედვით.

ჯგუფური (აუდიტორული) გამოკითხვა გამოკითხვის მეთოდის ყველაზე პოპულარული სახესხვაობაა. მასში იგულისხმება ერთდროული, ინდივიდუალური ანკეტირების მეთოდი, როცა ანკეტები ურიგდება ერთ ადგილზე თავმოყრილ ადამიანთა ჯგუფს.

ჯგუფური გამოკითხვისას ანკეტიორი მუშაობს 15-20 კაციან ჯგუფთან. ამ მეთოდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა მისი ეკონომიურობა და ოპერატიულობაა. ასეთი გამოკითხვა ინდივიდუალურ, დამოუკიდებელ აზრს აფიქსირებს. ამასთან, ანონიმურობა გარანტირებულია, ანუ რესპონდენტს უშუალო კავშირი ანკეტიორთან არა აქვს და ამიტომ თითქმის 100% ანკეტებისა უკან ბრუნდება.

ჯგუფური გამოკითხვის ყველაზე არსებითი ნაკლი ის არის, რომ ჯგუფის პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედების შედეგად შეიძლება დამახინჯდეს ინდივიდუალური აზრი, მოხდეს გადაწერა და ა. შ. ორგანიზაციული სირთულეებიდან კი მთავარია მოხერხებული დროისა და ადგილის გამოძებნა და ა. შ.

ინტერვიუ – გამოკითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომლის დროსაც მონაცემთა მიღება ხდება გარკვეული პროგრამის მიხედვით, რესპონდენტისა და ინტერვიუერის პირადი ურთიერთობის გზით. ინტერვიუს ორი ფუნქცია აქვს: პროცესების, ფაქტების, მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღება და რესპონდენტზე ზემოქმედება. ჩვენთვის საინტერესოა პირველი ფუნქცია.

ინტერვიუს მეთოდის პოპულარობა სტატისტიკურ კვლევაში ძალზე მაღალია. იუნესკოს მონაცემებით, მისი გამოყენების სიხშირე კვლევის მეთოდებს შორის პირველ ადგილზეა, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1. რესპონდენტთა შეხედულებებზე, მოტივებზე, აზრებზე ღრმა ინფორმაციის მიღება;
2. ინტერვიუების სიტუაცია ხელს უწყობს უშუალო სიტუაციის აღმოცენებას;
3. საშუალება იქმნება რესპონდენტის ფსიქოლოგიურ რეაქციაზე დაკვირვებისა;
4. ინტერვიუერის კონტაქტი რესპონდენტთან კითხვარის შემეცნებითი ამოცანის სრულად რეალიზების საშუალებას იძლევა;
5. ურთიერთობის ვერბალური ხასიათი ხსნის კითხვების არათანმიმდევრულობის აღქმის პრობლემას.

ამ მეთოდს ნაკლიც გააჩნია: მოითხოვს დიდ მატერიალურ და დროით დანახარჯებს და რთულია თვით ინტერვიუერების მომზადებაც.

გამოკითხვის სხვადასხვა ორგანიზაციული ფორმის დროს ინტერვიუს თავისებურებანი სხვადასხვანაირად გამოვლინდება.

ინტერვიუ სამუშაო ადგილის, დასაქმების მიხედვით ანუ სამსახურეობრივ ადგილზე ძალზე მიზანშეწონილია, როცა ხდება საწარმოო ან სასწავლო კოლექტივების შესწავლა, ხოლო კვლევის ობიექტი დაკავშირებულია საწარმოო ან სასწავლო საქმეებთან.

ინტერვიუ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოხერხებულია იმ დროს, როცა კვლევის საგანი არაოფიციალურ ატმოსფეროს მოითხოვს. საოჯახო ატმოსფეროში ადამიანს მეტი დრო აქვს, ურთიერთობებიც ნაკლებად ოფიციალურია. ამასთან, ინტერვიუს პროცესში ყოველთვის

სჯობს გამოვრიცხოთ “მესამე” პირი.

შინაარსის მიხედვით არსებობს – დოკუმენტური ინტერვიუ (წარსულის მოვლენათა შესწავლა, ფაქტების დაზუსტება) და შეხედულებათა, აზრთა ინტერვიუ, აგრეთვე ინტერვიუ სპეციალისტ-ექსპერტთან.

ინტერვიუს ჩატარება ტექნიკის მიხედვით შეიძლება იყოს: თავისუფალი, არასტანდარტიზებული და ფორმალური (ან ნახევრად ფორმალური).

თავისუფალი ინტერვიუ ტარდება გამოკითხულთა 10-20 კაციანი ჯგუფისათვის, კითხვების მკაცრი დეტალიზაციის გარეშე, მაგრამ საერთო პროგრამით. ფორმალური ინტერვიუ მოიცავს შესაძლო პასუხების ვარიანტებს, ანუ დახურულ კითხვებს და ითვალისწინებს მთელი პროცედურის (საუბრის ჩათვლით) დეტალურ დამუშავებას. ორგანიზაციის ხასიათის მიხედვით, ინტერვიუ არის ჯგუფური და ინდივიდუალური. ამასთან, პირველი იშვიათად გამოიყენება.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად გამოიყენება სატელეფონო ინტერვიუ, რომელიც ხასიათდება ოპერატიულობით, დაბალი ღირებულებითა და “მესამე” პირის გამორიცხვით. მისი ოპტიმალური ხანგრძლივობაა 10 წუთი.

პირველადი სოციალური ინფორმაციის ისეთი ფორმები, როგორცაა ანკეტირება, ინტერვიუ, საფოსტო (პრესით) გამოკითხვა, სატელეფონო ინტერვიუ, გამიზნულია მასობრივი გამოკითხვებისათვის. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მიმართულია ისეთი ინფორმაციის მისაღებად, რომელიც ასახავს რესპონდენტთა ცოდნას, დამოკიდებულებას, ფასეულობებს და განწყობებს მოვლენებისადმი, სინამდვილისადმი.

მაგრამ პრაქტიკაში ხშირია სიტუაცია, როცა რაიმე მოვლენის შესაფასებლად ძნელია, ან საერთოდ შეუძლებელია ობიექტის გამოყოფა და ინფორმაციის წყაროს სახით მისი გამოყენება. ყველაზე ხშირად ასეთი სიტუაციები დაკავშირებულია ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის ცვლილების პროგნოზირებასთან. მსგავსი ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ მხოლოდ საექსპერტო გამოკითხვის შედეგად, კომპეტენტურ პირთაგან – ექსპერტებისაგან, რომელთაც ღრმა ცოდნა აქვთ კვლევის საგანსა და ობიექტზე. საექსპერტო გამოკითხვა, როგორც გამოკითხვის მეთოდის განსაკუთრებული სახე, მიმართულია ჰიპოთეზების დასაზუსტებლად, პროგნოზების შესამუშავებლად და გარკვეულ სოციალურ მოვლენათა და პროცესთა ინტერპრეტაციის შესავსებად. მათი თავისებურება ის არის, რომ აქ დომინირებს ღია ფორმულირებები, ხოლო დახურული კითხვები განკუთვნილია სიმტკიცის დონის შესაფასებლად, უკვე გამოთქმული მოსაზრებების განსამტკიცებლად ან უარსაყოფად. იგი კომპეტენტური სპეციალისტების – მეცნიერთა ან პრაქტიკოს-ექსპერტთა ხელში, რომლებიც შეფასებისათვის ქულათა სისტემას იყენებენ, სოციალური ინფორმაციის მიღების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საექსპერტო გამოკითხვა შედარებით მარტივია და რეკომენდებულია სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარებისას. იგი გამოიყენება სასწავლო დაწესებულებებში, სპეციალური სამუშაოების რეცენზირებისათვის, ლექციათა შესაფასებლად და ა. შ.

საექსპერტო გამოკითხვის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს „დელფის მეთოდი“, რომლის დროსაც თავდაპირველად ხდება ექსპერტთა მიერ ყველაზე უფრო

მნიშვნელოვან პუნქტებზე პოზიციათა დაფიქსირება და აზრთა თანხვედრის დონის გამოვლენა, პირველი ექსპერტიზის შემდეგ კი გამოთქმული შეფასებების მოწესრიგება სანდოობის, ალბათობის, უტყუარობის, პრიორიტეტულობის დონის მიხედვით.

საექსპერტო გამოკითხვისას მნიშვნელოვანია: ექსპერტთა შერჩევა კომპეტენტურობის მიხედვით და წარმოდგენილი მასალის შესახებ თავისი მოსაზრებებისა და არგუმენტების თავისუფლად გამოთქმის შესაძლებლობა; გამოკითხვის თემისა და კვლევის ამოცანების ზუსტად, მეცნიერულად ფორმულირება. ამასთან, მონაცემთა ანალიზი უფრო თვისებრივია, ვიდრე რაოდენობრივი.

მისაღები ინფორმაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საექსპერტო გამოკითხვა შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს – ანონიმური ანკეტის საშუალებით ინდივიდუალური გამოკითხვის და ჯგუფური დისკუსიის სახით.

საექსპერტო გამოკითხვას ახასიათებს შემდეგი სამი ფუნქცია – სოციალური სინამდვილის ამსახველი სხვადასხვა მოვლენათა და პროცესთა განვითარების ტენდენციების გამოვლენა; მასობრივ გამოკითხვათა უტყუარობის შეფასება; კოლექტივის (ან მისი წევრების) ატესტაცია შრომითი აქტიურობის, პოლიტიკური შეგნების, მორალური სიმწიფის და სხვა დონეების მიხედვით. შევჩერდეთ უკანასკნელ ფუნქციაზე, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც საზოგადოებრივი ატესტაციის მეთოდი. იგი გამოიყენება სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოსაპოვებლად. კერძოდ, დასაქმებულთა შრომითი თვისებების შესაფასებლად. აქ მუდამ ვხვდებით საატესტაციო კომისიასა და ატესტაციაგასავლელ პირთა შორის ურთიერთზემოქმედების ხასიათი. არსებობს მისი ორი ძირითადი სახესხვაობა: საწარმოო ატესტაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ატესტაცია. მოცემული მეთოდი უფრო საიმედო და ნაკლებად შრომატევადია, ვიდრე ანკეტური გამოკითხვა. ამიტომ სოციოლოგიურ ლიტერატურაში მას დიდი ყურადღება ექცევა. იგი შეიძლება განვიხილოთ იქნას როგორც, ინფორმაციის მოპოვების ახალი მეთოდი, რომლის თავისებურებები ჯერ კიდევ ბოლომდე არაა გახსნილი. მ. ლ. მონინა, თვლის რა ატესტაციას ახალ მეთოდად, განიხილავს მას როგორც კოლექტიური ინტერვიუს მეთოდის სახესხვაობას¹. ატესტაციის გაიგივება კოლექტიურ ინტერვიუსთან სხვა ავტორებთანაც გვხვდება. ასე, მაგალითად, ვ. ვასილიევი, ა. კულაგინი და ვ. ჩუპროვი ეხებიან რა საზოგადოებრივ ატესტაციას, ამტკიცებენ, რომ „არსებითად, ეს იგივე ინტერვიუა, მხოლოდ მას ატარებს არა ერთი დამკვირვებელი, არამედ სპეციალური კომისია,... კომისიის წევრები”. მაგრამ ასეთი ფორმითაც კი ატესტაცია არ შეიძლება გაიგივებულ იქნას ინტერვიუსთან. ჯერ ერთი, საატესტაციო კომისიის წევრებს დიდი ინფორმაცია აქვთ ატესტაციაგასავლელ პირთა შესახებ საუბრის დაწყებამდე მაშინ, როცა ინტერვიუს დროს პასუხები უშუალოდ მიიღება კითხვაზე. ფაქტიურად კომისიის წევრები ექსპერტთა როლში გამოდიან. მეორეც – ინტერვიუს დროს აქტიური, წამყვანი როლი ინტერვიუერს ეკუთვნის, ატესტაციის დროს კი, პირიქით – ატესტაციაზე გასავლელ პირს და ბოლოს, ინტერვიუს მიზანი არ არის რესპონდენტზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა, მაშინ როცა ატესტაცია

¹ Мони́на М. Л. Ритмический очерк методов и техники социальных исследований за рубежом. М., 1970, с. 45.

² Васильев В. Г., Кулагин А. С., Чупров В. П. Ваше мнение? Прикладные социологические исследования по проблемам методики. М., 1967, с. 54.

სწორედ ასეთ ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული. ატესტაციისათვის დამახასიათებელია არა მხოლოდ საინფორმაციო, არამედ სოციალურ-მარეგულირებელი და პრაქტიკული ფუნქცია.

ატესტაციის აღნიშნული თავისებურებები იმ შემთხვევაში მჟღავნდება, როცა აქცენტი გაკეთებულია ინფორმაციის „კითხვა-პასუხით“ მიღების ხერხზე და არა პროცესების შესახებ ობიექტური მონაცემების მიღებაზე. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე თეორიული კონფერენციების ჩატარებას. ეს მეთოდი გამოიყენება შრომის, განათლების, კულტურის და ა. შ. შესახებ სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მისაღებად.

უნდა აღვნიშნოთ, რომ საექსპერტო გამოკითხვით ოპერირების დროს, საზოგადოებრივი ატესტაციის ან თეორიული კონფერენციის შესაფასებლად – დაკვირვების ობიექტის თავისებები ქულებით ფასდება. ამის ცნობილ მაგალითს წარმოადგენს მოსწავლეთა და სტუდენტთა ცოდნის შეფასება 100-ქულიანი სისტემით, სამეცნიერო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების დიფერენციაცია მუშაკთა კატეგორიების მიხედვით და ა. შ.

ლიტერატურაში გავრცელებულია მცდარი მოსაზრება ქულებით შეფასების მეთოდზე. ქულებით შეფასების მეთოდი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არის მხოლოდ ზომის ერთეული ქულების სახით, რომლისთვისაც დამახასიათებელია პირობითობა და სუბიექტურობის ელემენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ განხილული მეთოდები უფრო მეტად ეფექტური ხდება სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის მოპოვების სხვა მეთოდებთან შეთანაწყობით.

სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების მოპოვების შემდეგი საშუალებაა ექსპერიმენტი, რომელიც სოციალურ-სტატისტიკური ცდის შედეგების მიღებისა და მისი ფართოდ გავრცელების ხერხია. ასეთი ექსპერიმენტი ფართოდ გამოიყენებოდა წარსულში. ჯერ კიდევ ცნობილი მეცნიერი ლაპლასი (1743-1827 წ.წ.) მოუწოდებდა ფართოდ გამოიყენებინათ ექსპერიმენტი სოციალურ მეცნიერებებში – პოლიტიკურსა და ზნეობრივში. ცნობილია იან ალექსის, კამენსკის, მაკარენკოს, ოუენის, და ა. შ. პედაგოგიური ექსპერიმენტები, ასევე თვით მეწარმეების ეკონომიკური ექსპერიმენტები (ტეილორის, ფორდის) და ა. შ.

მეცნიერთა შორის სოციალური ექსპერიმენტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებაა. რიგი ავტორებისა, ვერ ბედავენ რა სრულად უარყონ სოციალური ექსპერიმენტის როლი, ცდილობენ მის დაკნინებას, წარმოადგენენ მას, როგორც მეორეხარისხოვან, კვლევის ირიბ ხერხს, რომელიც შემეცნებაში არანაირ მნიშვნელოვან როლს არ თამაშობს. გამოჩენილი ეკონომისტი იან კონრადი აღნიშნავდა, რომ აბსტრაქციას, როგორც ცნობილია, ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმიტომ, რომ ექსპერიმენტი ეკონომიკურ ურთიერთობათა შემეცნებაში რჩება, როგორც მხოლოდ კვლევის დამხმარე მეთოდი.⁹ თანამედროვე ცნობილი ფილოსოფოსის მ. რუტკევიჩის მო-

⁹ Конрадъ И. Очерки политической экономии. М., 1898, с. 15

საზრებით, ექსპერიმენტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდია და მისი გამოყენება სოციალურ მეცნიერებაში შეუძლებელია.¹⁰ ასეთივე კატეგორიულია პ. სივოკონი, რომელიც სპეციალურად სწავლობდა ექსპერიმენტის პრობლემას. იგი ამტკიცებს, რომ სოციალურ მეცნიერებებს საკუთარი ექსპერიმენტი არ შეიძლება ჰქონდეთ.¹¹

ე. რუსანოვი აკრიტიკებდა რა ი. კონრადს, წერდა, რომ „აბსტრაქცია“ აქ უნდა თამაშობდეს ისეთივე როლს, როგორც ნებისმიერ სხვა მეცნიერებაში, ხოლო ექსპერიმენტი უნდა იქცეს კვლევათა განუყოფელ ნაწილად.¹² ჩვენი აზრით, მისი ჩატარება არა მარტო საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე. ის ხელს უწყობს საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტას და არცთუ იშვიათად გადამწყვეტ როლს თამაშობს ამა თუ იმ სოციალური სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების საშუალებათა მოძიებაში, მომწიფებულ წინააღმდეგობათა გადაჭრის საქმეში, მომავალი პრაქტიკული საქმიანობის გზებისა და ფორმების განსაზღვრაში, საზოგადოებრივი პროცესების ეფექტიანი მართვის საქმეში.

სოციალური ექსპერიმენტი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სახითა და ფორმით. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრება ძალზე რთული და მრავალფეროვანია. მის ყველა სფეროში სოციალური ექსპერიმენტი თავისებურად ხორციელდება. ამიტომ სოციალური ექსპერიმენტების ბევრი სახეობა არსებობს, რაც იწვევს მათი კლასიფიცირების აუცილებლობას.

კვლევის საგნისა და ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ ეკონომიკურ (სამეურნეო), სტატისტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ესთეტიკურ ექსპერიმენტებს. ამ სახეობათა შორის განსხვავებას შესაბამისი სამეცნიერო დისციპლინა განსაზღვრავს. თუმცა, ზოგიერთი მათგანი შეიძლება მჭიდროდ იყოს ურთიერთდაკავშირებული, რადგან რეალობის ერთი და იგივე პროცესებს ემყარებიან. მაგალითად, სამართლებრივ ექსპერიმენტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მაგრამ მათი ფართო მასშტაბით ჩატარება ვერ ხერხდება, რადგან ამით შეიძლება მოქალაქეთა კანონიერი უფლებები დაირღვეს. თუმცა, სამართლებრივი ექსპერიმენტის ისეთი სახესხვაობები, როგორცაა: დროებითი წესების, ინსტრუქციის შემოღება, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოებრივი ან სამეურნეო ორგანოების საქმიანობას, სავსებით შესაძლებელია.

სოციალური ექსპერიმენტის სახესხვაობათა შორის განსაკუთრებული ადგილი სოციოლოგიურ ექსპერიმენტს უჭირავს. იგი სხვა სახეებისაგან განსხვავებით არ შემოიფარგლება საზოგადოებრივ ურთიერთობათა მხოლოდ რომელიმე ერთი ფორმით. სოციოლოგიური ექსპერიმენტით შეიძლება, მაგალითად, გავარკვიოთ საკითხი, თუ როგორ აისახება კონკრეტულად ეკონომიკური ურთიერთობების ცვლილება ადამიანთა აზროვნებაზე, მორალსა და სხვა ურთიერთობებზე.

სოციალური პროცესების შესწავლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე სტატისტიკურ ექსპერიმენტს, რაც არის ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთი ხერხი.

¹⁰ Руткевич М. Н. Рабочая книга социолога. 2-е изд. перераб. и доп. М., 1983, с. 32

¹¹ Сивокон П. Е. Социальный эксперимент и его методические основы. М., 1970, с. 29

¹² Русанов Е. С. Производство и уровень жизни народа. М., 1973, с. 34

ხშირ შემთხვევებში რომელიმე სოციალური პროცესის შესახებ არ არსებობს წარსული პერიოდის მონაცემები. ასეთ დროს სტატისტიკური ექსპერიმენტის ჩატარებას ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ალტერნატივა არა აქვს.

კვლევის ობიექტების ხასიათიდან გამომდინარე, განასხვავებენ, ასევე, რეალურ (მატერიალურ) და აზრობრივ (იდეალურ) ექსპერიმენტებს.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა მთლიანად ეხებოდა რეალურ ექსპერიმენტს, განმარტებითი ჰიპოთეზების შემოწმებას სოციალური სინამდვილის პირობების რეგულირების გზით.

აზრობრივ ექსპერიმენტში ჰიპოთეზის შემოწმება ხდება არა რეალური მოვლენების მხრივ, არამედ მოწმდება ინფორმაცია მათ შესახებ. აქ არ ჩანს ექსპერიმენტის ძალზე მნიშვნელოვანი ნიშანი – რეალურ პროცესებში მიზანმიმართული ჩართვა. ამიტომ ბევრი მკვლევარი აზრობრივ ექსპერიმენტს არ განიხილავს სოციალურ ექსპერიმენტად. რიგი ავტორებისა, მართალია, აღიარებს მის როლს საზოგადოებრივ მოვლენათა შემეცნებაში, მაგრამ მიიჩნევს რაღაც მეორეხარისხოვნად,¹ რომლის მეშვეობითაც ჰიპოთეზური დასკვნები ყალიბდება. ფაქტები მოწმობენ, რომ აზრობრივი ექსპერიმენტები იძლევიან როგორც ჰიპოთეზური, ასევე ჭეშმარიტი დასკვნების გაკეთების საშუალებას. “აზრობრივი ექსპერიმენტის დანიშნულებას, აღნიშნავს ბ. რაბოტი, ახასიათებს არა წარმოსახვითი ექსპერიმენტების აღწერა, არამედ აბსტრაგირებისა და იდეალიზაციის გზით საზოგადოებრივ სამყაროში ახალი კავშირების აღმოჩენა, იმისგან დამოუკიდებლად, აქვს თუ არა ადგილი მოდელირებას საზოგადოებათმცოდნეობასა და ბუნებათმცოდნეობაში”.²

რასაკვირველია, აზრობრივი ექსპერიმენტის დროს მკვლევარი თითქოს შორდება სინამდვილეს და ამიტომ რეალური ობიექტების თავისებურებების ზოგიერთ ნიშანს კარგავს (ამაშია მისი სისუსტე), მაგრამ სამაგიეროდ სოციალური ობიექტების ისეთ მხარეებს მოიცავს, რომლებიც უშუალო ექსპერიმენტისათვის მიუღწეველია. ამასთან, მას იმდენი მატერიალური დანახარჯი არ სჭირდება, როგორც რეალურს. იგი ხშირ შემთხვევაში უფრო მოქნილი და ადეკვატურია რეალური ობიექტის ასახვაში. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აზრობრივი ექსპერიმენტები ჰიპოთეზურია და მოითხოვს რეალური ექსპერიმენტით, ან პრაქტიკის სხვა

სახით შემდგომ დამტკიცებას.

კვლევის ამოცანის მიხედვით განასხვავებენ სამეცნიერო და გამოყენებით ექსპერიმენტებს. სამეცნიერო ექსპერიმენტები მიმართულია ახალი ცოდნის მიღებისაკენ, გამოყენებითი – პრაქტიკული ეფექტის გამოვლენაზე. სოციალურ ექსპერიმენტში ეს ორი ფუნქცია მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთი და იგივე ექსპერიმენტი წარმოადგენს როგორც კვლევის, ისე მართვის ელემენტსაც, რაც განსაკუთრებით ვლინდება რეალურ პედაგოგიურ, სამართლებრივ ექსპერიმენტებში.

თეორიულ და გამოყენებით ფუნქციებთან ერთად, სამეცნიერო ექსპერიმენტს მეთოდური ფუნქციაც აქვს. იგი ემპირიული ინფორმაციის მოპოვების, ანალიზის ხერხებისა და

¹Диалектика и логика научного познания. М., 1966, с. 377-378;

² об. Работ В.А. Проблема эксперимента в социальном исследовании . М., 1970, с. 183.

პროცედურების საზომს წარმოადგენს და მაღალი შემეცნებითი ღირებულება გააჩნია.

ამოცანის სპეციფიკიდან გამომდინარე, განასხვავებენ საპროექტო და რეტროსპექტულ ექსპერიმენტებს. ექსპერიმენტალური სიტუაციის ხასიათიდან კი – კონტროლირებად და არაკონტროლირებად, ხოლო ჰიპოთეზის მტკიცებულების ლოგიკური სტრუქტურის მიხედვით – პარალელურ (სიმულტანურ) და თანმიმდევრულ (სუქცესიურ) ექსპერიმენტებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია განსხვავებული კლასიფიკაციებიც.

2.3. სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების უტყუარობა

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა სტატისტიკურ მაჩვენებლებში აისახება, რომლებიც შეცდომებიდან მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, რიგი მიზეზის გამო, მაჩვენებლები ყოველთვის ზუსტად ვერ ასახავს რეალურ სინამდვილეს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს გადაწყვეტილებათა მიღების ხარისხზე. ამიტომაც, სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის უტყუარობის, ინფორმაციის სიზუსტის ხარისხის პრობლემა სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამასთან, უნდა აღვნიშნოს, რომ მეცნიერული და პრაქტიკული დასკვნების მართებულობის დასაბუთება მთლიანადაა დამოკიდებული გამოყენებული ინფორმაციის უტყუარობაზე. იგი ამოსავალია სტატისტიკურ მაჩვენებელთა დადგენის, პროგნოზული გაანგარიშებების, ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების, სოციალურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად. სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების უტყუარობა უნდა გვესმოდეს, როგორც სინამდვილის შესაბამისად ასახვის ხარისხი. ამასთან, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ, უტყუარობა თეორიულ-შემეცნებითი, ფილოსოფიური და მეტრიკული, გაზომვითი გაგებით. პირველი თვალსაზრისით, ინფორმაცია უტყუარად ჩაითვლება, თუ იგი დაუმახინჯებლად, სწორად ასახავს ობიექტურ რეალობას. მეორე პოზიციის მიხედვით, ინფორმაცია უტყუარია, თუკი მისი მოცულობა ემთხვევა გასაზომი მოვლენის რეალურად არსებულ საზღვრებს. ამასთან, ორივე გაგება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. უფრო მეტიც, უტყუარობის თეორიულ-შემეცნებითი, ფილოსოფიური გაგების გარეშე შეუძლებელია მეტრიკული უტყუარობის მიღწევა.

ლიტერატურაში, განსაკუთრებით ფილოსოფიურში, უტყუარობის ცნება გაიგივებულიასი ზუსტის ცნებასთან. ცნობილი რუსი ფილოსოფოსი ვ. პ. ტუგარინოვი წერდა, რომ სიზუსტე, როგორც სინამდვილის ადეკვატურობის მეცნიერული მიდგომის ერთ-ერთი ფორმა, ცხოვრებისეულ სინამდვილესთან უფრო მეტად მიახლოებაა.¹ იგივე მოსაზრება გააჩნია ტ. ვ. რიაზუშკინს, რომელიც თვლის, რომ სიზუსტე შესასწავლი

¹ Тугаринов В. П. О методах общественных наук. Методологические вопросы общественных наук. Л., 1968, с. 58.

ობიექტის თვისებებისა და თავისებურებების ობიექტურად გამომსახველი კანონზომიერებების თეორიულ კატეგორიებში წარმოდგენის, მოვლენის განვითარების კანონების, მათი წინასწარმეტყველებისა და რეგულირების შესაძლებლობათა დადგენაში მდგომარეობს.² სიზუსტის ცნება კი ზოგჯერ გაზომვის შედეგთა განუსაზღვრელობის ხარისხთანაა დაკავშირებული.

ინფორმაციის უტყუარობა, ო. მ. მასლოვის მოსაზრებით, მეთოდის თვისებაა, მოგვცეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც გასაზომი მახასიათებლების მიხედვით შესასწავლ ერთობლიობას ადეკვატურად ასახავს.³

ზოგიერთი მკვლევარი ცნება „უტყუარობის“ ნაცვლად იყენებს „სანდოობას“ დასაბუთების სიმტკიცის, სიზუსტის გაგებით.⁴ ეს ცნებები, ჩვენი თვალსაზრისით, გარკვეული გაგებით, იდენტურია. მაგრამ თუ დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან კიდევ. კერძოდ, „უტყუარობა“ უფრო პირდაპირ, უფრო ზუსტად გადმოსცემს სათქმელს.

სოციალური ინფორმაციის უტყუარობის პრობლემის გადაწყვეტა ხდება მეთოდოლოგიური, მეთოდური და ორგანიზაციულ-პროცედურული დონეების მიხედვით. პირველი ძირითადად დამოკიდებულია ამოსავალ ცნებათა, დებულებათა თეორიული წინაპირობებისა და ინტერპრეტაციის სიმყარეზე, დანარჩენი ორი – ცოდნის ემპირიული დასაბუთებაა.

დაკვირვების შედეგთა უტყუარობა ითვალისწინებს:

- სოციალურ ცვლადთა დასაბუთების მქონე კონცეპტუალური სქემის შემუშავებას;
- მოცემულ ცვლადთა პირველადი მონაცემების უტყუარობის განმსაზღვრელი საჭირო ინსტრუმენტარის გამოყენებას;
- გამოკვლევის პროცედურის მეთოდურად სწორ ორგანიზაციას;
- მონაცემთა პირველადი დამუშავების გულმოდგინედ ჩატარებას;
- ანალიზისათვის მონაცემთა ხასიათის შესაბამისი მათემატიკური მეთოდების შერჩევასა და შედეგთა ადეკვატურ ინტერპრეტაციას;
- გამოვლენილი ფაქტების ცნებათა საერთო სისტემაში განხილვას.

ემპირიული სოციალური ინფორმაციის უტყუარობის ძირითად ცნებათა სისტემა უნდა შემუშავდეს არა ცალკეული ოპერაციების მიხედვით, არამედ საერთო კომპონენტების მიმართ. ჩვენი თვალსაზრისით, თეორიულ-კონცეპტუალური ფაზებიდან გამომწვევტი პროცედურაა სამი მათგანი:

1. უტყუარობის ერთეული ფაქტების დადგენა;
2. რომელიმე სისტემაში ფაქტების შერჩევა;
3. მათ შორის ურთიერთკავშირის ანალიზი.

როგორც წესი, მონაცემთა შერჩევის სისტემის ორგანიზების ან ერთეული ფაქტების

² Рябушкин Т. В. Развитие статистической науки. М., 1969, с. 12.

³ Маслов П. П. статистика в социологии. – М., 1971, с. 204

⁴ Жабский М. И. Надежность социологических измерений. Ж. Социологические исследования. 1982, № 2, с. 23

დადგენის დროს დაშვებული შეცდომები შეუძლებელია გამოსწორდეს ინფორმაციის ანალიზის პროცესში.

პირველადი ინფორმაციის უტყუარობა მიიღწევა სტატისტიკური კვლევის შერჩეული მეთოდების პრინციპთა აუცილებელი დაცვითა და მათი დასაბუთებული, შერწყმული გამოყენებით. ამასთან, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვავოთ, მონაცემთა უტყუარობის ამსახველი მაჩვენებლები და უტყუარობის ხარისხზე მოქმედი ფაქტორები. უტყუარობის მაჩვენებლებია: მონაცემთა სისწორე, სანდოობა და დასაბუთებულობა, ხოლო ფაქტორები მრავალგვარია და პირდაპირ დამოკიდებულია მონაცემთა მიღების მეთოდთა სპეციფიკაზე.

მონაცემთა შერჩევის პრობლემის ტრადიციული გადაწყვეტის გზას შერჩეული ერთობლიობის რეპრეზენტატულობის მიღწევა წარმოადგენს, რომლის გამოყენების საერთო პრინციპების შესახებ ბევრი ლიტერატურული წყარო არსებობს.¹

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ რთული ბუნების მქონე სოციალური მოვლენების შესწავლისათვის ადეკვატური შერჩევის პრობლემა მაინც გადასაწყვეტია. განიხილება მხოლოდ ერთმომენტური რეპრეზენტატულობა. თუმცან იგი მხოლოდ ერთი არაა. დღეისათვის მეტად მნიშვნელოვანია ე. წ. დიაქრონული (განმეორებითი) და შედარებითი გამოკვლევები, რომელთა განხორციელებისათვის მონაცემთა შერჩევის პრობლემა პრინციპულად სხვა შინაარსისაა და სრულად არ შეესაბამება ერთჯერადი შერჩევის ორგანიზაციულ პრობლემებს. ისინი საშუალებას იძლევა დავადგინოთ სოციალური პროცესების დინამიკა, გამოვყოთ საერთო და სპეციფიკური, სტაბილური და ცვალებადი საზოგადოებრივი მოვლენები. თუმცან ასეთი გამოკვლევის ჩატარების დროს ყოველთვის ვაწყდებით შესადარებელი ინფორმაციის უტყუარობის პრობლემას.

და ბოლოს, მესამე პრობლემა არის მონაცემთა ანალიზი, მათ შორის მათემატიკურ-სტატისტიკური, რომელიც ითვალისწინებს მრავალი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, კერძოდ:

1. გენერალური ერთობლიობის შეფასებისა და ჰიპოთეზის შემოწმების ტრადიციული მეთოდები;
2. ობიექტთა ერთობლიობისა და შესასწავლ ნიშანთა ასახვის სხვადასხვა პროცედურა;
3. რეგრესიული, დისკრიმინანტული, მიზეზობრივი ანალიზის სხვადასხვა მოდელი და სხვ.

მონაცემთა ანალიზის უტყუარობის მთავარი პრობლემა წმინდა მათემატიკურ-სტატისტიკური ხერხებითა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით ვერანაირად ვერ გადაწყდება, თუ არ იქნება გათვალისწინებული მისი თვისებრივი დახასიათება და მეცნიერული ჰიპოთეზა.

სოციალურ სტატისტიკაში სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობის ტიპოლოგია შეიძლება წარმოვადგინოდ შემდეგნაირად:

1. გამოკვლევისათვის საჭირო სიზუსტის მიხედვით: ფორმალური, რეალური, მაქ-

¹ix. Кокрен У. Методы выборочного исследования. М., 1976; Дружинин Н. К. Выдорочное надлюдение и эксперимент Общие логические принципы организации. М., 1977; Шварц Г. Выборочный метод. М., 1978 da sxv.

სიმაღური და აუცილებელი;

2. სტატისტიკურ მონაცემთა ოპტიმალური სიზუსტის მიღწევის მიხედვით: მინიმალური (აუცილებელი), მაქსიმალურად დასაშვები და ოპტიმალური;
3. სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავების ხასიათის მიხედვით: მონაცემთა ხელით და კომპიუტერზე დამუშავება;
4. სტატისტიკური გამოკვლევის სტადიების მიხედვით: გამოკვლევის მომზადებისა და მონაცემთა შეგროვების, სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის სტადიაზე.

სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა უტყუარობის საკითხი, რომელიც სოციალური ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილია, დამოკიდებულია შეცდომების არსებობაზე. ისტორიული თვალსაზრისით, შეცდომები მაჩვენებლის წარმომზადებასთანაა დაკავშირებული. სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა სისწორის საკითხებით იყვნენ დაინტერესებული ინგლისური პოლიტიკური არითმეტიკული სკოლის წარმომადგენლები – ჯ. გრაუნტი და ი. ფ. ბილფელდი, წარსულში სახელგანთქმული რუსი სტატისტიკოსები – ვ. ფ. გერმანი, ა. ა. კაუფმანი, დ. პ. ჟურავსკი, ი. ე. იანსონი.¹³ ისინი განიხილავდნენ არა მარტო შეცდომების სახეებს, არამედ მათ გამომწვევ მიზეზებს და სხვა მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სპეციალურ სტატისტიკურ ლიტერატურაში მონაცემთა უტყუარობის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ო. მორგენშტერნის, ი. პ. სუსლოვის, უ. გ. ედელგაუზის, ვ. ი. ვოლოვოჩის, გ. ვ. ოსიპოვის, გ. ი. საგანენკოს და სხვათა ნაშრომები.¹⁴

წარმოშობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შეცდომათა სამი დიდი ჯგუფი:

1. შეცდომები, რომლებიც წარმოიშობა არსებული სინამდვილის სტატისტიკურ მონაცემებში აბსოლუტური სიზუსტით ასახვის შეუძლებლობის გამო;
2. შეცდომები, წარმოშობილი სპეციალურ მეცნიერულ თეორიათა არასრულყოფილების გამო;
3. შეცდომები, წარმოშობილი არასწორი და არასრული გაზომვის შედეგად, ასევე ფაქტების უნებლიე თუ წინასწარ განზრახვითი დამახინჯებით.

ამ ეტაპზე პირველი ორის განხილვა ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს.¹⁵

გაზომვის შეცდომებისა და თეორიული კონცეფციების შეცდომებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რაც შემდეგში მდგომარეობს:

¹³ Наставления политические Барона Бильфельда. Ч. 11, (пер. с фр), М., 1977; Герман К. Всеобщая теория статистики. Спб 1809; А. А. Кауфман. Теория и методы статистики. – М., 1928; Журавский Д. П. Об источниках и употреблении статистических сведений. М., 1946; Янсон. Ю. Э. Теория статистики. – Спб, 1907, с. 57.

¹⁴ О. О. Моргенштерн. О точности экономико-статистических наблюдений. -М., 1958; Еделгауз Г. Достоверность статистических показателей. М., 1977; Сулов И. П. Основы теории достоверности статистических показателей. - Новосибирск, 1979; Волович В. И. Надежность информации в социологическом исследовании. Киев, 1974; Методика и техника стчтистической обработки социологической информации. Под ред. Г. В. Осипова. М., 1968; Саганенко Г. И. Надежность результатов социологического исследования. Л. 1983.

¹⁵ Ядов В. А. Социологическое исследование (Методология, программа, методы). М., 1972, стр. 82-90.

- გაზომვის ხარისხი და მისი შეცდომები დამოკიდებულია თეორიულ კონცეფციაზე. შეიძლება ითქვას, რომ ცუდი თეორია განაპირობებს გაზომვის ცუდ შედეგებს. ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტიანია, უსარგებლოა გაზომვის შედეგთა სისწორის ამაღლების რაიმე ღონისძიების გატარება.
- თეორიასა და გაზომვას შორის არსებობს უკუკავშირიც: არა მარტო გაზომვის ხარისხია დამოკიდებული მეცნიერულ შინაარსზე, არამედ ეს უკანასკნელიც გაზომვის ხარისხზე. მართლაც, არასრულფასოვანი გაზომვა იწვევს საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის დამახინჯებას, რაც ახდენს შესასწავლი ობიექტის შემეცნების პროცესში დამატებითი სირთულეების შეტანას, აძნელებს დასრულებული თეორიული კონცეფციის შექმნას.
- გაზომვის პროცესში შეიძლება დაირღვეს ცნობილი თეორიული კონცეფციები, რის გამოც გაზომვის დროს დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება გამოიწვიოს შედეგის დამახინჯება. ამიტომ გაზომვის შეცდომები შეიძლება დავყოთ საკუთრივ შეცდომებად (გაზომვითი პროცედურის შეცდომებად) და თეორიული კონცეფციების დარღვევასთან დაკავშირებულ შეცდომებად.

არასწორი გაზომვის შედეგად მიღებული შეცდომები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: ინფორმაციის მოპოვების დროს დაშვებული შეცდომები და მაჩვენებლის გაანგარიშების დროს დაშვებული შეცდომები. პირველი რეგისტრაციისა და რეპრეზენტატიულობის შეცდომებია, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც შემთხვევითი, ისე სისტემატური ხასიათის, მეორე კი მაჩვენებლის გაზომვის შეცდომებია.

რეგისტრაციის შეცდომები როგორც სრული, ისე არასრული დაკვირვების დროს, შესაძლებელია დაშვებულ იქნას სხვადასხვა მიზეზისა და დაკვირვების ჩატარების არასასურველი გარემოებების გამო.

საზოგადოებრივი მოვლენების შემეცნებისათვის საჭირო მიმდინარე პროცესების შესახებ არსებული მასობრივი ინფორმაციის მიღების მრავალი წყარო არსებობს, განსხვავებული როგორც სივრცეში, ისე დროში. ეს უკვე განაპირობებს შეცდომების არსებობის დიდ შესაძლებლობას, რადგან ასეთ პირობებში სტატისტიკური მონაცემების მოპოვებასას სრული ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური ერთიანობის მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია.

საზოგადოებრივ მოვლენებზე სტატისტიკური დაკვირვების დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ თითქმის შეუძლებელია განმეორებითი დაკვირვების ჩატარება. ეს კი მოითხოვს დაკვირვების უკიდურესად გულმოდგინებით ჩატარებას, შეცდომების თავიდან აცილების ყველა საშუალების გამოყენებით.

შეცდომათა დიდი რიცხვი შეიძლება მივიღოთ დაკვირვების ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური ღონისძიებების არასათანადოდ შემუშავების შემთხვევაში. ასეთ მიზეზთაგან ძირითადია:

1. უპირველეს ყოვლისა, შეცდომა შეიძლება წარმოიშვას სტატისტიკური დაკვირვების ობიექტის საზღვრებისა და ერთეულის შერჩევის საკითხის არადადამაკმაყოფილებლად გადაწყვეტის გამო. თუკი დაკვირვების გეგმაში მკაფიოდ არაა აღნიშნული ობიექტის საზღვრები სივრცესა და დროში, ასევე ნიშნები, რომლებიც უნდა ახასიათებს დაკვირვების ერთეულს, მაშინ ამან შეიძლება გამოიწვიოს მოვლენათა

- ცალკეული ჯგუფების გამოტოვება და სხვადასხვა მოვლენაის დაუშვებელი აღრევა;
2. შეცდომის წარმოქმნა გამოწვეულია დაკვირვების ორგანოთა არასწორი შერჩევით. უნდა მოხდეს ინტერესთა გამიჯვნა, დაკვირვებას უნდა ატარებდეს არა შესასწავლი ობიექტის წარმომადგენელი, არამედ სხვა, ვინც არ არის დაინტერესებული არსებული სიტუციის კარგად ან ცუდად წარმოჩენით;
 3. მონაცემთა უტყუარობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ინფორმაციის რეგისტრაციის წესის შესახებ საკითხთა გადაწყვეტამ. მაგალითად, პირად საკუთრებაში არსებული ქონების შესახებ ინფორმაციის მიღება უშუალოდ დაკვირვების წესით უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე გამოკითხვით;
 4. მონაცემთა სიზუსტის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული დაკვირვების დროის მოხერხებულად შერჩევაზე, უპირველესად, აქ მნიშვნელოვანია კრიტიკული მომენტის დადგენა, რომლის დროსაც შესასწავლი ერთეულები ნაკლებად მოძრავი და ცვალებადი უნდა იყოს. მოსახლეობის აღწერისას ასეთ მომენტად ხშირად ირჩევენ იანვრის თვეს, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავის საცხოვრებელ სახლშია. მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემების გამოკვლევისას, როცა საქმე გვაქვს მოსახლეობის კონკრეტულ ჯგუფებთან, კრიტიკული მომენტი მაქსიმალურად უნდა შესაბამებოდეს მათ ცხოვრებისეულ პერიოდს. მაგალითად, ახალგაზრდების მიერ მომავალი პროფესიის შერჩევის საკითხის შესწავლის მიზნით, კვლევა უნდა ჩატარდეს მოსწავლეთა მიერ საშუალო სკოლის დამთავრების დროს. ამ შემთხვევაში სხვა დროის შერჩევა შეცდომების არსებობის მიზეზი იქნებოდა;
 5. მოპოვებულ მონაცემთა უტყუარობის ხარისხი დამოკიდებულია ასევე ფაქტების რეგისტრაციის ვადებზე. თუ განსაზღვრული ვადა არასაკმარისია დაკვირვების ჩასატარებლად, მაშინ მოხდება დაკვირვების ერთეულთა გამოტოვება. გაზრდილი ვადის დროს კი ფაქტების რეგისტრაციის მომენტი შორდება კრიტიკულ მომენტს, რაც, ასევე, უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციის ხარისხზე;
 6. მონაცემთა მოპოვებისას შეცდომების არსებობას განაპირობებს მოსახლეობის (რესპონდენტების) გამოკითხვისას დაკვირვების ადგილის არასწორი შერჩევა. როგორც წესი, გამოკითხვა უნდა ხდებოდეს სახლში ან სამუშაო ადგილას, ძალიან ნაკლებად სხვა ადგილებში – თეატრში, კლუბებში, დასასვენებელ პარკებში და სხვაგან;
 7. მონაცემთა უტყუარობაზე მოქმედებს ასევე, დამკვირვებელთა არასწორად შერჩევა, მოსახლეობაში ჩატარებული სუსტი განმარტებითი სამუშაოები და სხვა;
 8. დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ხარისხის განმსაზღვრელ მიზეზთა შორის ცენტრალურია სატისტიკური დაკვირვების პროგრამა, ე. ი. გამოსაკვლევე მოვლენათა შესასწავლი ნიშნების ჩამონათვალი. პროგრამა უნდა შეიცავდეს დაკვირვების ამოცანებში მითითებულ ყველა არსებით, ძირითად ნიშანს, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მოვლენის შესწავლა. პროგრამაში შემავალი შესასწავლი ნიშნების რიცხვი ოპტიმალური უნდა იყოს, რადგან იგი შესასწავლი მასივის უკუპროპორციულია და მასზეა დამოკიდებული რეგისტრაციის წესები, დამკვირვებელთა რიცხვი, მატერიალური და ფულადი სახსრები, დაკვირვების ჩატარების ვადები და ა. შ. გათვალისწინებულ უნდა იქნეს რესპონდენტის მდგომარეობა, რა-

თა არ მოხდეს მისი ზედმეტად გადაღლა, რაც, საბოლოოდ, გამოიწვევს მიღებული ინფორმაციის დამახინჯებას. ასევე, მნიშვნელოვანია დასმულ კითხვათა შინაარსის არსებითობის საკითხის გარკვევა. რესპონდენტისადმი დასმული კითხვები უნდა იყოს არსებითი, მოვლენის მნიშვნელოვანი მხარეების ამსახველი. პროგრამაში არ უნდა იყოს ჩართული ისეთი კითხვები, რომელთა შესახებ ინფორმაციის მიღება ძნელია (მაგალითად, დიდი ხნის წინათ მომხდარი ფაქტების აღდგენა), ან იმდენად ინტიმურია, პირადულია, რომ შეუძლებელია მათზე ობიექტური პასუხის მიღება, ან კიდევ ზიანის მომტანი იქნება მისთვის (ვთქვათ, მისი უფროსის კრიტიკული შეფასება). მაგრამ თუ კი დაკვირვებისათვის აუცილებელია პირადულ და „საშიშ“ კითხვებზე პასუხის გაცემა, მაშინ გამოკითხვა ანონიმური უნდა იყოს, რაც აამაღლებს მონაცემთა უტყუარობის დონეს. და ბოლოს, პროგრამაში უნდა მოვერიდოთ ემოციური შინაარსის კითხვების შეტანას.

9. ხარისხიანი ინფორმაციის მიღება დიდადაა დამოკიდებული კითხვის დასმის ფორმაზე. შემთხვევით არაა ნათქვამი, რომ კარგი კითხვა – პასუხის ნახევარიაო. დასმული კითხვა უნდა იყოს ზუსტად და ლაკონურად ფორმულირებული, სხვადასხვა უცხო თუ გაუგებარი ტერმინოლოგიის გარეშე. თუ კითხვები გაუგებარია, დასმულია არასწორი მისამართით, მასზე გაცემული პასუხიც შესაბამისად არასწორი იქნება. კითხვის ფორმა – დახურული იქნება თუ ღია, სწორად უნდა იქნეს შერჩეული დაკვირვების სპეციფიკიდან გამომდინარე. ზოგჯერ ღია კითხვები უფრო ეფექტიანია, ვიდრე დახურული და პირიქით. განსაკუთრებულად უნდა მივუდგეთ ამა თუ იმ მოვლენის თვისების ინტენსივობის შემფასებელ კითხვებს. ასეთ კითხვებზე პასუხი გარდა ჩვეულებრივი რიცხვებისა, შეიძლება რანგების ან ინტერვალების სახით იყოს მოცემული. ისინი (უფრო მეტად ექსპერტული შეფასებების დროს) სწორად უნდა იქნას შერჩეული და დაკვირვების სპეციფიკას შეესაბამებოდეს. ამასთან, რაც უფრო დიდია შესაბამის ქულათა გრადაცია, მით უფრო მეტად შემთხვევითი და განუსაზღვრელი შეიძლება იყოს შეფასება. ამიტომ, ყოველი კონკრეტული გამოკვლევისათვის არსებობს გრადაციათა რაღაც ოპტიმალური რიცხვი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია შედარებით ზუსტი ინფორმაციის მიღება.
10. მოპოვებული ინფორმაციის უტყუარობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს არა მარტო კითხვის შინაარსმა და ფორმამ, არამედ მისმა ადგილმა ანკეტაში ან ინტერვიუს სცენარში. პირველ რიგში, უნდა დავსვათ შინაარსის მიხედვით მარტივი, ადვილად გასაგები კითხვები, რომლებიც რაიმე ეჭვს არ იწვევენ, ასეთი კითხვები რესპოდენტს საქმიან განწყობას უქმნის. პროგრამაში დასმული კითხვები თანდათან უნდა რთულდებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია კითხვებზე გასაცემ პასუხთა თანმიმდევრობა. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პირველ ადგილას მყოფი სავარაუდო პასუხი უფრო ხშირად აირჩევა, ვიდრე სხვა დანარჩენი, ამიტომ ეს მდგომარეობა გასათვალისწინებელია უტყუარი მონაცემების მიღებისას.

სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა არასაიმედოობის მიზეზთა შორის არანაკლებ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ისეთი შეცდომები, რომლებიც წარმოიშობა მონა-

ცემთა მოპოვების პროცედურის განხორციელებისას. ამ მხრივ შესაძლებელია გამოვყოთ შეცდომების სამი ჯგუფი:

1. დაკვირვების ჩატარების გარეშე პირობებთან დაკავშირებული შეცდომები;
2. დამკვირვებლის, ინტერვიუერის ან კორესპონდენტის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებთან დაკავშირებული შეცდომები;
3. რესპონდენტის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე შეცდომები.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ინტერვიუერსა და რესპონდენტს შორის კონტაქტისათვის შერჩეული არასასურველი დრო. რესპონდენტის გამოკითხვა არ უნდა მოხდეს სამუშაოს დამთავრებისთანავე, ან საოჯახო დღესასწაულის დროს, რადგან მას არა აქვს სათანადო განწყობა, უპასუხოს დასმულ კითხვებს. იგივე შეიძლება ითქვას დილაადრიან ან გვიან საღამოს ჩატარებულ გამოკითხვებზე. აქვე შეიძლება დავასახელოდ დაკვირვების ადგილთან დაკავშირებული შეცდომები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაკვირვების ჩატარება უფრო მიზანშეწონილია სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილას. ამასთან, არასასურველია „მესამე პირის“ დასწრება, რადგან მას შეუძლია პასუხების შინაარსზე დიდი ზეგავლენა იქონიოს და, შესაბამისად, გამოიოწვიოს ფაქტების დამახინჯება.

ამავე ჯგუფს მიეკუთვნება საზომი ხელსაწყოების არასათანადო სიზუსტის მიზეზით დაშვებული შეცდომები. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხელსაწყოებით გაზომვის დროს ყოველთვის აქვს ადგილი ერთგვარ უზუსტობას, რომელიც მინიმალურ საზღვრებში უნდა იმყოფებოდეს. გარდა ამისა, არსებობს კონტროლის არარსებობის შემთხვევაში დაშვებული შეცდომები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლისას საზომი ხელსაწყოების გამო დაშვებული შეცდომები მნიშვნელოვნად ნაკლებია, რადგან აქ მათი გამოყენება იშვიათად გვიხდება.

შეცდომათა მეორე ჯგუფი მოიცავს დაკვირვების პროცესში დამკვირვებლის პიროვნებასთან დაკავშირებულ შეცდომებს. საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ არსებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება ინტერვიუერის მეშვეობით. ასეთი დაკვირვება შეიძლება განვიხილოთ, როგორც თავისებური „საზომი ხელსაწყო“ – ცნობილი ხელსაწყოებიდან ყველაზე უფრო რთული, რადგან იგი მოიცავს პიროვნულ თვისებებს (თავისუფლება, სურვილი, ემოცია და სხვ.). ბუნებრივია, რომ ამ „ხელსაწყოს“ ფუნქციონირება განაპირობებს სხვადასხვა სახის შეცდომას, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ყოველი კონკრეტული დამკვირვებლის პიროვნულ თვისებებთან.

ინტერვიუერის ზეგავლენა რესპონდენტთა პასუხების ხარისხზე, რომელიც სოციოლოგიაში ცნობილია „ინტერვიუერის“ ეფექტიანობის სახელწოდებით, მეტად მრავალგვარია. დამკვირვებელი რესპონდენტზე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს საქმის ცოდნით, მისდამი დაინტერესებით, ენთუზიაზმით, პროფესიონალიზმითა და პოლიტიკური შეხედულებებით. თუკი დამკვირვებელი გულგრილია თავისი საქმისადმი და არაპროფესიონალია, მისგან სასიკეთოს ვერაფერს მივიღებთ.

არანაკლები მნიშვნელობისაა დამკვირვებლის სქესი. როგორც წესი, ქალი-ინტერვიუერები უფრო გულწრფელი პასუხების მიღებას ახერხებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ზოგიერთ დემოგრაფიულ საკითხს. სხვადასხვა სქესის ინტერვიუერისა და რესპონდენტის შემთხვევაში რესპონდენტი ტენდენციურია და ცდილობს ფაქტების შე-

ლამაზებას. ზოგიერთი ამერიკელი სოციოლოგის მოსაზრებით, საუბარი უფრო ეფექტია-
ნია, როცა დამკვირვებელი და რესპონდენტი ახალგაზრდები და ერთი და იგივე სქესის
არიან, ნაკლებად ეფექტიანია – თუ კი ორივე ერთნაირი ასაკისა და სხვადასხვა სქესისაა.

დამკვირვებელი რესპონდენტზე არსებითად ზემოქმედებს, თუ იგი დაინტერესებუ-
ლია ამა თუ იმ პასუხით. ამ შემთხვევაში დამკვირვებელი შეუგნებლად ან შეგნებულად
ისე სვამს კითხვას, რომ რესპონდენტიდან სწორედ მისთვის მოსაწონი პასუხი მიიღოს,
რაც განაპირობებს შეცდომების არსებობას. მეტად მნიშვნელოვანია დამკვირვებლის მა-
ნერები, როცა იგი პატივისცემით ეპყრობა რესპონდენტს, მისგანაც დადებით ურთიერ-
თობას იღებს და პასუხებიც ადეკვატურია. პირიქით ხდება დამკვირვებლის უხეში და-
მოკიდებულების დროს – პასუხები უტყუარობის თვალსაზრისით დაბალი ხარისხისაა.
ამასთან, გასათვალისწინებელია დამკვირვებლის გარეგნობაც და ჩაცმის სტილიც.

შეცდომები შესაძლებელია დაშვებულ იქნას დამკვირვებლის საქმისადმი დამოკი-
დებულებით, როცა იგი ჩქარობს ან ნერვიულობს. ეს კი, თავის მხრივ, აისახება რესპონ-
დენტის პასუხების ხარისხზე და მათი ჩაწერის პროცესზე. სტატისტიკური პრაქტიკა
გვიჩვენებს, რომ გადაღლილობისა და გულგრილი დამოკიდებულების შედეგად
გვხვდება ისეთი შეცდომები, როგორცაა – რიცხვების გაურკვეველად ჩაწერა, ციფრთა გა-
დანაცვლება, გამოტოვება, არასწორი დაჯამება და სხვ. რესპონდენტთა პასუხები შეიძ-
ლება განიცდიდეს დეფორმაციას დამკვირვებლის მიერ მათი აღქმის მიხედვით, თუ კი
მას თავისი გამოცდილების გამო მოცემული საკითხისადმი სტერეოტიპული დამოკიდე-
ბულება გააჩნია. ამ დროს იგი პასუხს იწერს არა ისე, როგორც ამას რესპონდენტი აყალი-
ბებს, არამედ ისე, როგორსაც იგი ელოდება (შესაძლებელია რესპონდენტს მიაწეროს კი-
დეც თავისი აზრები და გრძნობები). დამკვირვებლის აღნიშნული თვისება დაკავშირებუ-
ლია მის პრაქტიკულ გამოცდილებასთან და პასუხის მისეულ ფორმირებასთან. ამ მხრივ,
ასევე მნიშვნელოვანია დამკვირვებლის პირადი დაინტერესება, როცა იგი ნებისთ თუ უნებ-
ლიედ რესპონდენტთა პასუხებს უკეთებს მისეულ ინტერპრეტაციას.

როგორც ვხედავთ, მონაცემთა მოპოვების პროცედურის დროს დამკვირვებლის პი-
როვნებასთან დაკავშირებული შეცდომები, უმეტეს შემთხვევაში, შინაარსის მიხედვით
ობიექტური ხასიათისაა, რადგან დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, პროფესიონალიზმზე,
კომპეტენტურობასა და სხვა რეალურ ნიშნებზე. მაგრამ, რადგან ისინი გამომდინარეობს
სუბიექტ-დამკვირვებლის პიროვნებიდან, ფორმის მიხედვით ის სუბიექტური ხასიათი-
საა. საერთო შეცდომების სუბიექტურ კომპონენტებში შეიტანება შეცდომათა ის ნაწილი,
რომელიც განპირობებულია დაკვირვების პროგრამულ-მეთოდოლოგიური და ორგანი-
ზაციული საკითხებისადმი სუბიექტური დამოკიდებულებით და ასევე, ისინიც, რომლე-
ბის დამკვირვებლის შეგნებული, არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების შედეგია.

შეცდომათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება რესპონდენტის პიროვნული თვისებებით
განპირობებული შეცდომები. ასეთია:

1. მისი მოცემული გამოკვლევისადმი ინტერესისა და დამოკიდებულების ხარის-
ხის;
2. რესპონდენტის სქესის, ასაკის, განათლებისა და კულტურის, მისი პოლიტიკუ-
რი შეხედულებების, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და ინფორმაციულობის
ხარისხის;

3. საკითხისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულების, საკუთარი თავის გამოჩენის, ადრე მომხდარი ფაქტების აღდგენის (მეხსიერების გაუარესება, უსიამოვნო ფაქტები, წვრილმანი შენაძენები, ცალკეული თარიღები და სხვ.) მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მეხსიერებასთან დაკავშირებული შეცდომები ზოგიერთ გამოკვლევაში 40%-ს აღწევს. სოციოლოგები აღნიშნავენ რესპონდენტის პიროვნულ თვისებებთან დაკავშირებულ შემდეგ ფენომენს, როცა რესპონდენტი დახურული კითხვების სავარაუდო პასუხებიდან, პირველ რიგში, ირჩევს დადებით პასუხს, რაც იმით აიხსნება, რომ პასუხი „დიახ“ უფრო ნაკლებ ახსნას მოითხოვს ვიდრე უარყოფითი ხასიათის პასუხი „არა“. სპეციალისტთა აზრით, დადებითი პასუხების უპირატესობა უარყოფითთან შედარებით შეადგენს 8-12%-ს. გამოკითხვის დროს რესპონდენტები სხვადასხვა როლს ასრულებენ – უმეტესობა იძლევა ინფორმაციას თავის თავზე (გამოდიან საკუთარი თავის შეფასების ექსპერტებად – მაგალითად, „როგორია თქვენი აზრი ფილმის შესახებ?“). ამიტომ კითხვები სხვისი შეფასების შესახებ ნაკლებად ზუსტია, ვიდრე პასუხები საკუთარი თავის შეფასების შესახებ, რაც, უდაოდ, უნდა იქნეს გათვალისწინებული მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტის ხარისხის შეფასების დროს.

ამრიგად, რესპონდენტის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, შეცდომები სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ, ამავე დროს, ობიექტურიცაა, რადგან განპიროვნებულია რესპონდენტის რეალურად არსებული თვისებებით – განათლებით, ცხოვრებისეული გამოცდილებით, მეხსიერების ხარისხით და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი შეცდომა აშკარად ატარებს შეგნებულ, წინასწარ განზრახვით ხასიათს, მაგრამ არა საზიანოს.

სოციალურ სტატისტიკაში რეგისტრაციის შეცდომები ასევე გვხვდება ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშგების დროსაც, რომლის ძირითადი წყარო პირველადი აღრიცხვის ცუდი ორგანიზებაა. თუმცა, გვხვდება ისეთი შეცდომებიც, როგორცაა მონაცემთა არასწორი დაჯამება, ანგარიშგების ფორმებში ფაქტების არასწორად ჩაწერა და სხვ.

გარდა ამისა, რეგისტრაციის შეცდომები შეიძლება იყოს წინასწარგანზრახვითი და არაწინასწარგანზრახვითი, ანუ შემთხვევითი. ჩვენს მიერ განხილული რეგისტრაციის წინასწარგანზრახვითი შეცდომები, რომლებიც დაკავშირებულია დამკვირვებლისა და რესპონდენტის პიროვნულ თვისებებთან, კერძოდ, რესპონდენტის სურვილი სხვაზე უფრო კარგი იყოს, ვიდრე სინამდვილეშია, ან დამკვირვებლის სურვილი, რომ დაამტკიცოს თავისი სუბიექტური შეხედულება, როგორც წესი, არ არის საზოგადოებისათვის მატერიალური ზიანის მომტანი. ამიტომ იგი შეიძლება ჩაითვალოს ნომინალურ წინასწარგანზრახვით შეცდომად. უფრო საშიშია ისეთი შეცდომები, რომლებიც მიზნად ისახავენ ფაქტების დამახინჯებას ინფორმაციის დამალვის ან რეალური სიტუაციის შელამაზების გზით.

რაც შეეხება რეპრეზენტატულობის შეცდომას, რომელიც მხოლოდ შერჩევითი დაკვირვებისთვისაა დამახასიათებელი, თავის მხრივ, იგი ორი სახისაა: შემთხვევითი და სისტემატური. პირველი წარმოიშობა სრულიად შემთხვევით და გადიდების ან შემცირების ერთნაირი ალბათობა აქვს, თანაც დაკვირვების დიდი რიცხვის შემთხვევაში „ქრება“, ანუ ურთიერთგაბათილდება ხოლმე. სისტემატურ შეცდომებს ადგილი აქვს მაშინ, როცა

საქმე გვაქვს მონაცემთა შერჩევისათვის შემთხვევითობის პრინციპის დარღვევასთან.

რეპრეზენტატულობის შეცდომის (სხვაობა შერჩევითი და გენერალური ერთობლიობის მაჩვენებლებს შორის) სიდიდე დამოკიდებულია შესასწავლი ნიშნის ცვალებადობაზე. თუკი ერთობლიობის ყველა ერთეული ერთნაირია, მაშინ ერთი ერთეულის გაზომვის შედეგები შესაძლებელია დანარჩენზე იქნეს გავრცელებული. სინამდვილეში საქმე ასე არ არის. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მოვლენებში ყოველთვის არსებობს ნიშანთა ცვალებადობა და, რაც უფრო მეტად იცვლება შესასწავლი ნიშანი, მით უფრო დიდია სტატისტიკურ შეცდომათა სიდიდე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შერჩევითი მეთოდის ძირითადი მიზანია შერჩევითი ერთობლიობის გამოკვლევის შესწავლის შედეგად მიღებულ სტატისტიკურ მახასიათებელთა გენერალურ ერთობლიობაზე გავრცელება. თუკი შერჩევა საკმარისად კარგად ასახავს გენერალური ერთობლიობის თვისებებს, მაშინ იგი ითვლება რეპრეზენტატულად.

რეპრეზენტატულობა მიიღწევა გარკვეულ წინაპირობათა შესრულებით, რომლებიც წინ უნდა უსწრებდეს ერთობლიობის ერთეულთა შერჩევას. **ჯერ ერთი**, გენერალური ერთობლიობის თითოეულ წევრს უნდა გააჩნდეს შემთხვევით ერთობლიობაში მოხვედრის თანაბარი ალბათობა; **მეორე**, გენერალური ერთობლიობიდან ერთეულთა ერთი მიმართულებით შერჩევის თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია შერჩევა შესასწავლი ნიშნის შესაბამისად მოხდეს; **მესამე**, შერჩევა უნდა ჩატარდეს ერთგვაროვანი ერთობლიობიდან; **მეოთხე**, გენერალური ერთობლიობიდან შერჩეულ ერთეულთა რიცხვი საკმარისად დიდი უნდა იყოს.

აღნიშნული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში მიღწეული იქნება მაჩვენებელთა რეპრეზენტატულობის საკმარისად მაღალი ხარისხი

2.4. მოვლენათა გაზომვა–სკალირების მეთოდი

სოციალური სტატისტიკის მონაცემთა დამუშავება და ანალიზი მოითხოვს სოციალური მოვლენებისა და პროცესების დახასიათებისათვის საჭირო რაოდენობრივი მეთოდების შემუშავებას, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი ნიშნები. სტატისტიკური მეთოდების უმეტესობა ითვალისწინებს მათემატიკური ოპერაციების ჩატარებას – მნიშვნელობათა შეკრება-გამრავლებას, რანჟირებას, მაჩვენებლების გაანგარიშებას. ამა ტუ იმ მეთოდის სწორად გამოყენებისათვის აუცილებელია დასამუშავებელი ცვლადები ისეთი ხერხებით გავზომოთ, რომ შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება მოცემული მათემატიკური პროცედურისათვის. მაგალითად, სტატისტიკური მეთოდების უმეტესობა საჭიროებს მონაცემთა (ცვლადის) შეკრებას. ამიტომ მისი გამოყენება მაშინაა შესაძლებელი, როცა ცვლადები გაზომილია ისეთი წესით, რომელიც შეკრების შესაძლებლობას იძლევა.

მაშასადამე, სტატისტიკური მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე, თუ ცვლადი როგორაა გაზომილი. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია გადავწყვიტოთ რიგი სპეციფიკური პრობლემები. კერძოდ, სოციალური გაზომვის ანუ კვანტიფიკაციის პრობლემა, რომელიც სოციალურ-სტატისტიკური კვლევის ფორმალიზაციის მეთოდთა სახესხვაობას წარმოადგენს. სოციალურ გაზომვას ხშირად უწოდებენ კვალიმეტრიასაც, როგორც პირობით რაოდენობრივ ურთიერთშეფარდებას.

ლიტერატურაში მოცემულია გაზომვის შესახებ სხვადასხვა შეხედულებები, განსაზღვრებები. ავტორთა თვალსაზრისით მათ შორის განსხვავება არსებობს.¹⁶ ჩვენ მათ დეტალურად არ განვიხილავთ, უბრალოდ მოვიტანთ განსაზღვრებას, რომელიც საყოველთაოდაა აღიარებული: **გაზომვა წარმოადგენს ობიექტისადმი ან მოვლენებისადმი გარკვეული წესის თანახმად ციფრების მიკუთვნების (მიწერის), პროცესს.** ამასთან, ციფრებში იგულისხმება ნიშნებიანი სიმბოლოები და არა ერთმანეთთან ფიქსირებულ მიმართებაში მყოფი ჩვეულებრივი რიცხვები (არ შეიძლება მათი შეკრება, გამოკლება და ა. შ.). ის წესები, რომელთა მიხედვითაც ობიექტებს მივაწერთ ციფრებს, უნდა გვიჩვენებდეს, თუ რა ზომით მოეპოვებათ ამ ციფრებს ის ფორმალური თვისებები, რომლებიც გააჩნიათ რიცხვებს. ეს კი, რა თქმა უნდა, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რიცხვების ეს ფორმალური თვისებები რამდენად ახასიათებს თვით იმ ობიექტებს, რომელთა გაზომვაც ჩვენს ინტერესს შეადგენს.

გაზომვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მიმართებებისა და გამოყენებული ემპირიული ოპერაციების ფორმალური თვისებების დახასიათება და იმის ჩვენება, რომ ისინი იზომორფული არიან. რიცხვებს შორის შესაბამისად ამორჩეულ მიმართებებსა და რიცხვებზე ჩატარებული ოპერაციების გაზომვას ექვემდებარება სოციალური მოვლენების ყველა ნიშანი, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი.¹⁷

რაც შეეხება რაოდენობრივ გაზომვას (ასაკი, ხელფასის სიდიდე, შემოსავლები და სხვ.), საქმე მარტივადაა, რადგან მათთვის არსებობს გაზომვის საყოველთაო ეტალონები: ასაკისთვის – წელი, ოჯახის შემადგენლობისთვის – კაცი და ა. შ. თვისებრივი ნიშნები (ეროვნება, სქესი, ადამიანთა შეხედულებები და სხვ.), არ ექვემდებარებიან გაზომვის დადგენილ ეტალონებს. ამიტომა უცილებელია რაოდენობრივი ხასიათის ისეთი შეფასებები, როგორიცაა: ციფრების მიწერა, ქულების მინიჭება და სხვა (ქულები ენიჭება 0-დან 100-მდე, ხოლო რანგები 1-დან n-მდე). სოციალური მოვლენების გაზომვისთვის სოციალური სტატისტიკა იყენებს სკალირების ხერხს. უმთავრესად იგი მოპოვებული სტატისტიკური მასალის ანალიზის საშუალებაა, თუმცა, სკალა ზოგჯერ მასალის მოპოვების დროსაც გამოიყენება, მაგრამ როგორც ანალიზის წინასწარ მოცემული ინსტრუმენტი.

სოციალურ სტატისტიკაში სკალირება დიდი ტრადიციების მქონე არ არის და მისი გამოყენება მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო. იგი საზოგადოებრივი მოვლენების გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. არასრულყოფილი სკალაც კი

¹⁶ იხ. С. Стивенс. Математика, измерение и психофизика. В кн. Экспериментальная психология. сост. С. Стивенс. М., 1960, с. 19.

¹⁷ იხ. П. Суппес и Дж. Зинес. Основы теории измерений. В кн. Психологические измерения. Под ред. Л. Д. Мешалкина. М., 1967, с. 11.

შესაბამისი ნიშნების საფუძველზე მოვლენათა განსხვავების საშუალებას გვაძლევს.

სკალირების მთავარი ამოცანაა თვისებრივად განსხვავებული მონაცემების მოტანა და შეპირისპირება რაოდენობრივ მაჩვენებლებთან. ეს აუცილებელი პროცედურაა ყოველი სოციალურ-სტატისტიკური გამოკვლევისათვის, რადგან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სხვადასხვა სახის ტენდენციათა გამოვლენა. იგი ყველა გამოკვლევისათვის ზოგადი და საერთო ამოცანაა, შესაბამისად, სკალათა გამოყენების სფეროც საკმაოდ ფართოა: პროფესიით კმაყოფილების, შრომისადმი დამოკიდებულების, სპეციალობის პრესტიჟულობის, კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებათა, სწავლის სკალები და სხვ.

სკალა ემპირიული სოციალური ინფორმაციის მოწესრიგების ხერხი, რიცხვთა სისტემა და მათ შორის ურთიერთშეფარდება, გაზომვადი სოციალური ფაქტების დალაგების იზომორფია. იგი ალგორითმია, რომლის დახმარებითაც ხორციელდება შესასწავლი ობიექტის რიცხობრივ სისტემაში გამოსახვა. მისი საშუალებით ყოველ ობიექტზე მიკუთვნებული შესაბამისი რიცხვი ამ ობიექტის სკალის მნიშვნელობას წარმოადგენს.

ყოველი სკალა შედგება სამი ელემენტისაგან: სკალის სიგრძე (კონტინუუმი), ზომის ერთეული და რაოდენობრივი მაჩვენებელი.

სკალის სიგრძე (კონტინუუმი), რომელიც მოიცავს გარკვეულ საზღვრებს – დასაწყისსა და დასასრულს, მინიმუმს და მაქსიმუმს – ახასიათებს ყველა სახის სოციალურ მოვლენას: ხელფასის მაქსიმალური და მინიმალური მოცულობა, განათლების დონე (უმაღლესი, საშუალო, არასრული საშუალო და ა. შ.), სამუშაოთი კმაყოფილების დონე (მაქსიმალურად კმაყოფილება და მაქსიმალურად დაუკმაყოფილებლობა) და სხვ.

ზომის ერთეული რაოდენობრივი (ნატურალური, ღირებულებითი და ა. შ.) ნიშნებისთვის აბსოლუტური ხასიათისაა და, შესაბამისად, ზუსტი, ხარისხობრივი ნიშნებისთვის შედარებითია და ძირითადად არაერთნაირი. გავრცელებული ზომის ტიპებია – „მეტი-ნაკლები“, „სუსტი-ძლიერი“ და ა. შ. ამასთან, რაც უფრო დანაწევრებულია ზომის ერთეული, მით უფრო ზუსტია იგი. მაგალითად, დროის ბიუჯეტი, გამოსახული საათებში და წუთებში. ამ შემთხვევაში წუთებში გაზომვა უფრო ზუსტია, უფრო დანაწევრებულია, რადგან იგი დროის მცირე მონაკვეთებს გამოსახავს.

სკალები მრავალი სახისაა და მათი კლასიფიკაციისათვის შესაძლებელია სამი პრინციპის გამოყენება: აგების წესის, გასაზომი ობიექტისა და კვლევის პროცესში შესასრულებელი ფუნქციის მიხედვით.

აგების წესის მიხედვით, სოციალურ სტატისტიკაში გამოიყენება ს. სტივენსის მიერ შემოთავაზებული ოთხი ტიპის სკალა:

- ნომინალური (სახელდებითი);
- რიგითი (ორდინალური, რანგული);
- ინტერვალური;
- ფარდობის (მიმართების, პროპორციულობის).

მათგან თითოეული ითვალისწინებს განსაზღვრულ მათემატიკურ ოპერაციასა და სტატისტიკურ მეთოდს.

ნომინალურ სკალაზე, რომელიც გვამლევს სოციალურ მოვლენათა, ობიექტთა უბრალო კლასიფიკაციას, მათ ნუმერაციას, შესაძლებელია მოვლენათა (ნიშანთა) მხოლოდ განსხვავება და არა მათ შორის რაოდენობრივი სახის მიმართების დადგენა. იგი უმარტივესი სკალაა, სადაც ერთმანეთის განგანსხვავებულ ერთეულებს მიეწერება სხვადასხვა ციფრი.

ამასთან, ერთი და იგივე რიცხვი არ შეიძლება მივაკუთნოთ განსხვავებული თვისებრიობის ობიექტებს და შევიტანოთ ერთ ერთობლიობაში, ან პირიქით, თვისებრივად იდენტური ობიექტები არ შეიძლება შევიტანოთ სხვადასხვა ერთობლიობაში. ნუმერაცია მხოლოდ განასხვავებს სტატისტიკური ერთობლიობის ერთეულებს და ციფრები (რიცხვები) მხოლოდ სიმბოლოების როლს ასრულებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაოდენობრივი მნიშვნელობები. ამიტომ მათზე არ შეიძლება იმ ოპერაციის ჩატარება, რასაც ნამდვილ რიცხვებზე ვატარებთ. ისინი არ გამოხატავენ ამ ობიექტებს (ერთეულებს) შორის მეტ-ნაკლებობას. ნომინალური სკალისათვის დასაშვებია მხოლოდ ერთადერთი მათემატიკური ოპერაცია – შესასწავლი ნიშნის მიხედვით მოცემული ცვლადის მნიშვნელობათა შეკრება.

ნომინალური სკალა მხოლოდ ერთ კატეგორიაში გაერთიანებულ ობიექტთა შორის ტოლობა-განსხვავების ოპერაციას გამოსახავს, ე. ი. იგი ემსახურება მხოლოდ ერთეულთა დალაგებას და სხვანაირ ინფორმაციას ვერ იძლევა. აქედან გამომდინარე, ამ სკალის აგებისას, ობიექტის მახასიათებელი თვისება ისეთნაირად უნდა იქნას კლასიფიცირებული, რომ მას სოციალური მნიშვნელობა, შინაარსი ჰქონდეს.

რიგითი სკალა ატრიბუტული (თვისებრივი) ნიშნების გარკვეული თანმიმდევრობითი რანჟირებაა – მათი ამა თუ იმ თვისების ინტენსივობის ზრდისა და შემცირების მიხედვით განლაგება. მაშასადამე, ისინი არა მარტო თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ გააჩნიათ გარკვეულ თვისებათა მეტი ან ნაკლები ხარისხი და შეუძლიათ იმის განსაზღვრა, თუ რამდენით აღემატება ერთი მეორეს.

საკვლევი ობიექტის თვისებრივი ნიშნის გარკვეული რიგით რანჟირების შემდეგ შესაძლებელია მათ ციფრები მივაკუთვნოთ, რომლებიც იმდენად ჩაითვლებიან რიცხვებად, რამდენადაც გააჩნიათ რიცხვთა ჩვეულებრივი რიგი და ეს რიგითობა ნიშნის თვისებრიობის შესაბამისი უნდა იყოს (მაგალითად, ძლიერი-2, სუსტი-1. აქ მეტ-ნაკლებობა თვისებრიობის მეტ-ნაკლებობას ნიშნავს, ანუ ძლიერი > სუსტი), რადგან უცნობია ცვლადთა ზუსტი მნიშვნელობები, სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობები კი შეზღუდულია. ყველაზე რთული მათემატიკური ოპერაცია რიგითი სკალის ცვლადებისათვის არის კატეგორიათა (ერთეულთა) რანჟირება. რიგითი სკალა ფართოდ გამოიყენება პედაგოგიურ პრაქტიკაში – ცოდნის შეფასებისათვის.

ინტერვალურ სკალაში ობიექტები ერთმანეთისგან განსხვავებულია და შეიძლება მათი გარკვეული რიგით რანჟირება და ამასთან, დადგენილია ზომის ზუსტი ერთეული. სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ, თუ ერთი ობიექტი რამდენი ერთეულით მეტია ან ნაკლებია მეორეზე, ე. ი. გამოსაკვლევ ობიექტებს შორის განვსაზღვროთ ვარიანტთა სხვაობები.

ვარდობის (პროპორციულობის, მიმართების) სკალისათვის დამახასიათებელია „ბუნებრივი“ ერთეულები და ათვლის საწყისი ნულოვანი წერტილი. სწორედ ამ

უკანასკნელის გამოა შესაძლებელი იმის დადგენა, ერთი ობიექტი რამდენით ან რამდენჯერ მეტია ან ნაკლები მეორეზე. გასაზომი მოვლენისადმი მიწერილი ციფრი ობიექტის ჭეშმარიტი სიდიდის პროპორციულია. მათ გააჩნიათ ნამდვილ რიცხვთა ყველა თვისება. თუმცა, მასზე არ არის დაფიქსირებული ერთეულის სიდიდე და მის შერჩევაში სავსებით თავისუფალნი ვართ. ასეთი სკალებია: წონის, ფულადი ერთეულების და სხვ.

განხილული სკალების დახასიათება მოყვანილია სქემის სახით (იხ. ნახ. 2.4.1).

როგორც ვხედავთ, ფარდობის სკალით გაზომვის შემთხვევაში შესაძლებელია ნებისმიერი სტატისტიკური მაჩვენებლის გაანგარიშება, მაშინ, როცა სხვა სკალებისათვის მათი რიცხვი თანდათანობით მცირდება და ნომინალური სკალისათვის იგი ყველაზე ნაკლებია.

სიმკაცრის მიხედვით, ნომინალური სკალა ყველაზე უფრო ნაკლებად მკაცრია, ფარდობის კი - ყველაზე მკაცრი. ნებისმიერი სტატისტიკური საზომი, რომელიც გამოიყენება მოცემული სკალისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო მკაცრი სკალისთვისაც, მაგრამ არა პირიქით. ამასთან დაკავშირებით, მოცემული სკალისათვის, სტატისტიკური სიდიდის არჩევის დროს საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ არჩეული სტატისტიკური საზომი რაც შეიძლება რაციონალური იყოს, ე. ი. ითვალისწინებდეს ემპირიულ მონაცემებში შემავალ სრულ ინფორმაციას.

სკალა	სკალის აღწერა	სკალაზე მოცემული დამოკიდებულება	გამოსათვლელის სტატისტიკური მაჩვენებელი	მაგალითები
ნომინალური (სახელდებითი)	სისტემაში მოყვანა	ექვივალენტობა (ტოლობა)	მოდა, პირსონისა და ჩუპროვის კოეფიციენტები	პერსონალის პროფესიათა კლასიფიკაცია
რიგითი (რანჟირებული)	ერთობლიობაშიშემავალნიშანთაიერარქიული დაქვემდებარება	1. ექვივალენტობა (ტოლობა) 2. შედარება („მაღალი ვიდრე“)	დეცილი, კვარტილი, მედიანა, კავშირის მაჩვენებლები	მუშაკთა კლასიფიკაცია სატარიფო თანრიგის მიხედვით
ინტერვალური	მწკრივის ვარიანტების სიდიდეთა შორის განსხვავება	1. ექვივალენტობა (ტოლობა) 2. შედარება („მაღალი ვიდრე“) 3. რამდენით მეტია ან ნაკლები მწკრივის ვარიანტთა სიდიდეები	საშუალოებისა და ვარიაციის მაჩვენებლები, ურთიერთკავშირის მაჩვენებლები, ოპერაციები ნატურალურ რიცხვებზე	შეფასების ქულებისა და რანგების მინიჭება
ფარდობის (პროპორციული, მიმართების)	ინტერვალური სკალა და ნულოვანი წერტილი	1. ექვივალენტობა (ტოლობა) 2. შედარება („მაღალი ვიდრე“) 3. რამდენით მეტია ან ნაკლები	საშუალოებისა და ვარიაციის მაჩვენებლები, ურთიერთკავშირის მაჩვენებლები, ოპერაციები	რანჟირება და შეფასების ქულების მინიჭება, ნატურალურ ერთეულებში გა

		მწკრივის ვარიანტთა სიდიდეები 4. რამდენჯერმეტია ან ნაკლებიმწკრივის ვარიანტების სიდიდეები	ნატურალური რიცხვებზე	ზომვა
--	--	---	----------------------	-------

ნახ. 2.4.1. სტივენსის სკალათა დახასიათება

პრაქტიკაში, ზოგჯერ შეიძლება აღმოვჩნდეთ ისეთ სიტუაციაში, როცა შეუძლებელია იმის ზუსტი დადგენა, თუ რა სახის სკალასთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ზომის ერთეული დადგენილი გვაქვს, მაგრამ არ შეგვიძლია ვაწარმოთ შეკრების ოპერაცია. ამ შემთხვევაში ჩვენს წინაშე დგას ორი ალტერნატივა - ვისარგებლოთ მხოლოდ რიგის სკალით და ხელიდან გავუშვათ საჭირო ინფორმაცია; ან გამოვიყენოთ ინტერვალური სკალის სათანადო სტატისტიკური მეთოდები, რასაც შეიძლება თან სდევდეს იმის რისკი, რომ მივიღებთ ისეთ შედეგებს, რომლებიც სინამდვილეს არ შეესაბამება.

გასაზომი ობიექტების მიხედვით, გამოიყოფა მოვლენათა ორი დიდი კლასი: 1) ოფიციალური მდგომარეობის ამა თუ იმ ნიშნის, სოციალური ქცევის ფორმების მოვლენები; 2) საზოგადოებრივი აზრის (ცნობიერების) მოვლენები.

პირველ შემთხვევაში, სკალისათვის საჭირო ამოსავალი მასალა გარკვეული ობიექტური ინფორმაციაა. მაგალითად, ქალაქის მოსახლეობის ბინით უზრუნველყოფის სკალა, პროფესიების მოწესრიგებული სკალა, სამუშაოთი ან პოლიტიკური ინფორმაციის გარკვეული წყაროებით დაკმაყოფილების სკალა და სხვ. მეორე შემთხვევაში გამოიყენება საზოგადოებრივი აზრის სკალები.

გამოკვლევის პროცესში, შესრულებული ფუნქციის მიხედვით, სკალები შეიძლება იყოს ინფორმაციის მოპოვების პირველ საფეხურზე – პირველადი სკალები და სკალები მონაცემთა ანალიზის დროს. პირველადი სკალები ანალიზის დაწყების წინ დგება.

2.5. დაჯგუფების თავისებურებანი სოციალურ სტატისტიკაში

სოციალურ სტატისტიკაში, სადაც საქმე გვაქვს მასობრივ საზოგადოებრივ მოვლენებთან და პროცესებთან, სოციალური კლასების, ფენებისა და ხალხთა კოლექტივებისაგან შემდგარ სტატისტიკურ ერთობლიობასთან, რომლის ცალკეული ერთეულების თვისებები აღიწერება ერთიანი ნიშნების მეშვეობით. პირველადი მონაცემები სათანადოდ მოწესრიგებული, ცხადად წარმოდგენილი და შინაარსობრივი

ანალიზისა და დასკვნების დასაბუთებისათვის ხელსაყრელი უნდა იყოს. ამ მიზნით გამოიყენება სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდი.

სოციალურ სტატისტიკაში დაჯგუფების ქვეშ იგულისხმება სოციალური ერთობლიობის დანაწევრება ჯგუფებად, რომელთა ცალკეული ერთეულები არსებითი ნიშნებით ხასიათდება.¹⁸ მისი საერთო დანიშნულება რამდენიმე ცვლადთა შორის ურთიერთკავშირების გამოვლენაა. მასალების დამუშავებისა და ანალიზის ყველა სახის სტატისტიკური მეთოდების გამოსაყენებლად, დაჯგუფება წარმოადგენს აუცილებელ მოსამზადებელ ეტაპს. იგი პირველადი სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის დროს რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

დაჯგუფების დროს მნიშვნელოვანია სწორად შევარჩიოთ ერთობლიობიდან ცალკეული ჯგუფების გამოსაყოფად და მათში თვისებრივად ერთგვაროვან ერთეულთა გასაერთიანებლად საჭირო ძირითადი ნიშანი. სწორედ ამ ნიშანთა შერჩევა გარკვეულწილად განსაზღვრავს დასკვნების სისწორეს და ამიტომ აუცილებელია შევჩერდეთ მათ ბუნებაზე.

ნიშნების საყოველთაოდ მიღებულ კლასიფიკაციასთან ერთად სოციალურ სტატისტიკაში ადგილი აქვს ნიშანთა ისეთ კლასიფიკაციას, რომელთა გარეშე შეუძლებელია სოციალურ მოვლენათა სტატისტიკური შესწავლის ამოცანათა გადაწყვეტა.

როგორც ცნობილია, სოციალურ სტატისტიკაში უფრო ფართოდ გამოიყენება არარაოდენობრივი, ანუ ატრიბუტული ნიშნები, ვიდრე რაოდენობრივი. რაოდენობრივ ნიშანს, რომელიც იყოფა წყვეტილ (დისკრეტულ) და უწყვეტ ნიშნებად, სოციალურ სტატისტიკაში წარმოადგენს დროითი ნიშანი. პირველ რიგში, ეს არის მოქმედების მდგომარეობის ხანგრძლივობა (მაგალითად, ქორწინებაში ყოფნა, სწავლის ხანგრძლივობა და ა. შ.), მეორეც, დროში შესასწავლი მოვლენის ისტორიული დახასიათება, დინამიკა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა უწყვეტი ნიშანი სოციალურ სტატისტიკაში წარმოდგენილია დისკრეტული სახით.

სოციალურ სტატისტიკაში განიხილავენ ნიშანთა შემდეგი სახის კლასიფიკაციას:

1. გამოსახვის ფორმის მიხედვით;
2. დამახასიათებელი თვისების მიხედვით;
3. დროში ცვლილების უნარისა და ცალკეული ადამიანის მიერ ნიშნის შექმნის წესის მიხედვით.

გამოსახვის ფორმის მიხედვით, დაჯგუფება ხდება ალტერნატიული ნიშნების საშუალებით, რომელსაც ორი ურთიერთგამორიცხავი მნიშვნელობა გააჩნია (მაგალითად, წერა-კითხვის მცოდნე – წერა-კითხვის არმცოდნე, ქართველი – არაქართველი და ა. შ.).

სოციალურ სტატისტიკაში გამოყოფენ დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ ნიშნებს. დემოგრაფიულ ნიშნებს მიეკუთვნება – სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ოჯახში ინდივიდის სტატუსი. ისინი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია და, რადგანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოსახლეობის სოციალურ ცხოვრებასთან, საჭიროა მათი სოციალურ სტატისტიკაში განხილვა.

¹⁸ იხ. Социальная статистика. Учеб. / Под ред. М. Г. Назарова. М., 1988, с. 54.

მაგალითად, ადამიანის ასაკი – მისი ბუნებრივი თვისება – განსაზღვრავს ყველა მის მთავარ სოციალურ როლს, ადამიანი იძენს სოციალურ თვისებებს – განათლება, პროფესია; ვითარდება შრომითი მოღვაწეობა, იცვლება დემოგრაფიული ნიშნებიც – ოჯახური მდგომარეობა, ქორწინება და ა. შ.

დემოგრაფიული და სოციალური ნიშნები ურთიერთდაკავშირებული არიან და ერთმანეთს განაპირობებენ. მიუხედავად ამისა, მაინც აუცილებელია მათი დაყოფა, რადგან სხვადასხვაა მათი წარმოშობის, არსებობის ბუნება და შექმნის პირობები.

სოციალურ სტატისტიკაში ნიშნების კლასიფიკაციის მესამე ასპექტია დროითი და ნიშნები იყოფა – შექმნის მომენტის, ცვლილების შესაძლებლობის, მათი წარმოქმნის გარდუვალობისა და რიგითობის მიხედვით.

შექმნის მომენტის მიხედვით, ნიშნები ქმნიან დაბადებისას მიღებულ და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე შექმნილ დემოგრაფიული და სოციალური ნიშნების ჯგუფს. ადამიანს არ შეუძლია შეარჩიოს ან შეცვალოს ნიშნები, რომლებიც დაბადებისას მიიღო, მაგალითად, დაბადების თარიღი, რომელიც მიამაგრებს მას გარკვეულ თაობასთან; ოჯახის შემადგენლობა, დაბადების ადგილი, რომლითაც მისი მოქალაქეობა განისაზღვრება; მშობელთა და ოჯახური გარემოს სტატუსი და ა. შ. ეს ნიშნები თაობის დახასიათების საფუძველია, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ რეალური თაობის მეთოდის გამოყენებისათვის კონკრეტულ სოციოლოგიურ და სტატისტიკურ გამოკვლევებში. ეს მეთოდი სულ უფრო ფართოდ ინერგება სიტუაციის შეფასებისა და პროგნოზირების პრაქტიკაში.

ადამიანი, როგორც დემოგრაფიული, ისე სოციალური ნიშნების დიდ ნაწილს თავისი ცხოვრების განმავლობაში შეიძენს. შექმნილ დემოგრაფიულ ნიშნებს მიეკუთვნება ბავშვობის ასაკიდან (0-14) უფროს ასაკში გადასვლა, მშობელთა ასაკი (15-49) და წინაპართა ასაკი 50 წლის ზევით. შექმნილი ნიშნების თანმიმდევრობა კი ასეთია – ვაჟიშვილი, მამა, ბაბუა. ამასთან, შეუძლებელია ყველა დემოგრაფიულ ნიშანთა ერთდროულად შექმნა. ისინი ასაკის მიხედვით ცვალებადი დემოგრაფიული ნიშნებია და ეს მდგომარეობა დგება მეტ-ნაკლებად გარდუვალად და მკაცრი რიგითობის მიხედვით.

უფრო რთული სიტუაციაა სოციალური ნიშნების შექმნასთან დაკავშირებით. მათგან მხოლოდ ნაწილი, რომელიც ასაკთანაა დაკავშირებული, არ შეირჩევა ადამიანის მიერ (მაგალითად, ადამიანი იძენს ან (კარგავს) შრომისუნარიანობას). ნაწილი – ცხოვრების მანძილზე არსებული საზოგადოებრივი მდგომარეობისა და ვითარების ფარგლებში შეიძინება პიროვნების თავისუფალი არჩევანის საფუძველზე. იგი იძენს ცოდნას, ღებულობს განათლებას, პროფესიას, ირჩევს სამუშაო ადგილს, საქმიანობის სფეროს, საცხოვრებელ ადგილს. ეს ნიშნები ცვალებადია, არ ხასიათდება მკაცრი რიგითობითა და გარდაუვალობით. დროთა განმავლობაში ადამიანის მიერ შექმნილი ან დაკარგული ნიშნების (ოჯახური მდგომარეობა, შრომითი მოწყობა, განათლება, პროფესია და სხვ.) ცვლილებათა სოციალური დახასიათება განაწილებათა ტრადიციულ სტატისტიკურ ანალიზთან ერთად, დემოგრაფიული პროცესების მოდელების – დემოგრაფიული ცხრილების მეშვეობით ხდება. შექმნილი ნიშნები ფლობენ შექმნის აუცილებლობისა და ცვლილებებთან მდგრადობის სხვადასხვა ხარისხს.

შექმნილი ნიშნები პოტენციური ნიშნებია, რომელთა მიხედვით ჯგუფების სტატის-

ტიკურ ანალიზს ენიჭება კიდევ ერთი თვისება – ზოგიერთი გაანგარიშება ატარებს პროგნოზულ ხასიათს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი და შენაცვლებითი ნიშნები, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის პირადი არჩევანის, საქციელის შედეგს, ხასიათდება ვარიაციის მაღალი ხარისხით.

სოციალურ სტატისტიკაში, დაჯგუფების ამოცანათა გადაჭრის მიხედვით, გამოიყენება ძირითადი სახის სტატისტიკური დაჯგუფებანი – ტიპოლოგიური, სტრუქტურული და ანალიზური. მათგან სოციალურ სტატისტიკაში უფრო მეტად გამოიყენება ტიპოლოგიური. სტრუქტურული დაჯგუფება განსხვავდება იმ თვისებით, რომ ჯგუფური ნიშანი არ არის, ან თითქმის არ არის დამუშავებული, ყველა პოზიცია ატრიბუტულია და რაოდენობრივად თანასწორუფლებიანია. მაგალითად, მოსახლეობის განაწილება ეროვნების, პროფესიის, საქმიანობის მიხედვით და ა. შ. მაგრამ სტრუქტურული დაჯგუფება თავისი ინფორმაციულობით მაინც წარმოადგენს „ნედ-ლეულს“ ტიპოლოგიური დაჯგუფებისათვის (ხშირად პირიქითაც ხდება). ის, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს იმ ანალიზურ დაჯგუფებებსაც, რომლის საფუძველზეც ხდება მიზეზ-შედეგობრივი ნიშნების სხვადასხვა სოციალური ურთიერთკავშირების არსებობისა და მიმართულების გამოკვლევა.

სოციალურ სტატისტიკაში გამოსაკვლევ სოციალურ მოვლენათა დიფერენციაციის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს დასახლების ტიპი, სქესი, ეროვნება, სოციალური ჯგუფი, რომელთა მიხედვითაც კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ხორციელდება მეორადი დაჯგუფება.

იმის მიხედვით, გამოიყენება თუ არა დაჯგუფებისათვის რაოდენობრივი ან თვისებრივი ნიშნები, დაჯგუფებას აქვს განსაზღვრული თავისებურებანი. რაოდენობრივი ნიშნებით დაჯგუფების შემთხვევაში (ასაკი, მუშაობის სტაჟი, ხელფასი და ა. შ.) ის გულისხმობს ნიშნების ცვლილებათა მთლიანი დიაპაზონის განსაზღვრულ ინტერვალზე დაყოფას და თითოეულ ინტერვალში საანალიზო ერთეულთა რიცხვის დადგენას. ასეთი სახის დაჯგუფება საშუალებას გვაძლევს კომპაქტურად, მოხერხებული სახით წარმოვადგინოთ გამოსაკვლევ ერთობლიობის განაწილება მოცემული ნიშნის მიხედვით. დაჯგუფების რაოდენობრივი ნიშნის მიკუთვნებისას დგება ინტერვალების სიდიდისა და მათი თანაბარზომიერების შერჩევის საკითხი, რომელიც განისაზღვრება საანალიზო ინფორმაციის ერთგვაროვნების ხარისხის მიხედვით. ასევე, მნიშვნელოვანია ჯგუფების ოპტიმალური რაოდენობის დადგენაც, რისთვისაც გამოიყენება სპეციალური ფორმულა (ე. წ. სტერჯესის ფორმულა).

შესაძლებელია დაჯგუფების განსხვავება ინტერვალების ტიპის – თანაბარი და არათანაბარი სიდიდისა და, შესაბამისად, ჯგუფების ოდენობის მიხედვით. როგორც წესი, ანკეტის დამუშავების ეტაპზე შეირჩევა თანაბარი ინტერვალები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილია მონაცემთა პირველადი დამუშავების, მთლიანად ერთობლიობის სტრუქტურის რეპრეზენტაციულობის საკითხი. ამასთან, მიღებული ინფორმაციის სრული მოცვის მიზნით, პირველი და ბოლო ინტერვალების ზღვარი ხშირად ღიად რჩება.

ინტერვალების რიცხვის განსაზღვრისას ითვალისწინებენ რიცხობრივი ნიშნისა და შინაარსობრივი მნიშვნელობით გამოყოფილი ინტერვალების საკმაოდ ზუსტი და

დეტალური წარმოდგენის კრიტერიუმებს. მეტისმეტად მსხვილი ინტერვალების შერჩევა, როგორც წესი, იწვევს ინფორმაციის „დაკარგვას“, ანალიზის შინაარსობრივად სხვადასხვა ერთეულების გადაადგილებას ერთი ინტერვალის ფარგლებში. მეტისმეტად დანაწილებული ინტერვალები კი – მცირერიცხოვანი და შინაარსობრივად არაწარმომადგენლობითი ჯგუფების გამოყოფას. აქედან გამომდინარე, ნიშნის ცვლილებას ყოფენ არა უმეტეს 10-15 ჯგუფად. ამასთან, თითოეულზე უნდა მოდიოდეს ნიშნის ინდივიდუალური მნიშვნელობის არა უმეტეს 15-20 პროცენტისა.

რაოდენობრივი ნიშნის ინტერვალებად დაყოფის ამოცანის დასახვა ხდება, როგორც ანკეტის შედგენის, ასევე ინფორმაციის დამუშავების ეტაპზე. დამუშავების შედეგები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს რაოდენობრივი ნიშნის ცვლილების დიაპაზონში ანალიზის ერთეულთა სიხშირის განაწილება, ობიექტების განსაზღვრული ტიპები, რომლებიც განსხვავდებიან შესასწავლი მაჩვენებლების მიხედვით. დაჯგუფების ამ ეტაპზე წარმოებს არა მარტო მონაცემთა რეპრეზენტატივობის, არამედ ობიექტების შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ტიპების გამოყოფის ამოცანის დასმა. ამასთან, შესაბამისი რაოდენობრივი ნიშნის ინტერვალები შეიძლება არ იყოს ტოლი და გამოკვლევის მიზნების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს.

თვისებრივი ნიშნების მიხედვით დაჯგუფების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას თითოეული საანალიზო ერთეულის ნიშნის მიკუთვნების შესაძლებლობა და უნდა უტოლდებოდეს შესასწავლი ერთობლიობის რიცხოვნობას, რაც მნიშვნელოვანია გამოთვლების კონტროლისათვის. მაგალითად, ანკეტაში დასმული კითხვისათვის: „როგორ თვლით, აამაღლებს თუ არა ახალი ტექნოლოგიების დანერგვა შრომის ნაყოფიერებას? – პასუხის ვარიანტებთან ერთად: 1. „დიახ“; 2. „არა“, გათვალისწინება ვარიანტი – „მიჭირს პასუხის გაცემა“ და, ასევე, აღინიშნება მოცემულ კითხვაზე პასუხის გაუცემლობაც. ანკეტის ნებისმიერ კითხვაზე პასუხთა სავარაუდო ვარიანტების დაჯგუფებასთან ერთად გამოიყოფა იმ ანკეტათა რიცხვიც, რომელშიც არ არის აღნიშნული კითხვის სავარაუდო პასუხი, ვინაიდან ვარიანტთა სიხშირეების ჯამი აუცილებლად უნდა უტოლდებოდეს ანკეტების რიცხვს.

ისევე, როგორც რაოდენობრივი ნიშნების შემთხვევაში, დამუშავების ეტაპზეთვისებრივი ნიშნის გრადაციების მიხედვით საანალიზო ერთეულთა განაწილების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება ჩატარებულ იქნას გადაჯგუფება, რომელიც გაანაწილებს საანალიზო ერთეულთა შინაარსობრივად ახლოს მდგომ ტიპებს.

ცალკეული ნიშნების მიხედვით დაჯგუფება გამოიყენება ამ ნიშნების მიხედვით საანალიზო ერთეულთა ერთობლიობის განაწილების რეპრეზენტატიულობისათვის. დაჯგუფება ორი და მეტი ნიშნის მიხედვით გამოიყენება ნიშნებს შორის ურთიერთკავშირის შესაფასებლად. ამასთან, გაიანგარიშება საანალიზო ერთეულთა რიცხვი ამ ნიშნების გრადაციების კომბინაციებისათვის. დაჯგუფების შედეგების წარმოდგენა ხდება ცხრილების სახით, რომელიც მოიცავს ვარიანტთა მნიშვნელობებსა და მათი განმეორების სიხშირეებს.

ობიექტთა განსახილველი ერთობლიობის ნიშანთა ცალკეულ და მათ კომბინირებულ მნიშვნელობათა მიხედვით დაჯგუფება სოციალურ კვლევებში მონაცემთა ანალიზის გავრცელებული პროცედურაა. დაჯგუფების ტრადიციული წესები

შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ან ორი ნიშნის მიხედვით დაჯგუფებით. მრავალი ნიშნის მიხედვით დაჯგუფების განხილვა დაკავშირებულია სიხშირეთა დიდი რიცხვის ცხრილების ანალიზთან, რომლის დაწვრილებითი ანალიზი არარეალურია და სოციალური მოვლენების სირთულე მოითხოვს მათ მრავალფაქტორულ ახსნას (მრავალგანზომილებიან დაჯგუფებას).

მრავალგანზომილებიანი დაჯგუფების შედეგად ვლემულობთ დაკვირვების ერთობლიობის განაწილებას ერთგვაროვან ჯგუფებად და, შესაბამისად, ამ ერთობლიობის სტრუქტურას. იგი ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებს შორის ურთიერთკავშირის დადგენის ეფექტური საშუალებაა. მაგალითად, დასაქმებულთა სტაჟისა და ასაკის მიხედვით დაჯგუფების დროს შეიძლება შევისწავლოთ სამუშაოთი კმაყოფილების, შრომის ნაყოფიერების, მუშაკთა დენადობის მიხედვით მიღებული ერთგვაროვანი ჯგუფების შემადგენლობა და ამასთან, შევაფასოთ შესაბამის მაჩვენებლებზე სტაჟისა და ასაკის გავლენა.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის სოციალური სტატისტიკის ინფორმაცია?
2. რა თავისებურებებით ხასიათდება სოციალური ინფორმაცია და როგორია მისი კლასიფიკაცია?
3. რომელი ფორმებით, სახეებითა და ხერხებით წარმოებს სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება?
4. რატომ ვიყენებთ შერჩევით დაკვირვებას სოციალურ-სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვებისას და რა სახის შერჩევითი დაკვირვება არსებობს?
5. რა არის სოციალური ექსპერიმენტი და როდის ხდება მისი გამოყენება?
6. რაში მდგომარეობს სოციალური სტატისტიკის მონაცემთა უტყუარობის არსი?
7. სახის შეცდომები გვხვდება სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვების დროს?
8. რა თავისებურებები ახასიათებს დაჯგუფებას სოციალურ სტატისტიკაში?
9. რა სახის ნიშნები გამოიყენება სოციალურ-სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფებისთვის?

2.6. ტესტები

1. გამოკვლევის სფეროს მიხედვით ინფორმაციას მიეკუთვნება:

1. ტექნიკური;
2. სამეცნიერო;
3. ოფიციალური;
4. სოციალური.

2. ინფორმაციის გამოყენების სფეროების მიხედვით განასხვავებენ:

2. საზოგადოებრივ ინფორმაციას;
3. უნივერსალურ ინფორმაციას;
4. არაოფიციალურ ინფორმაციას;
5. კონფიდენციალურ ინფორმაციას.

3. გამოკითხვა გულისხმობს ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულ იქნას:

1. რესპოდენტების სიტყვები;
2. სხვადასხვა დოკუმენტები;
3. ანკეტები;
4. ყველა ერთად.

4. საზოგადოებრივი აზრის დასადგენად სოციალურ ქსელში დაგზავნილ იქნა კითხვარები. რა ეწოდება ასეთი სახის დაკვირვებას:

1. მონოგრაფიული დაკვირვება;
2. მიმდინარე დაკვირვება;
3. საანკეტო;
4. აღწერა.

5. რეპრეზენტაციის შეცდომები დაიშვება:

1. მხოლოდ სრული დაკვირვების დროს;
2. მხოლოდ არასრული დაკვირვების დროს;
3. სრული და არასრული დაკვირვების დროს;
4. მონოგრაფიული დაკვირვების დროს.

6. რეგისტრაციის შეცდომები დაიშვება:

1. მხოლოდ სრული დაკვირვების დროს;
2. მხოლოდ არასრული დაკვირვების დროს;
3. სრული და არასრული დაკვირვების დროს;
4. მონოგრაფიული დაკვირვების დროს.

7. იუნესკოს მონაცემებით ინტერვიუს მეთოდის პოპულარობა განპირობებულია იმით, რომ შესაძლებელია:

1. რესპოდენტთა შეხედულებებზე, მოტივებზე, აზრებზე ღრმა ინფორმაციის მიღება;
2. ინტერვიუების სიტუაცია ხელს უწყობს უშუალო სიტუაციის აღმოცენებას;

3. საშუალება იქმნება რესპონდენტის ფსიქოლოგიურ რეაქციაზე დაკვირვება;
4. ყველა პასუხი სწორია.

8. ინტერვიუს ჩატარება ტექნიკის მიხედვით შეიძლება იყოს:

1. თავისუფალი,
2. არასტანდარტიზებული;
3. ფორმალური (ან ნახევრად ფორმალური);
4. ყველა ერთად..

9. მისაღები ინფორმაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საექსპერტო გამოკითხვა შეიძლება განხორციელდეს:

1. ანონიმური ანკეტის საშუალებით;
2. ინდივიდუალური გამოკითხვით;
3. ჯგუფური დისკუსიის სახით;
4. არცერთი.

10. სოციალურ-სტატისტიკურ მონაცემთა არასაიმედოობას განაპირობებს:

1. დაკვირვების ჩატარების გარემო პირობებთან დაკავშირებული შეცდომები;
2. დამკვირვებლის, ინტერვიუერის ან კორესპონდენტის პიროვნულ თვისებებთან დაკავშირებული შეცდომები;
3. რესპონდენტის პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე შეცდომები;
4. ყველა პასუხი სწორია.

თემა 3. მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემადგენლობის დახასიათება

3.1. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცნება

საზოგადოება წარმოადგენს ერთიან, რთულ სოციალურ სისტემას, რომელიც აყალიბებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. სტატისტიკური განმარტებით, სტრუქტურა წარმოადგენს ერთობლიობის ცალკეული ნაწილების შეფარდებას მთლიან ერთობლიობასთან.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა წარმოადგენს მდგრადი კავშირებით და ურთიერთობებით გაერთიანებული ინდივიდების, სოციალური ჯგუფის, ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების იერარქიულად მოწესრიგებულ ერთობლიობას. სოციალური სტრუქტურა ახასიათებს საზოგადოების შინაგან აგებულებას.

სოციალურ სტრუქტურას აყალიბებს სოციალური ინსტიტუტები, როგორცაა, პირველ რიგში, სახელმწიფო, ეკონომიკა, მეცნიერება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ოჯახი და ა. შ.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურის პირველადი (ერთობლიობის ერთეულის) სოციალური სტატუსი, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მიერ ჯგუფში ან საზოგადოებაში დაკავებულ პოზიციასა და მდგომარეობას. სოციალურ სტატუსში აისახება პიროვნების ადგილი საზოგადოებაში. ადამიანი კონკრეტულად არის ამა თუ იმ განათლების, თანამდებობის და ა. შ. მქონე, რომელიც განსაზღვრავს მის სტატუსს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფსა და მთლიანად საზოგადოებაში.

საზოგადოების სოციალური სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ქვესტრუქტურებს:

- **სოციალურ-ტერიტორიული** – ქალაქის და სოფლის მოსახლეობის ტერიტორიული ერთობები;
- **სოციალურ-პროფესიული** – თანამედროვე საზოგადოებაში არსებობს დაახლოებით 40 000 პროფესიული სტატუსი;
- **სოციალურ-კლასობრივი** – კლასები, ჯგუფები, კასტები ასახავს ადამიანების სოციალურ უთანასწორობას;
- **სოციალურ-ეთნიკური** – ადამიანების ისტორიული ერთობები: გვარი, ტომი, ხალხი, ერი, ეთნოსი, ყალიბდება საერთო ტერიტორიის, ეკონომიკის, კულტურის, ტრადიციების, ენის (ენა დედაა ერისა - ილია ჭავჭავაძე), ადათ-წესებისა და ფსიქიკური თავისებურებების ერთობის საფუძველზე, დედამიწაზე 300-მდე ენაა. თითოეულის უკან დგას ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ფლობს შესაბამის ენობრივ სტატუსს. ასეთივე სტატუსია ერი;
- **სოციალ-დემოგრაფიული** – განპირობებულია სქესით (მამაკაცები, ქალები), ასაკით (ბავშვები, ახალგაზრდები, საშუალო ასაკის, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა, პენსიონერები). ოჯახური მდგომარეობით (არასდროს ყოფილა ქორწინებაში, იმყოფება ქორწინებაში, ქვრივი, განქორწინება/გაშორებული, ოჯახიანი და დასაოჯახებელი მოსახლეობა და ა. შ.). თვლიან, რომ არსებობს 200-ზე მეტი საქორწინო-ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობების შესაბამისი სტრუქ-

ტურა; დედა, მამა, სიდედრი, სიმამრი, მამიდა და ა. შ.

ერთგვაროვანი სოციალური ჯგუფები სოციოლოგიასა და სოციალურ სტატისტიკაში გამოიყოფა სტრატეგიკაციისა და ტიპოლოგიური დაჯგუფების საშუალებით.

ტერმინი „სტრატეგიკაცია“ სოციოლოგიაში და, შესაბამისად, სოციალურ სტატისტიკაში, შემოვიდა გეოლოგიიდან, სადაც მისით აღინიშნება დედამიწის ფენების განლაგება ვერტიკალზე. არსებობს გეოლოგიის ნაწილი სტრატეგრაფია (ლათ. Stratum – ფენა, ბერძნული გრაფია – აღწერა), ანუ დედამიწის ქანების დაყოფა ფენებად, რომლის მიზანია დედამიწის გეოლოგიური აგებულებისა და მისი გეოლოგიური ისტორიის შესწავლა. სოციოლოგიამ ასეთი პრინციპით განალაგა სოციალური ფენები (სტრატები) ვერტიკალზე. საბჭოთა სოციოლოგია და სტატისტიკა უარყოფდა სტრატეგიკაციის თეორიას.

რთულ საზოგადოებაში უთანასწორობა ადამიანებს შორის მეტად ძლიერია, ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემოსავლების სიდიდით, განათლების დონით, პრესტიჟით, თანამდებობითა და ძალაუფლებით.

სოციალური სტრატეგიკაცია წარმოადგენს ინდივიდების ან ჯგუფების განლაგებას ზემოდან ქვემოთ (ან პირიქით), ჰორიზონტალურ ფენებად (სტრატებად) შემოსავლების, განათლების დონის, ძალაუფლების მასშტაბისა და პრესტიჟის უთანაბრობის ნიშნის მიხედვით. შესაბამისად, სტრატების მიხედვით ადამიანების სტატისტიკური დაჯგუფების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი მაჯგუფებელი ნიშნები: შემოსავლები, ძალაუფლება, განათლება და პრესტიჟი (ფრანგულიდან prestige – მომხიბვლელი). დღეს ეს სიტყვა გამოიყენება რაიმეს ან ვინმეს ცნობადობის და მაღალი შეფასების აღსანიშნავად; საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობის შესაფასებლად და ნიშნავს – ავტორიტეტს, გავლენას, პატივისცემას, რომლითაც სარგებლობს პიროვნება).

შემოსავლები, ძალაუფლება, განათლება და პრესტიჟი განსაზღვრავს ადამიანის ერთობლივ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს, მის მდგომარეობასა და ადგილს საზოგადოებაში.

განასხვავებენ სოციალური სტრატეგიკაციის ორ მოდელს – **კლასები** და **კასტები**.

კლასები არის თანამედროვე საზოგადოების სოციალური სტრატები, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან შემოსავლით, ძალაუფლებითა და პრესტიჟით. აღნიშნული მახასიათებლების გაუმჯობესების შემთხვევაში ადამიანი დაბალი სტრატებიდან გადადის მაღალ სტრატში და გაუარესების შემთხვევაში კი – პირიქით.

რამდენი კლასიც არ უნდა დაფიქსირდეს, საერთო ჯამში, განვითარებულ საზოგადოებაში არსებობს სამი ძირითადი კლასი: მდიდრები, შეძლებულები (საშუალო ფენა) და ღარიბები. რა თქმა უნდა, თითოეული კლასი შეიძლება დაიყოს ქვეკლასებად.

მოვიტანთ საზოგადოების კლასობრივი სტრატეგიკაციის დასავლურ მოდელს, რომელიც აგებულია აშშ-ს მაგალითზე. ქვემოთ მოტანილი თანამედროვე საზოგადოების კლასობრივი ტიპოლოგია დაამუშავა ამერიკელმა სოციოლოგმა და ანთროპოლოგმა უილიამ უორნერმა (1898-1970), ჩიკაგოს და მიჩიგანის უნივერსიტეტების პროფესორმა. მისი ძირითადი ნაშრომია „ამერიკული ცხოვრება, ოცნება და რეალობა“ (1962).

უ. უორნერის კლასიფიკაცია მოიცავს შემდეგ კლასებს:

ზედა - მაღალი კლასი მოიცავს „სისხლით არისტოკრატებს“, რომელიც 200 წლის წინ ჩავიდნენ ამერიკაში, დააგროვეს სიმდიდრე და შექმნეს ოჯახური კლანები. ესენი არიან: როკფელერები, მორგანები, მელონები და ა. შ. სხვებისგან ისინი განსხვავდებიან ცხოვრების განსაკუთრებული წესით, განათლების დონით, დახვეწილი მანერებით, უზადო გემოვნებითა და ქცევით.

საინტერესოა, რომ აშშ-ს ეროვნული სიმდიდრის 30%-ს ფლობს ადამიანთა 1%. ამერიკელმა სოციოლოგმა პაულ ბლუმბერგმა თანამედროვე საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში გამოყო 100 სტრატა. აქედან 10 ფენა – დაბალი კლასი, 80 ფენა – საშუალო კლასი. მისივე კვლევებით, აშშ-ს საზოგადოების 100 სტრატადან, პირველ 10 საფეხურზე მდგომი ამერიკელები კვებაზე ხარჯავენ შემოსავლების დაახლოებით 11%, ხოლო ბოლო 10 საფეხურზე მდგომი – 40%-ზე მეტს. აღნიშნული მონაცემები შეიძლება წარმოუდგენელ უსამართლობად მოგვეჩვენოს XXI საუკუნის დასაწყისისთვის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პროფესორ პიტირიმ სოროკინის ¹⁹ გამოკვლევებს, შუა საუკუნეების გერმანიაში სოციალური უთანაბრობა შემოსავლების მიხედვით (მაღალი-დაბალთან) უტოლდებოდა XX საუკუნის შუა ხანების მდგომარეობას.

ქვედა – მაღალი კლასი უმთავრესად შედგება „ახალი მდიდრებისგან“, რომლებმაც ჯერ ვერ მოასწრეს მძლავრი საგვარეულო კლანების შექმნა, მაგრამ უკავიათ მაღალი პოსტები ბიზნესსა და პოლიტიკაში. ასეთები არიან პროფესიონალი სპორტსმენები, შოუ-ბიზნესის ვარსკვლავები, მსახიობები, ჟურნალისტები და სხვები, რომლებიც იღებენ მილიონობით შემოსავალს, მაგრამ არ წარმოადგენენ „სისხლით არისტოკრატებს“.

ზედა - საშუალო კლასი შედგება მაღალანაზღაურებადი პროფესიონალებისგან, კერძოდ: ცნობილი ადვოკატები, ექიმები, ტელეწამყვანები და სხვ. ისინი ცხოვრების წესით უახლოვდებიან მაღალ საზოგადოებას, მაგრამ სიმდიდრით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან.

საშუალო - საშუალო კლასი წარმოადგენს განვითარებული საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას და შედგება კარგად ანაზღაურებადი პროფესიონალებისგან, როგორცაა მასწავლებლები, საშუალო რგოლის მენეჯერები და სხვ.

ქვედა - საშუალო კლასი შედგება დაბალი რგოლის მოსამსახურეებისაგან და კვალიფიციური მუშებისაგან, რომლებიც შრომის ხასიათის მიხედვით მიეკუთვნებიან უფრო გონებრივი, ვიდრე ფიზიკური შრომით დაკავებულებს.

საშუალო კლასი უნიკალური მოვლენაა თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში. იგი აღმოცენდა აშშ-ში მე-20 საუკუნის შუა ხანებში (პრეზიდენტ ფ. რუზველტის დამსახურება). ნებისმიერი საზოგადოების სტაბილურობა, მისი სტრუქტურის მდგრადობა დაკავშირებულია მისი სოციალური სტრატეგიკაციის პროფილთან და განისაზღვრება საშუალო კლასის ხვედრითი წილით, რომელიც მდებარეობს რა მაღალ და დაბალ კლასებს შორის, ანეიტრალებს მათ დაპირისპირებას. რაც უფრო ძლიერია საშუალო კლასი, მით მეტ დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების ფუნდამენტურ ფასეულობებზე, აძლიერებს და უზრუნველყოფს სახელმწიფოს მდგრადობას.

¹⁹ პიტირიმ სოროკინი (1889-1968), რუსი ემიგრანტი, ამერიკაში გადავიდა 1923 წ. ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის დამაარსებელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი (1931-1959). ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი (1965).

ზედა - დაბალი კლასი მოიცავს საშუალო და ნაკლებად კვალიფიცირებულ მუშებს, რომელიც დაკავებულნი არიან მასობრივ წარმოებაში, ცხოვრობენ შედარებით უზრუნველყოფილად (უკეთესად), მაგრამ ქცევის მანერებით არსებითად განსხვავდებიან მაღალი და საშუალო კლასის წარმომადგენლებისგან. მათი დამახასიათებელი ნიშნებია: არცთუ მაღალი განათლება (როგორც წესი, არასრული ან სრული საშუალო და საშუალო სპეციალური განათლება), პასიური დასვენება (ტელევიზორის ცქერა, ბანქოს თამაში), პრიმიტიული გართობა, ალკოჰოლური სასმელის ზედმეტად მოხმარება და არანორმატიული ლექსიკა.

ქვედა - დაბალი კლასი შედგება სარდაფების, სხვენის, ნაგავსაყრელების, საცხოვრებლად უვარგისი და სხვა ნაკლებვარგისი ადგილების ბინადრებისგან. ესენი არიან ფაქტობრივად გაუნათლებელი ადამიანები (ზოგჯერ წერა-კითხვის უცოდინარი), რომლებიც თავს ირჩენენ შემთხვევითი სამუშაოებით, მათხოვრობით და ა. შ. ადამიანების აღნიშნული ღარიბ-დატაკი კატეგორია იმყოფება „სოციალურ ფსკერზე“ – სოციალურ ჭაობში.

აშშ-ში 1947 წლიდან დღემდე ტარდება გამოკითხვები, თუ რომელ კლასს მიაკუთვნებს თავს გამოკითხული მოსახლეობა. შედეგები მას შემდეგ არსებითად არ იცვლება, კერძოდ: მაღალი კლასი – 3,5%; საშუალო კლასი – 96%; დაბალი კლასი – 0,5%.

ინგლისში ჩატარებული გამოკვლევებით, ყოველი 30-დან 29 ინგლისელმაზუსტად იცის, თუ რომელ კლასს ეკუთვნის. კერძოდ, მათი 2% თავს მიაკუთვნებს მაღალ, 84% – საშუალოს, 7% - საშუალოზე დაბალ და 7% – დაბალ კლასს.

არსებობს კლასობრივი ტიპოლოგიის სხვა ვარიანტიც, რომელიც ეყრდნობა აშშ მაგალითს და განსხვავდება უორნერის ტიპოლოგიისაგან. ეს არის შემდეგი ვარიანტი:

1. ზედა – მაღალი კლასი – საერთო ნაციონალური და ტრანსნაციონალური კომპანიების მთავარი მმართველები, უმაღლესი სამხედრო ჩინოსნები, ფედერალური მოსამსახურეები, არქივისკოპოსები, ბროკერები, უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმები, ცნობილი არქიტექტორები, არტისტები;
2. მაღალი კლასი – საშუალო ფირმების მთავარი მმართველები, ინჟინერ-მექანიკოსები, გაზეთის გამომცემლები, კერძო პრაქტიკის მქონე ექიმები, პრაქტიკოსი იურისტები, კოლეჯის მასწავლებლები და ა. შ.;
3. მაღალი – საშუალო კლასი – ბანკის მოლარეები, მუნიციპალური კოლეჯების მასწავლებლები, საშუალო რგოლის მმართველები, საშუალო სკოლის მასწავლებლები;
4. საშუალო – საშუალო კლასი – ბანკის მოსამსახურეები, დანტისტები, დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, ცვლის უფროსები საწარმოში, სადაზღვევო კომპანიების მოსამსახურეები, მსხვილი მაღაზიების მმართველები და ა. შ.;
5. დაბალი – საშუალო კლასი – ავტომექანიკოსები, სტილისტები, ბარმენები, გამყიდველები, სასტუმროსა და ოტელის მოსამსახურეები, კვალიფიცირებული მუშები, ფოსტის მუშაკები, პოლიციელები, სატვირთო ავტომანქანის მძღოლები და ა. შ.;
6. საშუალო – დაბალი კლასი – ტაქსის მძღოლები, საშუალო კვალიფიკაციის მუ-

- შები, ბენზინის ჩამსხმელები, ოფიციატები, შვეიცარები და ა. შ.;
7. დაბალი – დაბალი კლასი – შინამოსამსახურეები, მეზღვეები და ა. შ.

საზოგადოება მუდმივად ვითარდება, რაც იწვევს ადამიანების სოციალურ მობილურობას, ე. ი. ადამიანების გადასვლას ერთი ჯგუფიდან მეორეში, რითაც იცვლება როგორც მათი სოციალური სტატუსი, ასევე საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

განასხვავებენ სოციალური მობილობის სამ სახეს:

1. **ვერტიკალური** – პიროვნება (ჯგუფი) გადაადგილდება ზედა სტრატაში, ან ქვედა სტრატაში, რითაც სოციალური სტატუსი იზრდება ან მცირდება;
2. **ჰორიზონტალური** – პიროვნება (ჯგუფი) გადაადგილდება იგივე სტატუსის (დონის) მქონე მეორე სოციალურ ჯგუფში. ასეთი მობილობით საზოგადოების სოციალური სტრუქტურა არ იცვლება;
3. **გეოგრაფიული** (მიგრაცია) – ადამიანების გადაადგილება ქვეყნის შიგნით (ერთი ტერიტორიიდან მეორეზე) ან ქვეყნის გარეთ საცხოვრებლის შეცვლის ან სხვა მიზნებით, მაგალითად, სამუშაო, სწავლა და ა. შ. ასეთია სოფლიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში, ქალაქიდან ქალაქში და ქალაქიდან სოფელში.

3.2. საზოგადოების სტრატეგიკაცია კასტებად

ამჟამად მსოფლიოს ჯერ კიდევ ბევრ ქვეყანაში საზოგადოების კასტებად, ანუ ფენებად დაყოფა ჩვეულებრივი მოვლენაა. კასტებად დაყოფილია ინდოეთის, პაკისტანის, ნეპალის, შრი-ლანკას, ტიბეტისა და აზიის რიგი ქვეყნების მოსახლეობა. საკითხი განვიხილოთ ინდოეთის მაგალითზე, რომელიც მოსახლეობის რიცხვით მსოფლიოში ჩინეთის შემდეგ მეორე ადგილზეა. ინდოეთში დღეისათვის ცხოვრობს 1,37 მლრდ. ადამიანი.²⁰ ინდოეთის მოსახლეობის ფენებად დაყოფა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1700 წლიდანაა ცნობილი. მაგრამ თვითონ ტერმინის „კასტის“ დამკვიდრება ინგლისელებს ეკუთვნის, რომლებმაც მისი გამოყენება მე-20 საუკუნეში შემოიღეს. კასტა (casta) პორტუგალიური სიტყვაა და ნიშნავს „წარმოშობას“, „გვარს“. კასტა წარმოადგენს იზოლირებულ სოციალურ ჯგუფს, რომელიც უკავშირდება მათ წარმოშობას და განსაზღვრავს მათი წევრების სამართლებრივ მდგომარეობას, პრივილეგიებს ან, პირიქით, გარკვეულ უუფლებობას. კასტის ინდური სახელწოდებაა „ვარნა“ (ფერი).

ინდოეთში ადამიანი დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე მიეკუთვნება ამა თუ

²⁰ https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%81%D1%82%D1%80%D0%

იმ კასტას. საზოგადოების კასტური სისტემა განისაზღვრება სპეციალური სამართლებრივი აქტით – **კასტების ცხრილით**, რომელიც მიღებულია 1950 წელს. ინდოეთის შტატების მიხედვით კასტების რაოდენობა იცვლება. მაგალითად, კარნატაკას შტატში ოფიციალურად 101, პატარა გოიას შტატში – 5, მაჰარაშტრას შტატში კი 59 კასტაა აღიარებული.

კასტებად დაყოფა წარმოადგენს ადამიანის დისკრიმინაციას წარმოშობის მიხედვით. ინდოეთის ყოველ მოქალაქეს, რომელიც მიეკუთვნება ამა თუ იმ კასტას, უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი **კასტური სერტიფიკატი**, რომელიც წარმოადგენს ამა თუ იმ კასტისადმი ადამიანის მიკუთვნების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს. აღნიშნული კასტები ჩამოთვლილია კასტების ცხრილში, რომელიც წარმოადგენს ინდოეთის კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილს.

რამდენადაც კასტური სისტემა ემსახურება ადამიანთა შორის უთანაბრობის არსებობას, ინდოეთის 1950 წლის კონსტიტუციის მე-15 მუხლით აკრძალულია ადამიანების დისკრიმინაცია რელიგიური, რასობრივი, კასტური, სქესის ან დაბადების ადგილის ნიშნის მიხედვით.

ინდოეთის საზოგადოებაში რეალურად არსებობს ოთხი ძირითადი ფენა, კასტა, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ქვეკასტებად ძირითადად ტერიტორიული და პროფესიული ნიშნების მიხედვით. აღნიშნული კასტებია: **ბრაჰმანები, კშატრები, ვაიშები და შუდრები**.

ბრაჰმანები ინდოეთის ყველაზე მაღალი კასტაა. ისინი ძირითადად წარმოადგენენ მაღალ სასულიერო პირებს, ჩინოვნიკებს, მასწავლებლებს, არიან მიწის მფლობელები. მათ ეკრძალებათ ხელით შრომა, ქორწინდებიან მხოლოდ თავისი კასტის წარმომადგენლებზე. იკვებებიან მხოლოდ თავის კასტაში დამზადებული საჭმლით, ეკრძალებათ სხვა კასტის წარმომადგენლებისაგან (წმინდა შუდრას გარდა) საჭმლის მიღება. ბრაჰმანების ერთ-ერთი - **ვაიშაკას კასტა** (ღმერთ ვიშნას თაყვანისმცემლები) მე-4 საუკუნიდან არიან ვეგეტარიანელები. ბრაჰმანების ზოგიერთი კასტა იკვებება ხორცით, რომელიც არ შედის დაბალი კასტის რაციონში. ვარაუდობენ, რომ ბრაჰმანები შეადგენენ მოსახლეობის 5-10%-ს. ბრაჰმანების ყველაზე დაბალი კასტის წარმომადგენელი მაღლა დგას ყველა დანარჩენი კასტის წარმომადგენელზე.

კშატრები ბრაჰმანების შემდეგ იერარქიით მეორე ადგილზე დგანან. ისტორიულად ეს იყო მეომართა კასტა. დღეისათვის ისინი დასაქმებულნი არიან მამულების მმართველებად, სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, ეწევიან სამხედრო სამსახურს. მათი უმეტესობა იკვებება ხორციით. მამაკაცს შეუძლია დაქორწინდეს მისივე ქვეკასტის წარმომადგენელ ქალზე, ხოლო ქალს უფლება არა აქვს გათხოვდეს მის კასტაზე დაბლა მდგომი კასტის მამაკაცზე. კშატრებს უფლება აქვთ საკვები მიიღონ მხოლოდ მათზე მაღლა მდგომი ბრაჰმანებისაგან.

ვაიშები დაკავებულნი არიან ძირითადად ვაჭრობით. ამას გარდა, მისდევენ საბანკო საქმეს, მევახშეობას, თავი შორს უჭირავთ ფიზიკური შრომისაგან, მიწის დამუშავებისაგან, უფრო მკაცრად იცავენ კასტის რიტუალებს, მათ შორის ოჯახის შექმნის საკითხში. ვაიშებს „ორჯერ დაბადებულებსაც“ უწოდებენ. ვაიშები აღიარებენ ბრაჰმანების უპირატესობას, მაგრამ ყოველთვის არ აღიარებენ კშატრებს.


შუდრები არიან მიწათმოქმედნი, რიგ რაიონებში მრავალრიცხოვანი, ფლობენ მიწის დიდ ფართობებს და აქვთ მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური გავლენა. კმატრების უპირატესობას აღიარებენ ფორმალურად და იმასაც ყოველთვის არა. ეს კასტა არის ენდოგამიური (ერთცოლიანი), კასტის გარეშე ქორწინება აკრძალულია, მაგრამ ნებადართულია ქვრივებისა და განქორწინებული ქალების ქორწინება, რაც მკაცრად აკრძალულია ვაიშებში. მიწათმოქმედთა ამ კასტას უწოდებენ „წმინდა შუდრებს“. ბრაჰმანების ტრაქტატების მიხედვით, შუდრების მოვალეობაა ზედა სამი კასტის მომსახურება.

წმინდა შუდრებზე დაბლა დგანან შუდრები, რომელთა პროფესიები მიწათმოქმედებაზე ნაკლებად საპატიოდ ითვლება. ესენია: მეთუნეუქეები, მჭედლები, დურგლები, ფეიქრები, მეღვინეები, კალატოზები, პარიკმახერები, მუსიკოსები და სხვ. **დღეისათვის შუდრებს მიეკუთვნება ინდოეთის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი.**

ჩამოთვლილი ოთხი კასტის გარეთ არსებობს ინდოეთის მოსახლეობის 20%-მდე, რომლებსაც უწოდებენ „ხელშეუხლებლებს“. მათთვის აკრძალულია ყველაფერი, რაც ნებადართულია დანარჩენისთვის. ისინი ასრულებენ ყველაზე მძიმე, ჭუჭყიან, უკადრის, ნაკლებ შემოსავლიან სამუშაოებს. ესაა უღარიბესი ფენა, რომელიც დაკავებულია ტუალეტებისა და კანალიზაციის გაწმენდით, ნაგვის გატანით, ტყავის გამოყვანით, ქსოვილის შეღებვით, რეცხვით და ა. შ. „ხელშეუხლებლებს“ ეკრძალებათ არა თუ ხელით შეეხონ დანარჩენებს, არამედ ფეხი დაადგან მათ ჩრდილსაც კი, მიუახლოვდნენ მათ გარკვეულ მანძილზე, დალიონ წყალი მათი ჭიდან და ა. შ.

ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1947 წელს ინგლისისგან) მიმდინარეობს ფართო საზოგადოებრივი მოძრაობა „ხელშეუხლებლების“ სოციალური უფლებების დასაცავად. მთავრობა მათ მიმართ ახორციელებს განსაკუთრებულ მხარდაჭერას. კერძოდ, მათ უწესებენ გარკვეულ პრივილეგიებს, როგორცაა, მაგალითად, ადგილების დაჯავშნა სახელმწიფო სამსახურში, საშუალო სასწავლებლებში და კოლეჯებში გადასახადებისაგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლება, კვოტები უმაღლეს სასწავლებლებში და ა. შ.

ინდოეთის საზოგადოების კასტობრივი შემაღენლობა შეიძლება გამოისახოს შემდეგი იერარქიული სქემით.



სქემა 3.1. ინდოეთის საზოგადოების კასტობრივი შემაღენლობა

3.3. საზოგადოების კლასობრივი დაყოფის მარქსისტული თეორია და მისი კრაზი

ტერმინი „კლასი“²¹ მეცნიერულად ბრუნვაში შემოვიდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში პოლიტიკური ფილოსოფოსების თომას გიბსის, ჯონ ლოკის და ჟან-ჟაკ რუსოს შრომებში, რომლებიც სოციალური უთანასწორობის საკითხებს განიხილავდნენ. თავისი მოძღვრებიდან გამომდინარე, მარქსისტები კლასობრივ თეორიას უპირველეს ადგილს უთმობდნენ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ნაშრომში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ 1848 წელს წერდნენ, რომ კაცობრიობის ისტორია არის კლასთა ბრძოლის ისტორია, რომ პატრიცი და პლებეი, მონათმფლობელი და მონა, ფეოდალი და გლეხი, კაპიტალისტი და მუშა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყვნენ ჩაბმულები. ასეთი მარქსისტული შეხედულებით, კლასებს ისტორიულად მხოლოდ ერთმანეთთან ბრძოლის ფუნქცია გააჩნდათ და არა სახელმწიფოს მართვისა და მატერიალურ-სულიერი სიმდიდრის შექმნისა. თუმცა, ცხადია, რომ წინააღმდეგობა, აღმოცენებული სხვადასხვა მიზეზის ნიადაგზე, განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის ყოველთვის იყო (რომელიც ზოგჯერ გადაიზრდებოდა ბრძოლაში), არის და იქნება. აღნიშნულის ნათელი მაგალითია 2007 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე ევროპასა და ამერიკაში გააქტიურებული საპროტესტო-საგაფიცვო მოძრაობა, განსაკუთრებით 2011 წლის მეორე ნახევარში.

ვ. ი. ლენინმა მარქსისტული პოზიციებიდან თავის ნაშრომში „დიდი თაოსნობა“ განმარტა კლასები. კლასებად, აღნიშნავდა ლენინი, იწოდება ადამიანთა დიდი ჯგუფები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში დაკავებული ადგილით, მათი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებების მიმართ, მათი როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და, შესაბამისად, საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ ნაწილის მითვისების ხერხებით, რომელსაც ისინი ფლობენ და განკარგავენ. კლასები, ამბობდა ლენინი, ეს ადამიანთა ისეთი ჯგუფებია, რომელთაგან ერთს შეუძლია მიითვისოს მეორის შრომა.

რამდენადაც მსოფლიოს არცერთი ქვეყნის ოფიციალური სტატისტიკის სისტემა არ აწარმოებდა მოსახლეობის კლასობრივ შემადგენლობას მარქსისტული გაგებით, ლენინმა რუსეთის მოსახლეობის 1897 წლის საყოველთაო აღწერის მასალებზე დაყრდნობით და საკუთარი მეთოდოლოგიით, ნაშრომში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, მიახლოებით გამოიანგარიშა რუსეთის იმპერიის მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობა.

კლასები	მლნ. კაცი
მსხვილი ბურჟუაზია, მემამულეები, უმაღლესი წოდება და სხვ.	3

²¹ კლასი - ლათ. Classis - ნიშნავს ერთობლიობას, თანრიგს, ნივთების ან მოვლენების ჯგუფს, რომლებიც ფლობენ საერთო ნიშნებს.

მდიდარი წვრილი მესაკუთრეები	23,1
უღარიბესი წვრილი მესაკუთრეები	35,8
პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები	63,7
სულ	125,6

ცხრილი 3.3.1. რუსეთის მოსახლეობის შემადგენლობა 1897 წლის აღწერით²²

მოცემული დაჯგუფებით ვ. ლენინმა „დაასაბუთა“, რომ რამდენადაც პროლეტარები და ნახევრად პროლეტარები შეადგენენ რუსეთის მოსახლეობის 79,0%, აღნიშნული ფაქტი მიუთითებდა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებაზე, ხალხოსნებისგან განსხვავებით, რომლებიც უარყოფდნენ რუსეთის იმპერიაში კაპიტალიზმის განვითარებას, თვლიდნენ მას აგრარულ ქვეყნად და ვ. ლენინის საწინააღმდეგოდ, უარყოფდნენ რუსეთში პროლეტარული რევოლუციის მოხდენის შესაძლებლობას.

აღნიშნული ნაშრომით ვ. ლენინს უნდოდა პროლეტარული რევოლუციის აუცილებლობის დასაბუთება. შესაბამისად, მისი ეკონომიკური ნაშრომი – „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ – სინამდვილეში წარმოადგენდა პოლიტიკურ ნაშრომს და პოლიტიკური მიზანი გააჩნდა. ანალოგიურ მიზანი ჰქონდა ვ. მარქსის ფუნდამენტურ ნაშრომს „კაპიტალი“ (ისევე, როგორც მის ყველა ნაშრომს). „კაპიტალის“ პირველი ტომის შესავალში, რომელიც გამოიცა 1868 წელს, მარქსი წერდა, რომ ამ ნაშრომით იგი ისეთ ლახვარს ჩასცემს კაპიტალიზმს ისე, რომ წელში ვეღარ გაიმართოს.

ადამიანის ამა თუ იმ კლასისადმი მიკუთვნებას ვ. ლენინმა საფუძვლად დაუდო შემდეგი ნიშნები:

1. ადგილი საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში;
2. დამოკიდებულება წარმოების საშუალებების მიმართ;
3. შრომის საზოგადოებრივ ურთიერთობებში შესრულებული როლი;
4. საზოგადოებრივი სიმდიდრის იმ ნაწილის მიღების ხერხები და მოცულობა, რომელსაც ფლობს ესა თუ ის კლასი.

ჩამოთვლილი პუნქტები წარმოადგენდა მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში დოგმატირებულ „საწარმოო ურთიერთობებს“, რომელიც მყარდებოდა ადამიანებს შორის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილების, გადანაწილების, მოხმარებისა და დაგროვების პროცესში.

დამოკიდებულება წარმოების საშუალებების მიმართ (ძირითადი საწარმოო ურთიერთობა), რაც ნიშნავს წარმოების საშუალებების ფლობას, განსაზღვრავდა ამა თუ იმ კლასის ისტორიულ ადგილს, წარმოების მართვაში შესრულებულ როლს და წარმოების შედეგის მითვისების ხერხს და მოცულობას.

საბჭოთა სოციალური სტატისტიკა გამოყოფდა შემდეგ სოციალურ ჯგუფებს, როგორცაა: მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეობები, კუსტარები, ერთპიროვნული გლეხები, კულტის მსახურეები.

²² Курс социально-экономической статистики. Под ред. М. Г. Назарова. М., 1982, с. 61.

სოციალური ჯგუფები	1959	1970	1979	1989
მუშა	31,7	38,4	26,5	30,7
მოსამსახურე	20,2	32,2	55,6	55,5
კოლმეურნე	47,8	28,3	17,8	13,2
ინდივიდუალური შრომით დასაქმებულები (კულტის მსახურები, ერთპიროვნული გლეხები, შინამრეწველები და პირები, რომლებმაც არ მიუთითეს საზოგადოებრივი ჯგუფი)	0,3	0,1	0,1	0,6
სულ	100,0	100,0	100,0	100,0

ცხრილი 3.3.2. საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა (მოსახლეობის აღწერით, პროცენტებში) ²³

მარქსიზმი საბჭოთა კავშირში აღიარებდა ორი კლასის - მუშათა და გლეხთა, ე. ი. კოლმეურნე გლეხობის - კლასის არსებობას. მაგრამ თვლიდა, რომ მათ შორის არსებობდა არა ბრძოლა, არამედ უბრალოდ, წინააღმდეგობა, რომელიც ატარებდა არაანტაგონისტურ ხასიათს (ანტაგონიზმი ბერძნული სიტყვაა - antagonism - და ნიშნავს დავას, ბრძოლას, შეურიგებელ წინააღმდეგობას).

3.3.2 ცხრილში მოტანილი საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა საბჭოთა სოციალურ ლიტერატურაში დამკვიდრდა 1930-იანი წლებიდან და ატარებდა არამეცნიერულ ხასიათს, თუმცა იარსება საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ე. ი. 1990-იან წლებამდე.

რუსი მეცნიერის, აკადემიკოს ტატიანა ზასლავსკაიას მიერ 1990-იან წლებში შემოთავაზებულ იქნა რუსეთის ახალი სოციალური სტრუქტურა, რომელიც ეყრდნობოდა კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევებს:

1. მუშათა კლასი:

- დიდად განათლებული, პოლიტიკურად აქტიური;
- საშუალოდ განათლებული. რაოდენობრივად ყველაზე მასობრივი, მრავალ-რიცხოვანი;
- მუშები, რომლებიც სახელმწიფოსაგან იღებენ მეტს, ვიდრე იმსახურებენ;

2. გლეხობა:

- სასოფლო-სამეურნეო მუშები;
- ფერმერები;
- კოლმეურნეები;

3. ინტელიგენცია;

4. სამხედრო მოსამსახურეები;

5. მეწარმეები;

²³ საქართველოს მოსახლეობის განაწილება საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით. სტატისტიკური კრებული. თბ., 1991, გვ. 3

6. მსხვილი სამეურნეო ხელმძღვანელები;
7. სახელმწიფო და პარტიული მუშაკები;
8. უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა;
9. სხვა: სტუდენტები, პენსიონერები, დეკლასირებული ელემენტები, მაწანწალები (ე. წ. „ბომჟები“), კულტის მსახურები და ა. შ.

აკადემიკოსი ტ. ზასლავსკაია იყო საბჭოთა პერიოდში ცნობილი ნომენკლატურული მეცნიერ-სოციოლოგი, რომელმაც, თუ მოცემული კლასიფიკაციით ვიმსჯელებთ, საბჭოთა პერიოდის შემდეგ, ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია წინ. იმაზე მეტი მკრეხელობა რა უნდა იყოს, რომ სტუდენტებს, პენსიონერებს და კულტის მსახურებს გაუთანაბრა დეკლასირებული ელემენტები და მაწანწალები.

მე-20 საუკუნის ბოლოს რეალური გახდა, რომ კლასებმა დაკარგეს თავისი ისტორიული მისია და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მათ აღარ შეუძლიათ გამოიწვიონ სერიოზული შიდა პოლიტიკური კონფლიქტები.

3.4. მოსახლეობის შემადგენლობის მახასიათებლები და ინფორმაციული ბაზა

ნებისმიერი სოციალური პროცესის შესწავლა შეუძლებელია იმ მოსახლეობის რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გარეშე, რომელიც მასში მონაწილეობს. ბუნებრივია, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს გააჩნია მოთხოვნის არსებითად განსხვავებული მოცულობა და სტრუქტურა. მნიშვნელოვნად არის დიფერენცირებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების ცხოვრების წესი და მოთხოვნის სტრუქტურა.

იმისათვის, რომ სოციალური პროცესები მოცემულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ოპტიმალურ რეჟიმში მიმდინარეობდეს, რეგიონულ და საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე მათი რეგულირებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ სოციალურ-დემოგრაფიული პროცესების დიფერენციაციის გამოვლენის ორი ფორმა. პირველი, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია და მეორე, მოხმარება ცვალებადია. როგორც წესი, მიმდინარეობს შიდაჯგუფური და ჯგუფთაშორისი ბრძოლა მოხმარების რესურსების, მათი განაწილებისა და გადაწილებისათვის, დოვლათის სხვა სახეებთან შედარებით უპირატესობის მქონე რესურსებისათვის. მოსახლეობის განსაკუთრებით დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფები ამ ბრძოლის დროს შეიძლება მივიდნენ არსებობისათვის მუდმივი ბრძოლის, გაბოროტების, სოციალური აფეთქების მდგომარეობამდე. შესაბამისად, სახელმწიფოს, როგორც სახელისუფლებლო სტრუქტურას, უფლება აქვს დაიკავოს ნეიტრალური პოზიცია. აუცილებელია, რომ სოციალური დახმარება გაეწიოს მოსახლეობის მცირეშემოსავლიან ჯგუფებს (პენსიონერებს, მრავალშვილიან და მარტოხელა

დედებს); აგრეთვე შემოსავლით იქნას უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ის ჯგუფები, რომელთაც არ გადაუჭრიათ შრომითი მოწყობის პრობლემა.

კონფლიქტური სიტუაციები და სოციალური დაძაბულობა შეიძლება წარმოიშვას არა მარტო მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის, არამედ მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის. იგი შეიძლება იყოს ეკონომიკური და პოლიტიკური, ლოკალური და საერთოსახელმწიფოებრივი, მოკლევადიანი ან ქრონიკული, ჰქონდეს სიმწვავის სხვადასხვა ხარისხი.

თუკი ქვეყანაში სტატისტიკური სამსახურები ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, მაშინ მათ გააჩნიათ აუცილებელი ინფორმაცია სოციალური ცხოვრების მსგავსი მოვლენების შესახებ. მნიშვნელოვანს ამგვარ ინფორმაციაში წარმოადგენს ცნობები დაჯგუფების შესახებ ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა – სოციალური, პროფესიული, ეთნიკური, ტერიტორიული.

სოციალური პროცესების შესწავლის დროს მოსახლეობის შემადგენლობის ძირითად მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს განათლება, კვალიფიკაცია, დაკავებული თანამდებობა, პროფესიული საქმიანობა. სოციალურ სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა გააჩნია მოსახლეობის დაჯგუფებას არსებობის წყაროების, საკუთრებრივი ურთიერთობის, ოჯახში ეკონომიკური დატვირთვის მიხედვით. სოციალური დიფერენციაციის ახსნის საშუალებას იძლევა დემოგრაფიული (სქესი, ასაკი, ქორწინებრივი მდგომარეობა, ოჯახის შემადგენლობა) და ეთნიკური (ეროვნება, მშობლიური და სალაპარაკო ენა) მახასიათებლები. მრავალი სოციალური ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებელია მოსახლეობის დაჯგუფება ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებად.

აღნიშნული მახასიათებლები გამოიყენება მოსახლეობის შემადგენლობის აღწერისას არა მარტო როგორც დამოუკიდებელი პარამეტრები, არამედ სხვა მაჩვენებლებთან გარკვეულ კომბინაციაში. ეს უკანასკნელი მოსახლეობის შემადგენლობის თავისებურებების უფრო სიღრმისეულად ახსნისა და მრავალმხრივი შემეცნების საშუალებას იძლევა.

მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროს მოსახლეობის აღწერები წარმოადგენს, რომელიც გარკვეული პერიოდული ტარდება, ძირითადად ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერა საქართველოში 2002 წელს ჩატარდა, ხოლო ბოლო ასეთი აღწერა 2014 წელს.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერების გარდა, სტატისტიკის პრაქტიკაში მიღებულია მიკროაღწერები. მაგალითად, რუსეთში შემოღებულ იქნა მიკროაღწერები, რომელიც აღწერათაშორის პერიოდში ტარდება და მიღებული მონაცემების საფუძველზე ხორციელდება მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის განახლება. პირველი ასეთი აღწერა განხორციელდა 1985 წელს, ხოლო შემდეგი 1994 წელს. აღწერებისა და მიკროაღწერების გამოქვეყნებულ შედეგებში ასახულია მონაცემები მთლიანად ქვეყნის, მისი რეგიონების, მხარეების, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის შესახებ. გარდა ამისა, ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, როგორცაა სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, გამოითვლება ყოველი წლის დასაწყისში

საყოველთაო აღწერის მონაცემების კორექტირების გზით. კორექტირება კი ხორციელდება შობადობის, მოკვდაობის, საცხოვრებელი ადგილის ცვლილების მიმდინარე მონაცემების საფუძველზე.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბერის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა. მოსახლეობის აღრიცხვის მომენტს (კრიტიკული მომენტი) წარმოადგენდა 4-5 ნოემბრის შუალამის 12 საათი. (ე. ი. მონაცემები არ შეგროვდა მოსახლეობის კრიტიკული მომენტის შემდეგ დაბადებული ბავშვებისა და ამ მომენტამდე გარდა ცვლილი პირების შესახებ). თავის მხრივ, 5-19 ნოემბრის პერიოდის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა ნაკლებად მოძრავია, სკოლებში არდადეგები ჯერ კიდევ არ არის დაწყებული და უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს ლექცია-სემინარები. კრიტიკულ მომენტად შერჩეული იქნა კვირის შუა დღე – ოთხშაბათი, როცა მოსახლეობა ნაკლებად მოძრაობს კვირის სხვა დღეებთან შედარებით. აღწერის დღეების რაოდენობაც (15 დღე) განისაზღვრა იმ მიზეზით, რომ მოსახლეობისთვის შედარებით ადვილი ყოფილიყო იმის გახსენება, თუ სად იყვნენ აღწერის კრიტიკულ მომენტში (ე. ი. 4-5 ნოემბრის შუალამის 12 საათზე). იმის გამო, რომ ნოემბერში ზოგიერთ მთიან მუნიციპალიტეტში ამინდის შესაძლო გაუარესების გამო კავშირი გართულებული იქნებოდა, მესტიის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში სრულად და დუშეთისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის აღწერა ჩატარდა 2014 წლის სექტემბრის თვეში. აღწერამ მოიცვა ქვეყნის მთელი ტერიტორიის 82 პროცენტი (57 ათასი კვ. კმ). აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, კერძოდ: აფხაზეთის ა. რ.-სა და ცხინვალის რეგიონში (მთლიანი ფართობი - 13 ათასი კვ. კმ). აღწერა ჩატარდა ქვეყნის დასახლებების (ქალაქი, დაბა, სოფელი) 79 პროცენტში, მოიცვა 71 თვითმმართველი ერთეული და 3726 დასახლება. აღწერა ვერ ჩატარდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ 1015 დასახლებაში.

აღსანიშნავია, რომ მთელი ამ ინფორმაციის ეფექტიანი გამოყენებისას წარმოიშვება ძნელად გადასაჭრელი პრობლემები. სიძნელე მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მონაცემების ერთობლიობა. ერთის მხრივ, მოსახლეობის შემადგენლობა და მეორეს მხრივ, სხვადასხვა სოციალური სახის მომსახურებისა და მოხმარების საგნების წარმოებისა და მოხმარების შესახებ მონაცემები. უცნობი რჩება, როგორ იქცევიან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები მომხმარებლების სახით. არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა – ინდივიდუალურ დონეზე გამოკითხულთა მოხმარებისა და პირადი მახასიათებლების შესახებ არსებული მონაცემების შერწყმა. ამ მიზნით სახელწიფო სტატისტიკაში ხორციელდება მოსახლეობის საოჯახო ბიუჯეტის გამოკვლევა.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მასალები, როგორც ამგვარი ინფორმაციის ბაზა და მის საფუძველზე გაანგარიშებული მაჩვენებლები მოიცავენ მონაცემებს გენერალური ერთობლიობის ანუ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შესახებ.

სწორედ გენერალური ერთობლიობის საფუძველზე განისაზღვრება შერჩევითი ერთობლიობა. ხორციელდება შერჩეული ერთობლიობის გამოკვლევის შედეგების შეფასება და შერჩევის მახასიათებლების გენერალურ ერთობლიობაზე გავრცელება.

საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო სტატისტიკისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ტარდება ერთდროული გამოკვლევა, რომელიც ემსახურება მოხმარებისა და ინფრასტრუქტურის დარგების განვითარების განსაკუთრებით აქტუალური პრობლემების შესწავლას. რაოდენ მნიშვნელოვან საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს მსგავსი გამოკვლევები, მათი ორგანიზების, განხორციელებისა და შედეგების გამოყენებისათვის საჭიროა საერთო მონაცემები გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა სტრუქტურის შესახებ მაინც.

აღწერებთან ერთად მოსახლეობის შემადგენლობის ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ ინფორმაციას იძლევა ანგარიშგება (მაგალითად, გარკვეული კატეგორიის მოსახლეობის რიცხოვნობა). ეს, უპირველეს ყოვლისა, ისეთ ჯგუფებს ეხება, როგორცაა: სხვადასხვა ტიპის სასწავლებლების მოსწავლეები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა კონტიგენტი, პენსიონერები. თუმცა, ანგარიშგების თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ისინი ასახავენ პირთა მხოლოდ ზოგად რიცხოვნობას, მათ შემადგენლობას რომელიმე მახასიათებლის გარეშე.

სოციალური ცხოვრების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას სახელმწიფო სტატისტიკის სამსახურებთან ერთად იძლევა სოციალური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი სამსახურები, ხელისუფლების ორგანოებთან არსებული სამეცნიერო საკონსულტაციო სამსახურები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში იცვლება არა მარტო მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა, არამედ მათი შესწავლის მეთოდები. მაგალითად, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდში რადიკალურად შეიცვალა მოსახლეობის სოციალურ-კლასობრივი დაჯგუფება. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მიღებული იყო მოსახლეობის შემდეგ საზოგადოებრივ ჯგუფებად დაყოფა: მუშები, მოსამსახურეები და კოლმეურნეები. ამჟამად კი დაჯგუფების საფუძველს წარმოადგენს დასაქმების მდგომარეობა (დაქირავებული მომუშავეები, დამსაქმებელი და ა. შ.), რაც უფრო მეტად შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას.

მოსახლეობის შემადგენლობის სტატისტიკური შესწავლისათვის გამოიყენება დაჯგუფების მეთოდი, მონაცემთა გამოსახვის ცხრილებისა და გრაფიკების ხერხები, განზოგადებული სიდიდეების გაანგარიშების მაჩვენებლები და ა. შ. ყველაზე გავრცელებულ ხერხს დაჯგუფება წარმოადგენს, რადგან მოსახლეობის შემადგენლობის დახასიათების საფუძველია.

როგორც ცნობილია, დაჯგუფება სხვადასხვა სახისაა, ამიტომ დაჯგუფების დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ რამდენიმე პრინციპი:

- ჯგუფთა შედარებით დეტალური ჩამოთვლა მართებულია მაშინ, როდესაც მოცემული მახასიათებლები წარმოადგენილია როგორც დამოუკიდებელი პარამეტრები სხვა ნიშნებთან ურთიერთკავშირის გარეშე. მოსახლეობის დაჯგუფება ასაკის მიხედვით, დასაქმებულთა დაჯგუფება პროფესიის მიხედვით, პროფესიის დეტალური ჩამოთვლით;

- კომბინაციური დაჯგუფების დროს გამოიყენება გამსხვილებული ინტერვალი, რადგან თავიდან იქნას აცილებული მასალის ზედმეტი დანაწევრება;
- დაჯგუფებაში ზოგიერთი ნიშანი თითქმის ყველა კომბინაციისათვის გამოიყენება. მაგალითად, სქესი, ასაკი, განათლება და ასევე მოსახლეობის დაყოფა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლებად;
- განაწილების მწკრივებში ატრიბუტული ნიშნის მნიშვნელობა შეძლების-დაგვარადაა მოცემული რანჟირებული მიმდევრობით.

დაჯგუფებათა უმრავლესობაში ერთმანეთისაგან გამიჯნულია ქალაქისა²⁴ და სოფლის²⁵ მოსახლეობა, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და ინფორმაციულ მაჩვენებელს. იგი რეაგირებს ნებისმიერ სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ მოვლენებსა და პროცესებზე.

1926 წლიდან 2014 წლამდე საქართველოში ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად იცვლება (იხ. შემდეგი ცხრილი):


წლები	სულ	დასახლების ტიპი			
		საქალაქო		სასოფლო	
		ათასი კაცი	%	ათასი კაცი	%
1897	2 109.3	322.3	15,3	1 787.0	84,7
1926	2 666.5	594.2	22,3	2 072.3	77,7
1939	3 540.0	1 066.2	30,1	2 473.8	69,9
1959	4 044.0	1 712.9	42,4	2 331.1	57,6
1970	4 674.6	2 211.0	47,3	2 463.6	52,7
1979	4 993.2	2 548.7	51,0	2 444.5	49
1989	5 400.8	2 991.4	55,4	2 409.5	44,6
2002	3 991.3	2 247.1	56,3	1 744.2	43,7
2014	3 713.8	2 122.6	57,2	1 591.2	42,8

ცხრილი 3.4.1. მოსახლეობის რიცხოვნობა დასახლების ტიპების მიხედვით (აღწერების მიხედვით)

წყარო: საქსტატის მონაცემები

²⁴ დასახლება, რომლის ტერიტორიაზე განლაგებულია სამრეწველო საწარმოები, ტურისტული, სამკურნალო და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელი და რომელიც ასრულებს ადგილობრივი ეკონომიკურ-კულტურული ცენტრის ფუნქციებს, ქალაქის ინფრასტრუქტურა ორიენტირებული არ არის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე, ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეობათა რიცხოვნობა 5 000-ზე მეტია.

²⁵ დასახლება, რომლის საზღვრებში ძირითადად მოქცეულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები და რომლის ინფრასტრუქტურა არსებითად ორიენტირებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაზე.



ნახაზი 3.4.1. მოსახლეობის განაწილება (%) საქალაქო და სასოფლო დასახლებების მიხედვით (მოსახლეობის საყოველთაო აღწერების შედეგები)

წყარო: საქსტატის მონაცემები


ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ მახასიათებელს წარმოადგენს მოსახლეობის დაჯგუფება სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნის მიხედვით. ასაკობრივი ინტერვალი ჩვეულებრივ წარმოადგენილია ერთ, ხუთ და ათ-წლიანი ინტერვალებით.

წლები	სქესი		ძირითადი ასაკობრივი ჯგუფები		
	მამაკაცი	ქალი	0-14	15-64	65+
1897	1 125.0	984.3	853.9	1 170.5	84.9
1926	1 347.5	1 319.0	1 032.1	1 490.8	143.6
1939	1 765.0	1 775.0	1 308.0	2 027.8	204.2
1959	1 865.3	2 178.7	1 184.6	2 549.5	309.9
1970	2 195.5	2 479.1	1 431.8	2 857.2	385.6
1979	2 338.9	2 654.3	1 297.6	3 233.9	461.7
1989	2 562.0	2 838.8	1 338.4	3 584.4	478.0
2002	1 898.5	2 092.8	821.6	2 641.0	528.7
2014	1 772.8	1 941.0	691.3	2 492.3	530.2

ცხრილი 3.4.2. მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით (აღწერების მიხედვით)

წყარო: საქსტატის მონაცემები.

გარდა ამისა, მოსახლეობის დაჯგუფება ხორციელდება შემდეგი ნიშნებით: შრომისუნარიანზე უმცროსი, შრომისუნარიანი და შრომისუნარიანზე უფროსი. ასეთი ასაკობრივი ჯგუფებით იქმნება სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდები (იხ. ნახ).



ნახაზი 3.4.2. მოსახლეობის პირამიდა (%) 1897 და 2014 აღწერის მიხედვით

წყარო: საქსტატის მონაცემები

დაჯგუფების მეთოდის გარდა, მოსახლეობის შემადგენლობის დასახასიათებლად გამოიყენება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლები. მაგალითად, მოსახლეობაში ქალებისა და მამაკაცების ხვედრითი წილი ან პროცენტული მაჩვენებლები. ქალთა და მამაკაცთა რიცხოვნობის ფარდობა შეიძლება იყოს წარმოდგენილი ორი გზით:


1. მოსახლეობის რიცხოვნობაში ქალთა და მამაკაცთა პროცენტული მაჩვენებლები;
2. ქალთა რიცხოვნობა 1000 კაცთან მიმართებაში.

1989 წელს მთელ მოსახლეობაში 47,5% მამაკაცთა ხვედრითი წილი იყო, ხოლო 52,5% – ქალების. 2000 წლისთვის შესაბამისად მაჩვენებლები იყო 47,8% და 52,2%, ხოლო 2014 წელს – 47,7% და 53,7%. ამასთან, ყოველ 1000 კაცთან მიმართებაში 1989 წელს მოდიოდა 1108, 2000 წელს – 1032, ხოლო 2017 წელს – 1094 ქალი.

მოსახლეობის შემადგენლობას სქესის მიხედვით განსაზღვრავს ბუნებრივ-ბიოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ფაქტორთა პირველი ჯგუფი აყალიბებს სქესთა შორის თანაფარდობას, ხოლო ფაქტორთა მეორე ჯგუფი იწვევს სქესის მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილებას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფსა და ტერიტორიულ ჭრილში.

ბუნებრივ-ბიოლოგიური ფაქტორები ზემოქმედებას ახდენენ ქალთა და მამაკაცთა თანაფარდობაზე მათი დაბადებისა და ცხოვრების პირველ წლებში. შემდეგ წლებში მათი სიცოცხლისუნარიანობა განპირობებულია ორგანიზმის ბიოლოგიური ბუნებით, თუმცა არანაკლებ როლს თამაშობენ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები.

მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობა ასევე ხასიათდება ისეთი განზოგადებული მაჩვენებლით, როგორცაა საშუალოები, მოდა და მედიანა. ისინი გაიანგარიშება როგორც მთელი მოსახლეობის, ისე მისი გარკვეული კატეგორიებისათვის. მაგალითად, გაიანგარიშება შრომისუნარიანი საშუალო ასაკი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საშუალო ასაკი და ა. შ. (იხ. ნახ 3.4.3).



ნახაზი 3.4.3. მოსახლეობის მედიანური ასაკისა და სქესის მიხედვით

წყარო: საქსტატის მონაცემები

სოციალური პროცესების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის განათლების დონის შესწავლას, მის დაჯგუფებას აღნიშნული ნიშნის მიხედვით. გაიანგარიშება გარკვეული განათლების მქონე პირთა რიცხოვნობა:

1. 10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლების მქონე პირთა რიცხვი ყოველ 1000 კაცზე გაანგარიშებით;
2. ყოველ 1000 დასაქმებულთან მიმართებაში;
3. განსაზღვრული დონის განათლების მქონე პირთა რიცხვი 1000 დასაქმებულზე გაანგარიშებით;
4. ფიზიკური შრომით დასაქმებული ყოველ 1000 კაცთან მიმართებაში;
5. გონებრივი შრომით დასაქმებული ყოველ 1000 კაცთან მიმართებაში.

სოციალური პროცესების შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემადგენლობის დახასიათება შემოსავლის წყაროს მიხედვით. მოსახლეობის შემადგენლობა შემოსავლის წყაროს მიხედვით წინა პერიოდის მოსახლეობის აღწერების პროგრამაში ხასიათდებოდა შემდეგი კატეგორიებით:

1. დასაქმებული მოსახლეობა, გარე და შინამეურნეობაში დაკავებულები;
2. კერძო მეურნეობაში დაკავებულები;
3. სტიპენდიანტები;
4. პენსიონერები და სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფნი;
5. სხვა შემოსავლის წყაროს მქონენი;
6. ცალკეულ პირთა კმაყოფაზე მყოფნი.

მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის ცვალებადობა გამოიწვია სააღწერო პროგრამაში შემოსავლის სხვა წყაროების მითითებამ.

ადრეული პერიოდის მოსახლეობის აღწერათა პროგრამაში იყო ეთნიკური მახასიათებლები, რომელიც, ასევე, მოსახლეობის შემადგენლობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. 1989 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის პროგრამაში წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად: ეროვნება, მშობლიური ენა და სსრკ ქვეყნების ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს პიროვნება. 2002 წლის აღწერისას, წინა აღწერის კითხვის – „სსრკ ხალხების სხვა ენა“ ნაცვლად, კითხვა – „მშობლიური ენა“ შეივსო ქვეკითხვით – „მეითითოს აგრეთვე სხვა ენა, რომელსაც თავისუფლად ფლობს“. საქართველოში ეროვნებასთან მიმართებაში მოცემულია ქვეყნისათვის დამახასიათებელი 6 ძირეული და მრავალრიცხოვანი ეროვნება – ქართველი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, რუსი, სომეხი, რომელთაგან ნებისმიერს აღწერისას კითხვაში დაესმის შესაბამისი აღნიშვნა. თუ გამოსაკითხი პირი არ ეკუთვნის ჩამოთვლილთაგან არცერთს, მაშინ ჩაიწერება ის ეროვნება, რომელსაც მიუთითებს გამოსაკითხი პირი. ბავშვის ეროვნება განისაზღვრება მშობლების მიერ. მშობლიური ენის შესახებ კითხვაზე ჩაიწერა ენის დასახელება, რომელსაც გამოსაკითხი აღიარებს თავის მშობლიურ ენად. ამასთან, მშობლიური ენა შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს გამოსაკითხი პირის ეროვნებას.

საქართველოს მოსახლეობას ეროვნული შემადგენლობა 1989, 2002 და 2014 წლების აღწერების შედეგების მიხედვით, შემდეგი სახისაა:

ეროვნება	პროცენტულად მთელ მოსახლეობასთან		
	1989 წელი	2002 წელი	2014 წელი
ქართველი	70,1	83,8	86,9
აფხაზი	1,8	0,1	-
ოსი	3,0	0,9	0,4
რუსი	6,3	1,5	0,7
უკრაინელი	1,0	0,2	0,2
აზერბაიჯანელი	5,7	6,5	6,3
სომეხი	8,1	5,7	4,5
ებრაელი	0,5	0,1	0,1
ასირიელი	0,1	-	0,1
ბერძენი	1,3	0,3	0,2
ქურთი	0,6	0,5	0,3

ცხრილი 3.4.3. საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობა ეროვნული ნიშნის მიხედვით 1989, 2002 და 2017 წლების მოსახლეობის აღწერების მონაცემებით

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

ეროვნულობა განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლებით:

1. ყოველი ეროვნების პირთა რიცხოვნობა;
2. ყოველი ეროვნების პირთა რიცხოვნობა ყოველ 100 000 კაცთან მიმართებაში;
3. მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა შორის მკვიდრი მოსახლეობის ხვედრითი წილი;
4. ქვეყნის გარეთ მცხოვრებ მოცემული ეროვნების მოსახლეობის ხვედრითი წილი.

აღწერების ჩატარების დროს ხორციელდება მონაცემთა შეკრება მშობლიურ ენასთან და სალაპარაკო ენასთან დაკავშირებით. მიღებული მონაცემები ასახავენ ეროვნული თვითშეგნებისა და ტრადიციულობის დონეს.

არსებობს მჭიდრო კავშირი სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებსა და მოსახლეობის მიგრაციას შორის. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოსახლეობის შემადგენლობა ისეთი ნიშნის მიხედვით, როგორცაა მუდმივი საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების ხანგრძლივობა.

3.5 მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილების შესწავლის მეთოდები

ყოველ ტერიტორიაზე მოსახლეობის შემადგენლობა, ყოველი კონკრეტული მომენტისათვის გრძელდება, როგორც თაობათა ცვლის პროცესით. ასევე, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორთა კომპლექსის გავლენით მოსახლეობის შემადგენლობა იცვლება შემდეგი მონაცემებით: დაბადება, გარდაცვალება, იმიგრაცია და ემიგრაცია; სოციალ-ეკონომიკური მობილობა, რითაც ადამიანები იცვლიან განათლებას, პროფესიას, საქმიანობის სახეს, კვალიფიკაციას, სამუშაო ადგილს და სხვ.

საჭიროა განვიხილოთ პიროვნების მახასიათებლები დროში ცვალებადობის მიხედვით. უცვლელი და მუდმივია სქესი, დაბადების დრო და ადგილი, სოციალური წარმოშობა. არსებობს ისეთი მახასიათებლები, რომლებიც იშვიათად იცვლება. მაგალითად, ეროვნება. შედარებით შესაძლებელია სალაპარაკო და მშობლიური ენის ცვალე-ბადობა. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, ისინი შეიძლება შეიცვალოს ხშირად, არაერთხელ. განსაკუთრებით ცხოვრების ადრეულ საფეხურზე და საპენსიო ასაკში მოსახლეობის შესწავლის დროს. აღნიშნული მახასიათებლების მდგრადობის ხარისხი გავლენას ახდენს მოსახლეობის მთელი შემადგენლობის სტაბილურობის ხარისხზე.

მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლის დროს, უპირველეს ყოვლისა, ხორციელდება შედარებით არსებითი ფაქტორების განსაზღვრა და მათი კლასიფიკაცია. ფაქტორები შეიძლება იყოს სპეციფიკური იმისდა მიხედვით, თუ რა ჭრილშია საჭირო მოსახლეობის შემადგენლობის ანალიზის ჩატარება, მოსახლეობის რომელი კატეგორიისა და ისტორიული ეტაპის გამოკვლევა ხორციელდება. ფაქტორთა გავლენის შესწავლა წარმოებს როგორც თეორიული გამოკვლევით, ისე მათემატიკურ-სტატისტიკური

მოდელებით. უპირველეს ყოვლისა, გამოიყოფა დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ფაქტორები.

დემოგრაფიულ ფაქტორებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება და მიგრაცია. დემოგრაფიულ ფაქტორებს გადაყავს მოსახლეობის სტრუქტურა ახალ მდგომარეობაში. ყალიბდება ახალი პრინციპები მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიას შორის. იცვლება მათი ტერიტორიული განსახლება, ერთგვაროვნების ხარისხი, ტიპური საშუალო მაჩვენებლები.

მოსახლეობის შემადგენლობაზე დემოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება განისაზღვრება გაანგარიშებით, სადაც მოსახლეობის ნაწილს განაპირობებს ბუნებრივი მატებისა და მიგრაციის მაჩვენებლებს შორის სხვაობა. მაჩვენებელი შეიძლება იყოს როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი – გაანგარიშებული ყოველ 1000 კაცთან მიმართებაში როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე ცალკეული ტერიტორიული ერთეულებისათვის.

მოსახლეობის შემადგენლობაზე ფაქტორთა ზემოქმედების შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია პროგნოზების გაანგარიშება თუნდაც მოკლე ან საშუალო პერიოდისათვის. ასევე, რთულია ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება. აღნიშნული შეზღუდვების დროს სტატისტიკური სამსახურები ატარებენ სპეციალურ გამოკვლევებს, რომლებიც გამსაზღვრელი თანმიმდევრობით იძლევა ინფორმაციას მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე.

გამოკვლევის ერთ-ერთი სახეა შერჩევითი გამოკვლევა, რომლის ამოცანა უფრო ფართოა, ვიდრე მოსახლეობის შემადგენლობის ანალიზი.

მოსახლეობის შემადგენლობის ცვლილების საერთო მახასიათებლებს წარმოადგენს მისი განახლებისა და გასვლის კოეფიციენტები. სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შემადგენლობის განახლების კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{S_1 - S_0}{S_1} \times 100$$

სადაც, S_1 და S_0 არის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის რიცხოვნობა საანალიზო პერიოდის ბოლოს (1) და დასაწყისში (0);

თუ $S_1 > S_0$, მაშინ $K > 0$, წინააღმდეგ შემთხვევაში $K < 0$. თუ $K \geq 10\%$, მაშინ არსებითად იცვლება მოცემული ჯგუფის შემადგენლობა.

მთელი სოციალური სტრუქტურის ცვლილების შეფასება შესაძლებელია შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$K = \frac{\sum W_{i1} - W_{i0}}{n} \times 100$$

სადაც, W_{i1}, W_{i0} არის i - ჯგუფის ხვედრითი წილი შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში; n - ჯგუფების რიცხვი.

თუ გაანგარიშების შედეგად აღმოჩნდა, რომ $K > 3\%$, მაშინ ადგილი აქვს მნიშვნელოვან სტრუქტურულ ცვლილებებს.

3.6. მოსახლეობის რიცხოვნობის სტატისტიკური შესწავლა

საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების კანონზომიერების შესწავლასა და მართვის პროცესში მოსახლეობის რიცხოვნობა მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მოსახლეობის აღწერისას განასხვავებენ მოსახლეობის მაჩვენებელთა შემდეგ კატეგორიებს: მუდმივი, სახეზე მყოფი, დროებით მცხოვრები და დროებით წასული მოსახლეობა.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს მოსახლეობი საღწერა წარმოადგენს. მოსახლეობის რიცხოვნობა განისაზღვრება კრიტიკული მომენტისათვის. კრიტიკულ მომენტს სტატისტიკის პრაქტიკაში სპეციალურად შერჩეულ მომენტს უწოდებენ, რომლის მიხედვითაც ხდება სააღწერო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის აღწერის პროგრამით გათვალისწინებული მონაცემების რეგისტრაცია. მაგალითად, 1979 და 2002 წლების მოსახლეობის აღწერისას კრიტიკული მომენტი იყო 16-17 იანვრის ღამის 12 საათი, 1989 წლის აღწერისას 12-13 იანვრის ღამის 12 საათი, ხოლო დანარჩენი წლების მონაცემები აღებულია წლის დასაწყისისათვის. 1994-2008 წლების მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე.

აღწერებს შორის პერიოდებში მოსახლეობის რიცხოვნობა გაიანგარიშება შემდეგი სქემის გამოყენებით:

წლის დასაწყისში მოსახლეობის რიცხოვნობა + წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი + წლის განმავლობაში ჩამოსულთა რიცხვი – წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი – წასულთა რიცხვი = წლის ბოლოსათვის მოსახლეობის რიცხოვნობას.

მოსახლეობის რიცხოვნობა წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება, ამიტომ სტატისტიკაში მთელი რიგი მაჩვენებლების გაანგარიშების მიზნით განისაზღვრება მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა (\bar{S}), როგორც წლის დასაწყისსა (S_H) და ბოლოსათვის (S_K) რიცხოვნობათა საშუალო არითმეტიკული, ანუ:

$$\bar{S} = \frac{S_H + S_K}{2}$$

თუ მონაცემები მოცემულია დროის მომენტების (სამომენტო მწკრივის) მიხედვით, მაშინ წლის განმავლობაში საშუალოწლიური რიცხოვნობა გაიანგარიშება საშუალო ქრონოლოგიურით:

$$\bar{S} = \frac{1/2S_1 + S_2 + S_3 + \dots + S_{n-1} + 1/2S_n}{n-1}$$

ხოლო თუ მონაცემები მოცემულია წლის ყველა თვის მიხედვით (ინტერვალური მწკრივი), მაშინ საშუალოწლიური რიცხოვნობა გაიანგარიშება საშუალო არითმეტიკულის მარტივი ან შეწონილი ფორმულით.

მოსახლეობის სტატისტიკაში ანგარიშობენ მოსახლეობის რიცხოვნობას ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მიხედვით. ამასთან, იანგარიშება მოსახლეობის სიმჭიდროვის მაჩვენებელიც, რომელიც მიიღება მოცემული ტერიტორიის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით იმავე ტერიტორიის

ფართობთან. ეს მაჩვენებელი საქართველოს ცალკეული რეგიონების მიხედვით მნიშვნელოვანი ვარიაციით ხასიათდება.

3.7. მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა

ცნობილია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა ცვალებადია. დაბადებულთა და გარდაცვლილთა ხარჯზე გამოწვეულ მოსახლეობის ცვალებადობას ბუნებრივ მოძრაობას უწოდებენ. ბუნებრივი მოძრაობისგან განსხვავდება მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაცია, ე. ი. მოსახლეობის ერთი ტერიტორიული ადგილიდან მეორეზე ხანგრძლივი ან ხანმოკლე პერიოდით გადაადგილდება.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ძირითად მახასიათებლებს განეკუთვნება: შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, აგრეთვე მათზე დამოკიდებული ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლები.

ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლებია: დაბადებულთა, გარდაცვლილთა, დაქორწინებულთა, განქორწინებულთა რიცხვი და ბუნებრივი მატება (კლება) ათას კაცებში.

ქვეყანაში წლის მანძილზე დაბადებულთა, გარდაცვლილთა და ბუნებრივი მატების (მათ შორის სხვაობის) რიცხვი გამოითვლება აბსოლუტური მაჩვენებლით. მაგრამ ეს მაჩვენებელი, ბუნებრივია, ვერ გამოხატავს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის დონეს, რამდენადაც დამოკიდებულია მთლიან რიცხოვნობაზე. ამიტომ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებს ანგარიშობენ 1000 კაცზე გაანგარიშებით (პრომილეში – ‰), რომელსაც სტატისტიკასა და დემოგრაფიაში ეწოდება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტი და იძლევა დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების საშუალებას.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გაიანგარიშება წლის მანძილზე დაბადებულთა რიცხვის (N) გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ (\bar{S}) მაჩვენებელზე. ე. ი. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (K_N) უდრის:

$$K_N = \frac{N}{\bar{S}} \cdot 1000$$

მოკვდავობის ზოგადი კოეფიციენტი გაიანგარიშება ანალოგიური წესით, ანუ წლის მანძილზე გარდაცვლილთა რიცხვის (M) გაყოფით მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე (\bar{S}); ე. ი. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (K_m) უდრის:

$$K_m = \frac{M}{\bar{S}} \cdot 1000$$

ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი განისაზღვრება როგორც დაბადებულთა (N) და გარდაცვლილთა (M) რიცხოვნობას შორის სხვაობა, გაყოფილი მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვზე. მაშასადამე, ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი (K_A)

უდრის:

$$K_{\Delta} = \frac{N - M}{S} \cdot 1000$$

ან კიდევ როგორც შობადობისა (K_N) და მოკვდავობის (K_m) ზოგად კოეფიციენტებს შორის სხვაობა:

$$K_{\Delta} = K_N - K_m$$

სტატისტიკაში გაიანგარიშება ასევე შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, ფერტილურობის (ანუ ნაყოფიერების) კოეფიციენტი. იგი გაიანგარიშება, როგორც შეფარდებითი მაჩვენებელი დაბადებულთა რიცხვსა და 15-49 წლის ფერტილური ასაკის ქალების საშუალო რიცხოვნობასთან მიმართებაში.

მოსახლეობის სტატისტიკაში შობადობისა და ზოგადი ფერტილურობის კოეფიციენტების გარდა, ასევე გაიანგარიშება:

1. შობადობის კოეფიციენტი ქალების ცალკეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის;
- 1 შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი;
- 2 მოსახლეობის კვლავწარმოების ბრუტო-კოეფიციენტი (რომელიც აჩვენებს თითოეული ქალის მიერ მთელი ფერტილური პერიოდის მანძილზე დაბადებული გოგონების საშუალო რიცხვს);
- 3 მოსახლეობის კვლავწარმოების ნეტო-კოეფიციენტი.

მოსახლეობის სტატისტიკაში მოკვდავობის რამდენიმე სპეციალური კოეფიციენტი გაიანგარიშება. გამოყოფენ ჩვილთა (ერთ წლამდე ასაკის) სიკვდილიანობის სპეციალურ კოეფიციენტს (K_m), რომელიც მიიღება შემდეგი ფორმულის საფუძველზე ჩატარებული გაანგარიშებით:

$$K_m = \frac{m_1}{\frac{1}{3}N_0 + \frac{2}{3}N_1}$$

სადაც, m_1 არის 1 წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი;

N_0 – მოცემულ წელს დაბადებულთა რიცხვი;

N_1 – გასულ წელს დაბადებულთა რიცხვი.

სტატისტიკის პრაქტიკაში ასევე გამოიყენება ე. წ. პოკროვსკი-პირლის „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი, რომელიც მიიღება დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვლილთა რიცხვთან და გამოსახება პროცენტობით.

სიკვდილიანობის დეტალური შესწავლა წარმოებს ე. წ. „მოკვდავობის ცხრილის“ მეშვეობით. ცხრილის მაკეტი მოცემულია ქვემოთ. ცხრილის (იხ. ცხრილი 11.3) „ქვემდებარედ“ გვევლინება მოსახლეობის ერთ-წლიანი ასაკობრივი ჯგუფები ახალშობილიდან (0) მოყოლებული 100 წლის ასაკამდე (X), ხოლო „შემასმენელი“ მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

ასაკი წლებში	X ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი	X ასაკიდან X-1 ასაკში გადასვლის პერიოდში გარდაცვლილთა რიცხვი	X ასაკიდან X+1 ასაკში გადასვლის პერიოდში სიკვდილიანობის ალბათობა	ცოცხლად დარჩენის ალბათობა	ცოცხლად მყოფთა რიცხვი	კაც-წელიწადების რიცხვი	მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა
X	I_x	d_x	q_x	p_x	L_x	T_x	e_x^0

ცხრილი 3.7.1. მოკვდაობის ცხრილი-მაკეტი

1. მოცემულ ასაკამდე (X წელი) მიღწეულთა რიცხვი (I_x). ეს მაჩვენებელი დგინდება ყოველ 10000 ადამიანზე გაანგარიშებით;
2. გარდაცვლილთა რიცხვი X ასაკიდან X+1 ასაკამდე გადასვლის პერიოდში (d_x);
3. X ასაკიდან X+1 ასაკამდე გადასვლის პერიოდში მოკვდაობის ალბათობა (d_x)

რომელიც გაიანგარიშება ფორმულით: $q_x = \frac{d_x}{I_x}$

4. მომდევნო ასაკის შესრულებამდე ცოცხლად დარჩენის ალბათობა (p_x), რომელიც გაიანგარიშება ფორმულით:

$$p_x = \frac{I_{x+1}}{I_x}$$

სადაც I_{x+1} არის X+1 ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი, ხოლო I_x არის X ასაკამდე მიღწეულთა რიცხვი.

5. X ასაკში ცოცხლადმყოფთა რიცხვი (L_x). რომელიც შესაძლოა დადგინდეს შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$p_x = \frac{I_{x+1}}{I_x}$$

6. კაც-წელიწადების რიცხვი (T_x), რომელიც იანგარიშება როგორც კაც-წელიწადების საერთო რიცხვი, რომლებიც უნდა იცხოვრონ X ასაკს მიღწეულმა პირებმა, მთლიანობაში X ასაკიდან საზღვრითი ასაკის ჩათვლით, ე. ი.:

$$T_x = \sum_x L_x$$

7. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა (e_x^0), რომელიც გაიანგარიშება ნაცოცხლები კაც-წელიწადების რიცხვის (T_x) გაყოფით X ასაკამდე მიღწეულთა რიცხვზე (I_x), ე. ი.:

$$e_x^0 = \frac{T_x}{I_x}$$

სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი გაიანგარიშება როგორც ცალ-ცალკე ახლად დაბადებულთათვის (e_x^0), ასევე განსაზღვრულ ასაკამდე მიღწეულთათვისაც. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის სიდიდე დამოკიდებულია მოსახლეობის მოკვდავობის დონეზე, რომელიც იმავდროულად დამოკიდებულია მოსახლეობის სოციალურ პირობებზე და სხვა ფაქტორებზე.

წლები	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
1995	70.1	66.0	74.0
1996	70.2	66.4	73.9
1997	70.2	66.5	73.9
1998	70.3	66.5	74.0
1999	70.3	66.4	74.1
2000	70.1	66.2	73.9
2001	70.2	66.6	73.6
2002	70.0	66.4	73.5
2003	70.6	67.2	73.8
2004	70.0	66.3	73.6
2005	69.9	66.0	73.7
2006	70.4	66.0	74.8
2007	70.6	66.1	75.1
2008	69.7	64.9	74.8
2009	69.9	65.6	74.2
2010	71.3	66.7	75.8
2011	72.1	67.8	76.5
2012	72.1	67.6	76.7
2013	72.5	68.1	76.9
2014	72.8	68.6	77.0
2015	73.0	68.7	77.3
2016	72.7	68.3	77.2
2017	73.5	69.2	77.8
2018	74.0	69.7	78.2

ცხრილი 3.7.2. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (1995-2018 წწ)

წყარო: საქსტატის მონაცემები

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრობის დახასიათებისათვის ასევე გაიანგარიშება დაქორწინება და განქორწინება. აბსოლუტური მაჩვენებლებია წლის მანძილზე დაქორ-

წინებულთა და განქორწინებულთა რიცხვი, ხოლო შეფარდებითი მაჩვენებლები კი - დაქორწინებისა და განქორწინების კოეფიციენტები, რომლებიც იგივე წესით გაიანგარიშება, როგორც შობადობისა და სიკვდილიანობის ზოგადი კოეფიციენტები. კერძოდ, თუ დაქორწინებულთა რიცხვს გავყოფთ მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვზე და გავამრავლებთ 1000-ზე, მივიღებთ დაქორწინების კოეფიციენტს, ხოლო განქორწინებულთა რიცხვის მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე გავყოფითა და 1000-ზე გამრავლებით მივიღებთ განქორწინების კოეფიციენტს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ამ კოეფიციენტთა ნაკლად ითვლება ის, რომ არ გაითვალისწინება მოსახლეობის ასაკობრივ-სქესობრივი განსხვავებები. ამიტომ გაიანგარიშება სპეციალური კოეფიციენტები ცალკე ვაჟებისა და ქალებისათვის, ასევე ფერტილური ასაკის ქალებისათვის.

მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც ოჯახის სიმტკიცის მაჩვენებელია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მისი კომპლექსური ანალიზისათვის.

დემოგრაფიული სიტუაციის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, ქვეყანაში (რეგიონში) ჩამოსვლას - იმიგრაციას, მეორე მხრივ, ქვეყნიდან (რეგიონიდან) წასვლას - ემიგრაციას. იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხვებს შორის სხვაობა წარმოადგენს მიგრაციის სალდოს, რომელიც ახასიათებს მოსახლეობის მექანიკური გადაადგილების ზრდობას (ან კლებადობას) მოცემულ ქვეყანაში. განასხვავებენ ქვეყნის შიგა და გარე მიგრაციას. მიგრაციის მონაცემების ანალიზის მაჩვენებლები გამოიყენება სხვადასხვა სამთავრობო ღონისძიებების შემუშავებისას. მიგრაციის მაჩვენებლები გაიანგარიშება როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი სახით.

სტატისტიკურ ანალიზში გამოიყენება შემდეგი აბსოლუტური მაჩვენებლები:

1. ჩამოსულთა (იმიგრანტთა) რიცხვი;
2. წასულთა (ემიგრანტთა) რიცხვი;
3. მიგრაციული მატება (მიგრაციის სალდო), ჩამოსულთა და წასულთა რიცხოვნობას შორის სხვაობა;
4. მიგრაციის მოცულობა.

მიგრაციის შეფარდებითი მაჩვენებლები (მიგრაციის ინტენსივობის მაჩვენებლები) ახასიათებენ დროის გარკვეული პერიოდისათვის მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის შემთხვევათა ხვედრით წილს. ყველაზე მეტად ასეთი მაჩვენებლები გაიანგარიშება საანგარიშო წელს მოსახლეობის ყოველ 1000 ან 10 000 კაცზე. მიგრაციის შეფარდებით მაჩვენებლებს მიეკუთვნება - იმიგრაციისა და ემიგრაციის კოეფიციენტები, მექანიკური მოძრაობის კოეფიციენტი. მათი გაანგარიშების წესი ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტების (შობადობის, სიკვდილიანობისა და ბუნებრივი მატების კოეფიციენტების) გაანგარიშების ანალოგიურია.

მოსახლეობის მიგრაციის სტატისტიკური შესწავლა წარმოებს ცალკეული მიზეზების გათვალისწინებით, სქესის, ეროვნებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც მოსახლეობის კვლავწარმოების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი, უშუალო კავშირშია მოცემულ ქვეყანაში (რეგიონში)

ისტორიულად ჩამოყალიბებულ ცხოვრების წესთან, საზოგადოებრივი განვითარების დონესთან. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დემოგრაფიულ სტატისტიკაში მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მექანიკური გადაადგილების მაჩვენებლები უნდა განვიხილოთ გარკვეულ ისტორიულ პირობებში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების ფონზე. ასეთ მახასიათებლებს, პირველ რიგში, უნდა მივაკუთვნოთ მოსახლეობის ცხოვრების დონე, კულტურისა და განათლების დონე და სხვ.

საკონტროლო კითხვები:

1. რას წარმოადგენს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და როგორი სახე აქვს მას?
2. რომელი ინფორმაციული წყარო გამოიყენება მოსახლეობის შემადგენლობის სრული დახასიათებისთვის?
3. დაახასიათეთ სოციალური სტრატეფიკაციის ორი მოდელი: კლასები და კასტები.
4. რა მეთოდებით ხდება მოსახლეობის შემადგენლობის დინამიკის შესწავლა?
5. როგორ წარმოებს მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშება?
6. რომელი მაჩვენებლებით შეისწავლება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა?
7. რომელი მაჩვენებლებით შეისწავლება მოსახლეობის მექანიკური მოძრაობა, ანუ მიგრაცია?
8. როგორ განისაზღვრება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები?
9. როგორ განისაზღვრება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კერძო კოეფიციენტები?

3.8. ტესტები

1. მოსახლეობის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს:

1. მოსახლეობის მიმდინარე რეგისტრაცია;
2. მოსახლეობის აღწერები;
3. საარჩევნო სიები;
4. მოსახლეობის შერჩევითი გამოკვლევები.

2. მუდმივი მოსახლეობა მიიღება:

1. სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობას გამოკლებული დროებით წასული მოსახლეობა და მიმატებული დროებითი მაცხოვრებლები;
2. სახეზე მყოფ მოსახლეობას დამატებული დროებით წასული მოსახლეობა და

- გამოკლებული დროებითი მაცხოვრებლები;
- სახეზე მყოფ მოსახლეობას დამატებული დროებით წასული მოსახლეობა;
 - სახეზე მყოფ მოსახლეობას გამოკლებული დროებითი მაცხოვრებლები.

3. მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას განეკუთვნება:

- შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინება, განქორწინება;
- შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინება, განქორწინება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილებანი;
- შობადობა, სიკვდილიანობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილებანი;
- ქორწინება, განქორწინება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ცვლილებანი.

4. სიცოცხლიანობის კოეფიციენტი გაიანგარიშება:

- დაბადებულთა რიცხვისა და გარდაცვლილთა რიცხვის სხვაობით;
- დაბადებულთა რიცხვის გამრავლებით გარდაცვლილთა რიცხვზე;
- დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით გარდაცვლილთა რიცხვთან;
- გარდაცვლილთა რიცხვის შეფარდებით დაბადებულთა რიცხვთან.

5. მოცემული ფორმულა $K_M = \frac{M}{T} \times 100$ არის:

- მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი;
- სიკვდილიანობის კერძო კოეფიციენტი;
- ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი;
- არცერთი პასუხი არ არის სწორი

6. მოცემული ფორმულა $K_\Delta = \frac{N-M}{T} \times 100$ არის:

- მექანიკური მოძრაობის კოეფიციენტი;
- ემიგრაციის კოეფიციენტი;
- ასაკმიღწევის კოეფიციენტი;
- ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტი.

7. მოცემული ფორმულა $K_N = \frac{N}{T} \times 100$ არის:

- შობადობის საერთო კოეფიციენტი;
- შობადობის კერძო კოეფიციენტი;
- ქორწინების ზოგადი კოეფიციენტი;
- არცერთი პასუხი არ არის სწორი.

8. შობადობისა და სიკვდილიანობის შეფარდებითი მაჩვენებლები გაიანგარიშება:

- მოსახლეობის 1 000 კაცზე;
- მოსახლეობის 100 კაცზე;
- მოსახლეობის 10 000 კაცზე;

4. მოსახლეობის 100 000 კაცზე.

9. შობადობის სპეციალური კოეფიციენტი გაიანგარიშება:

1. წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 ასაკის ქალთა საშუალოწლიურ რიცხვთან და 100-ზე გამრავლებით;
2. წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 ასაკის ქალთა საშუალოწლიურ რიცხვთან;
3. თვის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 ასაკის ქალთა საშუალოწლიურ რიცხვთან და 1000-ზე გამრავლებით;
4. წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 ასაკის ქალთა საშუალოწლიურ რიცხვთან და 1000-ზე გამრავლებით;

10. მოცემული ფორმულა $\bar{y} = \frac{0,5y_1 + y_2 + y_3 + \dots + 0,5y_n}{n-1}$ არის:

1. საშუალო არითმეტიკული;
2. საშუალო ჰარმონიული;
3. საშუალო გეომეტრიული;
4. საშუალო ქრონოლოგიური.

11. თუ წლის დასაწყისში მოსახლეობის რიცხოვნობა ტოლი იყო 4,8 მლნ. ხოლო წლის ბოლოს 4,9 მლნ. კაცამდე გაიზარდა, მაშინ მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხვი ტოლი იქნება:

1. 4,85; 2. 4,30; 3. 4,80; 4. 4,90.

12. მოცემული ფორმულა $S_t = S_0 \cdot k^{-t-1}$ გამოიყენება:

1. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საბაზისო აბსოლუტური მატების საფუძველზე;
2. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური აბსოლუტური მატების საფუძველზე;
3. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური ზრდის ტემპის გამოყენებით;
4. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური მატების ტემპის საფუძველზე.

13. მოსახლეობის სტატისტიკის ძირითად ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს:

1. მოსახლეობის აღწერები;
2. მიმდინარე აღრიცხვა;
3. სოციოლოგიური გამოკითხვა;
4. არცერთი.

14. მოცემული ფორმულა $K = \frac{m_1}{\frac{2}{3}N_1 + \frac{1}{3}N_0} \times 100$ არის:

1. ბავშვთა სიკვდილიანობის კოეფიციენტი;
2. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი;
3. სიკვდილიანობის ასაკობრივი კოეფიციენტი;
4. მოკვდაობის ტერიტორიული კოეფიციენტი.

15. მოცემული ფორმულა $S_t = S_0 + \bar{\Delta}(t-1)$ გამოიყენება:

1. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური ზრდის ტემპის საფუძველზე;
2. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური აბსოლუტური მატების საფუძველზე;
3. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას ჯაჭვური აბსოლუტური მატების საფუძველზე;
4. მოსახლეობის პერსპექტიული რიცხოვნობის გაანგარიშებისას საშუალოწლიური ზრდის ტემპის გამოყენებით.

16. საქართველოში მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერა ჩატარდა:

1. 1998 წელს;
2. 2000 წელს;
3. 2002 წელს;
4. 2004 წელს.

17. მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი არის:

1. დრო, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს აღწერა;
2. მომენტი, როდესაც მიმდინარეობს მოსახლეობის გამოკითხვა;
3. დროის მომენტი, რომლის მდგომარეობის შესაბამისად ხდება მოსახლეობაზე დაკვირვება (მონაცემთა რეგისტრაცია);
4. დრო, რომლის განმავლობაშიც მუშავდება აღწერის მონაცემები.

თემა 4. ოჯახებისა და შინამეურნეობათა სტრუქტურა სოციალურ სტატისტიკაში

4.1. ოჯახი საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ წლებში ქვეყანაში ძლიერ გამწვავდა სოციალური მდგომარეობა, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები, ემიგრაციამ ქვეყნისთვის საშიშ მასშტაბებს მიაღწია, მკვეთრად დაეცა ცხოვრების დონე. ასეთ პირობებში ხელისუფლების წინაშე, სხვა საკითხებთან ერთად, წინა პლანზე დგას სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, რომლის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ოჯახისა და შინამეურნეობების სტრუქტურის შესწავლა და ანალიზი, რაც, უპირველეს ყოვლისა, სტატისტიკის პრეროგატივაა.

ოჯახი საზოგადოების დამოუკიდებელი უჯრედია, რომელიც მჭიდრო კავშირშია სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან. საზოგადოების ყოველი წევრი, დაბადების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, სოციალურ სტატუსთან, ეთნიკურ მდგომარეობასთან ერთად ფლობს ისეთ მახასიათებელს, როგორცაა საოჯახო-ქორწინებითი მდგომარეობა.

„ოჯახი“ სხვადასხვანაირად განიმარტება. ის დამოკიდებულია კონკრეტულ ისტორიულ, ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე და კვლევის ამოცანებზე.

ოჯახი შეიძლება განისაზღვროს, როგორც საზოგადოების სოციალური, დემოგრაფიული ან ეკონომიკური უჯრედი.

ბავშვებისათვის ოჯახი არის გარემო, სადაც უშუალოდ ყალიბდება მისი ფიზიკური, ფსიქიკური, ემოციური და ინტელექტუალური განვითარების პირობები, ზრდასრული ადამიანებისათვის ოჯახი, თავის მხრივ, წარმოადგენს მისი რიგი მოთხოვნის დაკმაყოფილების წყაროს და მცირე კოლექტივს, რომელიც მის წინაშე აყენებს მრავალფეროვან და ხშირად საკმაოდ რთულ მოთხოვნებს.

დემოგრაფიაში ოჯახი განიმარტება, როგორც ნათესაური ან მოყვარულთა კავშირით, ერთად ცხოვრებითა და ბიუჯეტით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი.

საბჭოთა პერიოდში სტატისტიკა ოჯახს განმარტავდა, როგორც ქორწინებაზე და სისხლით დაფუძნებულ ადამიანთა გაერთიანებას, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ ერთიანი ყოფით და ურთიერთპასუხისმგებლობით. ოჯახის გარეთ მცხოვრები ხალხი ითვლებოდა მარტოხელებად ან ოჯახის ცალკე მცხოვრებ წევრებად. ასეთი მიდგომა ყურადღებას ამახვილებდა ქორწინებით – ნათესაურ ურთიერთობებზე და იგნორირებას უკეთებდა ხალხის ყოფაცხოვრების ერთობლივი ორგანიზაციის სხვა ფორმებს.

საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა საოჯახო სამართალი, რომელიც არეგულირებდა ცოლ-ქმარს, შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობებს, იცვლებოდა მათი უფლებები და მოვალეობები.

ყოფაცხოვრების ორგანიზაციის თავისებურებებმა, მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფის პირობებმა, შრომითი კანონმდებლობის სპეციფიკამ და საცხოვ-

რებელმა პირობებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ არა მარტო ფორმალურად ეთქვა უარი „შინამეურნეობის“ ცნებას, არამედ ფაქტობრივად ძალზე იშვიათად ხდებოდა შინამეურნეობის ტიპის წარმოქმნა, რომელიც თავისი შემადგენლობით განსხვავებული იქნებოდა ოჯახის შემადგენლობისაგან.

შინამეურნეობის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების ძირითადი მეურნეობრივი საყოფაცხოვრებო ბირთვი – ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების, კვების საერთო წესებს და დაკავშირებულია ერთმანეთთან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით) და ნათესაური ან არანათესაური ურთიერთობებით, ან ორივეთი ერთად.

ოჯახისგან განსხვავებით, შინამეურნეობის წევრები შეიძლება იყვნენ არა მარტო ნათესავები, არამედ მეგობრები, ძიძები, მოახლეები და კომპანიონებიც. შინამეურნეობის წარმომქმნელ ნიშნებს წარმოადგენს მისი წევრების ბიუჯეტის ერთიანობა (სრული ან ნაწილობრივი), მათი მუდმივი ერთად ცხოვრება და კვება.

კიდევ ერთი განმასხვავებელი ოჯახისა და შინამეურნეობისა არის ის, რომ ცალკე მცხოვრები ერთი ადამიანი – „მარტოხელა“ – არ ითვლება ოჯახად, მაგრამ იგივე ადამიანი და მისი დამოუკიდებელი საქმიანობა, როგორცაა შინამეურნეობის დამოუკიდებლად გაძლოა, თავის მხრივ, წარმოადგენს შინამეურნეობას. ეს უკანასკნელი შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ოჯახისაგან.

სახელმწიფო სტატისტიკაში „შინამეურნეობის“ ცნების დამკვიდრება ემთხვევა ჯერ-ჯერობით სუსტად განახლებადი ურთიერთობის ისეთ ტიპს, რომლის დროსაც ოჯახის შემადგენლობა იმ პირთა კონტიგენტის ხარჯზე ფართოვდება, რომლებიც მოცემულ ოჯახთან ნათესაურ კავშირში არ იმყოფებიან (მაგალითად, მდგმურები, მოსამსახურეები და სხვ.). პერსპექტივაში მოსალოდნელია ასეთი ტენდენციის სულ უფრო ფართოდ გავრცელება.

მოსახლეობის აღწერებში დაკვირვების ერთეულად შინამეურნეობის გამოყენება ნაკარნახევია ოჯახებისა და მარტოხელა ადამიანების ყოფითი ყაიდისადმი ყურადღებით. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იყოს შინამეურნეობაში გაერთიანებული ადამიანების სამართლებრივი სტრუქტურა. ის შეიძლება იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი, არამართლზომიერი სხვადასხვა დაწესებულებაში – საავადმყოფოებში, ინტერნეტებში, მონასტრებში და ა. შ. მცხოვრები ხალხის შინამეურნეობასთან გათანაბრება, ვინაიდან იქ ისინი იძულებული არიან დაემორჩილონ ადმინისტრაციის მიერ დადგენილ განაწესს. გაეროს სპეციალისტების მიერ შემუშავებული მოსახლეობისა და საცხოვრისის აღწერის ჩატარების პრინციპები სხვადასხვანაირად განმარტავს ხალხის ამ კატეგორიას. ასე, მაგალითად, 1950-1960 წლების რეკომენდაციებით ურჩევდნენ, რომ დაწესებულებებში მუდმივად მცხოვრები ადამიანები აღერიცხათ „კოლექტიური შინამეურნეობის“ წევრებად. 1960-1990 წლების რეკომენდაციებში კი შემოთავაზებული იყო, რომ ისინი აღირიცხონ, როგორც შინამეურნეობის გარეშე მცხოვრებნი.

იმდროინდელი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული, საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის

მეთოდოლოგიით აღნიშნული პირები აღრიცხულ იქნა, როგორც „კოლექტიური შინამეურნეობის“ წევრები.

ოჯახი მრავალ სოციალურ ფუნქციას ასრულებს: ყოფაცხოვრების, პირადი მოხმარების ორგანიზაცია; ბავშვების დაბადება და აღზრდა; მოხუცების, ინვალიდებისა და ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრების ფსიქოლოგიური და მატერიალურ-ყოფითი მხარდაჭერა; საკუთარი სტაბილურობის უზრუნველყოფა (ეს მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რადგანაც ოჯახისა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების სტაბილურობა მრავალმხრივია ურთიერთგანპირობებული).

4.2 ოჯახებისა და შინამეურნეობების ტიპოლოგია

მიკროდონეზე მიმდინარე სოციალური პროცესების თავისებურებების, ტენდენციებისა და კანონზომიერებების სიღრმისეული შესწავლისათვის, განსაკუთრებით ოჯახებში, აუცილებელია მოსახლეობის საოჯახო სტრუქტურის გამოკვლევა, მათ შორის ოჯახის ტიპების გამოყოფა დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ნიშნების მიხედვით.

ოჯახების შემადგენლობის მრავალსახეობა განპირობებულია ოჯახის წევრების რიცხვში, მათ სქესობრივ-ასაკობრივ მახასიათებლებში, განათლებაში, პროფესიასა და დასაქმებაში და იშვიათად - ეროვნებაში განსხვავებით. აქედან გამომდინარეობს ოჯახის შესახებ არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციის აუცილებლობა, რომელიც ოჯახების კლასიფიკაციის გზით მიიღწევა.

უპირველეს ყოვლისა, ოჯახები იყოფა დემოგრაფიული შემადგენლობისა და სიდიდის მიხედვით. ასევე წარმოებს ოჯახების კლასიფიკაცია სტრუქტურის, ოჯახის დასაქმებული წევრების რაოდენობის მიხედვით, სოციალური და ეროვნული კუთვნილების მიხედვით და სხვ.

დემოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით ოჯახების კლასიფიკაცია ხდება სქესის, ასაკის, ნათესაური დამოკიდებულების მიხედვით. კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა გავიანგარიშოთ ზოგიერთი განზოგადებული მაჩვენებელი, როგორცაა სრული და არასრული ოჯახების ხვედრითი წილი, მარტივი და რთული ოჯახების ხვედრითი წილი.

წევრების რიცხვის მიხედვით არსებობს მცირე, საშუალო და მრავალრიცხოვანი ოჯახები. წარმოებს ოჯახების კომბინაციური დაჯგუფება წევრთა რიცხვისა და დემოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნას თითოეულ ჯგუფებში ოჯახის საშუალო ზომა.

ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით ოჯახების შემადგენლობაში წყვილების არსებობის შესაბამისად, განასხვავებენ სრულ და არასრულ ოჯახებს. სრულ ოჯახს თავის შემადგენლობაში ერთი ცოლ-ქმრული წყვილი მაინც ჰყავს, არასრულ

ოჯახში არც ერთი ასეთი წყვილი არ შედის (დედა ან მამა ბავშვებით, ძმების, დების და სხვა ნათესავებისაგან შემდგარი ოჯახები).

თავისი სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ მარტივ და რთულ ოჯახებს. მარტივი ოჯახი შედგება ერთი ცოლ-ქმრული წყვილისაგან, ბავშვებით ან უბავშვოთ, სხვა ნათესავების გარეშე. რთული ოჯახი შეიძლება შედგებოდეს ორი ან რამდენიმე ცოლ-ქმრული წყვილისა და ნათესავების სრულიად განსხვავებული კომბინაციისაგან.

ოჯახის ზომები შეიძლება შეიცვალოს და სტრუქტურა გამარტივდეს. ოჯახის ზომის შემცირება ძალიან ნელი, მაგრამ განუხრელი პროცესია. ამ მოვლენის ძირითადი ფაქტორებია: ოჯახში ბავშვთა რიცხვის შემცირება, რთული ოჯახების მარტივ ოჯახებად დანაწევრება (ძირითადად მშობლებისაგან ახალგაზრდული ოჯახების გამოყოფის ხარჯზე) და ამგვარად მოსახლეობის საოჯახო სტრუქტურის გამარტივება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოჯახებისა და შინამეურნეობების დაჯგუფებას დასაქმებული წევრების რიცხვის მიხედვით, რომელიც ოჯახისა და შინამეურნეობების ზომის მონაცემებთან ერთად საშუალებას იძლევა, მოიძებნოს მთავარი მაჩვენებელი – ეკონომიკური დატვირთვის კოეფიციენტი ოჯახის მომუშავე წევრზე:

$$K = \frac{S_o}{S_p}$$

სადაც, S_p არის ოჯახის (შინამეურნეობის) მომუშავე წევრების რიცხვი;

S_o - ოჯახის წევრების რიცხვი.

ამ მაჩვენებლის სიდიდე მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა დემოგრაფიული შემადგენლობის ოჯახებში. იგი უნდა გავითვალისწინოთ მოსახლეობის სოციალური დახმარების საკითხებისა და უმუშევრობის პრობლემების გადაწყვეტისას.

სოციალურ სტატისტიკაში დიდია ოჯახებისა და შინამეურნეობების დაჯგუფების როლი სოციალური და ეროვნული კუთვნილების მიხედვით. მოსახლეობის აღწერების მასალებში 1989 წელს გამოიყოფოდა ოჯახის შემდეგი ჯგუფები: მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, შერეული ოჯახები. მომდევნო აღწერაში ამგვარი დაჯგუფება შეიცვალა მოსახლეობის სტრუქტურაში მომხდარი ძვრების შესაბამისად.

ეროვნული კუთვნილებისადმი დამოკიდებულების მიხედვით შინამეურნეობები იყოფა ერთეროვნებიანი და შერეული ეროვნების შინამეურნეობებად. ერთეროვნებიან ოჯახებში არის რამდენიმე ჯგუფი, რომელთა ეროვნება შეესაბამება მოცემულ ტერიტორიაზე უფრო ჭარბად არსებულ ეროვნებებს. თანამედროვე პირობებში საკითხი ეროვნების შესახებ განსაკუთრებით აქტუალურია საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებისა და ეთნიკური კონფლიქტების ნიადაგზე იძულებითი მიგრაციის გამო. რთულდება კონფლიქტები შერეული ეროვნების შინამეურნეობებში.

შინამეურნეობები განსხვავდება წევრების ოჯახური მდგომარეობის, მათი ზომებისა და სტრუქტურის მიხედვით, რომლის მიხედვით გამოიყოფა კერძო და კოლექტიური შინამეურნეობები.

კერძო შინამეურნეობებად ითვლება საოჯახო შინამეურნეობები, რომელიც მუდმივად შეიძლება შედგებოდეს დამოუკიდებლად მცხოვრები ერთი პირისაგან ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ცხოვრობენ და იკვებებიან ერთად, აქვთ საერთო ბიუჯეტი (ან მისი ნაწილი) და აერთიანებთ ნათესაური ან არანათესაური კავშირი ან ორივე ერთად.

კოლექტიურ შინამეურნეობებს შეადგენენ პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ჩვილ ბავშვთა სახლებში, ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლებში, ქრონიკულად დაავადებულთა საავადმყოფოებში, რელიგიურ დაწესებულებებში (მაგალითად, მონასტერში). თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, კოლონიებში, ყაზარმებში და სხვა დაწესებულებებში, ე. ი. მოსახლეობის ერთად მცხოვრები ჯგუფები, რომლებიც, ჩვეულებრივ, გაერთიანებულნი არიან საერთო მიზნებით, ექვემდებარებიან საერთო წესებს და იკვებებიან ერთობლივად (გარდა მომსახურე პერსონალისა).

შინამეურნეობის შემადგენელ პირთა ოჯახური მდგომარეობის მიხედვით ისინი იყოფა:

1. **ოჯახიანებად**, ე. ი. ნათესაური ან მოყვრული ურთიერთობებით გაერთიანებული ადამიანებისაგან შემდგარი;
2. **ჯგუფურ** (უოჯახოების) – სხვადასხვა სახის კომუნებად, სამუშაოს მიმცემთა და მათი მუშაკებისაგან შემდგარ შინამეურნეობებად და ა. შ.;
3. **შერეული**, რომლის შემადგენლობაში გაერთიანებულია ერთი ან რამდენიმე ოჯახი და სხვ. ადამიანები, რომლებიც არიან, ან არ არიან მოცემული ოჯახის ნათესავები.

სტრუქტურის მიხედვით შინამეურნეობები იყოფა მარტივად და რთულად. მარტივები შედგება ან ერთი პირისაგან (მარტოხელა), ან ერთი მარტივი ოჯახისაგან, დანარჩენი – ჯგუფური და შერეული შინამეურნეობები – რთულია.

ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში შინამეურნეობათა განვითარების ზოგადი ტენდენციაა მათი ზომების შემცირება და შინაგანი სტრუქტურის გამარტივება, რაც, ძირითადად, დაკავშირებულია ოჯახის სტრუქტურის შესაბამის ცვლილებებთან.

ამრიგად, ოჯახებისა და შინამეურნეობების კლასიფიკაცია შეიძლება წარმოდგენილ იქნას სხვადასხვა ვარიანტით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული კლასიფიკაციის შერჩევა ხორციელდება ისეთი პირობების გათვალისწინებით, როგორცაა – ტიპოლოგიის დეტალიზაციის აუცილებელი ხარისხი, მიღებული მასალების პრაქტიკული გამოყენების სფერო, ტიპებად დაყოფის შესაძლებლობა. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში იცვლება ტიპების გამიჯვნისა და ტიპოლოგიის შემუშავების პრინციპები.

4.3. შინამეურნეობათა სტრუქტურის მაჩვენებელთა სისტემა

როგორც აღვნიშნეთ, შინამეურნეობის სტრუქტურის ანალიზის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მისი განაწილება სიდიდისა და ტიპების მიხედვით.

იმისათვის, რომ განისაზღვროს სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედება შინამეურნეობის სიდიდესა და სტრუქტურაზე, ეს განაწილება შეიძლება გამოყენებულ იქნას შინამეურნეობის წევრების განაწილებასთან სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნებით (ასაკი, ქონებრივი მდგომარეობა, ეროვნება, დასაქმება და სხვ.).

სოციალური სტატისტიკაში შინამეურნეობების სტრუქტურის ანალიზი შედგება ორი თანმიმდევრული ეტაპისაგან. უპირველესად განისაზღვრება ტიპების ნუსხა, რომლებიც უნდა გამოვყოთ შინამეურნეობების კლასიფიკაციისას. ამის შემდეგ ყველა ეს მაჩვენებელი უნდა დახასიათდეს რაოდენობრივი მაჩვენებლებით. შემდგომ ყველა გამოყოფილი ტიპი დახასიათებულ უნდა იქნას რიგი რიცხობრივი მონაცემების საშუალებით. უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავენ შინამეურნეობის ყოველი ტიპის რაოდენობას და მათ ხვედრით წილს შინამეურნეობების საერთო რაოდენობაში. უფრო დეტალური ანალიზის დროს გამოყოფენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა:

- შინამეურნეობების საშუალო ზომა;
- შინამეურნეობების ხვედრითი წილი არასრულწლოვანი ბავშვებით;
- იმ პირთა ხვედრითი წილი, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და შინამეურნეობებისაგან ცალკე მცხოვრებ პირთა ხვედრითი წილი.

ყველაზე მარტივი მაჩვენებელია შინამეურნეობათა განაწილება წევრთა რიცხვის, ცალკეული ქვეყნების სხვადასხვა ტიპის დასახელებათა მიხედვით.


წევრთა რიცხვის მიხედვით შინამეურნეობების განაწილების საფუძველზე ჩვეულებრივ გაიანგარიშება საშუალო ზომა, რომელიც მიიღება შინამეურნეობების ყველა წევრის რიცხვის შეფარდებით შინამეურნეობათა რიცხვთან. მოცემული მაჩვენებელი შეიძლება გავიანგარიშოთ შინამეურნეობებისათვის მათი ცალკეული ტიპების ჭრილში ტერიტორიული ერთეულების – სოფლისა და ქალაქის მოსახლეობისათვის.

შინამეურნეობის საშუალო ზომის გაანგარიშების გარდა შეიძლება გაანგარიშებულ იქნას სხვა მაჩვენებლებიც: 18 წლის ასაკის ქვევით ბავშვების საშუალო რაოდენობა, რომელიც მოდის ერთ შინამეურნეობაზე; არასრულწლოვანი ბავშვების საშუალო ასაკი, დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა ერთ შინამეურნეობაზე; ქალთა და მამაკაცთა პროცენტული შინამეურნეობის წევრებს შორის და სხვ.


შინამეურნეობების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს მისი დინამიკის შესწავლა. აქ გაიანგარიშება აბსოლუტური ზრდის მაჩვენებლები, ზრდის ტემპები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. შეიძლება გაანგარიშებულ იქნას საშუალო დონე, საშუალო აბსოლუტური ზრდა, ზრდის საშუალო ტემპი.

მონაცემები შეიძლება იქნას გამოხატული გრაფიკულად. ყველაზე მოხერხებულ-

ღია გამოყენებულ იქნას წრიული დიაგრამები. ასევე მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ფიგურული დიაგრამები.



დაქორწინებული წყვილი ორი ბავშვით.



არასრული ოჯახი, რომელიც შედგება დედისა და ქალიშვილისაგან.

შინამეურნეობების სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობები განისაზღვრება ამოსავალი ინფორმაციის შინაარსით. ქვეყნისა და ყველა რეგიონის მიხედვით შინამეურნეობების შესახებ ზოგადი მონაცემები მიიღება მოსახლეობის აღწერების შედეგად. სპეციალური გამოკვლევების მასალები, როგორც წესი, არის კერძო და ყოველთვის არ შეიძლება გავრცელდეს მთლიან მოსახლეობაზე. შინამეურნეობების სპეციალური გამოკვლევების ჩატარება ნაკარნახევია დამატებითი ინფორმაციის მიღების აუცილებლობით, რომელსაც მოითხოვს ქვეყნის ან ცალკეული რეგიონის კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრა.

შინამეურნეობების სტრუქტურის შესწავლისას შეიძლება გამოყოფილ იქნას სამი მნიშვნელოვანი მიმართულება:

1. დემოგრაფიული პროგნოზი მომდევნო წლებისათვის;
2. შინამეურნეობის სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
3. ამა თუ იმ დემოგრაფიულ-სოციალურ პროცესებსა და შინამეურნეობების სტრუქტურასთან დამოკიდებულების შესწავლა.

საკონტროლო კითხვები:

1. დაახასიათეთ ოჯახი, როგორც საზოგადოების პირველადი ბირთვი.
2. როგორია ოჯახის სოციალური ფუნქციები?
3. რა განსხვავებაა ოჯახსა და შინამეურნეობას შორის?
4. როგორია ოჯახებისა და შინამეურნეობის ტიპოლოგია?
5. დაახასიათეთ შინამეურნეობათა სტრუქტურის მაჩვენებელთა სისტემა.

4.4. ტესტები

1. ოჯახი არის:

1. საზოგადოების დამოუკიდებელი უჯრედი;
2. საზოგადოების სოციალური, დემოგრაფიული ან ეკონომიკური უჯრედი;
3. ნათესაური ან მოყვარული კავშირით, ერთად ცხოვრებითა და ბიუჯეტით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი;
4. ყველა პასუხი სწორია.

2. ოჯახები იყოფა:

1. დემოგრაფიული შემადგენლობისა და სიდიდის მიხედვით;
2. ოჯახის დასაქმებული წევრების რაოდენობის მიხედვით,
3. სოციალური და ეროვნული კუთვნილების მიხედვით;
4. არცერთი.

3. შინამეურნეობის წევრები შეიძლება იყვნენ:

1. ნათესავები
2. მეგობრები;
3. მიძეები, მოახლეები და კომპანიონები;
4. ყველა.

4. მოცემული ფორმულა $K = \frac{S_0}{S_p}$ არის:

1. ეკონომიკური დატვირთვის კოეფიციენტი ოჯახის მომუშავე წევრზე;
2. ეკონომიკური აქტივობის კოეფიციენტი ოჯახის მომუშავე წევრზე;
3. პასიურობის კოეფიციენტი ოჯახის მომუშავე წევრზე;
4. დასაქმების კოეფიციენტი ოჯახის მომუშავე წევრზე.

5. მოსახლეობის 2014 წლის აღწერისას მონაცემები შეივსო თითოეული შინამეურნეობის ყოველ წევრზე. რა ეწოდება დაკვირვების ასეთ ხერხს:

1. სრული, მთლიანი;
2. არასრული, არამთლიანი;
3. დეტალიზებული;
4. ძირითადი მასივის.

6. შინამეურნეობების კვლევებში გამოიყენება:

1. უშუალო;
2. დოკუმენტური;
3. საანკეტო;
4. გამოკითხვა.

7. შინამეურნეობების ყველა წევრის რიცხვის შეფარდებით შინამეურნეობათა რიცხვთან არის:

1. შინამეურნეობების მოცულობა;
2. შინამეურნეობების საშუალო ზომა;
3. შინამეურნეობების წევრთა ხვედრითი წილი;
4. შინამეურნეობების დატვირთვის კოეფიციენტი.

8. შინამეურნეობების სტრუქტურის დინამიკის შესწავლისათვის გაიანგარიშება:

1. აბსოლუტური ზრდის მაჩვენებლები,
2. ზრდის ტემპები დროის განსაზღვრულ მონაკვეთში.
3. საშუალო დონე, საშუალო აბსოლუტური ზრდა, ზრდის საშუალო ტემპი;
4. ყველა.

9. შინამეურნეობების სტრუქტურის შესწავლისას შეიძლება არ გამოიყენება შემდეგი მიმართულება:

4. დემოგრაფიული პროგნოზი მომდევნო წლებისათვის;
5. შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკაცია;
6. შინამეურნეობის სტრუქტურის ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი;
7. ამა თუ იმ დემოგრაფიულ-სოციალურ პროცესებსა და შინამეურნეობების სტრუქტურასთან დამოკიდებულების შესწავლა.

10. შინამეურნეობის მონაცემთა გამოსახვა ყველაზე მოხერხებულია :

1. მხოლოდ წრიული დიაგრამებით;
2. მხოლოდ ფიგურული დიაგრამებით;
3. წრიული და ფიგურული დიაგრამებით;
4. წრიული და წერტილოვანი გრაფიკებით.

თემა 5. შრომის სოციალური სტატისტიკა

5.1. შრომის ბაზრის შემადგენლობა და სტატისტიკის ამოცანები

შრომის ბაზარში იგულისხმება სამუშაო ძალის განაწილებისა და გამოყენების მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ღონისძიებებისა და ინსტიტუტების სისტემა.

შრომის ბაზრის სტატისტიკა იქმნება შრომის სტატისტიკის ჩარჩოებში და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაქირავებულთა და დამქირავებელთა შორის საქმიანობისა და ურთიერთობის იმ ასპექტებს, რომლის საფუძველზეც იგება საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი და პროგნოზირება. თუმცა, სტატისტიკა სწავლობს არა მხოლოდ სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას, არამედ შრომის პირობების, შრომის ანაზღაურების, კადრების პროფესიული მომზადების საკითხებსდარიგსხვა პრობლემას, რომელიც აუცილებელია შრომის ბაზრის პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

ამოსავალ პოზიციაზე დამოკიდებულებით, ამ დარგში განასხვავებენ პოლიტიკის ორ სახეობას: საერთო ეკონომიკურს და აქტიურს.

საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანა მდგომარეობს დასაქმების მაღალი დონის მისაღწევად ხელსაყრელი ამოსავალი პირობების შექმნაში. ის არ ერევა შრომის ბაზრის პროცესებში, მაგრამ მისი მეშვეობით უმჯობესდება მოთხოვნის პირობები შრომის ბაზარზე. ასეთი ფორმით, საერთო ეკონომიკური პოლიტიკა ზემოქმედებს სამუშაო ძალის მოთხოვნაზე.

აქტიური პოლიტიკა შრომის ბაზრის დარგში უშუალოდ მოქმედებს სამუშაო ძალის მიწოდებაზე. მისი ზემოქმედების ინსტრუმენტებია: სამუშაო ძალის მიწოდების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ღონისძიებები; კონსულტაციები პროფესიის შერჩევასთან დაკავშირებით; შუამავლობა პროფესიული განათლების ადგილებისა და სამუშაო ადგილების გამოყოფაზე; უმუშევრობაზე შემწეობის გაცემა და ა. შ.

როგორც საერთო ეკონომიკური, ასევე აქტიური პოლიტიკის ეფექტიანობა შრომის ბაზარზე ვლინდება, უწინარესად, სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსებაში, ხოლო მიღებული ღონისძიებების არასაკმარისობა იწვევს დამაბულობას შრომის ბაზარზე.

შრომის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, შრომის ბაზრის სტატისტიკაში განიხილება:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა, დასაქმება და უმუშევრობა;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის სტრუქტურა და განაწილება;
- სამუშაოდროის საშუალო ხანგრძლივობა და საშუალო ხელფასი;
- ხელფასის სტრუქტურა და განაწილება;
- სამუშაო ძალის ღირებულება;
- სამომხმარებლო ფასების ინდექსი;
- შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები;
- საწარმოო ტრავმატიზმი და პროფესიული დაავადებები;

- გაფიცვები, ლოკაუტები და შრომით კონფლიქტებთან დაკავშირებული სხვა აქციები.

საქსტატის მიერ შრომის ბაზრის სტატისტიკის წარმოება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მეთოდოლოგიას ეფუძნება. რომლის მიხედვითაც სამუშაო ძალის სტატისტიკის წარმოება შინამეურნეობების გამოკვლევის საფუძველზე ხორციელდება. 2017 წლიდან საქსტატმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განახორციელა. ესენია:

- მთლიანი მოსახლეობის რიცხოვნობის დაზუსტება, რაც 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშებას გულისხმობს;
- 1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. ხოლო 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამუშაო ძალის გამოკვლევა.
- შერჩევის ზომის გაზრდა, რაც ყოველ კვარტალში 3400 შინამეურნეობის გამოკვლევის ნაცვლად, უკვე 6000 შინამეურნეობის გამოკვლევას მოიცავს;
- სამუშაო ძალის გამოკვლევა, რაც სამუშაო ძალის მაჩვენებლების სრულყოფას და ახალი კითხვარის დამატებას მოიცავს;²⁶
- შერჩევის დიზაინის დახვეწა, რაც ერთი და იმავე შინამეურნეობის მომდევნო წლის იმავე კვარტალში გამოკვლევას გულისხმობს.

საქსტატის მიერ ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური მაჩვენებლები შედარებით ზუსტია.

სამუშაო ძალის გამოკვლევას ექვემდებარება კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის წევრები, გარდა:

1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში;
2. სამხედრო პირებისა (წვევამდელები და სამხედრო პირები), რომლებიც ცხოვრობენ ყაზარმებში;
3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებში და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ზედა ასაკობრივი ზღვარი არ არის დაწესებული, რადგან საპენსიო ასაკის მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობა საკმაოდ მაღალია. კრიტერიუმები და განმარტებები არ არის დადგენილი საქსტატის მიერ. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მეთოდოლოგიის მიხედვით.

²⁶ იხ. ახალი კითხვარები დანართში.

წარმოებაში ფაქტობრივ მონაწილეობაზე, მიღებულ შემოსავლებზე, შესასრულებელი სამუშაოების ადგილსა და ხანგრძლივობაზე დამოკიდებულებით, განასხვავებენ სამუშაო ძალის შემდეგ კატეგორიებს:

- შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა;
- შრომისუნარიანი მოსახლეობა;
- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა;
- შრომითი რესურსები;
- ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობა.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, შრომისუნარიანი ასაკი დადგენილია 15 და უფროსი ასაკი. მიუხედავად ამისა, თითოეული ქვეყანა ადგენს შრომისუნარიანი ასაკის თავის ზღვრებს და ისინი არსებითად განსხვავდებიან.

ამ დროს იკვეთება ურთიერთკავშირი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ამ ქვეყნებში დადგენილი შრომისუნარიანი ასაკის საზღვრებს შორის. რამდენადაც მაღალია ქვეყნის განვითარების დონე, მით უფრო მაღალია შრომისუნარიანი ასაკის ქვედა ზღვარი, ხოლო ზედა ზღვარი – დაბალი. ზედა ზღვარი განსხვავებულია ქალებისა და მამაკაცებისათვის.

შრომისუნარიანი ასაკი დგინდება საკანონმდებლო აქტით, ქვეყნის თავისებურებების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით.

შრომისუნარიანი მოსახლეობა – მოსახლეობა შრომისუნარიან ასაკში, მათ შემადგენლობაში არცერთ ქვეყანაში არ შეყავთ შრომისუნარიანი ასაკის არამომუშავე ინვალიდები.

ეკონომიკურად აქტიური — 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოებში ხვდება (დასაქმებული და უმუშევარი პირები).

დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა. შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ შინამეურნეობის სხვა წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

დაქირავებული — 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით. აგრეთვე პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროებით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებელი – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

დამხმარე – სხვა შინამეურნეობის წევრებისთვის უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

გაურკვეველი – შრომის ბაზრის სტატისტიკაში სტატუსით გაურკვეველი – აღირიცხებიან პირები, რომელთა სამუშაოს სახე დაუზუსტებელია, მათ შესახებ არსებული ინფორმაცია არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ისინი მივაკუთვნოთ ჩამოთვლილი სტატუსის რომელიმე კატეგორიას.

უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრების და მომუშავეების ზემოთ მოტანილი განმარტებები დადგენილია ე. წ. „მკაცრი კრიტერიუმით“. შსო-ს სტანდარტებით, შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქვეყნებისათვის რეკომენდებულია უმუშევრობის მონაცემები გამოქვეყნდეს „შერბილებული კრიტერიუმით“-აც. ამ კრიტერიუმით უმუშევრად ითვლებიან ის პირებიც, რომლებმაც ხელი ჩაიქნიეს სამუშაოს პოვნაზე. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არ მუშაობენ, მზად არიან მუშაობისთვის და სურთ მუშაობა, მაგრამ უკვე აღარ ეძებენ მას. ცხადია, უმუშევართა რაოდენობაც და დონეც შერბილებული კრიტერიუმით უფრო მაღალი იქნება მკაცრი კრიტერიუმით შეფასებულ უმუშევრობაზე.

უმუშევრობის ზემოთმოტანილი განმარტებები ეყრდნობა შსო-ის რეკომენდაციებს, ხოლო მონაცემები მის შესახებ მიიღება სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვების (შინამეურნეობებზე დაკვირვების) მასალებით. ამას გარდა, უმუშევრობის რეგისტრაცია მიმდინარეობს დასაქმების სახელმწიფო სამსახურების მიერ მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ეკონომიკურად არააქტიური – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე – უმუშევართა პროცენტული წილი ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

დასაქმებულად ითვლება არა მხოლოდ მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დაქირავებით დასაქმებულია კერძო ან სახელმწიფო სექტორში და იღებს გასამრჯელოს ხელფასის სახით, აგრეთვე მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურის სახით), ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით ეწევა გარკვეულ საქმიანობას.

თვითდასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც საკუთარ საწარმოში ან საკუთარ მეურნეობაში მუშაობს და გააჩნია საკუთარი შემოსავალი. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, იმისათვის, რომ ადამიანი ჩაითვალოს დასაქმებულად, არ არის აუცილებელი რომ მას ჰქონდეს ხანგრძლივადიანი შრომითი ხელშეკრულება ან დაქირავებული იყოს ვინმეს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული ნაწილის სოციალური მდგომარეობა სახარბიელო არ არის და შესაძლოა ისინი ეძებდნენ დამატებით სხვა სამსახურს, ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის თანახმად, თუ ადამიანი საკუთარი შრომით შემოსავალს იღებს, ის დასაქმებულად უნდა ჩაითვალოს.

თვითდასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სოფლად, საკუთარ ფერმერულ (გლეხურ) მეურნეობაში. მაგალითად, აქვს მიწის ნაკვეთი, ან ჰყავს პირუტყვი, რომლიდან მიღებულ პროდუქციას იყენებს როგორც საკუთარი მოხმარებისათვის, ასევე გასაყიდად.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას მოგების, შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, მიუხედავად შემოსავლის ოდენობისა, საქმიანობის ტიპისა და ხანგრძლივობისა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები, რეპეტიტორები, კერძო ტაქსების მეპატრონეები, საცალო ვაჭრობით დაკავებული ფიზიკური პირები და ა. შ. თუ გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში ერთი საათით მაინც მუშაობდნენ შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და, შესაბამისად, საქსტატის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებულად ითვლებიან.

5.2. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა სისტემა

ცოცხალი შრომის გამოყენების ეფექტიანობა შეისწავლება შრომითი პოტენციალის გამოყენების მაჩვენებელთა მეშვეობით. მათ მიეკუთვნება აქტიურობის, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები.

	2002	2006	2010	2014	2016	2017	2019
სულ 15+ ასაკის მოსახლეობა	3169.9	3157.9	3114.8	3031.6	3009.4	3012.3	3037.1
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)	2025.8	1911.9	1970.9	1984.6	1996.2	1983.1	1911.2
დასაქმებული, მ. შ.	1752.1	1618.0	1627.8	1694.4	1717.3	1706.6	1690.2

დაქირავებული	660.1	608.4	668.8	743.5	801.5	824.2	849.3
თვითდასაქმებული	1088.5	1007.8	956.6	944.4	909.5	881.6	840.4
გაურკვეველი	3.6	1.9	2.5	6.5	6.3	0.8	0.5
უმუშევარი	273.7	293.9	343.1	290.2	278.9	276.4	221.0
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1144.1	1245.9	1143.9	1047.0	1013.2	1029.2	1125.9
უმუშევრობის დონე (პროცენტებში)	13.5	15.4	17.4	14.6	14.0	13.9	11.6
აქტიურობის დონე (პროცენტებში)	63.9	60.5	63.3	65.5	66.3	65.8	62.9
დასაქმების დონე (პროცენტებში)	55.3	51.2	52.3	55.9	57.1	56.7	55.7

ცხრილი 5.2.1. საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, 1998-2019 წწ. (ათასი კაცი) ²⁷

წყარო: საქსტატი, 2016 წლის ჩათვლით შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა, 2017 წლიდან - სამუშაო ძალის გამოკვლევა.

დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დახასიათება. აღნიშნული მოიცავს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის საერთო რაოდენობის განსაზღვრას, მის შემადგენლობას სტატუსის მიხედვით როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით (სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები) სიდიდეებში. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა შეისწავლება ასევე სქესობრივ-ასაკობრივ და რეგიონულ ჭრილში, დინამიკაში.

როგორც ცხრილი 5.2.1-დან ჩანს, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა საქართველოში 1998-2015 წლებში 1972,8 ათასიდან გაიზარდა 2021.5 ათასამდე, ანუ 2,4 %-ით. ზრდა არცთუ მნიშვნელოვანია, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ ამ პერიოდში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოს საძებნელად.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის დასახასიათებლად სტატისტიკაში

გამოიყენება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორცაა: მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი. ის გვიჩვენებს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ხვედრით წილს (პროცენტებში) 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში და გამოითვლება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან. კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$K_{აქტ.} = \frac{T_{23-27}}{T_{15+}} 100$$

სადაც, $K_{აქტ.}$ – არის მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის კოეფიციენტი

²⁷ 2002-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

$T_{\text{ეკ.აქტ.}}$ – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა

T_{15+} – 15 წლის და მასზე უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა.

მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის საპირისპიროდ შეიძლება გამოვთვალოთ „ეკონომიკური პასიურობის“ დონის მახასიათებელი, რომლის კოეფიციენტი გამოითვლება სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან, გამოსახული პროცენტებში.

$$K_{\text{პას.}} = \frac{T_{\text{ეკ.პას.}}}{T_{15+}} 100$$

სადაც, $K_{\text{პას.}}$ – არის მოსახლეობის „ეკონომიკური პასიურობის“ კოეფიციენტი;

$T_{\text{ეკ.პას.}}$ – სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობა.

რამდენადაც 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა იყოფა ეკონომიკურად აქტიურ და პასიურ ნაწილებად, აქტიურობისა და პასიურობის კოეფიციენტებს ერთი და იგივე მნიშვნელი აქვთ. შესაბამისად, მოცემული მაჩვენებლების ჯამი 100%-ის ტოლია:

$$K_{\text{აქტ.}} + K_{\text{პას.}} = 100\%$$

შესაბამისად, თუ ცნობილია ერთის მნიშვნელობა, შეიძლება დამატებითი გაანგარიშების გარეშე მარტივად გავიგოთ მეორის მნიშვნელობა:

$$K_{\text{აქტ.}} - 100\% = K_{\text{პას.}}$$

$$K_{\text{პას.}} - 100\% = K_{\text{აქტ.}}$$

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს, როგორც რაოდენობრივად, ისე სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობით, წარმოადგენს დასაქმებული მოსახლეობა. დასაქმება განსაზღვრავს მოსახლეობის შემოსავლებს და, შესაბამისად, ცხოვრების დონეს. მისი ზრდა იწვევს უმუშევრობის შემცირებას და ქვეყანაში არსებული სოციალური ფონის გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, სტატისტიკას დასაქმების შესწავლის კუთხით მნიშვნელოვანი ამოცანების შესრულება აკისრია. კერძოდ, საჭიროა განისაზღვროს დასაქმებულთა მთლიანი რიცხოვნობა და მისი განაწილება დასაქმების სტატუსის, ეკონომიკის სექტორების, ეკონომიკური საქმიანობის სახეების (დარგების), დაკავებული თანამდებობების მიხედვით და იგივე ჭრილში შეისწავლება მეორადი დასაქმება.

დასაქმება განიხილება სქესობრივ-ასაკობრივ, ასევე რეგიონულ და ქალაქ-სოფლის ჭრილში. შინამეურნეობების კვლევის მასალების დაჯგუფება საშუალებას იძლევა დადგინდეს და გაანალიზდეს დასაქმების დონის, დინამიკისა და სტრუქტურული ძვრების ტენდენციები. საქართველოს სტატისტიკა ჯეროვან ყურადღებას უთმობს მეორადად (არამპირითადად, შეთავსებით) დასაქმებულთა სტატისტიკურ აღრიცხვასა და ანალიზს, რომელიც მოიცავს იგივე ნიშნების რეგისტრაციას, რაც ხდება პირითადი დასაქმების შემთხვევაში.

მოსახლეობის დასაქმების სტატისტიკაში ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს დასაქმების დონე. დასაქმების დონე ხასიათდება მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტით, რომელიც მიიღება დასაქმებული მოსახლეობის შეფარდებით

ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და გამოისახება პროცენტებში. დასაქმების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$K_{დას.} = \frac{T_{დას.}}{T_{15+}} 100$$

სადაც, $K_{დას.}$ – არის მოსახლეობის დასაქმების კოეფიციენტი,

$T_{დას.}$ – დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობა.

უმუშევრობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს. ესაა მოვლენა, როდესაც სამუშაო ძალის მიწოდება აღემატება მასზე მოთხოვნას. უმუშევრობის სტატისტიკა შეისწავლის უმუშევართა რიცხვს, უმუშევრობის დონეს სქესის, ასაკის, ქალაქისა და სოფლის, რეგიონების მიხედვით.


უმუშევრობის დონეს ვახასიათებთ უმუშევრობის კოეფიციენტით, რომელიც გამოითვლება მოცემულ წელს უმუშევართა რიცხვის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან და გამოისახება პროცენტებში, კერძოდ:

$$K_{უმუშ.} = \frac{T_{უმუშ.}}{T_{15+აკტი}} 100$$

სადაც, $K_{უმუშ.}$ – არის მოსახლეობის უმუშევრობის კოეფიციენტი,

$T_{უმუშ.}$ – უმუშევარი მოსახლეობის რიცხოვნობა.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების შედეგად, 2017 წელს, მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მაჩვენებლების გადაანგარიშებით აღმოჩნდა, რომ უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე 2017 წლამდე არსებულ ოფიციალურ სტატისტიკაში აისახებოდა (იხ. ნახაზი 5.2.1).



ნახ. 5.2.1. უმუშევრობის დონე საქართველოში 2001-2016 წლებში

წყარო: საქსტატი, დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში 2017.

როგორც ნახაზიდან ჩანს, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლებით 2007-2012 წლების პერიოდი გამოირჩევა, როცა ეს მაჩვენებელი 17%-ს აჭარბებდა. 2009 წლამდე უმუშევრობის დონე იზრდებოდა და ამ წელს ყველაზე მაღალ ნიშნულს - 18.3%-ს მიაღწია, ხოლო 2010 წელს 0.9% პუნქტით, ანუ 17.4%-მდე შემცირდა. აღნიშნული

წლიდან უმუშევრობის დონე საშუალოდ 0.2% პუნქტით მცირდებოდა, თუმცა 2014 წელს მყისიერად, 2.3% პუნქტით შემცირდა. 2017 წელს, შინამეურნეობათა ინტეგრირებული გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში უმუშევრობის დონე 13.9%-ს შეადგენდა, რაც, რა თქმა უნდა, ნეგატიურ ტენდენციაზე მიანიშნებს. გარდა ამისა, ძველი და ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე გაანგარიშებულ უმუშევრობის დონეებს შორის განსხვავებამ, ჩვენი გაანგარიშებით, საშუალოდ 1,97% შეადგინა.

5.3. სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკა

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს საწარმო დაწესებულებებში და ორგანიზაციებში დასაქმებული სამუშაო ძალის მოძრაობას. საქმე ისაა, რომ, როგორც წესი, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ადამიანები იცვლიან სამუშაო ადგილს, მიმდინარეობს სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების უწყვეტი პროცესი, რომელიც წარმოადგენს სამუშაო ძალის მოძრაობას. აღნიშნული პროცესის შედეგად ადგილი აქვს სამუშაო ძალის გადანაწილებას საწარმოებს, დარგებსა და რეგიონებს შორის. თეორიულად ეს პროცესები შეიძლება მიმდინარეობდეს ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობის უცვლელი პირობებშიც.

სამუშაო ძალის მოძრაობა არის ობიექტური პროცესი და მიმდინარეობს უწყვეტად. მისი გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს მრავალნაირი: პენსიაზე გასვლა, არმიაში გაწვევა, სამუშაო ასაკში შესვლა, ოჯახის შექმნა და, შესაბამისად, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, უკეთესი სამუშაოს პოვნა, შრომითი კონფლიქტები, გარდაცვალება და სხვ.

სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკის ამოცანებია დაახასიათოს სამუშაო ძალის მოძრაობის საერთო მოცულობა, მისი მიმართულებები, ინტენსივობა, გამომწვევი მიზეზები.

დასმული ამოცანების გადასაწყვეტად სამუშაო ძალის სტატისტიკაში გამოითვლება აბსოლუტური და შეფარდებითი სიდიდეები. აბსოლუტურ სიდიდეებს მიეკუთვნება გარკვეულ პერიოდში სამუშაოზე მიღებულთა და სამუშაოდან წასულების რიცხვი. მიღებულთა და წასულების რიცხვის ჯამს ეწოდება სამუშაო ძალის ბრუნვა, რომელიც გამოითვლება სამუშაოზე მიღების და წასვლის მიხედვით.

სამუშაოდან წასვლის მიხედვით სამუშაო ძალის ბრუნვა იყოფა აუცილებელ და ზედმეტ ბრუნვად.

სამუშაო ძალის აუცილებელ ბრუნვას მიეკუთვნება სამუშაოდან წასვლა ისეთი მიზეზებით, როგორცაა მაგალითად: პენსიაზე გასვლა, გარდაცვალება, შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) დამთავრება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები: სამხედრო სამსახურში გაწვევა, დაინვალიდება, შტატების შემცირება საწარმოს რეორგანიზაციის ან გაკოტრების შედეგად და სხვ.

სამუშაო ძალის ზედმეტ ბრუნვას მიაკუთვნებენ სამუშაოდან საკუთარი სურვილით, დისციპლინის დარღვევისა და შრომითი კონფლიქტების შედეგად წასულებს. სამუშაო ძალის ზედმეტი ბრუნვა ცნობილია კადრების (სამუშაო ძალის) დენადობის სახელითაც და წარმოების ეფექტიან ფუნქციონირებაზე უარყოფითად მოქმედებს, რამდენადაც საჭიროა წასულების შეცვლა არანაკლები კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალით, რაც დროს მოითხოვს. შესაბამისად, ადგილი ექნება სამუშაო დროის დაკარგვას მოცემულ პერიოდში. ახალი კადრების მიღება მოითხოვს მათ ადაპტაციასა და ინტეგრაციას მოცემულ საწარმოში, რაც, ასევე, გარკვეულ ფსიქოლოგიურ ბარიერებთან არის დაკავშირებული. ამასთან, ის დანახარჯები, რომელიც (თუ) გასწია საწარმომ წასული მუშაკების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, უბრალოდ, იკარგება.

საჭირო სტატისტიკური ინფორმაციის არსებობის პირობებში სამუშაო ძალის მოძრაობის მაჩვენებლები შეიძლება გამოთვლილ იქნეს საწარმოს, დარგის, ეროვნული ეკონომიკის, რეგიონების ჭრილში სქესის, ასაკის, პროფესიების, განათლების დონის და სხვა ნიშნების მიხედვით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სამუშაო ძალის დენადობა მიზეზების მიხედვით. სამუშაო ძალის დენადობის სრულყოფილი ანალიზის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მისი კომპლექსური სტატისტიკურ-სოციოლოგიური გამოკვლევის საფუძველზე. კერძოდ, სამუშაო ძალის დენადობის სტატისტიკური, რაოდენობრივი ანალიზი შეივსება დენადობის მიზეზების სიღრმისეული სოციოლოგიური შესწავლითა და სოციოლოგიური გამოკითხვით. ამ მიზნით შედგენილი კითხვარის საფუძველზე გამოიკითხებიან სამუშაოდან წასულები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი კონფლიქტების შედეგად გამოწვეულ სამუშაო ძალის დენადობას.

სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკური დახასიათება შეუძლებელია მომუშავეთა სიობრივი და საშუალო სიობრივი რიცხვის ცოდნის გარეშე. საწარმოში მომუშავეთა სიობრივ რიცხვში აღირიცხება ყველა, ვინც მოცემულ საწარმოში მუშაობს ერთ დღეზე მეტი ხნით. მომუშავეთა საშუალო სიობრივი რიცხვი გაიანგარიშება თვის განმავლობაში. ამისათვის თვის ყოველი დღის მომუშავეთა სიობრივი რიცხვის ჯამი გაიყოფა თვის კალენდარული დღეების რიცხვზე. არასამუშაო და უქმე დღეების სიობრივ რიცხვად ჩაითვლება მათი წინააღმდეგ სიობრივი რიცხვი. არასრული სამუშაო თვის შემთხვევაში ნამუშევარი დღეების სიობრივი რიცხვის ჯამი იყოფა ასევე თვის კალენდარული დღეების რიცხვზე. თუ მონაცემები სიობრივი რიცხვის შესახებ საერთოდ არ გვაქვს რაიმე თვის განმავლობაში, მაშინ ამ თვის საშუალო სიობრივი რიცხვი შეიძლება მივიღოთ როგორც წინა თვის ბოლო და მომდევნო თვის პირველი დღის სიობრივი რიცხვის ჯამის საშუალო არითმეტიკული. მომუშავეთა საშუალოთვიური სიობრივი რიცხვის საფუძველზე საშუალო არითმეტიკულის დახმარებით გამოითვლება საშუალოკვარტალური, საშუალონახევარწლიური და საშუალოწლიური სიობრივი რიცხვი, რისთვისაც სამი, ექვსი და თორმეტი თვის საშუალო სიობრივ რიცხვთა ჯამები შესაბამისად გაიყოფა სამზე, ექვსზე და თორმეტზე.

სამუშაო ძალის მოძრაობის დახასიათებელი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

1. აბსოლუტური მაჩვენებლები:
 - სამუშაოზე მიღებულთა რიცხვი;

- სამუშაოდან წასულების რიცხვი:
 - სამუშაო ძალის საერთო ბრუნვა – სამუშაოზე მიღებულებისა და სამუშაოდან წასულების რიცხვის ჯამი;
 - მუდმივად მომუშავეთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში მიიღება პერიოდის დასაწყისში მომუშავეთა სიობრივ რიცხვს გამოკლებული მოცემულ პერიოდში სამუშაოდან წასულები.
2. შეფარდებითი მაჩვენებლები: გამოითვლება კონკრეტული პერიოდის მიხედვით, როგორცაა თვე, კვარტალი, ნახევარი წელი, წელი.
1. სამუშაო ძალის მუდმივობის კოეფიციენტი შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_1 = \frac{\text{მუდმივად მომუშავეთა რიცხვი}}{\text{მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი}} \times 100$$

2. სამუშაო ძალის განახლების კოეფიციენტი, გაიანგარიშება როგორც:

$$K_2 = \frac{\text{სამუშაოზე მიღებულთა რიცხვი}}{\text{მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი}} \times 100$$

3. სამუშაო ძალის წასვლის კოეფიციენტი, გაიანგარიშება როგორც:

$$K_3 = \frac{\text{სამუშაოდან განთავისუფლებულთა რიცხვი}}{\text{მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი}} \times 100$$

4. სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი, გაიანგარიშება როგორც:

$$K_4 = \frac{\text{დენადობა (ზედმეტი ბრუნვა)}}{\text{მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი}} \times 100$$

სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი ზემოთ მოტანილი ფორმულით შეიძლება გამოვთვალოთ მიზეზების მიხედვითაც, როგორცაა: საკუთარი სურვილით, დისციპლინის დარღვევისა და შრომითი კონფლიქტის შედეგად წასულები. სამუშაო ძალის დენადობის კოეფიციენტი, ასევე, ცნობილია როგორც კადრების დენადობის კოეფიციენტი.

5. სამუშაო ძალის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი შემდეგნაირად გაიანგარიშება:

$$K_5 = \frac{\text{სამუშაოზე მიღებულთა და განთავისუფლებულთა ჯამი}}{\text{მომუშავეთა საშუალოსიობრივი რიცხვი}} \times 100$$

სამუშაო ძალის საერთო ბრუნვის კოეფიციენტი (K_5) სამუშაო ძალის განახლების (K_2) და სამუშაო ძალის წასვლის (K_3) კოეფიციენტების ჯამის ტოლია.

6. სამუშაო ძალის ჩანაცვლების კოეფიციენტი, გაიანგარიშება როგორც:

$$K_6 = \frac{\text{სამუშაოზე მიღებულთა რიცხვი}}{\text{სამუშაოდან ყველა მიზეზით განთავისუფლებულთა რიცხვი}} \times 100$$

ჩანაცვლების კოეფიციენტი შეიძლება მივიღოთ სამუშაო ძალის განახლების კოეფიციენტის (K_2) გაყოფით წასვლის კოეფიციენტთან (K_3), ე. ი.:

$$K_5 = K_2 : K_3$$

5.4. შრომის ანაზღაურების სტატისტიკა

შრომის ანაზღაურება, ანუ ხელფასი წარმოადგენს შესრულებული სამუშაოსათვის დარიცხულ ანაზღაურებას ფულადი ფორმით. ის მოიცავს ასევე სხვადასხვა სახის წახალისებებს, შვებულებების, სადღესასწაულო დღეებისა და სხვა არანამუშევარი დროის ანაზღაურებას, რომლებიც შრომითი კანონმდებლობით ან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ექვემდებარება ანაზღაურებას.

შრომის ანაზღაურების სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. ხელფასის ფონდის მოცულობის განსაზღვრა;
2. ხელფასის დონისა და დინამიკის ანალიზი;
3. ხელფასის დიფერენციაციის ანალიზი;
4. სამუშაო ძალაზე დანახარჯების სტატისტიკური ანალიზი.

ხელფასის ფონდის მოცულობის განსაზღვრა.

ხელფასის ფონდი წარმოადგენს საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ შრომის ანაზღაურებისათვის დარიცხულ თანხას. ხელფასის ფონდი მოიცავს სხვადასხვა დანამატსაც როგორცაა – პრემიები, ანაზღაურება ავადმყოფობის შემთხვევაში და ა. შ.

საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელფასის ფონდების ჯამი გვამღევს დარგის ხელფასის ფონდს, ხოლო დარგების ხელფასის ფონდების ჯამი – ეროვნული ეკონომიკის ხელფასის ფონდს. სტატისტიკის მიერ აღირიცხება ხელფასის საათობრივი, დღიური და თვეობრივი ფონდები, რომლებიც უკავშირდება შესაბამის ნამუშევარ დროს. ხელფასის კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური ფონდები მიიღება 3, 6 და 12 თვის ხელფასის ფონდების შეკრებით.

ხელფასის ფონდი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორიაა, რომელზე დაყრდნობითაც გაიანგარიშება საშუალო ხელფასის მაჩვენებლები. ის წარმოადგენს პროდუქციის თვითღირებულების შემადგენელ ნაწილს. ხელფასის ფონდის აბსოლუტური მოცულობის მაჩვენებლები გამოიყენება მოსახლეობის ცხოვრების დონისა და სამუშაო ძალაზე დანახარჯების ანალიზისთვის და ა. შ.

ხელფასის დონისა და დინამიკის ანალიზი. ხელფასის დონე ხასიათდება საშუალო ხელფასის მაჩვენებლით და გაიანგარიშება ხელფასის ფონდის შეფარდებით ნამუშევარ დროსთან ან, როგორც წესი, დასაქმებულთა რიცხვთან.

სტატისტიკაში გამოითვლება საშუალო ხელფასის შემდეგი მაჩვენებლები:

- **საშუალო საათობრივი ხელფასი** - გამოითვლება ხელფასის საათობრივი ფონდის შეფარდებით ნამუშევარი კაც-საათების რაოდენობასთან. კაც-საათი წარმოადგენს სრულად ნამუშევარ ერთ საათს.
- **საშუალოდ დღიური ხელფასი** - გამოითვლება ხელფასის დღიური ფონდის შეფარდებით ნამუშევარი კაც-დღეების რაოდენობასთან. კაც-დღე არის ნამუშევარი ერთი დღე. ის მოიცავს მომუშავესგან დამოუკიდებელ დღის შიგა მოცდენებსაც.

- **საშუალო თვიური ხელფასი** - გამოითვლება ხელფასის თვიური ფონდის შეფარდებით თვის განმავლობაში დასაქმებულთა რიცხვთან. ხელფასის თვიური ფონდი მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას.
- **საშუალო კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური ხელფასი** - გამოითვლება საშუალოთვიური ხელფასის ანალოგიურად. თუმცა, გამოთვლების გასამარტივებლად საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის პრაქტიკაში დასაქმებულის საშუალოთვიური ხელფასის მისაღებად საშუალოწლიური ხელფასი გაიყოფა 12-ზე.

ნომინალური ხელფასი არის დარიცხულ იხელფასი. მისი გაყოფით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე (სფი) მივიღებთ რეალურ ხელფასს. სტატისტიკასა და ეკონომიკაში გამოითვლიან რეალური ხელფასის მსყიდველობითუნარიანობას. ეს უკანასკნელი გაიზომება იმ საქონლისა და მომსახურების მოცულობით, რომლის შეძენაც შეიძლება რეალური ხელფასით.

5.5. შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა

შრომითი კონფლიქტების სტატისტიკა, რომელიც ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არსებობს, ეფუძნება 1993 წელს შრომის სტატისტიკის საერთაშორისო კონფერენციის მიერ რეკომენდებულ საერთაშორისო სტატისტიკურ ნორმებს. სტატისტიკაში განასხვავებენ შრომითი კონფლიქტების შემდეგ სახეობებს:

1. სამუშაოების შეწყვეტის გარეშე შრომითი კონფლიქტები. ასეთ შემთხვევაში საკონფლიქტო მხარეების მიერ წამოყენებული მოთხოვნების გადაწყვეტას მოლაპარაკებით ახორციელებენ ან წარმართავენ ისეთ საქმიანობას არასამუშაო დროის მონაკვეთში, რომლებიც უზრუნველყოფენ კონფლიქტის მოგვარებას.

2. სამუშაოების შეწყვეტით შრომითი კონფლიქტები, რომელთა ორ სახეობას გამოყოფენ: გაფიცვები და ლოკაუტები.

გაფიცვები არის მშრომელთა ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მიერ სამუშაოების დროებითი შეწყვეტა თავისი მოთხოვნების შეთავაზები სმიზნით, ან წინააღმდეგობა, გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებაზე, ან მხარი დაუჭირონ დანარჩენი მშრომელების მოთხოვნებსა და უკმაყოფილებას.

ლოკაუტი მოიცავს წარმოების გაჩერებას და ხელფასების გაცემის შეწყვეტას, რათა პროფესიული კავშირი იძულებული გახდეს დათანხმდეს დამქირავებლის (ადმინისტრაციის) მიერ შეთავაზებულ პირობებს.

სტატისტიკის პრაქტიკაში გამოყოფენ კონფლიქტების ორ ჯგუფს:

კონფლიქტების პირველ ჯგუფს მიაკუთვნებენ კონფლიქტებს, რომლებიც წარმოიშვნენ კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისათვის, მეწარმეების წარმომადგენლებსა და მშრომელთა პროფესიულ ორგანიზაციებს შორის წარმართული მოლაპარაკების პროცესში, შემდეგი საკითხების განხილვისას:

- დასაქმებულობა (საკადრო პოლიტიკა, პერსონალის გადაადგილება, საწარმოს დახურვა, პერსონალის კვალიფიკაცია);
- ხელფასები, პრემიები და შრომის ანაზღაურების დანარჩენი საკითხები,
- შრომის პირობები (სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შრომის ორგანიზაცია და შრომის უსაფრთხოება);
- პროფესიული კავშირების საქმიანობა;
- მშრომელთა სხვა ჯგუფებისადმი მხარდაჭერა დამსაქმებელთათვის მოთხოვნების წაყენების გარეშე;
- მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისადმი პროტესტის გამოხატვა ან პოლიტიკური მოთხოვნების წამოყენება;
- დანარჩენი მიზეზები, რომლებმაც მოლაპარაკებანი ჩიხში მოამწყვდიეს და სხვ.

მეორე ჯგუფის კონფლიქტები წარმოშობილია არა კოლექტიური შრომითი ხელშეკრულების შედგენისას, არამედ შრომის ანაზღაურების პირობებით (შრომის ანაზღაურების ვადების დარღვევა, ხელფასების გადიდება, ინფლაციები).

შრომითი კონფლიქტების შესახებ ინფორმაციებს აგროვებენ ყოველთვიურად. მათი

დეტალური ანალიზის საწარმოებლად მონაცემების დაჯგუფებას აწარმოებენ შემდეგი მიმართულებებით: შრომით კონფლიქტებში მონაწილეთა ჯგუფების რიცხოვნობის დადგენა, კონფლიქტების რაოდენობის გათვალისწინებით, მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფლიქტებში, სამუშაო დროის დანაკარგების რაოდენობა, ერთი გაფიცვის საშუალო ხანგრძლივობა და ა. შ. ეს მაჩვენებლები მუშავდება ცალკეული დარგების, რეგიონებისა და ქვეყნის მასშტაბით.

შრომითი კონფლიქტების საერთაშორისო შედარებებისათვის რეკომენდებულია შემდეგი მაჩვენებლების გამოყენება.

1. ყოველ ათას მუშაკზე კონფლიქტების შედეგად სამუშაო დროის დანაკარგები:

$$\frac{\text{კონფლიქტების შედეგად დაკარგული სამუშაო დრო}}{\text{მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა}} \times 100$$

2. მშრომელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი ყოველ ათას მშრომელზე:

$$\frac{\text{მსმენელთა კონფლიქტში მონაწილეთა რიცხვი}}{\text{მუშაკების საშუალო სიობრივი რიცხოვნობა}} \times 100$$

როგორც ანალიზი აჩვენებს, ჩვენს ქვეყანაში გაფიცვებსა და სხვა სახის სამუშაოს შეწყვეტის პროცესებს არა აქვს მასშტაბური ხასიათი. ეს იმ აზრს ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა ჯერ-ჯერობით მუშაობს არასრული დასაქმების რეჟიმში. მიუხედავად ამისა, მშრომელთა მხრიდან უკმაყოფილების გამოხატვის მიზეზად რჩება შრომის ანაზღაურების გადახდის ვადების უხეში დარღვევები, ფასების ზრდის პირობებში შემოსავლების ინდექსების გამოუყენებლობა, ხელფასების დაბალი დონე და ა. შ.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის შრომის ბაზარი?
2. დაახასიათეთ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა სტატუსის მიხედვით.
3. დაახასიათეთ შრომის ბაზრის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა.
4. დაახასიათეთ სამუშაო ძალის მოძრაობის სტატისტიკა.
5. შრომის ანაზღაურების რა ფორმები გამოიყენება სოციალურ სტატისტიკაში?
6. რაში მდგომარეობს შრომითი კონფლიქტების სტატისტიკური შესწავლა?

5.6. ტესტები

1. დაქირავებულ მოსახლეობას მიეკუთვნება:
 1. პირი, რომელიც მუშაობს გარკვეული საზღაურის მიღების მიზნით;
 2. პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ არ მუშაობს - იმყოფება შვებულებაში;
 3. პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ არ მუშაობს ავადმყოფობის გამო;
 4. ყველაერთად.
2. უმუშევრობის განსაზღვრის შერბილებული კრიტერიუმით, უმუშევრებს მიეკუთვნებიან პირები, რომლებიც:
 1. მზად არიან მუშაობისთვის;
 2. სურთ მუშაობა;
 3. არიან პენსიონერები;
 4. მზად არიან მუშაობისათვის, სურთ მუშაობა, მაგრამ უკვე აღარ ეძებენ სამუშაოს.
3. დასაქმებულთა განაწილება დაკავებული თანამდებობის მიხედვით გულისხმობს:
 1. დასაქმებულთა განაწილებას განათლების შესაბამისი დონის მიხედვით;
 2. დასაქმებულთა განაწილებას შესაბამისი პროფესიების და მუშაობის სტაჟის მიხედვით;
 3. დასაქმებულთა განაწილებას შრომის პროცესში შესრულებული ფუნქციის მიხედვით;
 4. ყველა ჩამოთვლილს.
4. სამუშაო ძალის აუცილებელი ბრუნვა მოიცავს:
 1. სამუშაოდან წასულთა რიცხვს;
 2. სამუშაო ძალის მთლიან ბრუნვას გამოკლებული ზედმეტი ბრუნვა (დენადობა).
 3. სამუშაოდან წასულთა რიცხვს გამოკლებული პენსიაზე გასულები;

4. არცერთს.

5. თუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობა 2021,3 ათასი კაცია, დასაქმებულთა წილი 86,4%, მაშინ უმუშევართა რიცხვი იქნება:

1. 278,8;
2. 274,3;
3. 13,6%;
4. არცერთი.

6. სამუშაო ძალის ბრუნვის მაჩვენებლების გაანგარიშებისას გამოიყენება:

1. მუშაკთა სიობრივი რიცხვი;
2. მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი;
3. მუშაკთა სამუშაოზე რეგისტრირებულთა რიცხვი;
4. მუშაკთა ხვედრითი რიცხვი.

7. ცნობილია, რომ 15-72 ასაკის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხვია 110 400 კაცი ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხვი - 64 664 კაცი: უმუშევართა რიცხვი - 6 303 კაცი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლისათვის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დონე %-ში იქნება:

1. 58,6;
2. 8,9;
3. 47,3;
4. 64,3.

8. დასაქმებულს მიეკუთვნება პირი, რომელიც:

1. გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც;
2. გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ორი დღის განმავლობაში;
3. გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა ერთ დღის განმავლობაში (8 საათიანი სამუშაო დღით);
4. გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სამუშაო დღის ნახევარზე მეტს (4 საათზე მეტს).

9. პიროვნება მუშაობს ორ სამუშაოზე. ერთ სამუშაოზე იღებს 1000 ლარს, მეორეგან - 700 ლარს. რომელი სამუშაო ითვლება ძირითად სამუშაოდ (შემოსავლის) ძირითად წყაროდ:

1. სამუშაო, სადაც პიროვნება იღებს 1000 ლარს;
2. სამუშაო, რომელსაც პიროვნება თვითონ თვლის ძირითადად;
3. სამუშაო, სადაც პიროვნება იღებს 700 ლარს;
4. ორივე.

10. უმუშევრობის ზედა საზღვარია:

1. ადამიანის ფიზიკური უუნარობის დადგომა;
2. სამუშაოს მიმართ გულაცრუება;
3. საპენსიო ასაკის შესრულება;
4. არცერთი.

11. უმუშევრად ითვლება პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა შვიდი დღის განმავლობაში მუშაობდა:

1. 2 საათი;
2. 3 საათი;
3. 0,5 საათი;
4. 1,5 საათი.

12. ეკონომიკური აქტიურობის დონე შეადგენს 91,1%-ს. მაშინ ეკონომიკური პასიურობის დონე იქნება:

1. 8,9%;
2. 191,1%;
3. 91,1%;
4. 0,1%.

13. ეკონომიკურად არააქტიურ, ანუ სამუშაო ძალის გარეთ მყოფ მოსახლეობას მიეკუთვნება:

1. სხვაობა 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობასა და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის;
2. 15 წლამდე ასაკის მოსახლეობას დამატებული პენსიონერები;
3. უმუშევრები;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

14. სამუშაო ძალის ზედმეტ ბრუნვას მიეკუთვნება:

1. სამუშაოდან საკუთარი სურვილით წასულები;
2. განთავისუფლებულნი დისციპლინის დარღვევის გამო;
3. წასულები შრომითი კონფლიქტის შედეგად;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

15. სამუშაო ძალაზე გაწეულ დანახარჯებში ძირითადია:

1. ხელფასის ფონდი;
2. დანახარჯები საცხოვრებელ ბინებზე;
3. დანახარჯები კადრების მომზადებაზე;
4. დანახარჯები სოცდაზღვევაზე.

16. დასაქმების დონე გამოითვლება:

1. დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან.
2. დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან
3. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით დასაქმებული მოსახლეობის რიცხოვნობასთან.
4. დასაქმებული მოსახლეობის რიცხვისა და ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის სხვაობით.

17. თვითდასაქმებულ მოსახლეობას მიეკუთვნება:

1. აფთიაქის მესაკუთრე, რომელიც თვითონ ყიდის მედიკამენტებს;
2. ფერმერი, რომელიც დაქირავებულ მუშებთან ერთად მუშაობს თავის საკუთრებაში

მყოფ მიწაზე;

3. ბენზინგასამართი სადგურის მესაკუთრე, რომელიც თვითონაც ასხამს ბენზინს ავტომობილების ავზში;
4. ყველა ერთად.

18. დასაქმებისა და უმუშევრობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ვიდეო:

1. მოსახლეობის აღწერებიდან;
2. შინამეურნეობების გამოკვლევიდან;
3. დასაქმების სტატისტიკიდან;
4. სამივე წყაროდან.

19. უმუშევრობის დონე გამოითვლება:

1. უმუშევარი მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობასთან;
2. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით უმუშევარი მოსახლეობის რიცხოვნობასთან;
3. უმუშევარი მოსახლეობის რიცხვის შეფარდებით ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან;
4. ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობისა და უმუშევარი მოსახლეობის რიცხვის სხვაობით.

თემა 6. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა

6.1 მოსახლეობის ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლები

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლა. მოსახლეობის ცხოვრების დონე მეტად რთული და მრავალწახნაგოვან ცნებას წარმოადგენს. არ არსებობს მოსახლეობის ცხოვრების დონის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიის, ერთხმად მიღებული განმარტება, რაც ართულებს ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების განსაზღვრას, რომელთა საშუალებითაც მოხდება ცხოვრების დონის შეფასება-დახასიათება.

ყველაზე გავრცელებული შეხედულებით, ცხოვრების დონე არის მატერიალური და სულიერი ღირებულებების ერთობლიობა, რომელსაც ფლობს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. მოსახლეობის ცხოვრების დონე როგორც რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემა, ასახავს საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონესა და ხარისხს.

ფართო გაგებით, მოსახლეობის ცხოვრების დონე მოიცავს ცხოვრების პირობებს, შრომას, ყოფას, დასაქმებას, დასვენებასა და განათლებას. თუმცა, ამ შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი „ცხოვრების ხარისხი“.

ტერმინი ცხოვრების ხარისხი პირველად შემოიტანა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ჯ. გელბრეიტმა წიგნში „ფუფუნების საზოგადოება“. მისი აზრით, ცხოვრების ხარისხი მოიცავს ცხოვრების ისეთ სფეროს, რომლის რაოდენობრივად გაზომვა არ ხერხდება. ეს აზრი მეცნიერთა გარკვეულმა ჯგუფმა ასეთნაირად ჩამოაყალიბა: „ცხოვრების ხარისხი“ ასახავს იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს, რომელიც არ ექვემდებარება რაოდენობრივ გაზომვას. „ცხოვრების ხარისხი“ მოიცავს ცხოვრების წესის საკუთრივ თვისებრიობას, რაოდენობრივ მხარეს კი უტოვებს „ცხოვრების დონეს“. ვფიქრობთ, რომ გამართლებულად არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერებაში ცნების „ცხოვრების ხარისხის“ შემოტანა, ვინაიდან თვისებრიობა და რაოდენობრიობა არ არსებობს ერთმანეთისაგან მოწყვეტით (ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის თვისებრივი განსაზღვრულობა, რომელიც მიუთითებს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ისინი, დაკავშირებულია რაოდენობრივ განსაზღვრულობასთან).²⁸

სტატისტიკა მოსახლეობის ცხოვრების დონეს შეისწავლის სხვადასხვა ჭრილში:

- მთლიანი მოსახლეობის მიხედვით;
- რეგიონების მიხედვით;
- ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით;
- სოციალური ჯგუფების მიხედვით;
- შინამეურნეობების შემოსავლების სხვადასხვა დონის მიხედვით და ა. შ.

²⁸ მ. ტურავა. სოციალური სტატისტიკა, ლექციების კურსი, ნაწ. 1. თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1990, გვ. 9.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური შესწავლა მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

1. ცხოვრების დონის არსებული მდგომარეობის დახასიათებას;
2. ცხოვრების დონის სტრუქტურის დადგენა-დახასიათებას;
3. მოსახლეობის ცხოვრების დონის დინამიკის დახასიათებას;
4. შემოსავლებისა და მოხმარების დონეების მიხედვით მოსახლეობის დიფერენციაციის შესწავლას;
5. ცხოვრების დონეზე მოქმედი ფაქტორების კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზს.

ცხოვრების დონე ახასიათებს ადამიანის მიერ მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონეს, რომელიც შეიძლება მიღწეულ იქნას საზოგადოებაში შექმნილი ეკონომიკური პირობებით. მისი რეალიზაცია შესაძლებელია მოხმარების დონით, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია შემოსავლების დონისა და სასიცოცხლო საშუალებათა ღირებულების თანაფარდობა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური ანალიზის ჩასატარებლად გაიანგარიშება მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც შემდეგ ძირითად ბლოკებშია დაჯგუფებული:

- მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლები;
- მოსახლეობის გასავლების, მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოხმარების მაჩვენებლები;
- დანაზოგები;
- დაგროვილი ქონების მაჩვენებლები და მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფა;
- მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის, სიღარიბის დონისა და საზღვრების მაჩვენებლები;
- სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები;
- მოსახლეობის ცხოვრების დონის შემაჯამებელი მაჩვენებლები.

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაფასებლად ზემოთ მოყვანილი სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემის ძირითადი მახასიათებლების (შემოსავალი, მოხმარება) გამოყენება ვერ უზრუნველყოფს შესწავლილი მოვლენების შესახებ სრულ წარმოდგენას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამეცნიერო წრეებში მიმდინარეობს დისკუსიები ერთიანი შემაჯამებელი (კრებსითი) მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავების მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის შესახებ, რომელთა შექმნას მრავალი მეცნიერი სკეპტიციზმით უყურებს.

ბუნებრივია, ეს არის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც უზრუნველყოფდა მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლების ფორმირებასა და პრაქტიკაში დამკვიდრებას.

1978 წელს გაეროს მიერ შემუშავდა მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემის ახალი ვერსია, რომელიც მოიცავს მაჩვენებელთა 12 ჯგუფს:

1. მოსახლეობის შობადობა, მოკვდაობა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლები;
2. ცხოვრების სანიტარულ-ჰიგიენური პირობები;

3. სასურსათო საქონლის მოხმარება;
4. საბინაო პირობები;
5. განათლება და კულტურა;
6. შრომისა და დასაქმების პირობები;
7. მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები;
8. ცხოვრების ღირებულება და სამომხმარებლო ფასები;
9. სატრანსპორტო საშუალებები;
10. დასვენების ორგანიზაცია;
11. სოციალური უზრუნველყოფა;
12. ადამიანის თავისუფლება.

ეს მაჩვენებლები შეიძლება დაიყოს ზოგად და კერძო ინდიკატორებად. ზოგადს მიეკუთვნება:

1. მთლიანი შიგა პროდუქტი ან მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე;
2. ცხოვრების ღირებულების ინდექსი;
3. მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი;
4. მოსახლეობის ჰუმანური განვითარების ინდექსი.

აღნიშნული მაჩვენებლები ზოგადად ახასიათებენ მოსახლეობის ცხოვრების დონეს როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების მიხედვით.

მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) მოსახლეობის ერთ სულზე ზოგადად კარგად ახასიათებს ცხოვრების დონეს. მისი გაანგარიშებისათვის საჭიროა მოცემული წლის მშპ-ის მოცულობა გავყოთ ამავე წლის მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე.

ცხოვრების ღირებულების ინდექსი გაიზომება სამომხმარებლო ფასების ჰარმონიული ინდექსით, რომელსაც ასეთი სახე აქვს:

$$I = \frac{\sum q_1 p_1}{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}$$

სადაც, q_1 – სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა საანგარიშო პერიოდისათვის;

p_1 – სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ერთეულის საბაზრო ფასი ან ტარიფი საანგარიშო პერიოდისათვის;

i - ცალკეული სახის სამომხმარებლო საქონლის ფასის ან მომსახურების ტარიფის ინდივიდუალური ინდექსი.

მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ინდექსი სამომხმარებლო ფასების ინდექსის შებრუნებული სიდიდეა და მას შემდეგი სახე აქვს:

$$I = \frac{\sum \frac{1}{i} q_1 p_1}{\sum q_1 p_1}$$

რაც შეეხება კერძო მაჩვენებლებს, ისინი ახასიათებენ ცხოვრების დონის ამა თუ იმ

მხარეს. მას მიეკუთვნება: საშუალო შემოსავლები, საშუალო დანახარჯები, საშუალო ხელფასი, სასურსათო პროდუქტების მოხმარება, სამრეწველო პროდუქტების მოხმარება და სხვ.

1998 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის სპეციალისტების მიერ შემოთავაზებულ იქნა ცხოვრების დონის ზოგადი მაჩვენებელი - „ჰუმანური განვითარების ინდექსი“ (ჰიდი). ამ ინდექსის ავტორები არიან პაკისტანელი მეცნიერ-ეკონომისტი **მაჰმუბ ელ ჰაჟი** და ინგლისელი მეცნიერი სერ **რიჩარდ ჯოლი**. იგი კრებსით ინდექსს წარმოადგენს და მოიცავს სამ სუბინდექსს, რომლებიც ასახავენ ადამიანის განვითარებისა და ცხოვრების დონის მნიშვნელოვან ასპექტებს:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი;
2. განათლების დონის მაჩვენებელი;
3. მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტი (მშპ) რეალური მოცულობის (დოლარებში, მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის საფუძველზე) მაჩვენებელი.

ჰუმანური განვითარების ინდექსის შემადგენელი თითოეული მაჩვენებლის ინდექსი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_i = \frac{x_i - x_{i\min}}{x_{i\max} - x_{i\min}}$$

სადაც x_i – არის მაჩვენებლის ფაქტობრივი მნიშვნელობა;

$x_{i\min}$ და $x_{i\max}$ – შესაბამისად, i - ური მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური სიდიდეები.

ჰუმანური განვითარების ინდექსი კი ამ სამი მაჩვენებლის ინდექსთა საშუალო არითმეტიკულის ტოლია:

$$I = \frac{I_1 + I_2 + I_3}{3}$$

გაეროს ექსპერტებმა შეიმუშავეს და დაადგინეს თითოეული მაჩვენებლის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა, კერძოდ:

1. ახალშობილთა მოსალოდნელი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლის ინდექსის გასაანგარიშებლად, სიცოცხლის ხანგრძლივობის მინიმალურ მაჩვენებლად აღებულია 25, ხოლო მაქსიმალურ მაჩვენებლად - 85 წელი. შესაბამისად, „სიცოცხლის“ ინდექსს გაიანგარიშებენ შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$I_1 = \frac{x_1 - 25}{85 - 25}$$

2. მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის რეალური მოცულობა გაიანგარიშება დოლარებში. გაეროს ექსპერტების მიერ მშპ-ის მიმართ თვეში მინიმალურ მნიშვნელობად დადგენილია 100 აშშ დოლარი, ხოლო მაქსიმალურ მნიშვნელობად 5 448 აშშ დოლარი. ეს მაჩვენებელი გაიანგარიშება ფორმულით:

$$I_3 = \frac{X_3 - 100}{5448 - 100}$$

3. განათლებულობის მიღწეული დონის ინდექსი განისაზღვრება ორი მაჩვენებლით: 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილის 2/3-ით და 24 წლამდე ახალგაზრდების ხვედრითი წილის 1/3-ით, რომელიც სწავლობს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში. აქედან გამომდინარე, ინდექსი იქნება შემდეგი სახის:

$$I_2 = \frac{2}{3i_1} + \frac{1}{3i_2}$$

სადაც i_1 - 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილია;

i_2 - 24 წლამდე ახალგაზრდების ხვედრითი წილია მთლიან მოსახლეობაში, რომელიც სწავლობს დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში.

2010 წელს ჰგი-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, ამიტომ აღნიშნულს „ახალი მეთოდოლოგიის“ სახელით მოიხსენიებენ.

ახალი მეთოდოლოგიით:

1. სიცოცხლის ხანგრძლივობის ინდექსია $LEI = \frac{LE - 20}{63,2}$

სადაც, LE – სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობაა ახალშობილთათვის, თუ მათი სიცოცხლის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება დაბადებისას არსებული ასაკობრივი მოკვდაობის ტენდენციები;

2. განათლების ინდექსი $EI = \frac{\sqrt{MYSI * EYSI}}{0,951}$

სადაც, MYSI არის სწავლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი $MYSI = \frac{MYS}{13,2}$

- MYS არის 25 წლის და ზევით ასაკის მოსახლეობის მიერ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მიღებული განათლების ხანგრძლივობაა განათლების თითოეული საფეხურის თეორიული ხანგრძლივობის გათვალისწინებით (წლებში);
- EYSI - სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ინდექსი $EYSI = \frac{EYS}{20,6}$
- EYS – სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, თუ მისი სიცოცხლის მანძილზე შენარჩუნდება განათლების მიღების მიმდინარე ტენდენციები;

3. შემოსავლების $II = \frac{\ln(GNIpc) - \ln(163)}{\ln(108211) - \ln(163)}$

GNIpc – ქვეყნის მთლიანი ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე მსყიდველუნარიანობის პარიტეტებით, აშშ დოლარი.

საბოლოო სახით კი, ჰგი გაიანგარიშება როგორც ამ სამი მაჩვენებლის საშუალო გეომეტრიული და შემდეგი სახით ჩაიწერება:

$$HDI = \sqrt[3]{LEI * EI * II}$$

ჰუმანური განვითარების ინდექსის ტენდენციები 5-წლიანი ინტერვალებით არის წარმოდგენილი. ჰვი-ს მაქსიმალური მნიშვნელობა თეორიულად შეიძლება იყოს 100,0%, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებამ მთლიანად გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობები. ამ ინდექსის მნიშვნელობით საქართველო 70-ე ადგილს იკავებს 189 ქვეყანასა და ტერიტორიას შორის, რომელთა ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI) გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2019 წლის ჰუმანური განვითარების ანგარიშში (HDR) შევიდა. ანგარიშის მიხედვით, ადამიანების კეთილდღეობა კომპლექსურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, რომლებიც ფულის გარდა სხვა მაჩვენებლებსაც მოიცავს. ამის გათვალისწინებით, ჰუმანური განვითარების ინდექსი (HDI) ჯანმრთელობასთან, განათლებასთან და შემოსავლებთან დაკავშირებულ მონაცემებს აერთიანებს.

2019 წლის ინდექსში, რომელიც 2018 წლის მონაცემებს ეყრდნობა, საქართველო უსწრებს სომხეთს (81-ე პოზიცია), აზერბაიჯანსა (87-ე პოზიცია) და უკრაინას (88-ე პოზიცია), მაგრამ ჩამორჩება რუსეთის ფედერაციას (49-ე პოზიცია), ბელარუსს (50-ე პოზიცია) და თურქეთს (59-ე პოზიცია).

საქართველოს ჰუმანური განვითარების ინდექსის (HDI) მაჩვენებელი 0.786-ია, რაც მაღალ ჰუმანურ განვითარებას შეესაბამება. 2000-2018 წლებში საქართველოს HDI მაჩვენებელი 0.669-დან 0.786-მდე გაიზარდა, რაც 17.5%-იან ზრდას ნიშნავს, რაც შეესაბამება მაღალი ჰუმანური განვითარების მქონე ქვეყნების ჯგუფს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 3.2 წლით, სასკოლო განათლების საშუალო ხანგრძლივობა 1.1 წლით, ხოლო სასკოლო განათლების მოსალოდნელი ხანგრძლივობა 3.0 წლით გაიზარდა. 1990-2018 წლებში საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI), მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, დაახლოებით 19.8%-ით გაიზარდა. ასეთი ზრდის მიუხედავად, უთანასწორობის გათვალისწინებით და კორექტირებული HDI მაჩვენებელი საგრძნობლად მცირდება.

საქართველოს შემთხვევაში ეს კლება 12%-ია, რაც მის HDI მაჩვენებელს 0.692-მდე ამცირებს.²⁹

6.2. შინამეურნეობათა შემოსავლების მაჩვენებლები

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოსავლების განხილვას. სტატისტიკა შეისწავლის შემოსავლების დონეს, დინამიკას და სტრუქტურას, როგორც მთელი მოსახლეობისათვის, ასევე მისი ცალკეული სოციალური ჯგუფებისა და რეგიონებისათვის.

შემოსავლების განმარტებებს შორის ყველაზე გავრცელებულია ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ხიკსის განმარტება: მოსახლეობის შემოსავლები არის ის მაქსიმალური

²⁹ <https://bm.ge/ka/article/saqartvelo-gaeros-humanuri-ganvitarebis-indeqsshi-189-qveyanas-shoris-70-e-adgilzea/44946>. 09.12.2019.

თანხა, რომელიც შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში და, ამასთანავე, პერიოდის ბოლოს არ უნდა შემცირდეს პერიოდის დასაწყისში არსებული კაპიტალი. ამ კონცეფციის შესაბამისად, შინამეურნეობების შემოსავლები გაიანგარიშება მათი განაწილების სხვადასხვა ეტაპის მიხედვით:

1. პირველადი შემოსავლები (პშ);
2. პირადი, ხელთ არსებული შემოსავლები (პხშ);
3. კორექტირებული პირადი შემოსავლები (კპშ).

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას აუცილებელია მხოლოდ ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებული პირველადი შემოსავლების გამოთვლა. საბაზრო ფასების განსაზღვრული პერიოდის მანძილზე პირველადი შემოსავლების ჯამობრივი მაჩვენებელი შეადგენს ეროვნულ შემოსავალს.

პირველადი შემოსავლები - ეს არის ეკონომიკის შინამეურნეობების სექტორის შემოსავლები, რომლებსაც იღებენ ისინი დამატებული ღირებულების პირველადი განაწილების შედეგად და მოიცავს: შრომის ანაზღაურებას, შერეულ შემოსავლებს, საკუთრებიდან წმინდა შემოსავლებს, მოგებას და ასევე მასთან გათანაბრებულ შემოსავლებს საბინაო მომსახურებიდან.

ყველა პირველადი შემოსავალი შინამეურნეობებმა შეუძლებელია უშუალოდ გამოიყენონ მოხმარებისა ან დაზოგვისათვის. მათი ნაწილი – მიმდინარე გადასახადების (შემოსავალზე, საკუთრებაზე), აუცილებელი სოციალური დაზღვევის ანარიცხების, ქველმოქმედების, ჯარიმების, ნებაყოფლობითი შენატანების და ა. შ. გადაეცემა ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორს. მეორე მხრივ, ადგილი აქვს შემხვედრ ნაკადს სხვა სექტორებიდან, რომლებიც მიემართება ოჯახურ მეურნეობებში მიმდინარე ტრანსფერტების (მტ) სახით. მათ მიეკუთვნება: პენსიები, სტიპენდიები, დახმარებანი, სადაზღვევო პრემიები, ანაზღაურება და ა. შ.

ამრიგად, შინამეურნეობების (პირადი, ხელთ არსებული) შემოსავლები განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$პხშ = პშ + \Delta მტ,$$

სადაც პშ - პირველადი შემოსავლებია,

$\Delta მტ$ - მიმდინარე ტრანსფერტების სალდო.

პირადი, ხელთ არსებული შემოსავლებიდან შინამეურნეობები აწარმოებენ საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯებს, ხოლო მათ შორის სხვაობა (შემოსავალი - საბოლოო მოხმარება) წარმოშობს მოცემული სექტორის დანაზოგების თანხას.

როგორც ცნობილია, შინამეურნეობებს ტრანსფერტები შესაძლებელია გადაეცეს არა მარტო ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით, ე. წ. სოციალური ტრანსფერტების (სტ) სახით (უფასო ჯანდაცვის ორგანიზაციების მომსახურების, განათლების, კულტურისა და ა. შ.). პირადი, ხელთ არსებულ შემოსავლებს (პხშ) თუ დავუმატებთ სოციალური ტრანსფერტების (სტ) სახით მიღებულ შემოსავლებს, მაშინ მივიღებთ შინამეურნეობების კორექტირებულ პირად ხელთ არსებულ შემოსავლებს (კპხშ):

$$კპხშ = პხშ + სტ$$

საქართველოს სტატისტიკის პრაქტიკაში შინამეურნეობის შემოსავლების მაჩვენებლების ზემოთ მოყვანილი ინსტრუმენტარიები გამოიყენება მოსახლეობის

ცხოვრების დონის დინამიკის ანალიზის ჩატარების პროცესში. ამასთანავე, გაიანგარიშება არა მარტო რეალური შემოსავლების აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი მაჩვენებლები. კერძოდ, პირადი, ხელთ არსებული რეალური შემოსავლების ინდექსი, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩავწეროთ:

$$I_{რახშ} = I_{კშ} : I_{სამომხ.ფასები}$$

სადაც I - სამომხმარებლო ფასების ინდექსს წარმოადგენს.

ფასების ცვალებადობა არსებით ზეგავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების იმ მოცულობაზე, რომელსაც მოსახლეობა მიღებული შემოსავლების ხარჯზე იძენს.

მოსახლეობის შემოსავლების დონეს ახასიათებს შემოსავლების მოცულობა ერთ ადამიანზე ან ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით. ამისათვის შემოსავლების მოცულობა უნდა გავყოთ პირველ შემთხვევაში მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – შინამეურნეობების რიცხვზე.

მოსახლეობის შემოსავლების სტატისტიკური შესწავლისას გაიანგარიშებენ ისეთ ძირითად მაჩვენებლებს, როგორცაა: ნომინალური შემოსავლები, რეალური შემოსავლები, საშუალო ნომინალური და რეალური ხელფასი, საშუალო რეალური ხელფასის მსყიდველობითი უნარი, საარსებო მინიმუმი, მინიმალური პენსია და სტიპენდია.

ნომინალური შემოსავლები წარმოადგენს ფაქტობრივად დარიცხულ შემოსავლებს. თუ მას გამოვაკლებთ გადასახადებს და სავალდებულო გადასახდელებს, მივიღებთ განკარგვად, საბოლოო შემოსავლებს.

რეალური შემოსავლები ის საბოლოო შემოსავლებია, რომლითაც შესაძლებელია საქონლის შეძენა და მომსახურების მიღება.

ნომინალური და რეალური შემოსავლების დონის სტატისტიკური დახასიათებისათვის ანგარიშობენ მათ მოცულობას ერთ ადამიანზე ან ერთ შინამეურნეობაზე. ამისათვის შესაბამისი მაჩვენებლები მოცემული წლისათვის გაიყოფა მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვზე ან შინამეურნეობების რიცხვზე.

ცხოვრების დონის მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს საშუალო ნომინალური ხელფასის და საშუალო რეალური ხელფასის მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს როგორც ეკონომიკის დარგების, რეგიონებისა და მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე გენდერულ ჭრილში - ქალებისა და კაცების მიხედვით.

საშუალო ნომინალური ხელფასი გაიანგარიშება დარიცხული ხელფასის ფონდის შეფარდებით დასაქმებულთა საერთო რიცხვთან.

საშუალო რეალური ხელფასი გაიანგარიშება საშუალო ნომინალური ხელფასის შეფარდებით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე.

საშუალო (რეალური, განკარგვადი) ხელფასის მსყიდველობითი უნარი კი განისაზღვრება იმ რაოდენობის სასურსათო და არასასურსათო საქონლის შეძენითა და მოხმარების მიღებით, რისი შეძენაც შეიძლება აღნიშნული ხელფასით.

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის მინიმალური შემოსავლების დადგენას, როგორცაა საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი და მინიმალური პენსია.

მინიმალური შემოსავალი (საარსებო მინიმუმი) შემოსავლის ის დონეა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის დოვლათისა და მომსახურების მინიმალური ოდენობით შეძენას. საარსებო მინიმუმი მოიცავს დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მინიმალური რაოდენობის სასურსათო და არასასურსათო საქონლისა და აუცილებელი მომსახურების შეძენაზე. საარსებო მინიმუმის დადგენა ხდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით. ის გაიანგარიშება როგორც ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის, ასევე მამაკაცებისა და ქალებისათვის, პენსიონერებისთვის და ბავშვებისთვის ცალ-ცალკე.

მინიმალური ხელფასისა და პენსიის სიდიდე წარმოადგენს მათ უდაბლეს ზღვარს, რომელსაც მთავრობა ადგენს შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

6.3 მოსახლეობის გასავლებისა და მომსახურების სტატისტიკური შესწავლა

შინამეურნეობების შემოსავლების შესწავლა შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს მათი სამომხმარებლო ხარჯების პოტენციური თანხა. ამასთანავე, ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მკაფიოდ არის გამიჯნული განსხვავება საბოლოო მოხმარების ხარჯებსა და საბოლოო ფაქტობრივი მოხმარების მოცულობებს შორის.

შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების ხარჯები მოიცავენ:

- სამომხმარებლო საქონელთა (ბინებისა და სახლების გარდა) შესყიდვის ხარჯებს სახელმწიფო, კოოპერაციული ვაჭრობის ობიექტებზე, საქალაქო ბაზრობებსა და არაორგანიზებულ ვაჭრობაში;
- სამომხმარებლო მომსახურების ანაზღაურების ხარჯებს;
- ნატურალური ფორმით პროდუქტების მიღებას, რომელიც წარმოებულ იქნა ოჯახურ მეურნეობებში საკუთარი საბოლოო მოხმარების მიზნით;
- პროდუქტების მოხმარებას, რომლებიც მიიღეს ოჯახურმა მეურნეობებმა შრომის ანაზღაურების საფასურად ნატურალური ფორმით.

თანამედროვე სტატისტიკის პრაქტიკაში შინამეურნეობების მიერ სამომხმარებლო საქონლის შეძენაზე დანახარჯების შესახებ ინფორმაციებს მოიპოვებენ შემდეგი წყაროებიდან: შერჩევითი საბიუჯეტო გამოკვლევები, მოსახლეობის ფულადი შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი, ვაჭრობის სტატისტიკა.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სიღრმისეული ანალიზისათვის აწარმოებენ შინამეურნეობების საბიუჯეტო შერჩევით გამოკვლევებს, რომლებიც ითვლებიან მოსახლეობის შემოსავლებისა და სამომხმარებლო დანახარჯების სტრუქტურის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციების მნიშვნელოვან წყაროდ. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება მოსახლეობის სამომხმარებლო ქმედებანი, გამოვლინდება ურთიერთკავშირი მოხმარების, შემოსავლებისა და ფასების დონეებს შორის.

შემოსავლების ან ფასების და ცალკეულ საქონელთა მოხმარების დინამიკებს შორის დამოკიდებულება რაოდენობრივი შეფასებისათვის გაიანგარიშება ელასტიკუ-

რობის კოეფიციენტები, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად იცვლება მოხმარების დონე საშუალოდ სულადობრივი შემოსავლების 1%-ით ცვლილებების პირობებში. ელასტიკურობის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულა:

$$KKK_{ელასტ} = \frac{\Delta Y}{Y_0} : \frac{\Delta X}{X_0}$$

სადაც Y_0 და Y_1 – მოხმარების დონეებია საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში,

$\Delta Y = Y_1 - Y_0$ – არის მოხმარების დონის ცვალებადობის მაჩვენებელი.

X_0 და X_1 – საშუალო სულადობრივი შემოსავალია (ან საქონლის ფასი) საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში,

$\Delta X = X_1 - X_0$ კი – საშუალო სულადობრივი შემოსავალის (საქონლის ფასის) ცვალებადობის მაჩვენებელია.

შერჩევითი დაკვირვების შედეგად, როგორც უკვე აღინიშნა, გამოავლენენ დანახარჯების სტრუქტურას, რომელსაც ყოფენ ორ ჯგუფად: სამომხმარებლო ხარჯები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული მოხმარებასთან. ხარჯების სტრუქტურა მათი მიზნობრივი დანიშნულებიდან გამომდინარე, მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

1. კვების პროდუქტების შექმნა და ცალკე, საზოგადოებრივ კვებაზე დანახარჯები;
2. არასასურსათო საქონლის შექმნა, მათ შორის:
 - ა) ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ქსოვილები;
 - ბ) ხანგრძლივი გამოყენების საგნები;
 - გ) ჰიგიენის საშუალებები, მედიკამენტები, საშენი მასალები და ა. შ.;
3. მომსახურების ანაზღაურებაზე გაწეული ფულადი დანახარჯები;
4. დანარჩენი ხარჯები;
5. დაგროვება (ბანკების ანგარიშებში, ფასიანი ქაღალდების შექმნა, უცხოური ვალუტა და ა. შ.)
6. ფულის ნაშთი ხელზე.

ამრიგად, მოსახლეობის ცხოვრების დონის დასახასიათებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შინამეურნეობათა გამოკვლევას, რასაც სტატისტიკური ორგანოები აწარმოებენ შერჩევითი კვლევების გზით. შემოსავლებისა და გასავლების ურთიერთშედარება, დინამიკა და სხვა მაჩვენებლები ახასიათებს ცხოვრების დონესა და მის განვითარებას მთელი ქვეყნის, სოციალური ჯგუფებისა და რეგიონების მიხედვით, აგრეთვე მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით.

6.4. მოსახლეობის შემოსავლებისა და მოხმარების დიფერენციაციის შესწავლა; სიღარიბის სტატისტიკა

როგორც ცნობილია, მოხმარება საზოგადოებრივი კვლავწარმოების საბოლოო სტადიაა, რომელიც გულისხმობს მატერიალური დოვლათის გამოყენებას ამა თუ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მოთხოვნილება სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა, რომელიც ასახავს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის ობიექტურად საჭირო მატერიალური დოვლათისა და მომსახურების, აგრეთვე სოციალური პირობების ერთობლიობას.

მოსახლეობის ცხოვრების დონის შესწავლისას აუცილებელია მოხდეს მოსახლეობის მოხმარების (ხარჯების) სტატისტიკური შესწავლა. ამ შემთხვევაში სტატისტიკის ამოცანებია მოსახლეობის ხარჯების აბსოლუტური მოცულობის, დონის, დინამიკისა და სტრუქტურის დადგენა.

მოსახლეობის მოხმარების (ხარჯების) აბსოლუტური მოცულობა წარმოადგენს მოსახლეობის მიერ გაწეული ხარჯების მთლიან მოცულობას, გამოსახულს ფულად ერთეულებში. მასში აღირიცხება როგორც ფულადი, ისე ნატურალური ხარჯები.

მოსახლეობის მოხმარების (გასავლების) დონეს გვიხასიათებს მოხმარების (ხარჯების) მოცულობა ერთ მოსახლეზე ან ერთ შინამეურნეობაზე გაანგარიშებით. მისი გასაანგარიშებლად საჭიროა მოხმარების (ხარჯების) მოცულობა შევაფარდოთ, პირველ შემთხვევაში, მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხვზე, ხოლო მეორე შემთხვევაში – შინამეურნეობათა რიცხვზე.

მოხმარების დასახასიათებლად გამოიყენება როგორც საერთო მოხმარების აბსოლუტური მოცულობა, ისე საშუალო სულადობრივი მოხმარებაც. ისინი გამოითვლება ზომის ნატურალური, პირობით-ნატურალურ და ფულად ერთეულებში. მოხმარება განსხვავებულია ასაკის, ეროვნების, ბუნებრივ-კლიმატური პირობების, შემოსავლებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით. მოხმარების დინამიკას ახასიათებენ ინდივიდუალური და აგრეგატული ინდექსების გამოყენებით. კერძოდ, საშუალო სულადობრივი მოხმარების ინდექსი აიგება შემდეგნაირად:

$$I_{\text{საშ.სულა.მოხ.}} = \frac{\sum q_0 p_0 i_p \cdot \bar{S}_1}{\sum q_0 p_0 \cdot \bar{S}_0}$$

სადაც I_q – მოხმარების ფიზიკური მოცულობის ინდექსია, q – პროდუქციის ფიზიკური რაოდენობა, p – ფასი, $I_{\bar{S}}$ – მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობის ინდექსი (\bar{S}_1 და \bar{S}_0 საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობას უჩვენებენ).

მოსახლეობის მოხმარების მაჩვენებლების ანალიზისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ხანგრძლივი მოხმარების საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის დადგენას. შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საგნებს გამოითვლიან ყოველ 100 შინამეურნეობაზე ან 1000 მცხოვრებზე.

მოხმარების (ხარჯების) როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება თვეების, კვარტლებისა და მთელი წლის მიხედვით.

მოხმარების (ხარჯების) დონეს გამოითვლიან მთელი მოსახლეობის, ქალაქისა და სოფლის და ცალკეული სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

1. სკოლამდელი ასაკის ბავშვები - 0-6 წლის;
2. მოზარდი - 7-15 წლის;
3. შრომისუნარიანი მამაკაცი - 16-64 წლის;
4. შრომისუნარიანი ქალი - 16-59 წლის;
5. საპენსიო ასაკის მამაკაცი - 65 წელზე მეტი;
6. საპენსიო ასაკის ქალი - 60 წელზე მეტი;

მოსახლეობის ცხოვრების დონე, როგორც უკვე აღინიშნა, გულისხმობს მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების როგორც მოცულობას, ასევე მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხს.

მოსახლეობის დაყოფა საშუალო-რაოდენობრივი ფულადი შემოსავლების დონის მიხედვით გართულებულია, რამეთუ არ არსებობს შემოსავლების სრული სტატისტიკური აღრიცხვა შინამეურნეობების მიხედვით, რაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობის შეფასებას.

მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციას აწარმოებენ იმიტაციური მოდელების მეშვეობით. მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დაყოფის დასახასიათებლად გამოიანგარიშება რიგი მაჩვენებლები, კერძოდ:

1. **მოდალური შემოსავალი**, ანუ შემოსავლის დონე, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება მოსახლეობის ფენებში;
2. **მედიანური შემოსავალი**, ანუ შემოსავლის მაჩვენებელი, რომელიც იმყოფება განაწილების რანჟირებული რიგის შუაში. მოსახლეობის ნახევარს შემოსავალი აქვს მედიანურზე დაბალი, ხოლო მეორე ნახევარს – მედიანურზე მაღალი;
3. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის **დეცილური კოეფიციენტი** $K_{დეც}$;
4. **ფონდების კოეფიციენტი** (K_f);
5. შემოსავლების კონცენტრაციის **ჯინის კოეფიციენტი** (K_L), რომელიც ახასიათებს მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობის ხარისხს და რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$K_L = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$$

სადაც p_i – იმ მოსახლეობის წილია, რომელსაც არა აქვს უფრო მაღალი შემოსავალი, ვიდრე მისი მაქსიმალური დონეა i -ურ ჯგუფში;

q_i - ჯგუფის შემოსავლების წილი მოსახლეობის საერთო შემოსავლების თანხაში, რომელიც გაიანგარიშება ნაზარდი ჯამით;

p_i - მხოლოდ ფულადი შემოსავლების მაჩვენებელია.

ჯინის კოეფიციენტი გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების დონიდან. იგი იანგარიშება 0-დან 1-მდე ინტერვალში. რაც უფრო ახლოსაა მოცემული კოეფიციენტი 0-თან, მით უფრო მაღალია შემოსავლების თანაბრობის დონე და მოცემული კოეფიციენტი, რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია შემოსავლების უთანაბრო განაწილება.

თანაბარი განაწილების შემთხვევაში ჯინის ინდექსი 0-ის ტოლია, აბსოლუტური

უთანაბრობისას კი 1-ის.

საქართველოში ჯინის კოეფიციენტის დინამიკა 2006-2019 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება (იხ. ცხრ. 6.4.1).

მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკური შესწავლისას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსახლეობის განაწილებას შემოსავლების სიდიდის მიხედვით, რისთვისაც გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: შემოსავლების მოდალური, მედიანური და საშუალო შემოსავლები, მოსახლეობის შემოსავლების განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით, მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი, ფონდების კოეფიციენტი, შემოსავლების კონცენტრაციის კოეფიციენტი (ჯინის კოეფიციენტი) და სხვ.

მოსახლეობის შემოსავლების განაწილება დეცილური ჯგუფების მიხედვით გულისხმობს მოსახლეობის დაყოფას 10 ჯგუფად, სადაც პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის შემოსავლები, ხოლო მეათე ჯგუფში კი ყველაზე მაღალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის შემოსავლები. ასეთი წესით მიღებულ ჯგუფებს დეცილური ჯგუფები ეწოდება.

	მთლიანი შემოსავლების მიხედვით	მთლიანი ფულადი სახსრების მიხედვით	მთლიანი სახსრების მიხედვით	მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების მიხედვით	მთლიანი ფულადი ხარჯების მიხედვით	მთლიანი ხარჯების მიხედვით
2006	0.43	0.49	0.44	0.38	0.45	0.40
2007	0.44	0.49	0.45	0.40	0.46	0.42
2008	0.43	0.50	0.46	0.40	0.47	0.43
2009	0.43	0.50	0.45	0.40	0.47	0.43
2010	0.44	0.49	0.45	0.42	0.48	0.44
2011	0.43	0.49	0.46	0.42	0.49	0.46
2012	0.42	0.47	0.44	0.41	0.48	0.44
2013	0.40	0.43	0.41	0.39	0.45	0.42
2014	0.40	0.43	0.41	0.39	0.47	0.44
2015	0.40	0.43	0.41	0.38	0.45	0.43
2016	0.40	0.43	0.41	0.39	0.46	0.43
2017	0.41	0.45	0.43	0.40	0.47	0.45
2018	0.39	0.42	0.40	0.37	0.44	0.42
2019	0.39	0.42	0.40	0.37	0.44	0.43

ცხრილი 6.4.1. ჯინის კოეფიციენტი (საქართველო 2006-2019 წწ)³⁰

წყარო: საქსტატის მონაცემები

³⁰ წარმოდგენილ ცხრილში 2006-2016 წლები გადაანგარიშებულია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით; 2017 წლიდან შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემთა ბაზა.

მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი ახასიათებს რამდენჯერ აღემატება ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 10%-ის მინიმალური შემოსავალი ყველაზე ღარიბი მოსახლეობის 10%-ის მაქსიმალურ შემოსავლებს და გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:³¹

$$K_d = \frac{D_9}{D_1},$$

სადაც K_d – შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი;

D_9 და D_1 – შესაბამისად, მეცხრე და პირველი დეცილი.

ფონდების კოეფიციენტი გვიჩვენებს დამოკიდებულებას ორი ჯგუფის მოსახლეობის (ყველაზე მაღალი შემოსავლების მოსახლეობის 10%-ისა და ყველაზე დაბალი შემოსავლების მოსახლეობის 10%-ის) საშუალო შემოსავლებს შორის. რამდენადაც ჯგუფების რიცხოვნობა თანაბარია, ის გამოითვლება აღნიშნული ჯგუფების მოსახლეობის მთლიანი შემოსავლების თანაფარდობით:

$$K_f = \frac{L_{10}}{L_1},$$

სადაც K_f – ფონდების კოეფიციენტი;

L_{10} და L_1 - ყველაზე მდიდარი და ყველაზე ღარიბი მოსახლეობის მეათედი ნაწილის მთლიანი შემოსავლები.

მოსახლეობის დიფერენციაციის საშუალო სულადობრივი შემოსავლების მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრება იმ მოსახლეობის რიცხოვნობა, რომლებსაც გააჩნიათ საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავლები.

თავის მხრივ, საარსებო მინიმუმი (კალათა) შემოსავლის ის დონეა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნებისათვის დოვლათისა და მომსახურების მინიმალური ოდენობით შექმნას. საარსებო მინიმუმი მოიცავს დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია მინიმალური რაოდენობის სასურსათო და არასასურსათო საქონლისა და აუცილებელი მომსახურების შექმნაზე. საარსებო მინიმუმის დადგენა ხდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათვალისწინებით. მისი გაანგარიშება ხორციელდება როგორც ქვეყნის მთელი მოსახლეობის, ასევე მამაკაცებისა და ქალებისათვის, პენსიონრებისა და ბავშვებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, სტატისტიკაში განისაზღვრება შემდეგი მაჩვენებლები: სამომხმარებლო მინიმუმი (კალათა), სასურსათო მინიმუმი (კალათა), მოდალური და მედიანური მოხმარება.

სასურსათო მინიმუმი (კალათა) ეწოდება კვების პროდუქტების იმ ნაკრებს, რაც ფიზიოლოგიური ნორმების, მათი კალორიულობისა და საბაზრო ფასების მიხედვით, მინიმალურად მაინც საჭიროა ადამიანის ფიზიკური არსებობისა და სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. მოხმარების ფიზიოლოგიურ ნორმებს ადგენენ შესაბამისი სამედიცინო, შრომისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ადამიანთა ასაკობრივი, სქესობრივი, ცხოვრების ბუნებრივ-კლიმატური პირობების, ზნე-ჩვეულებ-

³¹ Салин В.Н., Шпаковская Е.П., Социально-экономическая статистика: Учебник.-М.: Юристъ, 2004, с. 360.

ბების, ისტორიული ტრადიციების, კულტურისა და სხვათა გათვალისწინებით. სასურსათო მინიმუმს (კალათას) მიმატებული არასასურსათო საქონლის მოხმარება და გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს **სამომხმარებლო მინიმუმს (კალათას)**, ხოლო მას თუ დავუმატებთ სხვადასხვა გადასახადებსა და შენატანებს, მივიღებთ **საცხოვრებელ, ანუ საარსებო მინიმუმს**.

როგორ ითვლიან საარსებო მინიმუმს? საქართველოში საარსებო მინიმუმს 1997 წლიდან ითვლიან, როცა პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც დღესაც მოქმედებს. კანონის მიხედვით, საარსებო მინიმუმი წარმოადგენს სოციალურ ორიენტირს, რომელიც გამოიყენება ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების, შემწეობებისა და სხვა სოციალური გასაცემლების მინიმალური ოდენობის განსაზღვრისათვის. შესაბამისად, მის ოდენობას, ქვეყანაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური დატვირთვა აქვს.

საარსებო მინიმუმის გამოანგარიშება ხდება სპეციალური სასურსათო კალათის მეშვეობით, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, 2003 წლის 8 მაისს განისაზღვრა. მეტიც, საარსებო მინიმუმი მხოლოდ და მხოლოდ სურსათის ღირებულების გამომხატველი მაჩვენებელია.

საარსებო მინიმუმში არ შედის კომუნალური ტარიფების ღირებულება, ტრანსპორტის ღირებულება და სხვა მრავალი ხარჯის ღირებულება, რომელთა გაღებაც ყველა ადამიანს უწევს. დღეს არსებული სისტემა მხოლოდ და მხოლოდ საკვების ღირებულებას ეფუძნება. მაგალითად, ზამთრის სეზონზე ცხოვრების საშუალო ხარჯი გათბობის ხარჯების გამო საშუალოდ 20%-ით მაინც უფრო ძვირია ვიდრე ზაფხულში. იმის გამო, რომ საარსებო მინიმუმი ამ ხარჯებს არ ითვალისწინებს, ზამთრისა და ზაფხულის საარსებო მინიმუმებს შორის სხვაობა მცირეა. მაგალითად, 2019 წლის იანვარში ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 355.9 ლარს შეადგენდა, ივნისში კი, ის 374.8 ლარი იყო. რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად სავარაუდოა სეზონებს შორის დანახარჯების სხვაობა ასეთი მცირე ყოფილიყო.

საკვები რაციონი, რომლის მიხედვითაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი გაიანგარიშება, დღეში 2300 კილოკალორიას მოიცავს. ეს ცხრილი ასე გამოიყურება:

- პური - თვეში 7.5 კილოგრამი (დღეში 250 გრამი);
- ლობიო - თვეში 600 გრამი;
- ბრინჯი - თვეში 300 გრამი;
- მაკარონი - თვეში 450 გრამი;
- ღორის ხორცი - თვეში 300 გრამი;
- ქათმის ხორცი - თვეში 600 გრამი;
- ძეხვი - თვეში 300 გრამი;
- კარტოფილი - თვეში 4.5 კილოგრამი;
- კომბოსტო - თვეში 1.2 კილოგრამი;
- მაწონი - თვეში 750 გრამი.

ეს, რა თქმა უნდა, არასრული სიაა და სრული რაციონი შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე.

საარსებო მინიმუმის გამოთვლის შემდეგ საფეხურზე აღნიშნულ საკვებ რაციონს აჯამებენ, რის შედეგადაც გაიანგარიშება თვეში საკვები რაციონის ღირებულება. შემდეგი საფეხური ამ მიღებული თანხის „შევაჭრების კოეფიციენტზე“ გაყოფაა.

რა არის ე. წ. „შევაჭრების კოეფიციენტი“? დავუშვათ, რომ საკვები რაციონის საერთო ღირებულება გამოვიდა 200 ლარი. საქსტატი ამ მიღებულ რიცხვს ყოფს 0.86-ზე, ანუ მას 14%-ით ამცირებს. ამას „შევაჭრების კოეფიციენტის“ შეწონვა ეწოდება. მთავრობის შეფასებით, ადამიანი, რომელიც ამ სასურსათო კალათას ყიდულობს თითოეულ შენაძენზე პროდუქტის საბაზრო ღირებულებასთან შედარებით 14%-იან ფასდაკლებას იღებს.

2003 წელს ამ მეთოდოლოგიის დაწერის დროს მაღაზიებში პროდუქტების ფასზე ვაჭრობა გავრცელებული პრაქტიკა იყო, დღეს კი, სუპერმარკეტებში, ფასზე ვაჭრობის შესაძლებლობა არ არსებობს.

რა ხდება მას შემდეგ, რაც სასურსათო ხარჯებს დაითვლიან?

სასურსათო კალათის ღირებულებას საქსტატი ყოფს 0.7-ზე, ეს იმიტომ, რომ საარსებო მინიმუმში საკვების ხარჯები განისაზღვრება 70%-ით. მეთოდოლოგიის მიხედვით, დანარჩენი 30% არის არასასურსათო ხარჯები, თუმცა, აღნიშნული არასასურსათო ხარჯები გაწერილი არაა და ისევე სურსათის ღირებულებიდან გამომდინარეობს. ხარჯების პირობითად ასეთი გადანაწილება (70% სურსათი, 30% სხვა დანარჩენი ხარჯები) ეფუძნება ეკონომიკურ დაშვებას, რომ რაც უფრო ღარიბია ადამიანი, მის მთლიან ხარჯებში სურსათის წილი უფრო მაღალი იქნება.

საქსტატი სმონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის საშუალო სასურსათო ხარჯები მათ მთლიან ხარჯებთან მიმართებით 41.4%-ია. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობა შემოსავლის 41.4%-ს საკუთარ კვებაზე ხარჯავს, 58%-ს კი სხვა სერვისებში იხდის (მაგალითად, გადასახადები, ტრანსპორტი, განათლება, კომუნალური ტარიფები, გართობა და სხვა). საარსებო მინიმუმის დათვლაში კი, გამოიყენება სასურსათო ხარჯების 70%-იანი მაჩვენებელი, დანარჩენი 30% ისევ სურსათის ხარჯებიდან იანგარიშება. შესაბამისად, ერთადერთი რეალური ცვლადი, რომელსაც დღეს საარსებო მინიმუმზე აქვს გავლენა, არის ქვეყანაში სურსათის ფასები.

წლები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2004	82.5	83.4	84.8	80.2	80.7	79.1	83.2	80.2	83.0	87.6	91.1	96.2
2009	133.8	132.1	134.7	129.7	131.6	129.0	123.1	125.3	127.3	127.8	124.7	126.1
2012	157.2	156.2	155.3	154.1	150.1	149.0	146.5	145.5	149.0	150.6	150.5	149.1
2016	164.2	163.2	161.6	161.2	160.6	157.1	156.6	156.0	157.3	160.1	161.4	161.6
2019	178.6	179.1	181.2	185.0	190.1	188.1	187.2	189.2	189.9	192.9	195.6	194.8

წყარო: საქსტატის მონაცემები

მოდალური მოხმარება წარმოადგენს ყველაზე გავრცელებული მოხმარების დონეს. მედიანური მოხმარება კი მოხმარების ისეთი სიდიდეა, რომლის ზემოთ მოხმარება აქვთ მოსახლეობის 50%-ს, ხოლო ქვევით მოსახლეობის 50%-ს.

სასურსათო კალათის ღირებულება განისაზღვრება ნორმატიული და სტატისტიკური მეთოდებით. ნორმატიული მეთოდი ითვალისწინებს მოხმარების მინიმალურ, ფიზიოლოგიურ ნორმებს, ხოლო სტატისტიკური – მოხმარების ფაქტობრივ დონეს. მოხმარების როგორც ნორმატიული, ისე ფაქტობრივი დონეები არსებითად განსხვავდება ასაკის, სქესის, საქმიანობისა და რიგი ფაქტორების მიხედვით. შესაბამისად, როგორც სამომხმარებლო, ისე სასურსათო კალათის შემადგენლობა და ღირებულება განსხვავდება მომხმარებელთა სხვადასხვა ტიპისათვის. ამის გამო მინი-მალური (ნორმატიული) სასურსათო კალათი და მისი ღირებულება განისაზღვრება შრომისუნარიანი მამაკაცისათვის, ხოლო სხვა ტიპის მომხმარებელთათვის მინიმალური სასურსათო კალათის ღირებულება განისაზღვრება კალორიებზე მოთხოვნის ნორმების პროპორციულად.

ცხოვრების დონის მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია სიღარიბის მაჩვენებლები.

სიღარიბე არის შემოსავლების (ფულადი და არაფულადი) უკმარისობა ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი არსებობა-განვითარებისათვის საჭირო მინიმალურად აუცილებელ მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურების მოხმარებისათვის.

სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლებია: სიღარიბის დონე, სიღრმე და სიმწვავე.

სიღარიბის დონე ეწოდება ღარიბი მოსახლეობის ხვედრით წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. ის შეიძლება გავიანგარიშოთ შემდეგი ფორმულით:

$$K = \frac{q}{n} \times 100$$

სადაც K – სიღარიბის დონე ანუ ღარიბთა ხვედრითი წილია მთელს მოსახლეობაში;

q - ღარიბების რიცხოვნობა;

n - მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა.

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, %	26.2	23.5	21.6	22	21.9	20.1	19.5

³² 2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერჯიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 8 მაისის N111/ნ ბრძანების შესაბამისად.

ცხრილი 6.4.3. საქართველოში 2013-2019 წწ. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%).

წყარო: საქსტატის მონაცემები

სიღარიბის ფარდობითი ზღვარი განისაზღვრება ქვეყანაში მთელი შემოსავლის ან დანახარჯების განაწილების შეფარდებითი მაჩვენებლით. მაგალითად, ქვეყანაში მედიანური მოხმარების 40% ან 60%-ის მიმართ გაანგარიშებული სიღარიბის ზღვარი. მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტი სიღარიბის ფარდობითი ზღვრებია, რომლებიც მთლიანი მოხმარების (სამომხმარებლო ხარჯების) მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება. ამასთან, ღარიბად ითვლება მოსახლეობის ის კატეგორია, რომელსაც საარსებო მინიმუმზე ნაკლები შემოსავალი აქვს (იხ. ცხრილი 6.4.4)

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი														
ქალაქი	21.9	18.4	19.7	19.4	19.2	19.3	18.1	16.1	15.9	15.4	15.5	17.0	17.2	16.2
სოფელი	21.7	24.5	26.5	24.6	27.4	27.7	28.1	28.7	28.6	26.8	28.5	29.6	25.4	25.5
საქართველო	21.8	21.1	22.6	21.6	22.8	23.0	22.4	21.5	21.4	20.2	21.0	22.3	20.5	20.1
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი														
ქალაქი	7.9	7.1	7.5	7.8	8.3	8.1	7.2	6.2	5.6	4.8	4.9	6.5	6.6	6.0
სოფელი	10.0	11.8	12.5	10.7	12.3	13.3	12.4	11.5	11.5	10.4	10.5	11.3	9.1	9.4
საქართველო	8.8	9.1	9.7	9.1	10.0	10.4	9.4	8.5	8.1	7.2	7.2	8.5	7.6	7.4

ცხრილი 6.4.4. საქართველოში 2006-2019 წწ. ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები

წყარო: საქსტატის მონაცემები

სიღარიბის დონე ზოგადად ახასიათებს მოცემულ ქვეყანაში ღარიბთა ხვედრით წილს. მაგრამ ღარიბების მთელი კონტიგენტიდან ყველა ერთნაირი ცხოვრების დონის არაა. ამიტომ სტატისტიკა ანგარიშობს აგრეთვე **სიღარიბის სიღრმეს**. ეს მაჩვენებელი ახასიათებს სიღარიბის ზღვრიდან (საარსებო მინიმუმიდან) შემოსავლების მიხედვით ღარიბების დაშორების საშუალო მანძილს და გაიანგარიშება ფორმულით³³:

$$p_1 = \frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{nz}$$

სადაც p_1 – სიღარიბის სიღრმეა;

z – საარსებო მინიმუმი მოცემულ პერიოდში;

y_i – ღარიბი მოსახლეობის i -ური წევრის მოხმარების (ან შემოსავლის სიდიდე);

³³ ბ. გაბიძაშვილი. სიღარიბის პორტრეტი საქართველოში. თბ., 2006. გვ. 46.

n - მოსახლეობის რიცხოვნობა მოცემულ ქვეყანაში, რეგიონში.

ეს მაჩვენებელიც არ არის სრულყოფილი ინდიკატორი და ამიტომ სტატისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში შემოდებულია მესამე მაჩვენებელი, რომელსაც ეწოდება სიღარიბის სიმწვავე (p_2) ის გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით: ³⁴

$$p_2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^q \left(\frac{z - y_i}{z} \right)^2$$

ამ მაჩვენებლებს ანგარიშობენ როგორც საარსებო მინიმუმის მიმართ, ასევე მედიანური მოხმარების (შეფარდებითი ზღვრის) 60 და 40 %-ის მიმართ. აღნიშნული მაჩვენებლები გვიხასიათებს ღარიბთა ქვედა ფენების ეკონომიკურ მდგომარეობას.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ დიფერენციაციას, არცთუ იშვიათად, წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებენ. მაგრამ მათი გამოყენება მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემაში თავის აქტუალობას არ კარგავს, რის გამოც მათი გამოთვლის მეთოდოლოგია შემდგომ სრულყოფას მოითხოვს.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის მოსახლეობის ცხოვრების დონე?
2. ჩამოთვალეთ მოსახლეობის ცხოვრების დონის მაჩვენებელთა სისტემა.
3. როგორია ცხოვრების დონის ზოგადი და კერძო ინდიკატორები?
4. როგორ ხდება ჰუმანური განვითარების ინდექსის გაანგარიშება (ძველი და ახალი მეთოდოლოგიის შედარება)?
5. დაახასიათეთ მოსახლეობის შემოსავლების არსი და სახეები.
6. რა მაჩვენებლებით ხდება მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დახასიათება?
7. რას წარმოადგენს საარსებო მინიმუმი და როგორ ითვლიან მას?
8. დაახასიათეთ მოსახლეობის სიღარიბის დონის სტატისტიკური მაჩვენებლები.

³⁴ იქვე, გვ. 47.

6.5. ტესტები

1. ცხოვრების დონის კერძო ინდიკატორია:

1. ცხოვრების ღირებულების ინდექსი
2. საშუალო დანახარჯები;
3. მშპ ერთ სულზე;
4. მოსახლეობის მსყიდველობითი უნარიანობის ინდექსი

2. საარსებო მინიმუმი მოიცავს:

1. არასასურსათო საქონლის და სავალდებულო გადასახდელებზე და აუცილებელი მომსახურებისათვის დანახარჯებს;
2. გადასახადებზე და სავალდებულო გადასახდელებზე დანახარჯებს;
3. დანახარჯებს მინიმალური მოხმარებისათვის საჭირო კვების პროდუქტების, არასასურსათო საქონლის შეძენაზე, აუცილებელი მომსახურების მიღებაზე, გადასახადებზე და სავალდებულო გადასახდელებზე;
4. მინიმალური მოხმარებისათვის საჭირო კვების პროდუქტებისა და არასასურსათო საქონლის შეძენაზე დანახარჯებს.

3. მოცემული ფორმულა $K = \sum p_i q_{i+1} - \sum p_{i+1} q_i$ არის:

1. სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი;
2. შემოსავლების დონის მაჩვენებელი;
3. სიღარიბის დონის მაჩვენებელი;
4. კონცენტრაციის ჯინის კოეფიციენტი.

4. საშუალო რეალური ხელფასი გაიანგარიშება:

1. საშუალო ნომინალური ხელფასის შეფარდებით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე;
2. ნომინალური ხელფასიდან გადასახადებისა და სავალდებულო გადასახდელების გამოკლებით;
3. რეალური ხელფასის გაყოფით ცხოვრების ღირებულების ინდექსზე;
4. საშუალონომინალურიხელფასიდანგადასახადებისადასავალდებულო გადასახდელების გამოკლებით და მიღებული შედეგის შეფარდებით სამომხმარებლო ფასების ინდექსზე.

5. მოცემული ფორმულა $p_2 = \frac{1}{n} \sum_{i=1}^q \left(\frac{z - y_i}{z} \right)^2$ არის:

1. სიღარიბის დონის მაჩვენებელი;
2. სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი;
3. სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი;
4. შემოსავლების კონცენტრაციის კოეფიციენტი

6. სიღარიბის დონე გამოითვლება:

1. ღარიბებისა და ღატაკების რაოდენობას შორის სხვაობით;
2. ღარიბების რიცხოვნობის შეფარდებით მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან;
3. ღარიბების რაოდენობის შეფარდებით ღატაკების რაოდენობასთან;
4. ღატაკების რაოდენობის შეფარდებით ღარიბების საერთო რაოდენობასთან.

7. ცხოვრების დონის განზოგადოებული მაჩვენებელია:

1. მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;
2. ეროვნული შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე;
3. ასეთი მაჩვენებელი ჯერ არ არსებობს;
4. შინამეურნეობის საერთო ხარჯებში კვების ხარჯების ხვედრითი წილი.

8. ჰუმანური განვითარების ინდექსი არ მოიცავს:

1. განათლების დონეს;
2. მშპ-ს მოცულობას მოსახლეობის ერთ სულზე;
3. დაბადებისას ადამიანთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას;
4. მატერიალური დოვლათისა და მომსახურების ღირებულებათა ერთობლიობას.

9. ნომინალურ შემოსავლებს თუ გამოვაკლებთ გადასახადებს და სავალდებულო გადასახდელებს, მივიღებთ:

1. განკარგვად, საბოლოო შემოსავლებს;
2. საშუალო ნომინალურ ხელფასს;
3. საშუალო რეალურ ხელფასს;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

10. მოცემული ფორმულა $K = \frac{q}{n} \times 100$ არის:

1. სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი;
2. შემოსავლების დონის მაჩვენებელი;
3. სიღარიბის დონის მაჩვენებელი;
4. არცერთი.

11. მოცემული ფორმულა $p_i = \frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{nz}$ არის:

1. სიღარიბის დონის მაჩვენებელი;
2. სიღარიბის სიღრმის მაჩვენებელი;
3. სიღარიბის სიმწვავის მაჩვენებელი;
4. შემოსავლების კონცენტრაციის კოეფიციენტი.

12. ჰუმანური განვითარების ინდექსის ასაგებად საჭიროა ვიცოდეთ:

1. დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების მიღწეული დონე, მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე.
2. ჯანდაცვის მიღწეული დონე, მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე, მშპ-ს მოცულობა 1 შინამეურნეობაზე.

3. მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე, განათლებისა და ჯანდაცვის მიღწეული დონე, დაბადებულთა საშუალოწლიური რიცხოვნობა.
4. მშპ-ს მოცულობა მოსახლეობის 1 სულზე, განათლების მიღწეული დონე, დაბადებულთა საშუალოწლიური რიცხოვნობა.

13. გაეროს ექსპერტების მიერ მშპ-ის მიმართ თვეში მაქსიმალურ მნიშვნელობად დადგენილია:

1. 108 200 აშშ დოლარი;
2. 34 480 აშშ დოლარი;
3. 54 080 აშშ დოლარი;
4. არცერთი.

14. ჰუმანური განვითარების ინდექსში განათლების ინდექსი გაიანგარიშება:

1. 24 წლამდე ახალგაზრდების ხვედრითი წილის 2/3-ით და 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილის 1/3-ით;
2. 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილის 1/3-ით;
3. 24 წლამდე ახალგაზრდების ხვედრითი წილის 2/3-ით;
4. 15 წლისა და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილის 2/3-ით და 24 წლამდე მოსწავლე ახალგაზრდების ხვედრითი წილის 1/3-ით.

15. მოსახლეობის შემოსავლების დონე გაიანგარიშება:

1. შემოსავლების მოცულობის გაყოფით მოსახლეობის რიცხვზე;
2. შემოსავლების მოცულობის გაყოფით შინამეურნეობების რიცხვზე;
3. შემოსავლების მოცულობის გამრავლებით მოსახლეობის რიცხვზე;
4. არცერთი.

16. რეალური შემოსავლები არის:

1. საბოლოო შემოსავლები, რომლითაც შესაძლებელია სასურსათო და სამრეწველო საქონლის შექმნა;
2. საბოლოო შემოსავლები, რომლითაც შესაძლებელია მომსახურების მიღება;
3. შემოსავლები, რომლითაც შესაძლებელია სამრეწველო საქონლის შექმნა;
4. საბოლოო შემოსავლები, რომლითაც შესაძლებელია საქონლის შექმნა და მომსახურების მიღება.

17. საშუალო ნომინალური ხელფასი გაიანგარიშება:

1. დარიცხული ხელფასის ფონდის შეფარდებით დასაქმებულთა საერთო რიცხვთან;
2. დარიცხული ხელფასის ფონდის დასაქმებულთა საერთო რიცხვზე გამრავლებით;
3. დარიცხული ხელფასის ფონდსა და გადასახადებს შორის სხვაობით;

18. მოსახლეობის განაწილება შემოსავლების სიდიდის მიხედვით ხორციელდება:

1. შემოსავლების მოდალური მეთოდით;
2. შემოსავლების მედიანური მეთოდით;

3. საშუალო შემოსავლების მეთოდით;
4. ყველა აღნიშნული მეთოდით.

19. შემოსავლების უთანაბრობა მაღალია მაშინ, როცა ჯინის კოეფიციენტი:

1. მეტია ერთზე;
2. ტოლია ნულის;
3. ახლოსაა ერთთან;
4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

20. მოცემული ფორმულა $K_f = \frac{L_{10}}{L_1}$ არის:

1. მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი;
2. ფონდების კოეფიციენტი;
3. ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებელი;
4. შემოსავლების კონცენტრაციის ჯინის კოეფიციენტი.

21. შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული ხანგრძლივი მოხმარების საგნებს გამოითვლიან:

1. ყოველ 1 000 მცხოვრებზე;
2. ყოველ 10 000 მცხოვრებზე;
3. ყოველ 100 შინამეურნეობაზე;
4. ყოველ 1 000 მცხოვრებზე და 100 შინამეურნეობაზე.

22. სიღარიბის სიღრმე გაიანგარიშება ფორმულით:

$$1. p_1 = \frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{n - z}; \quad 2. p_i = \frac{\sum_1^n (z - y_i)}{n};$$

$$3. p_1 = \frac{\sum_{i=1}^q (z - y_i)}{nz}; \quad 4. p_i = \frac{\sum_1^n (z - y_i) - 1}{nz}.$$

23. მოსახლეობის შემოსავლებსა და ხარჯებზე სტატისტიკური ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:

1. შინამეურნეობის ბიუჯეტების კვლევის მასალები;
2. შრომის სტატისტიკის მონაცემები საშუალო ხელფასზე;
3. საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმდინარე და წლიური სტატისტიკური ანგარიშგება.
4. სამივე პასუხი ერთად.

24. ჰუმანური განვითარების ინდექსი მოიცავს:

1. განათლების დონეს;
2. მშპ-ის მოცულობას 1 მოსახლეზე;
3. დაბადებისას ადამიანთა სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას;

4. ყველა პასუხი სწორია.

25. ცხოვრების ხარისხი ასახავს:

1. ცხოვრების წესის თვისებრივ მხარეს;
2. ცხოვრების ხარისხი რაოდენობრივად არ გაიზომება;
3. შრომის ხარისხს;
4. რაოდენობრიობა და თვისობრიობა არ არსებობს ერთმანეთის გარეშე.

თემა 7. მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტატისტიკა

7.1 მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტრუქტურა

ადამიანის განვითარებისა და მისი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს მოსახლეობის დროის ბიუჯეტი წარმოადგენს. სოციალური სტატისტიკისა და სოციოლოგიის აქტუალური ამოცანაა მისი სტრუქტურის რაციონალურად წარმოჩენა, სამუშაო და არასამუშაო დროის თანაფარდობა, მოსახლეობის დროის ბიუჯეტისა და მისი შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტების ურთიერთკავშირის განხილვა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მოსახლეობის დროის ბიუჯეტის გამოკვლევის, მიმდინარე აღრიცხვის, მოსახლეობის აღწერისა და ერთდროული გამოკვლევის პროგრამების ურთიერთშეთანხმება, რომლებიც ტარდება სტატისტიკური და სოციოლოგიური დაწესებულებების მიერ, ასევე ამ გამოკვლევების მასალების დამუშავების პროგრამები.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტი წარმოადგენს მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის დროის ფონდის განაწილებას მისი გამოყენების მიმართულებიდან გამომდინარე. იგი შესაძლებელს ხდის განვსაზღვროთ, როგორია დროის დანახარჯი ადამიანის (ოჯახის) სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც შეიძლება წარმოადგენილ იქნას როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებით მაჩვენებლებში.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროს შერჩევითი გამოკვლევა წარმოადგენს. ასეთი გამოკვლევა მე-20 საუკუნის ევროპის რამდენიმე ქვეყანაში ჩატარდა და, მათ შორის, რუსეთის სინამდვილეში 20-იან წლებში, ცნობილი რუსი სტატისტიკოსის, პროფესორ გ. სტრუმლინის ხელმძღვანელობით და მოიცვა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფი. ასეთი სახის გამოკვლევების ჩატარება შემდგომაც გაგრძელდა. ყველა ასეთი გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა დეცილური და სანდო ინფორმაცია დროის ბიუჯეტის გამოყენების შესახებ.

დროის დღე-ღამის ფონდში გამოიყოფა შემდეგი ელემენტები: სამუშაო დრო და დრო, რომელიც დაკავშირებულია მუშაობასთან საოჯახო მეურნეობაში, ბავშვების აღსაზრდელად, თავისუფალი დრო და ა. შ.

სამუშაო დრო - ესაა დრო, რომლის განმავლობაში დასაქმებულები ვალდებული არიან შეასრულონ შრომითი ფუნქციები სამუშაო ადგილზე. სოციალური სტატისტიკისათვის საინტერესოა ყველა სახის სამუშაო დრო - (ნორმალური, მისგან გადახრა, შემცირებული, არასრული), მათი გამოყენება და მუშაობის რეჟიმი. სამუშაო დრო და მუშაობასთან დაკავშირებული დრო შედგება ძირითადი საქმიანობის სამუშაო დროისაგან, საზეგანაკვეთო და დამატებითი მუშაობისაგან. ასევე იმ დროისგან, რომელიც საჭიროა გადაადგილებისათვის სამუშაო ადგილამდე და უკან (ტრანსპორტით მგზავრობის, ლოდინის და ა. შ. ჩათვლით).

7.2. სამუშაო დროის სტატისტიკური შესწავლა

სამუშაო დროზე ინფორმაციების არსებობა განაპირობებს სამუშაო ძალების გამოყენების ანალიზს, შრომის პირობების შესწავლას, კოლექტიური შრომითი შეთანხმებების შემუშავებასა და მიღებას. სამუშაო დროის ფონდი, მისი სტრუქტურა და გამოყენება ზემოქმედებს საწარმოო პროცესების ორგანიზებულობასა და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებზე. სამუშაო დროის სტატისტიკა უშუალოდ დაკავშირებულია შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დაზღვევის სტატისტიკასთან.

დროის ფონდები	სამუშაო დროის გამოყენება
1. კალენდარული დროის ფონდი 2. უქმე და გამოსასვლელი დღეები 3. სატაბელო დროის ფონდი (სტრ. 1-2) 4. მორიგი შვებულებები	6. ფაქტობრივად ნამუშევარი დრო 6.1. ფაქტობრივად ნამუშევარი განაკვეთური დრო 6.2. ზეგანაკვეთური ნამუშევარი დრო 7. დრო, რომელიც არ იქნა გამოყენებული საპატიო მიზეზებით 7.1. არგამოცხადებანი ავადმყოფობის გამო 7.2. სწავლებასთან ან პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებული შვებულებები 7.3. ოჯახურ და პირად მდგომარეობასთან დაკავშირებული შვებულებები 7.4. სახელმწიფო მოვალეობების შესრულება 7.5. კანონით გათვალისწინებული სხვა არგამოცხადებანი 8. შვებულებები ადმინისტრაციის ნებართვით 9. სამუშაო დროის დანაკარგები 9.1. არგამოცხადება ადმინისტრაციის ნებართვით 9.2. გაცდენები 9.3. მთლიანი დღიური მოცდენები 9.4. ცვლის შუალედური (ცვლისშიდა) მოცდენები 10. სამუშაოს შეწყვეტა შრომითი კონფლიქტების მიზეზით
5. მაქსიმალურად შესაძლებელი დროის ფონდი (სტრ. 3-4)	11. სულ ნამუშევარი და სხვადასხვა მიზეზით გამოუყენებელი სამუშაო დრო (სტრ.6+სტრ.8+სტრ.9+სტრ.10) 12. მ. შ. განაკვეთური დროის ფარგლებში (სტრ.11 + სტრ.6.2.)

ცხრილი 7.2.1. სამუშაო დროის ბალანსი

სტატისტიკის პრაქტიკაში აღრიცხავენ დროის რამდენიმე ფონდს:

- ა) კალენდარულს;
- ბ) სატაბელოს;
- გ) მაქსიმალურად შესაძლებელს;
- დ) გამოცხადებულს და
- ე) ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ფონდებს.

ამ უკანასკნელის განსაზღვრა დაფუძნებულია საერთაშორისო სტატისტიკური ნორმების მოთხოვნებზე, რომელიც შემუშავებულია შრომის სტატისტიკოსთა საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციების შესაბამისად (ცხრ. 7. 2. 1).

დროის ფონდებზე და მათი გამოყენების შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად შეიმუშავებენ სამუშაო დროის ბალანსს (იხ. ცხრ. 7.2.1), რომლის მაჩვენებელთა

საფუძველზე შესაძლებელია დროის ფონდების გამოყენების მაჩვენებლების გამოთვლა, კერძოდ:

1. მაქსიმალურად შესაძლებელი სამუშაო დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ($K_{ა.შ.ფ.}$):

$$K_{ა.შ.ფ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{ა.შ.ფ.}} \times 100 \quad (7.2.2)$$

სადაც, $T_{ფაქ}$ - საგანაკვეთო დროში ფაქტობრივად გამომუშავებული საათების რიცხვია (იხ. ცხრ. 5.2-ის 6-2 სტრ.);

$T_{ა.შ.ფ.}$ - მაქსიმალურად შესაძლებელი სამუშაო დროის ფონდი.

ეს მაჩვენებელი გამოიყენება საწარმოებში, მისი ცალკეული ქვედანაყოფების, ასევე დარგის საწარმოებში, სამუშაო დროის გამოყენების ანალიზის საწარმოებლად.

2. სატაბელო დროის ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ($K_{ს.ტ.}$) ასე გაიანგარიშება:

$$K_{ს.ტ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{ს.ტ.ფ.}} \times 100$$

სადაც $T_{ს.ტ.ფ.}$ - სატაბელო დროის ფონდია.

სამუშაო დროის გამოყენების დონის დარგთაშორისო შედარებების პირობებში მიზანშეწონილია სატაბელო დროის ფონდის გამოყენება. ამ მიზნით $T_{ა.შ.ფ.}$ -ს გამოყენება (ფორმულა 7.2.2) არასასურველია, რამდენადაც, დასაქმებულთა რიგითი შვებულებების ხანგრძლივობა სხვადასხვა დარგში არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

3. კალენდარული ფონდის გამოყენების კოეფიციენტი ($K_{კ.ფ.}$):

$$K_{კ.ფ.} = \frac{T_{ფაქ}}{T_{კალ.ფ.}} \times 100 \quad (7.2.4)$$

სადაც $T_{კალ.ფ.}$ - კალენდარული დროის ფონდია.

ეს კოეფიციენტი გამოიყენებას პოულობს სამუშაო დროის გამოყენების არამართო საწარმოების, დარგებისა და მთლიანად ეკონომიკასა და ბიზნესში, არამედ სამუშაო დროის გამოყენების მაჩვენებელთა საერთაშორისო შედარებების დროსაც.

4. სამუშაო პერიოდის გამოყენების კოეფიციენტი ($K_{ს.პ.}$) ასე გამოითვლება:

$$K_{ს.პ.} = \frac{D_{ფაქ}}{D_{ნორ.}} \times 100 \quad (7.2.4)$$

სადაც $D_{ფაქ.}$ - მოცემულ პერიოდში ერთი მუშის მიერ გამომუშავებულ დღეთა საშუალო რიცხვია,

$D_{ნორ.}$ - ნორმატიულ დღეთა რიცხვია, რომელიც უნდა გამოემუშავებინა ერთ მუშაკს მოცემულ პერიოდში საწარმოს მუშაობის რეჟიმიდან გამომდინარე.

ერთი მუშაკის მიერ გამომუშავებულ დღეთა საშუალო რიცხვი გაიანგარიშება როგორც გამომუშავებულ დღეთა საერთო რიცხვის შეფარდება მუშაკების საშუალოსიობრივ რიცხვთან.

5. სამუშაო დღის გამოყენების კოეფიციენტი ($K_{ს.დ.}$) ასე გამოითვლება:

$$K_{ს.დ.} = \frac{t_{ფაქტუალ.}}{t_{ნორ.}} \quad (7.2.5)$$

სადაც $t_{ფაქტუალ.}$ - ფაქტიური განაკვეთური სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობაა,

$t_{ნორ.}$ - დადგენილი სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლივობა

სამუშაოპერიოდისა (ფორ. 7.2.4) დასამუშაოდღის (ფორ. 7.2.5) გამოყენების კოეფიციენტებისმეშვეობითშესაძლებელიაგამოვიყენოთსამუშაოდროისგამოყენებისინტეგრალურიმაჩვენებელი ($K_{ინტ.}$)

$$K_{ინტ.} = K_{ს.პ.} \cdot K_{ს.დ.} \cdot 100 \quad (7.2.6)$$

ა) ამკოეფიციენტისმეშვეობითგანისაზღვრებასამუშაოდროისსაერთო დანაკარგების ხვედრითიწილი, რომლისნაწილიცარისმთელიდღიურიმოცდენებიდა ცვლის შუალედურიმოცდენები.

ბ) საწარმოებშიდადარგებში, სადაცგამოიყენებამუშაობისცვლიანი რეჟიმი, ანგარიშობენ:

გ) ცვლიანობის კოეფიციენტი განსაზღვრული ცდისათვის ($K_{ცვ.}$):

$$K_{ცვ.(ვადაზე)} = \frac{\text{ყველა ცვლაში მუშების საერთო რიცხოვნობა}}{\text{უმადლეს ცვლაში მუშების რიცხოვნობა}} \quad (7.2.7)$$

დ) ცვლიანობისკოეფიციენტსკალენდარულიპერიოდისათვის, რომელიცგაიანგარიშება:

$$K_{ცვ.(ვადაზე)} = \frac{\text{ყველა ცვლაში მომუშავე კაც - დღეების ჯამი}}{\text{უმადლეს ცვლაში გამომუშ. კაც - დღეების რიცხვი}} \quad (7.2.8)$$

მოვიყვანოთ მაგალითი ცვლიანობის კოეფიციენტის განსაზღვრაზე.

საწარმოში სამ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 120-ს. აპრილის თვეში მუშების მიერ პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2380 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1580 კაც-დღე, მესამე ცვლაში 530 კაც-დღე. ჩვენი მაგალითის მონაცემების საფუძველზე გამოვიანგარიშოთ:

1. ცვლიანობის კოეფიციენტი აპრილის თვეში:

$$K_{ცვ.} = \frac{2380 + 1580 + 530}{2380} = 1,89;$$

2. ცვლიანობის რეჟიმის გამოყენების კოეფიციენტი (სამცვლიანი რეჟიმის):

$$K_{ც.რ.გამოყენ.} = \frac{1,89}{3} \cdot 100 = 63\%;$$

ე. ი. ცვლიანობის რეჟიმი მხოლოდ 63%-ით არის გამოყენებული.

3. სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტი კალენდარულ პერიოდში:

$$K_{ს.ა.გამოყენ.} = \frac{2380}{120 \cdot 22} \cdot 100 = 90,2\%;$$

4. სამუშაო ადგილების გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი:

$$K_{ს.ა.ინტ.} = K_{ც.რ.} \cdot K_{ს.ა.} = 0,630 \cdot 0,902 \cdot 100 = 56,8\%.$$

ამრიგად, მოცემულ საწარმოში აპრილის თვეში სამუშაო ადგილების გამოყენების მაჩვენებელი 56,8%-ს შეადგენდა.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სტატისტიკის პრაქტიკაში შეიმჩნევა სამუშაო დროის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, რაც აფერხებს სამუშაო დროის გამოყენების შესახებ ეფექტიანობაზე სრული მაჩვენებლების მოპოვებას. შინამეურნეობის დროის ხარჯებიდან გამოიყოფა ხარჯები ოჯახურ საქმიანობაში (საჭმლის მომზადებაზე, ბავშვების მოვლაზე,

სახლის დალაგებაზე და ა. შ.) და დროის დანახარჯი პროდუქტების შექმნაზე და ა. შ. აქვე შედის დროის დანახარჯი საქონლის შესყიდვაზე მაღაზიაში, ბაზარში, მომსახურების გაწევა (ატელიეში და სახელოსნოებში), ასევე ბანკებში, სამრეცხაოსა და სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ ჯგუფის ხარჯები გამოყოფილია დროის საერთო დანახარჯებიდან, გადაადგილების, რიგში დგომისა და სხვათა გათვალისწინებით. მთლიანი დროის უდიდეს წილს შეადგენს ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება - ძილი, ჭამა, თავის წესრიგში მოყვანა და სხვა დროის ხარჯი.

ზოგადად ყველა ის საქმიანობა, რასაც ადამიანი ეწევა დღის განმავლობაში, კომპლექსური სტატისტიკური ანალიზის მიზნით, შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- ❖ პიროვნული მოთხოვნილებები;
- ❖ განათლება;
- ❖ ანაზღაურებადი სამუშაო;
- ❖ საშინაო საქმეები;
- ❖ თავისუფალი დრო.

ასეთ შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- არის თუ არა გენდერული განსხვავება დროის გამოყენებაში და რაში მდგომარეობს ის?
- საქმიანობის რომელ სახეობებშია ეს განსხვავებები უფრო შესამჩნევი?
- არის თუ არა განსხვავება (უთანასწორობა) როლების განაწილებაში?
- რომელი კოლექტივები ვითარდება დროის საერთო განაწილების შედეგად?
- შესაძლებელია თუ არა სოციალური თანასწორობის, ცხოვრების ხარისხის, პიროვნული დამოუკიდებლობის გაზომვა დროის გამოყენების საფუძველზე? ³⁵

დროის სხვა ხარჯების გამოყოფა არასამუშაო დროის შემადგენლობიდან პრაქტიკულად შეუძლებელია. ასევე არ ხერხდება მათი დეტალური აღწერა-კლასიფიცირება, საუბარია ისეთ არატიპიურ დანახარჯებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით შეიძლება დამალულ იქნას გამოკითხულის მიერ, მათი გამოკვლევა აუცილებელია და მათი აღწერისათვის კი საჭიროა სპეციალური გამოკვლევა.

არასამუშაო დროისა და მოსახლეობის დროის საერთო ბიუჯეტის შემადგენლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია თავისუფალ დროს. მისი სიდიდე, ხვედრითი წონა და სტრუქტურა მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის დაფუძნებულია სამუშაო დროის სიდიდესა და მუშაობასთან დაკავშირებულ დროსთან, ასევე დროის ხარჯებთან ფიზიოლოგიური მოთხოვნილებისათვის. ამიტომაც მას აქვს ნარჩენი ხასიათი.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტის აღრიცხვის ორგანიზაცია დროითი ხარჯების კლასიფიკაციის გარდა, მოიცავს საკითხების გადაწყვეტას მასზე დაკვირვების მომენტის შესახებ წარმომადგენლითობას გამოსაკვლევ იოჯახების ერთობლიობაში.

³⁵ გელაშვილი ს., ჩარეჟიშვილი ლ. გენდერული სტატისტიკის საკითხები. „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 180.

გაითვალისწინება შესაძლებლობა სხვადასხვა სახის საქმიანობის ერთი და იმავე დროში მოთავსებისა, რისთვისაც კითხვარებში გათვალისწინებულია დროის ბალანსის გარეშე ხარჯების გამოყოფა.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტი მუშავდება სოციალური ჯგუფების, ასაკობრივ-სქესობრივი, განათლების დონისა და სხვათა ნიშნების მიხედვით. მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგნაირად: არის თუ არა დღე სამუშაო ან არასამუშაო. შერჩევითი დაკვირვების მასალების დამუშავებისას ხშირად ფიგურირებენ მოსახლეობის დროის ბიუჯეტები სამუშაო და უქმე დღეებში. ამის მაგალითი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

დღე-ღამის დროის ფონდის ელემენტები	დროის ხარჯები (საათი და წუთი)			
	კაცი		ქალი	
	სამუშაო დღე	უქმე დრო	სამუშაო დღე	უქმე დრო
სამუშაო და მუშაობასთან დაკავშირებული დრო	9.48	-	9.35	-
დრო საოჯახო მეურნეობისათვის	0.58	2.44	3.13	6.18
მუშაობა პირად მეურნეობაში, მებაღეობა და ა. შ.	0.04	0.17	0.01	0.04
ბავშვების მოვლა	0.23	0.36	0.17	0.30
თავისუფალი დრო	3.42	8.38	2.07	6.02
ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება	8.53	10.40	8.40	10.66
დროის სხვა ხარჯები	0.12	1.02	0.07	0.40
ჯამი	24.00	24.00	24.00	24.00

ცხრილი 7.2.2. დროის ბიუჯეტის ცხრილი ათას ოჯახზე

დროის საერთო ხარჯები საოჯახო მეურნეობაში ერთ ქალზე შეადგენს 3,13 საათს, (სამუშაო დღეს), 6,18 საათს (უქმე დღე). ამ ხარჯების სტრუქტურა ასეთია: საოჯახო სამუშაო - 81,8 და 85,9%, მათ შორის, საქმლის მომზადება - 41,8 და 33,4%; რეცხვა, დაუთოება - 12,6 და 18,9%; კერვა, ქსოვა და ა. შ. - 8,2 და 10,9%; სახლის დალაგება - 10,2 და 13,3%; სხვა საოჯახო საქმიანობა - 1,8 და 2%. შედარებისათვის მოვიყვანოთ ევროპელის დროის ბიუჯეტი. ასეთი გამოკვლევა ჩატარდა ევროპის 20 ქვეყანაში. პირველ ადგილზეა ძილი - 8,03 საათი ანუ დღე-ღამის 33,5%; მეორეზე მუშაობა - 7,20 საათი ანუ 30,6%; ტელევიზორის ყურება - 3,27 საათი; ბავშვის აღზრდა - 3 საათი; სწავლა - 5,10 საათი; ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა - 1,15 საათი; სამსახურში კვებაზე - 0,45 საათი; ყოველდღიური ტუალეტი - 0,43 საათი და კოსმეტიკაზე - 0,27 საათი. აქვე აღვნიშნავთ, რომ შრომის სართაშორისო ორგანიზაციის მიერ, საერთაშორისო

სტანდარტების მიხედვით, შემუშავებულია სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარი დროის ბიუჯეტის გამოყენების შესახებ, რომლის მიხედვითაც ბევრ ქვეყანაში ტარდება კვლევები და ხდება მრავალი ინდიკატორის მიღება.

7.3. თავისუფალი (არასამუშაო) დროის სტატისტიკური შესწავლა

მოსახლეობის თავისუფალი დრო წარმოადგენს არასამუშაო დროის ნაწილს. არასამუშაო დროის ცნება, სტრუქტურა ლიტერატურაში განიმარტება სხვადასხვა-ნაირად³⁶. ზოგი ავტორის აზრით, ის მოიცავს შემდეგ ელემენტებს: დროს, დაკავშირებულს წარმოებასთან, საოჯახო საქმიანობასთან, პირადი საოჯახო მეურნეობის გამართვასთან, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან და თავისუფალ დროსთან (მათ შორის ბავშვების მეცადინეობასთან).

ამრიგად, არასამუშაო დრო – ესაა დრო, რომელიც თავისუფალია აუცილებელი შრომისგან. არასამუშაო დროის დიდი ნაწილი – თავისუფალი დროა.

თავისუფალი დრო განიმარტება არა რაოდენობით, არამედ საქმიანობით, მისი შინაარსით³⁷. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ როგორ გამოიყენება, თავისუფალი დრო.

ეს პრობლემა ყოველთვის იყო სამეცნიერო წრეების ყურადღების ცენტრში. ჯერ კიდევ 20-იან, 30-იან წლებში აკად. ს.გ. სტრუმლინის ინიციატივით მშრომელთა დროის ბიუჯეტის სხვა ელემენტებთან ერთად ჩატარდა გამოკვლევები თავისუფალი დროისა. ამ სფეროში გამოკვლევები თეორიულ-პრაქტიკული ხასიათისა ვრცელდება დღესაც.

თავისუფალი დრო ასრულებს იმ ძალების აღდგენას, რაც შრომის პროცესში დაიხარჯა. მისი მართებული გამოყენება ერთ-ერთი წარმატებული ბრძოლაა ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასთან, დამნაშავეობასთან.

ამაზეა ორიენტირებული თავისუფალი დრო ჩვენს საზოგადოებაში³⁸.

თავისუფალი დროის როლი საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება. იგი დაკავშირებულია სამუშაო დროსთან. იქნება რა განსაზღვრული შედეგი საზოგადოებრივი განვითარებისა და სამუშაო დროის ობიექტური კანონების ეკონომიისა, ამავე დროს გამოდის მის განვითარების ფაქტორად. მაგრამ ამ კანონის მექანიზმი უზრუნველყოფს მხოლოდ სამუშაო დროის დაზოგვას, ხოლო ეს უკანასკნელი არ არის მისი თავისუფალ დროდ გადაქცევის გარანტია. მას შეუძლია გადაიქცეს დამატებით სამუშაო დროდ ისე, რომ არ გაცდება ეკონომიკური საქმიანობის საზღვრებს. თავად საზოგადოებაზეა დამოკიდებული თუ როგორ იქნება გამოყენებული დაზოგილი სამუშაო დრო. ამ ამოცანის გადასაწყვეტად შეიძლება აუცილებელი გახდეს ნორმატიული

³⁶ უფრო ზუსტად იხ.: В. А. Артемов жур., „Статистика бюджета времени трудящихся. М., Статистика, 1967, Гордон Л. А., Клопов Е.В. Человек после работы. Социальные проблемы. М., Наука, 1972.

³⁷ В. А. Артемов Социальное время. Проблемы изучения и использования. Новосибирск, Наука, 1987, с. 38

³⁸ Бестужев–Лада. Мир нашего завтра. М., мысль, 1986, с. 52.

მიდგომის გამოყენება თავისუფალი დროის სფეროში და შემოღებულ იქნას მაჩვენებელი – თავისუფალი დროის ნორმა.

თავისუფალი დრო – სოციალური კატეგორიაა, რომელიც მონაწილეობს უშუალოდ პიროვნების განვითარებაში და გაგებულია, როგორც ადამიანის საქმიანობის გადიდებისათვის საჭირო დრო. თავისუფალი დროის ხარჯების კლასიფიკაციაში გამოიყოფა: თეატრის, კინოს, კონცერტის მონახულება, ტელეპროგრამების გაცნობა, რადიოს მოსმენა, ფიზკულტურული ღონისძიებები, შეხვედრები, ვიზიტები და ა. შ.

თავისუფალი დროის სტრუქტურა კარგად ჩანს შემდეგი ცხრილიდან, სადაც თავისუფალი დროის დანახარჯების ელემენტები მოცემულია საათებისა და წუთების მიხედვით.

თავისუფალი დროის ელემენტები	თავისუფალი დრო (საათი და წუთი)			
	კაცი		ქალი	
	სამუშაო დღე	უქმე დრო	სამუშაო დღე	უქმე დრო
თეატრი, კინო, კონცერტი	0,07	0,36	0,07	0,37
ტელეგადაცემების გაცნობა	2,04	3,18	1,09	2,18
ჟურნალების, გაზეთების, წიგნების კითხვა	0,41	1,18	0,18	0,42
სეირნობა და სპორტული ცხოვრება	0,19	0,17	0,11	0,57
სხვა ხარჯები	0,29	2,09	0,22	1,28
საშუალოდ ერთ კაცზე	3,42	8,38	2,07	6,02

ცხრილი 7.3.1. თავისუფალი დროის ცხრილი

თავისუფალი დრო იყოფა აქტიურ და პასიურ დასვენებად.

აქტიურ დასვენებაში შედის – ფიზკულტურა, სპორტი, ტურიზმი, დასვენება დასასვენებელ სახლში, პანსიონატში, ნადირობა, საყვარელი საქმიანობა და სხვ.

პასიურ დასვენებაში იგულისხმება გაზეთების, წიგნების, ჟურნალების კითხვა, რადიოს მოსმენა, ტელეგადაცემების ყურება, კონოს ყურება, სიარული კაფეში, რესტორანში, მუზეუმებში და ა.შ.

მნიშვნელოვანი ნაწილი დროის წლიური ფონდისა – ესაა შვებულებაში გატარებული დრო.

მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება დაკავშირებულია თავისუფალი დროის გადიდებასთან, რომელიც მიიღწევა ძირითადად შემდეგი გზით:

- შემცირებით იმ დროისა, რომელიც დაკავშირებულია სამუშაომდე გადაადგილებასთან;
- ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებით;
- თავისუფალი დროის შინაარსობრივად გამოყენებით;
- მოსახლეობის შემოსავლის გადიდებით და სხვ.

განსხვავება თავისუფალი დროის სტრუქტურის გამოყენებაში დამოკიდებულია სქესზე, ასაკზე, მუშაობის ადგილზე, მოსახლეობის შემოსავალზე.

შედარებისათვის მოვიყვანოთ მეორე მაგალითი ქალების მიერ თავისუფალი დროის გამოყენებაზე:

თავისუფალი დროის ელემენტები	თავისუფალი დრო (საათი და წუთი)	
	სამუშაო დღე	უქმე დრო
თეატრი, კინო, კონცერტი	0,04	0,22
ტელე და რადიო გადაცემების გაცნობა	0,51	1,50
კითხვა	0,14	0,30
სეირნობა და სპორტი	0,05	0,19
შეხვედრები და ვიზიტები	0,04	0,48
სხვა ხარჯები	0,04	0,32
სოციალურ-პოლიტიკური საქმიანობა	0,01	0,02
დღე-ღამეში საშუალოდ ერთ ქალზე	1,23	4,37

ცხრილი 7.3.2. ქალების მიერ თავისუფალი დროის გამოყენება

თავისუფალი დრო დიფერენცირებულია სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მამაკაცებს იგი ორჯერ მეტი აქვთ, ვიდრე ქალებს, მაგრამ ორივე შემთხვევაში იგი კლებულობს. მომუშავე ქალების თავისუფალმა დრომ 1990 წელს მნიშვნელოვნად იკლო 1985 წელთან შედარებით, 21,07 საათიდან 11,23 საათამდე. ამასთან, თავისუფალი დრო კლებულობს ასაკთან მიმართებაში. მაგალითად, 45 წლისა და მეტი ასაკის ქალებს 1,7-ჯერ ნაკლები თავისუფალი დრო აქვთ, ვიდრე 16-19 წლის ასაკის ქალებს. თანდათანობით სულ უფრო და უფრო იზრდება ქალების რიცხვი შრომის ბაზარზე, თუმცა ეს არ ამცირებს მათ საშინაო ვალდებულებებს. უფრო მეტიც, ქალებისათვის ფაქტობრივი სამუშაო დღე თითქმის ორმაგდება. აქედან გამომდინარე, დღეისათვის ფრიად აქტუალურია სქესობრივი

დიფერენციაციის სტატისტიკური შესწავლა დროის ფაქტორზე დაყრდნობით.³⁹

საერთო კანონზომიერებას ასეთ დასკვნამდე მივყავართ, რომ დაახლოებით 20 წლის წინ დროის დიდი ნაწილი ძირითადად გამოიყენებოდა ტელევიზორის ყურებისათვის: მამაკაცებს და ქალებს სამუშაო დღეს ტელევიზორის ყურებაზე ეხარჯებოდა თავისუფალი დროის 60%, წიგნის კითხვაზე კი – 10%. ამჟამად კი ეს სიტუაცია მკვეთრად განსხვავებულია და სამუშაო დღეს როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს ტელევიზორის ყურებაზე ეხარჯებათ თავისუფალი დროის 20%, კითხვაზე კი მხოლოდ 5%. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ეს მონაცემები შეეხება განვითარებულ ქვეყნებს და კონკრეტულ შემთხვევებში მათ შორის განსხვავებაც დიდია.

³⁹ გელაშვილი ს., ჩარეკიშვილი ლ. გენდერული სტატისტიკის საკითხები. „მერიდიანი“, თბ., 2016, გვ. 179.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტზე ასევე მოქმედებს სეზონურობის ფაქტორიც. ამიტომ დროის ბიუჯეტი მთლიანობაში შეისწავლება ზამთრისა და საზაფხულო პერიოდისათვის.

საერთაშორისო მონაცემებისა და შედეგების მიხედვით, რომელიც მიჩიგანის უნივერსიტეტმა გამოიკვლევა, ყველაზე ცოტა თავისუფალი დრო რჩებათ იაპონელებს - კაცებს 13, ქალებს კი 11 საათი კვირაში; დანიელებს კი პირიქით - კაცებს 54, ხოლო ქალებს - 53 საათი კვირაში; აშშ-ში კაცებს - 20,5, ქალებს - 22 საათი კვირაში. ამუშაო შეეხება სამუშაო კვირის ხანგრძლივობას იაპონიაში იგი მოიცავს 52 საათს, აშშ - 44 საათს და დანია - 33,4 საათი.

მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტატისტიკის ძირითად ამოცანას შეადგენს ცალკეულ სოციალური ჯგუფების, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი კატეგორიების თავისუფალი სეზონური და ტერიტორიული განსხვავებების შესწავლა. მისი გადაწყვეტა ხდება სხვადასხვა სახის დაჯგუფებებით და ცნობილი სტატისტიკური მაჩვენებლებით. ცალკეული ჯგუფების დროის დანახარჯების სტრუქტურაში განსხვავების შეფასებისათვის უმჯობესია გამოყენებულ იქნას საშუალო კვადრატული და საშუალო სტრუქტურული განსხვავებანი, რომლებიც აგებულია ვარიაციის მაჩვენებლების ანალოგიურად. მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში აიღება არა ვარიანტებს შორის და საშუალო სიდიდეებს შორის განსხვავებები, არამედ დროის ბიუჯეტის სტრუქტურული შემადგენლობის ორ შესადარ ერთობლიობას შორის.

დროის დანახარჯის სტრუქტურის განსხვავებების ყველაზე უნივერსალურ მაჩვენებელს წარმოადგენს ა. სალაის კოეფიციენტი:

$$K_v = \sqrt{\frac{\sum_{m=i}^j \left(\frac{V_{im} - V_{jm}}{V_{im} + V_{jm}} \right)^2}{n}}$$

სადაც, V_{im} არის დროის დანახარჯი m -ურ ელემენტზე i და j -ურ ჯგუფებში;

n - დროის დანახარჯის ელემენტის რიცხვი.

თავისუფალი დროის სტატისტიკაში შეიძლება ფართოდ იქნას დროის ამა თუ იმ დანახარჯების მქონე, გამოსაკვლევი მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების რიცხოვნობის სტრუქტურული მაჩვენებლები. ასევე განსაზღვრული საქმიანობის შესრულების ხანგრძლივობის მაჩვენებლები, როგორც ყველა გამოკითხულის მიხედვით, ასევე, იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც გააჩნია მოცემული დანახარჯები თავიანთი თავისუფალი დროის ბიუჯეტში.

დროის ბიუჯეტის სტატისტიკა მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის სოციალური და დემოგრაფიული სტრუქტურის შესწავლასთან ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებამ, შეიძლება არსებითად იმოქმედოს დროის ხარჯზე საქმიანობის სახის განსაზღვრაში დროის ბიუჯეტის საერთო სტრუქტურაზე.

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია მოსახლეობის დროის ბიუჯეტის სტრუქტურა და შესწავლის ამოცანები?
2. როგორ ხდება სამუშაო დროის სტატისტიკური შესწავლა?
3. დაახასიათეთ თავისუფალი დროის მაჩვენებელთა სისტემა
4. როგორია თავისუფალი დროის ხვედრითი წილი არასამუშაო დროში?
5. როგორია მოსახლეობის თავისუფალი დროის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის წყაროები?

7.4. ტესტები

1. სამუშაო და არასამუშაო დროის თანაფარდობა, მოსახლეობის დროის ბიუჯეტისა და მისი შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტების ურთიერთკავშირი წარმოადგენს:

1. სოციალური სტატისტიკის აქტუალურ ამოცანას;
2. სოციოლოგიის აქტუალურ ამოცანას;
3. სოციალური სტატისტიკის და სოციოლოგიის აქტუალურ ამოცანას;
4. მოსახლეობის დიფერენციაციის, სოციალური სტატისტიკის და სოციოლოგიის აქტუალურ ამოცანას;

2. დაასრულეთ განმარტება:

მოსახლეობის დროის ბიუჯეტი წარმოადგენს სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის მისი გამოყენების მიმართულებიდან გამომდინარე.

3. მოსახლეობის დროის ბიუჯეტი შესაძლებელს ხდის განვსაზღვროთ:

1. როგორია დროის დანახარჯი ადამიანის (ოჯახის) სხვადასხვა სახის საქმიანობის განხორციელებისათვის
2. როგორია დროის დანახარჯი ადამიანის მიერ გაწეული ხარჯების გაწევაზე;
3. როგორია ადამიანის მიერ შემოსავლების მიღების წყაროები;
4. არცერთი.

4. დროის დღე-ღამის ფონდში გამოიყოფა:

1. სამუშაო დრო
2. დრო, რომელიც დაკავშირებულია მუშაობასთან საოჯახო მეურნეობისათვის,
3. ბავშვების აღსაზრდელად განკუთვნილი დრო და თავისუფალი დრო
4. სამუშაო დრო და დრო, რომელიც დაკავშირებულია მუშაობასთან საოჯახო მეურნეობისათვის, ბავშვების აღსაზრდელად, თავისუფალი დრო

5. მთლიანი დროის უდიდეს წილს შეადგენს:

1. ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება;
2. დანახარჯი პროდუქტების შექმნაზე;
3. ხარჯები ოჯახურ საქმიანობაზე;
4. დროის ხარჯები მომსახურებაზე.

6. მოცემული ფორმულა $K_{ა.შ.გ.} = \frac{T_{ა.შ.გ.}}{T_{ა.შ.თ.}} \times 100$ არის:

1. სატაბელო დროის გამოყენების კოეფიციენტი;
2. მაქსიმალურად შესაძლებელი დროის გამოყენების კოეფიციენტი;
3. კალენდარული დროის გამოყენების კოეფიციენტი;
4. სამუშაო პერიოდის გამოყენების კოეფიციენტი.

7. გაიანგარიშეთ ცვლიანობის კოეფიციენტი აპრილის თვეში, თუ საწარმოში სამ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 150. აპრილის თვეში მუშების მიერ პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2580 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1780 კაც-დღე, მესამე ცვლაში 630 კაც-დღე:

8. გაიანგარიშეთ ცვლიანობის რეჟიმის გამოყენების კოეფიციენტი, თუ საწარმოში სამ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 150. აპრილის თვეში მუშების მიერ პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2580 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1780 კაც-დღე, მესამე ცვლაში 630 კაც-დღე:

9. გაიანგარიშეთ სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტი, თუ საწარმოში სამ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 150. აპრილის თვეში მუშების მიერ პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2580 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1780 კაც-დღე, მესამე ცვლაში 630 კაც-დღე:

10. გაიანგარიშეთ სამუშაო ადგილების გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი, თუ საწარმოში სამ-ცვლიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, სამუშაო დღეთა რიცხვი 22-ს შეადგენს, ხოლო სამუშაო ადგილების რიცხვი უდრის 150. აპრილის თვეში მუშების მიერ პირველ ცვლაში გამომუშავებულ იქნა 2580 კაც-დღე, მეორე ცვლაში 1780 კაც-დღე, მესამე ცვლაში 630 კაც-დღე:

11. სამუშაო ადგილების გამოყენების ინტეგრალური კოეფიციენტი მიიღება:

1. ცვლიანობის რეჟიმისა და კალენდარულ პერიოდში სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტების ჯამით;
2. ცვლიანობის რეჟიმისა და კალენდარულ პერიოდში სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტების სხვაობით;

3. ცვლიანობის რეჟიმისა და კალენდარულ პერიოდში სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტების გამრავლებით;
4. ცვლიანობის რეჟიმისა და კალენდარულ პერიოდში სამუშაო ადგილების გამოყენების კოეფიციენტების გაყოფით.

12. თავისუფალი დრო არის:

1. ეკონომიკური კატეგორია;
2. სოციალური კატეგორია;
3. ფსიქოლოგიური კატეგორია;
4. სამივე.

13. თავისუფალი დრო არის დრო, რომელიც მონაწილეობს და გაგებულია, როგორც საჭირო დრო.

14. მოცემული ფორმულა $K_v = \sqrt{\frac{\sum_{m=i}^j \left(\frac{V_{im} - V_{jm}}{V_{im} + V_{jm}} \right)^2}{n}}$ არის:

1. ფიშერის კოეფიციენტი;
2. პირსონის კოეფიციენტი;
3. სალაის კოეფიციენტი;
4. ნეიმანის კოეფიციენტი.

15. მიჩიგანის უნივერსიტეტის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტი თავისუფალი დრო რჩება:

1. იაპონელებს;
2. დანიელებს;
3. აშშ-ში;
4. გერმანელებს.

თემა 8. მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა

8.1. განათლების ცნება, განათლების სისტემის საფეხურები

პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია განათლება. იგი საშუალებას იძლევა, რომ ადამიანმა იპოვოს თავისი ადგილი საზოგადოებაში. თანამედროვე პირობებში განათლების სფეროში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ ფაქტორებს:

- განათლების ხარისხი;
- განათლების ხელმისაწვდომობა;
- განათლების სისტემის ეფექტიანობა;
- განათლების უწყვეტობა;
- განათლების გახსნილობა.

განათლების ხარისხი იზომება არა მარტო შესასწავლი საგნების რაოდენობით, არამედ, აგრეთვე, საზოგადოების მოთხოვნილებების გათვალისწინებით და დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც პროფესორ-მასწავლებელთა მომზადების დონეს, ისე შესასწავლი დისციპლინების მოცულობას. საქართველოს განათლების სისტემაში ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია განათლების ხარისხი უმაღლეს სასწავლებლებში.

განათლების ხელმისაწვდომობა გულისხმობს, რომ განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული ინდივიდისათვის, მისი სოციალურ-ეკონომიკური და სხვა მხარეების მიუხედავად.

განათლების სისტემის ეფექტიანობას განსაზღვრავს განათლების სისტემის შიდა ორგანიზაცია. ეფექტიანობის შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: ფინანსური რესურსების გამოყენებას, საბიუჯეტო, მატერიალური და საკადრო რესურსებისა და საბიუჯეტო ხარჯების მოცულობას თითოეულ მოსწავლეზე, მოსწავლის რიცხოვნობას და ა. შ.

განათლების სისტემის უწყვეტობის უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხარისხიანი, თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისი განათლების მიღებისათვის.

განათლების გახსნილობა გულისხმობს თითოეული მოსწავლის მოთხოვნილების რეფორმირებას (განათლების ლიბერალიზაცია, სასწავლო გეგმების გადახედვა, განათლების დაფინანსების სისტემის შეცვლა და ა. შ.).

ინფორმაციის წყაროები

მოსახლეობის განათლების დონის შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროდ გვევლინება მოსახლეობის აღწერები. აღწერის პროგრამა ითვალისწინებს თითოეული ადამიანის განათლების დონეზე მონაცემების მიღებას, ასევე იმ სასწავლო დაწესებულებების ტიპების შესახებაც მოიპოვებს ინფორმაციას, სადაც პიროვნება სწავლობდა, ან სწავლობს.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დასაქმებული მოსახლეობის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესწავლას. ასეთი შესწავლა ხორციელდება იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც მოიპოვება როგორც მუშების, ისე საშუალო სპეციალობისა და

უმაღლესი განათლების მქონეთა აღრიცხვისას და დასაქმებული მოსახლეობის პერიოდული, შერჩევითი აღწერებისას.

სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებებზე ინფორმაციის მთავარ წყაროდ რჩება სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება, რომელიც იწარმოება წელიწადში ერთხელ. ანგარიშგების პროგრამა შეიცავს მონაცემებს განათლების მიმღებთა რაოდენობაზე, შემადგენლობასა და მოძრაობაზე; პროფესიულ მომზადებასა და პედაგოგიური სამუშაოს ხანგრძლივობაზე; მონაცემებს სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ უზრუნველყოფასა და საქმიანობას ფინანსურ მაჩვენებლებზე. ნაკლებადაა განვითარებული სკოლის მასწავლებლების, პროფესიულ-ტექნიკური დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორების ცხოვრების დონის შესწავლა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მრავალი კერძო კომერციული დაწესებულების ჩამოყალიბებას და უცხოური პროგრამების მიხედვით სწავლებაც თანდათან უფრო იკიდებს ფეხს. კერძო დაწესებულებებზე რეგულირებული ინფორმაციის მიღება გამართლებულია, ამიტომ ამისათვის საჭირო ხდება სპეციალური გამოკვლევების ჩატარება.

მოსახლეობის განათლების დონე.

სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად გვევლინება საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალის გაზომვა, მისი ჩამოყალიბების, დიფერენციაციისა და გამოყენების პროცესების შესწავლა. საზოგადოების საგანმანათლებლო პოტენციალი – ესაა თაობების მიერ დაგროვილი ცოდნის მოცულობა, ხარისხი და პროფესიონალური გამოცდილება, რომელიც შეთვისებულია მოსახლეობის მიერ და მისი კვლავწარმოება ხდება განათლების სისტემის მეშვეობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის განათლების დონის გაზომვა ხდება აღწერების დროს და მისი პროგრამის შემუშავებისას განისაზღვრება განათლების დონის შეფასების კრიტერიუმები.

1920 წლიდან დაწყებული, განათლების დონე გაიგივებულია განსაზღვრული ტიპის სასწავლო დაწესებულების დამთავრებასთან.

მოსახლეობის აღწერისას ფიქსირდება განათლების შემდეგი დონეები: უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური, საშუალო ზოგადი, დაწყებითი საშუალო და დაწყებითი. სწავლების სხვა სახეები აღწერების პროგრამაში არ გაითვალისწინებოდა. პირველად, საყოველთაო აღწერის პროგრამაში 1989 წელს და რუსეთის ფედერაციის მაკროაღწერისას 1994 წელს შეტანილ იქნა კითხვა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლის დამთავრების შესახებ. აღწერისას არ იქნა გათვალისწინებული ასპირანტურის, დოქტორანტურის დასრულება, რაც, ალბათ, არასწორია. თითქმის არცერთი აღწერის პროგრამაში არ ფიქსირდებოდა სწავლების პროფილი.

სტატისტიკის ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორი სიზუსტით განიხილებოდა უწიგნურობის საზღვრების გაგება. ჩავთვალოთ თუ არა ადამიანი უწიგნურად, თუ მან მხოლოდ კითხვა იცოდა, თუ წერაც აუცილებელი იყო? ამ საკითხზე მსჯელობის შედეგები შეტანილ იქნენ 1926 წლის აღწერის პროგრამაში. სადაც კითხვის მცოდნედ ითვლებოდა ის, ვისაც შეეძლო საკუთარი გვარის დაწერა. „უწიგნური“ ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიწერებოდა, თუ ადამიანმა არც კითხვა იცოდა და არც წერა. 1994 წლის

მაკროაღწერის პროგრამაში პირველად შეტანილ იქნა კითხვა „6 და უფროსი ასაკის პირთა განათლების დონის“ შესახებ. შესაძლო პასუხი იყო: არცერთი ტიპის განათლების არქონა, მაგრამ: ა) შეუძლია წერა-კითხვა; ბ) შეუძლია მხოლოდ კითხვა; გ) არ შეუძლია წერა-კითხვა.

საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერის პროგრამაში რიგი ცვლილებები შეიტანეს. კერძოდ, მიღებული განათლების დონის დასახელება შეესაბამებოდა ადრე გამოყენებულ დასახელებას: დაწყებითი ზოგადი შეესაბამებოდა დაწყებითს; საბაზო ზოგადი - არასრულ საშუალოს; საშუალო ზოგადი - ზოგად საშუალოს; საშუალო პროფესიული - საშუალო სპეციალურს; არასრული უმაღლესი - დაუმთავრებელ უმაღლესს; უმაღლესი - უმაღლესს (თუ დაამთავრა სრული კურსი).

- „უმაღლესი“ - აღნიშნა პირს, რომელმაც დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის (ინსტიტუტი, აკადემია, უნივერსიტეტი და ა. შ.) სრული კურსი და მიღებული აქვს დიპლომი ამ სასწავლებლის დამთავრების შესახებ;
- „დაუმთავრებელი უმაღლესი“ - აღნიშნა პირს, რომელმაც დახურა უმაღლესი სასწავლებლის სამი კურსი და აგრძელებს სწავლას ან დამთავრებული აქვს უმაღლესი, მაგრამ არ აქვს მიღებული დიპლომი;
- „საშუალო პროფესიული“ - აღნიშნება პირს, რომელმაც დაამთავრა საშუალო სპეციალური სასწავლებელი (ტექნიკუმი-სასწავლებელი, კოლეჯი, ტექნიკუმი-საწარმო და ა. შ.) და მითითებული აქვს დიპლომი საშუალო სპეციალური განათლების შესახებ;
- „დაწყებითი პროფესიული“ - აღნიშნა პირს, რომელმაც დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებელი (სახელოსნო-დარგობრივ-პროფესიული სასწავლებელი; პროფესიული ლიცეუმი; განუწყვეტელი პროფესიული განათლების ცენტრი; ტექნიკური სკოლა და სხვ.);
- „საშუალო ზოგადი“ - აღნიშნა პირს, რომელმაც დაამთავრა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი, გიმნაზია, და სხვ. და მიიღო დიპლომი საშუალო ზოგადი განათლების შესახებ;
- „საბაზო ზოგადი“, „დაწყებითი ზოგადი“ განათლების დონის აღნიშვნის დროს პირისათვის, რომელსაც არა აქვს მიღებული საბაზო ზოგადი განათლება, საჭიროა ვისარგებლოთ განათლების დონის განსაზღვრის ცხრილში (დანართი 1) მოცემული რაოდენობით (რამდენი კლასი დაამთავრა);
- „არა აქვს დაწყებითი ზოგადი განათლება, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა“ - აღნიშნა პირს, რომელმაც დაამთავრა 1-2 კლასი; დაამთავრა 3 კლასი 1971 წ. და ადრე; 1-4 კლასის მოსწავლე; 1-3 კლასებიდან გამოსულს, აგრეთვე მე-4 კლასიდან გამოსულს 1971/72 სასწ. წელს და ადრე; 1989/90 სასწ. წელს და გვიან, აგრეთვე მას, ვისაც არ უსწავლია სკოლაში, მაგრამ შეუძლია წერა და კითხვა;
- „წერა-კითხვის უცოდინარი“ - აღნიშნება 6 წლისა და უფროსი ასაკის პირს, რომელმაც არ იცის წერა და კითხვა.

მსოფლიო პრაქტიკაში ხდება ფუნქციონალური უწიგნურობის მოვლენის შესწავლა მოზრდილ მოსახლეობაში. იუნესკოს განმარტებით, ფუნქციონალურად უწიგნურია პიროვნება, რომელმაც გარკვეულწილად დაკარგა წერა-კითხვის უნარი და არ შეუძლია

აღიქვას მარტივი, მოკლე ტექსტი, რომელიც დაკავშირებულია ყოველდღიურ ცხოვრებასთან. გამოიყოფა „პასიური უწიგნურობის“ გაგებაც, როცა მოზრდილებს და ბავშვებს არ უყვართ კითხვა.

აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ხდება მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით, განზოგადებულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით. ეს მაჩვენებლები ახასიათებენ იმ მოსახლეობის ხვედრით წილს, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული განათლება. პრაქტიკაში მეტ-ნაკლებად გავრცელებულია განათლების დონის შემდეგი განზოგადებული მაჩვენებლები:

- წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 9-49 წლის მოსახლეობაში (პროცენტებში);
- პირთა რიცხვი, რომელთაც გააჩნია უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და საშუალო (სრული და არასრული) განათლება;
- განათლება ყოველ 1000 კაცზე 15 და მეტი ასაკის მოსახლეობაში;
- პირთა რიცხვი, რომელთაც გააჩნია უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ყოველ 1000 დასაქმებულ მოსახლეზე;
- 15 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა ყოველ 1000 კაცზე, რომელთაც გააჩნია უმაღლესი განათლება.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია განათლების დონის მაჩვენებლები მოსახლეობის აღწერების შედეგების მიხედვით:

	1970	1979	1989	2002	2014
10 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის 1000 სულზე აქვს არასრული, ან სრული უმაღლესი და საშუალო განათლება - სულ	554	698	798	987	996
მათ შორის:					
უმაღლესი	73	103	137	243	337
დაუმთავრებელი უმაღლესი	19	19	22	36	82
საშუალო პროფესიული	69	100	169	170	196
დაწყებითი პროფესიული	-	-	-	32	88
ზოგადი საშუალო	210	292	328	390	449
საბაზო	183	184	142	126	151

ცხრილი 8.1.1. საქართველოს მოსახლეობის განათლების დონე
(მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით)

მოსახლეობის აღწერის შედეგები საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ ქალაქისა და სოფლის, ქალებისა და მამაკაცების, დასაქმებულებისა და უმუშევრობის განათლების დონეებს შორის არსებული განსხვავებები.

გარკვეულ ინტერესს იწვევს მოსახლეობის წიგნიერების სტატისტიკაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში (და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში) დღესაც არიან წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანები. მათი უმეტესობა აფრიკის კონტინენტზე ცხოვრობს და ამ პრობლემას მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი განაპირობებს.

საქართველოში მოსახლეობის წიგნიერების შესახებ მონაცემები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	პროცენტული განაწილება	
	ქალი	კაცი
წერა-კითხვის მცოდნე	99.5	99.7
წერა-კითხვის უცოდინარი	0.5	0.3
სულ	100	100

ცხრილი 8.1.1. საქართველოს მოსახლეობის წიგნიერების დონე
(მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით)

განათლების დონესა და მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი მოითხოვს დინამიკის ანალიზისას მართებულად იქნას გამოყენებული მაჩვენებლები. მოსახლეობაში 25-45 ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილის ზრდა, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება, ზრდის შესაბამისი განათლების მქონეთა ხვედრით წილს და განათლების დონის მაჩვენებელსაც, ხოლო 15-20 წლის მოსახლეობის რაოდენობის ზრდა (რომელთაც არ გააჩნიათ უმაღლესი განათლება), პირიქით. დასკვნები მიიღება ერთგვაროვანი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების განათლების დონეების შედარებით. განზოგადებული მაჩვენებლის მოსახლეობის სტანდარტულ ასაკობრივ სტრუქტურასთან შეწონვით ხდება:

$$\bar{e} = \sum e_i w_i$$

სადაც \bar{e} - ჯგუფში განათლების საშუალო რიცხვი;

w - ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობაში, რომელიც მიღებულია სტანდარტით.

განათლების დონის განსაზღვრისა და მის მიხედვით რეგიონების, სქესის, ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას შეიძლება გამოვიყენოთ ინდექსები:

$$I = \frac{\sum \bar{e}_i S_i}{\sum S_i}$$

სადაც \bar{e} - ჯგუფში განათლების საშუალო რიცხვი;

S - შესაბამისი ჯგუფის რაოდენობა.

გარდა ამისა, განათლების დონის შესწავლისას შეიძლება იმ მაჩვენებლების გამოყენება, რომელთა აგება ხდება სწავლების ხანგრძლივობის (წლების) მიხედვით.

ოჯახის საგანმანათლებლო სტატუსის შესწავლისას, ჩვეულებრივ, ადარებენ მეუღლეთა განათლების დონეებს და გამოყოფენ ჰეტეროგენულ ოჯახებს (ოჯახები მეუღლეთა მსგავსი, ან განსხვავებული განათლების დონეებით).

8.2. განათლების სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა

განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს თამაშობს საგანმანათლებლო სისტემის განვითარება. განათლება ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მასში თავს იყრის საქართველოში არსებული სკოლები, ტექნიკური სასწავლებლები, უმაღლესი სკოლები, მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.

განასხვავებენ საგანმანათლებლო სისტემის აღრიცხვის ორ ხერხს: პირველი არის დარგობრივი და ეფუძნება მხოლოდ იურიდიული პირების აღრიცხვიანობას (სასწავლო დაწესებულებას), მეორე მეთოდის გამოყენება კი საგანმანათლებლო სფეროში მომსახურების მთლიანი მოცულობის აღრიცხვას ემყარება, რომელსაც ეწევიან როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები. მეორე მეთოდის გამოყენება მას შემდეგაა შესაძლებელი, როდესაც ლიცენზირებულია არა მარტო სასწავლო დაწესებულებების, არამედ ფიზიკური პირების საქმიანობაც. სტატისტიკის პრაქტიკაში გამოიყენება პირველი მიდგომა.

სკოლამდელი აღზრდა და სასკოლო დაწესებულებები

სკოლამდელი განათლების სტატისტიკა მოიპოვებს მონაცემებს სკოლამდელი დაწესებულებების ბავშვების რაოდენობის შესახებ. გარდა ამისა, გროვდება ინფორმაცია სკოლამდელი დაწესებულებების რიცხოვნობის, აღმზრდელებისა და გამგეების, შრომის ანაზღაურების ფონდის სიდიდის შესახებ და ა. შ.

საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ ქვეყნდება შემდეგი მაჩვენებლები:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რიცხოვნობა;
- როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით (1-6 კლასებში, 7-9 კლასებში და 10-12 კლასებში);
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით (პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით);
- კერძო სკოლების მოსწავლეთა განაწილება კლასების მიხედვით (პირველი კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით);

- საჯარო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობა სწავლების საფეხურების მიხედვით (დაწყებითი ზოგადი, საბაზო ზოგადი, საშუალო ზოგადი განათლება);
- პედაგოგების რაოდენობა საჯარო სკოლებში;
- მოსწავლეთა განთესვის მაჩვენებლები;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უზრუნველყოფა კომპიუტერებით;
- სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

ამ მაჩვენებლების ძირითად ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

შეგროვებული ინფორმაციის საშუალებით გაიანგარიშებენ 1-დან 6 წლამდე ბავშვების მუდმივი სკოლამდელი დაწესებულებებით მოცვის დონეს, რომელიც მიიღება 1-6 წლის სკოლამდელ დაწესებულებების ბავშვების მთლიანი შეფარდებით 1-6 წლის ასაკის ბავშვების მთლიან რიცხოვნობასთან.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების ადგილებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი სკოლამდელ დაწესებულებებში გაიანგარიშება:

$$\text{ადგილებით უზრუნველ.} = \frac{\text{ადგილების საერთო რაოდენობა}}{\text{1-დან 6 წლის ჩათვლით ბავშვთ. რიცხვ. - 6 წლის ასაკში საგანმანათლ. სკოლებში მოსწ. რიცხოვ.}}$$

ბავშვთა რიცხოვნობისა (რომლებიც დადიან ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში - ბსდ) და მათში ადგილების რაოდენობას შორის დამოკიდებულების გამოვლენისათვის გამოიყენება ორი მაჩვენებელი:

$$\frac{\text{მუდმივ ბსდ-ში ყოველ 100 ადგილზე}}{\text{1-6 წლამდე ბავშვთა რიცხვი}} = \frac{\text{1-6 წლამდე ბავშვთა რიცხვი ბსდ-ში}}{\text{ადგილის რიცხვი მუდმივ ბსდ-ში}}$$

ხოლო 1-6 წლის ბავშვების ბსდ-ის ადგილებით უზრუნველყოფის გასაანგარიშებელ ფორმულას შებრუნებული ფორმა აქვს.

სასკოლო და არასასკოლო განათლების სტატისტიკა

სტატისტიკა ანალიზებს მთლიანად სწავლებით დაკავებულთა რიცხოვნობის ცვლილებას. მათი მოძრაობა მთლიანი სასწავლო წლის განმავლობაში შეისწავლება შედეგი ტოლობის საფუძველზე:

$$y_1 = y_0 + h - a$$

სადაც, y_1 და y_0 მოსწავლეთა რიცხოვნობაა სასწავლო წლის დასაწყისსა და დასასრულისათვის;

h - სასწავლო პროცესში ჩარიცხულთა და გადაყვანილთა რიცხოვნობა (სასწავლო წელს);

a - სასწავლო პროცესიდან გამოსულთა რიცხოვნობა.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია უკვე გამოვთვალოთ სასწავლო წელს მოსწავლეთა საშუალო რიცხოვნობა მარტივი საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით.

არსებობს სხვა ხერხიც, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\text{მოსწავლეთა რაოდ.} = \frac{\text{მოსწავლეთა რაოდ.}}{\text{მასწავლებელთა რაოდ.}} \times \frac{\text{მასწავლ. რაოდენობა}}{\text{სასწ. დაწეს. რაოდენობა}} - \text{სასწ. დაწეს. რაოდენობა}$$

სტატისტიკაში შეისწავლება არა მარტო მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის დინამიკა, არამედ მათი განაწილება კლასების მიხედვით.

დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს სასკოლო ასაკის ახალგაზრდობის მოცვას სასკოლო განათლებით, რომელიც ზომავს სკოლაში მოსწავლე ბავშვების რაოდენობის თანაფარდობას სასკოლო ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობასთან.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები ხასიათდებიან მასწავლებელთა საშტატო რიცხოვნობის მაჩვენებლებით. პედაგოგთა საერთო რიცხვიდან გამოიყოფა ჯგუფები განათლების დონებისა და სტაჟის მიხედვით. შეისწავლება მასწავლებელთა მოძრაობა, დენადობა, დამაგრების მაჩვენებლები. გაითვალისწინება აგრეთვე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდი, აგრეთვე საშუალო ხელფასი.

მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ სკოლების მატერიალურ მდგომარეობას, მიეკუთვნება შემდეგი: სასწავლო დაწესებულებების შენობებით, სასწავლო კაბინეტებით, მოწყობილობებით, კომპიუტერებით და ა. შ. უზრუნველყოფა.

სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და არასასკოლო გაერთიანებების შესახებ ინფორმაცია მოიპოვება აგრეთვე სასკოლო აღწერების მეშვეობით, რაც იშვიათად ტარდება.

საზოგადოების მოთხოვნა სასკოლო განათლებაზე არაა მუდმივი. ამ მოთხოვნის დინამიკის შესწავლისთვის სასკოლო განათლებაში გამოიყოფა სამი სტადია:

- საწყისი მომზადება (1+3 კლასი), რის შედეგადაც მოსწავლეები ეუფლებიან წერა-კითხვას ან ანგარიშს;
- ძირითადი (საბაზო) განათლება (5-9 კლასი), რომლის დროსაც მოსწავლეები ეუფლებიან საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და სწავლობენ შესაბამის აზროვნებასაც;
- საშუალო განათლება (10-12 კლასი), რომლის დროსაც მოსწავლეები იფართოებენ და იღრმავებენ ცოდნას.

დროის განსაზღვრული პერიოდისათვის მოსწავლეთა რაოდენობა რომელიმე სტადიაზე შეიძლება გაიზარდოს, სხვა რომელიმე სტადიაზე მოსწავლეთა შემცირების პარალელურად.

სასკოლო განათლების განვითარების ანალიზი შეიძლება განხორციელდეს მონაცემების განზოგადებით სხვადასხვა დონეზე:

- მთლიანად სასკოლო განათლებისათვის;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მონაცემების მიხედვით;
- სწავლების სტადიების მიხედვით;
- რეგიონების მიხედვით;
- ცალკეული სკოლების მიხედვით.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაციის შესწავლის მეთოდика

ახალგაზრდების ეკონომიკური, სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიმართულებად გვევლინება უფროსკლასელების სოციალურ-ეკონომიკური ორიენტაციის ანალიზი. როგორც თეორიული კვლევების მნიშვნელოვანი მიმართულება, იგი ევროპაში მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხოლო რუსეთში იმავე საუკუნის 20-30-იან წლებში წარმოიშვა. სკოლის მოსწავლეების პიროვნებების შესწავლის მეთოდები მუშავდებოდა ბალტუნოვის, გალემტინის, ლევიტოვის, კლარკისა და სხვათა მიერ. გამოსაშვებ კლასებში მოსწავლეთა სოციოლოგიური კვლევები აღდგა 50-იანი წლების ბოლოს და ფართო გავრცელება ჰპოვა 60-80-იან წლებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ახალგაზრდების სოციალურ-პროფესიული ორიენტაციის მრავალი გაგება, როგორცაა: ცხოვრების გზა, პირადი გეგმები, პროფესიული ორიენტაცია და სხვა. ორიენტაციაში, განზრახვაში იგულისხმება მოსწავლის სასწავლო დაწესებულების, ეკონომიკის სექტორის, ან პროფესიის ის პირველი სავარაუდო არჩევანი, სადაც გამოკითხულს სურს გააგრძელოს საქმიანობა სკოლის დამთავრების შემდეგ.

განასხვავებენ ასევე: განზრახვის სრულ კონკრეტიზაციას, რომლის დროსაც გამოკითხული ასახელებს სავარაუდო სასწავლო დაწესებულებას, სამუშაო ადგილს და მომავალ პროფესიას; ნაწილობრივ კონკრეტიზაციას, რომლის დროსაც მითითებულია ან მხოლოდ სასწავლებელი, ან მომავალი პროფესია და სამსახურის ადგილი; არაკონკრეტული განზრახვა, როცა მითითებულია არც ერთი და არც მეორე.

პროფესიული განათლება

საქართველოში პროფესიული განათლების სახეებია: სახელობო განათლება და პროფესიული უმაღლესი განათლება.

უმაღლესი პროფესიული განათლება წარმოადგენს ბაკალავრიატის მოკლე ვარიანტს (ძირითადად, კვლევითი კომპონენტის ამოღების ხარჯზე). უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე სწავლისათვის აბიტურიენტი აზარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს გამარტივებული წესით (მხოლოდ უნარ-ჩვევების ტესტს).

პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიული სწავლების განმახორციელებელ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სტრუქტურირებულ გარემოში, მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და სრულდება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით ან შეცვლით და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემით.

არაფორმალური განათლების მიღება არ ხდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად და არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას. არაფორმალური განათლება

შეიძლება მიღებულ იქნას დამოუკიდებელი, არაინსტიტუციური ან არასტრუქტურირებული მუშაობის ფორმითაც.

სახელობო განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, ხოლო პროფესიული უმაღლესი განათლებისა – მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე.

პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით სტატისტიკა გამოითვლის და აანალიზებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა სწავლების სახეების მიხედვით;
- კერძო საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში მოსწავლეთა რაოდენობა საგანმანათლებლო დაწესებულებების დარგობრივი ჯგუფების მიხედვით;
- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით;
- მოსწავლეთა რიცხოვნობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგიონების მიხედვით;
- მოსწავლეთა მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სახეების მიხედვით;
- მოსწავლეთა მიღება საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი ჯგუფების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა საშუალო პროფესიული განათლებით სწავლების სახეების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა საშუალო პროფესიული განათლებით საგანმანათლებლო დაწესებულებების დარგობრივი ჯგუფების მიხედვით;
- საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალი.

განზოგადებული მაჩვენებლების სახით გამოითვლება მოსწავლეთა რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე და კურსდამთავრებულთა რაოდენობა მოსახლეობის 1000 კაცზე.

უმაღლესი განათლება

საქართველოში უმაღლესი აკადემიური განათლება მოიცავს სამ საფეხურს - ბაკალავრიატს (4 წელი), მაგისტრატურას (2 წელი) და დოქტორანტურას.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით აქვეყნებს შემდეგ მაჩვენებლებს:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და მათში სტუდენტთა რიცხოვნობა სწავლების სახეების მიხედვით;
- სტუდენტთა რიცხოვნობა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით;
- სტუდენტთა რიცხოვნობა კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების მიხედვით;

- მიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების სახეების მიხედვით;
- სტუდენტთა მიღება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით;
- სტუდენტთა მიღება კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა უმაღლესი განათლებით სწავლების სახეების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამების მიხედვით;
- კურსდამთავრებულთა რაოდენობა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროგრამების მიხედვით;
- პროფესორ-მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- სტუდენტთა გაგზავნა საზღვარგარეთ და უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით;
- დოქტორანტების განაწილება პროგრამების მიხედვით;
- დოქტორანტების მიღება პროგრამების მიხედვით;
- დოქტორანტურის კურსდამთავრებულების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- დოქტორის ხარისხის მინიჭება პროგრამების მიხედვით;
- დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობა.

8.3. უცხოელი სტუდენტების სტატისტიკა საქართველოში

განათლება სისტემურ ქმედებათა პროცესის საკვანძო კომპონენტია, რომელიც განაპირობებს ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებას. თანამედროვე მსოფლიოში განათლების მდგომარეობა რთული და წინააღმდეგობრივია. ერთის მხრივ, განათლება 21-ე საუკუნეში ადამიანის საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და ამ სფეროში ჩამოყალიბებული უზარმაზარი მიღწევები გასული საუკუნისთვის დამახასიათებელი გრანდიოზული სოციალური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური გარდაქმნების საფუძველზე მოხდა. მეორეს მხრივ, განათლების ფარგლების გაფართოებასა და მისი სტატუსის ცვლილებას თან ახლავს ამ სფეროს პრობლემების გამწვავება, რაც განათლების კრიზისზე მიუთითებს. და ბოლოს, ამ კრიზისის დაძლევის საშუალებების ძიების პროცესში მიმდინარეობს მისი რადიკალური ცვლილებები და ახალი საგანმანათლებლო სისტემების ფორმირება.

განათლების განვითარების მნიშვნელოვანი თვისება მისი გლობალური ბუნებაა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში ინტეგრაციის პროცესების არსებობას,

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოთა შორის ინტენსიურ ურთიერთობებს ასახავს. განათლება მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნული პრიორიტეტების კატეგორიიდან მსოფლიოს პრიორიტეტების კატეგორიაში გადავიდა. გლობალიზაცია ყველა სფეროს ეხება და ამიტომ არაა გასაკვირი, რომ განათლების სფეროში პირდაპირ აისახება მიმდინარე პროცესები.⁴⁰

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებული განათლების სისტემა ადეკვატურად ვერ პასუხობს ცოდნისა და ტექნოლოგიების სწრაფ ცვლილებას, რაც ახალგაზრდებს აიძულებს განათლება საზღვარგარეთ მიიღონ. სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „საგანმანათლებლო მიგრაცია“ დღეისათვის საკმარისად ხშირად გვხვდება, რადგან იგი მიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სახე გახდა. ამიტომ მისი შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია.

საგანმანათლებლო მიგრაციის წარმოშობის ძირითადი მიზეზი თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარებისა და შრომის ბაზარზე წარმოქმნილი კონკურენციის ადეკვატური განათლების მიღებაა. საგანმანათლებლო მიგრაცია წარმოადგენს მიგრაციის განსაკუთრებულ სახეს, რომლის განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ იგი არის განათლების მისაღებად განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფის ნებაყოფლობით, მოკლევადიანი, წინასწარ დადგენილი დროით საზღვარგარეთ გამგზავრება და ცხოვრება. დღეისათვის ახალგაზრდების საკმაოდ დიდი რიცხვი ირჩევს თავისი ქვეყნის გარეთ განათლების მიღებას.

საზღვარგარეთ განათლების მიღების მზარდი მოთხოვნის შესაბამისად, ე. წ. „მობილობის სტუდენტები“ იწყებენ ქვეყნის საზღვარებს გარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად ახალი მიმართულებების ძებნას. საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა რიცხვის ყოველწლიურ ზრდასთან ერთად, უნივერსიტეტები მთელს მსოფლიოში აძლიერებენ ბრძოლას საუკეთესო და ნიჭიერი ადამიანების მოზიდვისათვის. მაგრამ ასევე მძაფრდება უფრო ხელმისაწვდომ და სათანადო სასწავლო პროგრამებზე სწავლის კუთხით განვითარებადი ქვეყნების სტუდენტებს შორის მზარდი კონკურენცია. საერთაშორისო მობილობის სტუდენტების სეგმენტში ზრდას მსოფლიოს უნივერსიტეტებში სწავლის მსურველთა განაცხადებისა და სტუდენტთა ჩარიცხვის რაოდენობის ზრდა ასახავს.


დღეს უკვე შეიძლება იმის მტკიცება, რომ მსოფლიო საგანმანათლებლო მომსახურების ბაზარი ჩამოყალიბდა და ყველაზე დიდი მოცულობის მომსახურებას ამ კუთხით, უმაღლესი სასწავლო ორგანიზაციები აწარმოებენ. სწორედ ისინი უწყობენ ხელს საგანმანათლებლო მიგრაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადების ფორმირებას. მრავალი სახელმწიფო და კერძო სასწავლო დაწესებულება ცდილობს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას საკუთარი პროგრამების რეკლამირების, სწავლისათვის გარკვეული პირობების შექმნისა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სასწავლო გამოფენების ორგანიზების გზით. კონკურენცია ამ მიმართულებით სულ უფრო მძაფრდება და ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგი

⁴⁰ ჩარეჟიშვილი ლ. უმაღლესი განათლების სტატისტიკა საქართველოში და გლობალიზაცია. სამეცნიერო კრებული „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 198.

ასრულებს. თუმცა, მხოლოდ ეს არ განაპირობებს ახალგაზრდების არჩევანს. გარდა ამისა, ძლიერ მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორებიც, როგორცაა სასწავლო ენა; განათლების ხარისხი; სწავლის საფასური; მიმღები ქვეყნის სამეგრაციო პოლიტიკა; სასწავლო პროგრამების მოქნილობა; ქვეყნებს შორის ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები; შრომის ბაზარზე პროფესიული პერსპექტივები და სხვ.

როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო მიგრაცია წარმოადგენს ადამიანთა გადაადგილებას თავისი ქვეყნის გარეთ განათლების მიღების მიზნით. მიგრაციის ეს სახე ახალგაზრდებს ახალი შესაძლებლობების, უახლესი ტექნოლოგიების, მსოფლიო კულტურის, ხარისხიანი განათლების, საერთაშორისო შრომის ბაზრების აღმოჩენის საშუალებას აძლევს. ეს კი ახალგაზრდისათვის, რომელიც არსებული შესაძლებლობების შესაბამისად თავისი გზის არჩევას და ცხოვრებასაც კი ახლა იწყებს, ხშირად ძლიერ მნიშვნელოვანია. უცხოელი სტუდენტები - ეს დროებითი მიგრანტებია, რომლებიც საზღვარგარეთ იღებენ უმაღლეს, წინასადიპლომო, საშუალო და სხვ. სახის განათლებას. გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, ადამიანებს განათლების მიღება საზღვარგარეთ იმის გამო ურჩევნიათ, რომ მათი გარემო სასურველი განათლების მიღების საშუალებას არ იძლევა. ისინი განათლების მისაღებად ირჩევენ ისეთ ქვეყნებს, სადაც არის მათი სასურველი სასწავლო დაწესებულება.

იუნესკო-ს სტატისტიკის ინსტიტუტის მონაცემებით, ⁴¹ მსოფლიოში საერთაშორისო მობილური სტუდენტების რაოდენობა ბოლო 10 წლის განმავლობაში (2011-2019 წწ.) თითქმის 40%-ით გაიზარდა და 2019 წლისათვის 5 მილიონს გადააჭარბა (იხ. ნახ. 8.3.1). უცხოელი სტუდენტების რაოდენობის სტაბილურ ზრდასთან ერთად, განათლების ინტერნაციონალიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს თანამედროვე განათლების სისტემებში.




ნახაზი 8.3.1. უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა (მლნ. კაცი) 2011-2017 წწ.

წყარო: იუნესკო-ს მონაცემები

საქართველო, რომელსაც განათლების დონის რეიტინგით 2018 წლის მიხედვით

⁴¹ https://publications.iom.int/system/files/pdf/global_migration_indicators_2018.pdf

მსოფლიოს 189 ქვეყანას შორის 26-ე ადგილი უკავია,⁴² ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტებისათვის მიმზიდველი გახდა და მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (იხ. ნახ. 8.3.2).⁴³



ნახაზი 8.3.2. უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2008/2009-2018/2019 სასწავლო წლებში

წყარო: საქსტატის მონაცემები

როგორც გრაფიკული გამოსახულებიდან ჩანს, თუ 2008/2009 სასწავლო წელს საქართველო 499 უცხოელ სტუდენტს მასპინძლობდა, 2018/2019 სასწავლო წლის მდგომარეობით ქვეყანაში 12 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს და წინა წელთან შედარებით 21%-ით, ხოლო 2008/2009 სასწავლო წლებთან შედარებით 24-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდის განმავლობაში საშუალოდ წელიწადში მათი რიცხოვნობა 1173 სტუდენტით გაიზარდა.

საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების 90%-ს შეადგენენ აზერბაიჯანის, ინდოეთის, ერაყის, ნიგერიის, თურქეთისა და რუსეთის მოქალაქეები. ამასთან, აზერბაიჯანის, ერაყის, ინდოეთისა და ნიგერიის მოქალაქე სტუდენტების რაოდენობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო თურქეთისა და რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა შედარებით სტაბილურია.

	2008/2009	2009/2010	2010/2011	2011/2012	2012/2013	2013/2014	2014/2015	2015/2016	2016/2017	2017/2018	2018/2019
აზერბაიჯანი	86	229	135	280	583	860	1372	2388	2650	2702	2124
თურქეთი	106	140	227	330	384	373	492	484	360	224	229
ინდოეთი	129	248	409	585	825	911	1104	1435	2507	3834	5830
ერაყი	8	3	1	1	65	304	657	793	974	821	759
ნიგერია	49	486	305	478	587	441	439	366

⁴² United Nations Development Programme: Education Index 2018. <https://gtmarket.ru/ratings/education-index/education-index-info>

⁴³ ინფორმაციის ძირითად წყაროს ამ მიმართულებით საქსტატი წარმოადგენს, თუმცა, უფრო დეტალური კვლევისთვის საჭიროა განათლების სამინისტრომ ყოველკვარტალურად გამოაქვეყნოს ანგარიში საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის შესახებ.

რუსეთი	84	77	232	124	191	167	157	253	249	257	306
--------	----	----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----	-----

ცხრილი 8.3.1. საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტები ქვეყნების მიხედვით (2008/2009 - 2018/2019 სასწავლო წლებში).

წყარო: საქსტატის მონაცემები.

საქსტატის მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2017/2018 სასწავლო წელს 10 074 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. მათგან 3 650 სახელმწიფო, ხოლო 6 413 კერძო სასწავლებლებში სწავლობს. უცხოელ სტუდენტებს შორის ყველაზე მეტი - 3 834 სტუდენტი ინდოეთიდანაა, 2 702 - აზერბაიჯანიდან, ხოლო 821 სტუდენტი ერაყიდანაა. რაც შეეხება 2018-2019 სასწავლო წელს, საქართველოში 12 234 უცხოელი სტუდენტი სწავლობს და მათგან ყველაზე მეტი 5830 სტუდენტი, კვლავ ინდოეთიდანაა და წინა წელთან შედარებით ზრდამ 52% შეადგინა. ხოლო შემცირდა სტუდენტების რიცხვი ერაყიდან და აზერბაიჯანიდან, შესაბამისად 8% და 21%-ით. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2011/2012 სასწავლო წელს ნიგერიიდან საქართველოში 49 სტუდენტი სწავლობდა, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება და 2018/2019 სასწავლო წლისთვის 6,5-ჯერ გაიზარდა (366 სტუდენტი). არის ისეთი ქვეყნებიც, საიდანაც 1-2 სტუდენტია ჩამოსული და ისიც მხოლოდ ქალები. ასეთია: ალჟირი, ბუტანი, თურქმენეთი, კონგო, მავრიკია, ტოგო, ჩილე და სხვ. ⁴⁴

უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა უკვე წლებია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ირჩევს. თუმცა, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა უცხოელი სტუდენტების რიცხოვნობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტშიც. მათი უმრავლესობა თვლის, რომ საქართველოში სწავლა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ უსაფრთხო ქვეყანაა და ცხოვრებაც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, იაფია.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, საქართველოში მყოფი უცხოელი სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (95%) თბილისში სწავლობს, 2.2% - ქუთაისში, ხოლო 1.8% - ბათუმში. სამედიცინო განათლება, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია, გამორჩეულად პოპულარულია უცხოელ სტუდენტებში, რომელთა ნახევარი განათლებას მედიცინის, ჯანდაცვის, ფარმაცევტიკის ან სტომატოლოგიის მიმართულებით იღებს, თითქმის მეოთხედი - ბიზნესის, ეკონომიკის ან სამართლის ფაკულტეტებზე სწავლობს. ევროპელი სტუდენტები კი ძირითადად შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისა და ისტორიის შესწავლის მიმართ იჩენენ ინტერესს.

⁴⁴ ჩარეჟიშვილი ლ. უმაღლესი განათლების სტატისტიკა საქართველოში და გლობალიზაცია. სამეცნიერო კრებული „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 199.

8.4. ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა

ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის ძირითადი ამოცანაა დაახასიათოს მოცემულ დარგში მიმდინარე მოვლენები და პროცესები დინამიკაში. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო სტატისტიკურ ინფორმაციას ანგარიშგების ფორმით საქსტატს წარუდგენს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო განსაზღვრულ ვადებში.

ინფორმაციას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მოიპოვებენ სტატისტიკური დაკვირვების რიგი მეთოდით, როგორცაა: ანგარიშგება, სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური დაკვირვება, გამოკითხვის ნაირსახეობები, შერჩევითი დაკვირვება და სხვ.

სტატისტიკური დაკვირვების ერთ-ერთი ძველი და ცნობილი ფორმა - ანგარიშგება, სამედიცინო სექტორში ფართოდ გამოიყენება. სწორედ მისი მეშვეობით მოიპოვება სტატისტიკური ინფორმაცია. ჯანდაცვის დაწესებულებების, სამკურნალო საშუალებათა წარმოების, მარაგის შესახებ. საწარმოთა ანგარიშგებიდან ვგებულობთ მონაცემების ტრავმატიზმის, წარმოებაში უბედური შემთხვევებით მოკვდაობის და მრავალ სხვათა შესახებ.

თავისი შინაარსის მიხედვით, ანგარიშგების ფორმები შეიძლება იყოს ტიპური, სპეციალიზებული, მიმდინარე, წლიური და სხვ.

ტიპური ანგარიშგების არსია ის, რომ იგი ყველა დარგისათვის ერთიანია, სპეციალიზებული კი ეხება ცალკეულ დარგს. ეს უკანასკნელი გამოიყენება ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკაშიც.

ანგარიშგებით, მაგალითად, ინფექციურ დაავადებათა შესახებ სწავლობენ დაავადებათა დონეს მათი ძირითადი ჯგუფების მიხედვით, ტრავმატიზმის შემთხვევებს, მათ დინამიკას, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა გვქონდეს დაავადებათა ცალკეული სახეობების გავრცელების, ჯანმრთელობაზე გარემოს გაჭუჭყიანების ზეგავლენის შესახებ და ა. შ.

ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ სტატისტიკური დაკვირვებისას, ბერძენი ისტორიოგრაფის - ჰეროდოტეს ცნობით, პირველად მიმართეს ჩვენს წელთა აღრიცხვამდე ეგვიპტელთა და მათი შემოსავლის აღწერისას. მას ცნობილი ბელგიელი მკვლევარი ადოლფ კეტლეც იყენებდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალურ მოვლენათა გამოკვლევებში - შობადობის, მოკვდაობის და ა. შ. შესასწავლად.

გამოკითხვა იყოფა ანკეტირებად და ინტერვიუდ.

განასხვავებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ანკეტირებას, ანკეტირებას საცხოვრებელი, სასწავლო და სამუშაო ადგილის მიხედვით, ანკეტების დარიგებით, საფოსტო გავრცელებით. ინფორმაციის მოპოვების ამ სახეობას ფართოდ მიმართავენ სპეციალურ გამოკვლევებში. იმისათვის, რომ შესწავლილ იქნეს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობა, მოსახლეობა გამოკითხება ანკეტების მეშვეობით, ბოლო პერიოდში კი ხშირად სატელეფონო გამოკითხვებსაც მიმართავენ.

მოსახლეობის გამოკითხვის ერთ-ერთი სახესხვაობის - ინტერვიუს გამოყენება

სოციალურ სფეროში მეტად პოპულარულია. მას მიმართავენ ჟურნალისტიკაში, მედიცინაში, ეთნოგრაფიაში, პედაგოგიკაში და ა. შ. სოციალური მეცნიერებები მისით ოპერირებენ XVIII საუკუნიდან. მისი ნაირსახეობიდან ფართო გამოყენებაში დოკუმენტური, თავისუფალი (არასტანდარტული), ფორმალიზებული, სატელეფონო, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ინტერვიუები.

სოციალურ გამოკვლევებში და, მათ შორის, ჯანმრთელობის სფეროში, მაგალითად, მოსახლეობის გარემო პირობების ზეგავლენის შესწავლისას, მონაცემთა მოპოვების ერთ-ერთი საიმედო მეთოდია შერჩევითი დაკვირვება. ის დაფუძნებულია გენერალური (მთლიანი) ერთობლიობიდან მონაცემების შემთხვევით შერჩევაზე.

სტატისტიკური დაკვირვების ამ სახეობას, სრული დაკვირვებისაგან განსხვავებით, ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავებისათვის ნაკლები ფინანსები, შრომითი რესურსები და დრო სჭირდება.⁴⁵

შერჩევითი დაკვირვების დაწყებამდე წინასწარ უნდა დადგინდეს გამოკვლევას დაქვემდებარებულ ობიექტთა რაოდენობა, ე. ი. სწორად უნდა განისაზღვროს შერჩევის მოცულობა. ამასთან, შერჩევით ერთობლიობაში პროპორციულად უნდა იყოს წარმოდგენილი მთლიანი, ანუ გენერალური ერთობლიობის ყველა ჯგუფი. აუცილებელია მონაცემთა სიზუსტის დაცვა, რამდენადაც ამ სახეობის დაკვირვებასაც ახლავს შეცდომები. ერთ-ერთი მათგანია რეპრეზენტაციის (წარმომადგენლობის) შეცდომა. თუმცა, შეცდომების აღმოფხვრა ხერხდება არითმეტიკული და ლოგიკური კონტროლის საშუალებით.

მოსახლეობის დაავადებათა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ მაჩვენებლებს, მაჩვენებელთა სისტემას სოციალური სტატისტიკის ეს დარგი, რომელიც სამედიცინო სტატისტიკადაა ცნობილი, მონაცემების მოპოვების, კომპიუტერული დამუშავების შემდეგ, როგორც სტატიკაში, ასევე დინამიკაში, წარმოადგენს აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების სახით.

სამედიცინო სტატისტიკის მაჩვენებლებიდან უმნიშვნელოვანესია დემოგრაფიული მაჩვენებლები, მაჩვენებლები დაავადებათა შესახებ, დაავადებებზე გარემო პირობების ზეგავლენის, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.⁴⁶

დემოგრაფიულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება - მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, მათ შორის ცალ-ცალკე მამაკაცებისა და ქალებისათვის, მოკვდაობის დონის, მოკვდაობის მიზეზების მაჩვენებლები და სხვ.

სამედიცინო სტატისტიკის მაჩვენებელთა კლასიფიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია დაავადებათა გავრცელების მაჩვენებლებს ძირითადი ჯგუფების მიხედვით, დაავადებულთა კონტინგენტს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით და ა. შ.

სამედიცინო მომსახურების დასახასიათებლად კი გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა: სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების სიმძლავრე (ცვლაში ადამიანთა მიმართების რიცხვი, სტაციონარში საწოლთა რიცხვი), პალატებში

⁴⁵ ზ. შონია. საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის სტატისტიკური ასპექტები. სამეცნიერო კრებული „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2018, გვ. 192.

⁴⁶ В. С. Балинова. Статистика в вопросах и ответах. М., Проспект, 2004, стр. 134.

ავადმყოფთა მაქსიმალური რიცხვი, სამედიცინო ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის დონე, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ტერიტორიული განაწილების მაჩვენებლები და სხვ.

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებს შრომისა და გარემომცველი პირობებიც. ამასთან დაკავშირებით, სტატისტიკა ანგარიშობს მთელ რიგ მაჩვენებლებს. შრომის პირობებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ვიბრაციის, ხმაურის, ტემპერატურის, ჰაერის ტენიანობის, სამუშაოს მონოტონურობისა და სხვა ფაქტორების ზეგავლენა თავის ასახვას პოულობს ტრამვატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა გავრცელებაში.⁴⁷

ამასთან დაკავშირებით, სტატისტიკა ანგარიშობს წარმოებაში უბედურ შემთხვევათა, ასევე დაზარალებულთა რიცხვის, ტრავმის მიზეზით შრომისუუნარობის შედეგად გაცდენილ კაც-დღეთა მაჩვენებლებს და სხვ.

გაიანგარიშება აგრეთვე, მძიმე შემთხვევებისა (სიმძიმის) და მოკვდაობის სხვა სახეობის კოეფიციენტებს. სიმძიმის კოეფიციენტი მიიღება უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულთა რიცხვის გაყოფით დაზარალებულთა რიცხვზე და გამოსახება პრომილეში - ყოველ 1000 კაცზე, ხოლო მოკვდაობის განსაკუთრებული კოეფიციენტი მიიღება უბედური შემთხვევით დაღუპულთა რიცხვის გაყოფით დასაქმებულთა საშუალო რიცხვზე. ეს მაჩვენებელიც პრომილეთი გამოისახება.

საინტერესოა აგრეთვე, სტატისტიკური მაჩვენებლები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს ზეგავლენის შედეგად. ასეთად გვევლინება, მაგალითად, ჰაერის გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებული ინდექსი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$I = \frac{\sum X_1 N_1}{\sum X_0 N_0}$$

სადაც X_1 და X_0 - ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დონეა მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში;

N_1 და N_0 - მოსახლეობის რიცხვია, რომელიც ცხოვრობს ამ გარემოში, მიმდინარე და საბაზისო პერიოდებში.

მსგავსი მაჩვენებლები გაიანგარიშება ადამიანის ჯანმრთელობაზე მიწის, ბუნებრივი წყლის და ა.შ. ზეგავლენის დასადგენად, რათა მომავალში გატარდეს აუცილებელი ღონისძიებები სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება, აგრეთვე, სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა, დასვენება, ფიზიკური კულტურით, სპორტით, ტურიზმით დასაქმება.

სტატისტიკა აღნიშნულთან დაკავშირებით ანგარიშობს ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა: სანატორიუმებისა და დასვენების დაწესებულებათა, მათში ადგილების რიცხვი; დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში, ტურისტულ ბაზებში, მოსწავლეთა ბანაკებში დამსვენებელთა რიცხვი, ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეთა, ტურისტული გემებით მოგზაურთა რიცხვი.

⁴⁷ Н. П. Дашневская. Международная статистика. Изд-во ЦЕНТР, БГУ, 2007, стр. 247-249.

ბოლო 20 წელიწადში საქართველოში ექიმთა რაოდენობა 30%-ით შემცირდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ქვეყანაში სტაციონარებისა და ამბულატორიების დიდი რაოდენობის გაუქმება – ე. წ. “ოპტიმიზაცია“. ასევე შემცირებულია საშუალო სამედიცინო პერსონალის რაოდენობა და 2010 წელს ყოველ 10 000 მოსახლეზე 45 ექთანი და სანიტარი იყო (შედარებისათვის: საშუალო ევროპული მონაცემი 80-ს უდრის). ასევე, იმავე წლისათვის საქართველოში ყოველ ერთ ექიმზე ერთი ექთანიც არ მოდიოდა (0.97), რაც ევროპაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 2009 წლის შეფასებაში პირდაპირ წერია „საქართველოში სამედიცინო პერსონალის პროდუქტიულობის დონე ვერ აკმაყოფილებს მისაღებ სტანდარტებს და ყველაზე დაბალია ევროპის რეგიონსა და დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით“.⁴⁸ მაგრამ დღეისათვის ამ მიმართულებით სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესებულია, რასაც ადასტურებს იგივე ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიტიური შეფასებები, რასაც საქართველოს ჯანდაცვის სისტემამ მიაღწია ბოლო რამდენიმე წელიწადში და განსაკუთრებით 2020 წელს, მიმდინარე კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლაში.

გავაანალიზოთ სტატისტიკური მაჩვენებლები ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. ექიმების რიცხვი ცალკეული სპეციალობების მიხედვით (იხ. ცხრ. 8.5.1).

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ექიმები, სულ	20253	20609	21162	21773	19404	22490	22925	24307	26552
შინაგანი მედიცინის ექიმები (თერაპევტები)	1885	1403	1263	1249	1238	1222	1131	1075	1084
ქირურგები	972	1034	1082	1110	1470	1634	1771	1998	2234
მეან-გინეკოლოგები	1417	1444	1505	1411	1453	1561	1649	1681	1790
პედიატრები	1509	1269	1208	1129	1440	1444	1367	1186	1333
ოფთალმოლოგები	350	364	405	369	381	486	500	548	585
ოტოლარინგოლოგები	326	327	359	349	350	430	452	434	531
ნევროლოგები	634	610	615	619	669	801	809	855	976
ფსიქიატრები და ნარკოლოგები	278	347	3160	251	398	416	377	427	450
ფთიზიატრები	145	153	154	176	216	199	186	205	207
დერმატოვენეროლოგები	240	206	245	276	323	356	352	373	455
რადიოლოგები	396	398	444	520	1019	1212	1278	1409	1590
სამედიცინო რეაბილიტაციისა და სპორტის მედიცინის ექიმები	52	51	44	50	50	57	59	74	94
სტომატოლოგები	974	909	1004	1296	1701	1926	1846	2140	2281
სხვა	11075	12094	12518	12968	8696	10746	11148	119025	12952

ცხრილი 8.5.1. 2008-2016 წლების საქართველოში ექიმების რიცხვი ცალკეული სპეციალობების მიხედვით ⁷²

⁴⁸ საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. www.moh.gov.ge

ამ ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ 2008 წლისათვის საქართველოში მუშაობდა 20 253 ექიმი, მათი რიცხვი 2016 წლისათვის გადიდა 6 299-ით და გახდა 26 552; ზრდის ტემპი შეადგენს 131%; მაგრამ იმავე პერიოდში შემცირდა ზოგიერთი სპეციალობის ექიმების რაოდენობა, მაგალითად თერაპევტებისა და პედიატრების რიცხვი: თერაპევტთა რაოდენობა შემცირდა 801-ით. 2008 წელს იყო 1885, ხოლო 2016 წლისათვის 1 084 შეადგინა. იმავდროულად გაიზარდა მრავალი სპეციალობის ექიმთა რიცხვი. ასე, მაგალითად, 2008 წელს იყო 972 ქირურგი, 2016 წელს გახდა 2 235, ანუ გადიდა 1 263-ით. სამედიცინო კადრების ასეთი ცვლილებების ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ 2012 წელს მოხდა კადრების დეფინიციების გადახედვა და დაჯგუფდა საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) შესაბამისად.

სტატისტიკა საინტერესო ინფორმაციას გვთავაზობს საქართველოში მოსახლეობის, მათ შორის ბავშვთა ავადობის შესახებ, დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით.

პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულ ბავშვთა დაავადების რიცხოვნობა 2008 წელს იყო 277 ათასი, რომელიც 2016 წლისათვის გახდა 581, ე. ი. გაიზარდა 2-ჯერ. მათ შორის ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადების რაოდენობა 2008 წლისთვის იყო 25,1, ხოლო 2016 წლისათვის კი გახდა 49,9. ესეც 2-ჯერ არის გაზრდილი. ასევე იმატა სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების და იმუნური მექანიზმის ჩათრევით მიმდინარე ცალკეულმა დარღვევებმა. თუკი 2008 წელს იყო 5,7 ათასი, 2016 წლისათვის გახდა 8,1. აბსოლუტურმა მატებამ შეადგინა 2,4 ათასი.

მწვავენა წლავური ინფექციები 2008 წლისათვის მოზრდილებში იყო 13 890 შემთხვევა, ბავშვებში 8 425, ხოლო 2016 წელს იგივე მაჩვენებელი, შესაბამისად, 27 832 და 17 987-ია. მოზრდილებში გაიზარდა 2-ჯერ, ხოლო ბავშვებში უფრო მეტად, ანუ 2,1-ჯერ. ვირუსული ჰეპატიტი 2008 წლის 252 შემთხვევიდან გაიზარდა 5,4-ჯერ და 2016 წლისათვის დაფიქსირდა 6 737 შემთხვევა.

მონაცემების ზრდა სახვადასხვა ფაქტორით აიხსნება, კერძოდ:

- რეგისტრაციის გაზრდით (გაუმჯობესებით);
- ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის და მიმართვიანობის გაზრდით;
- საყოველთაო დაზღვევის სისტემის შემოღებით და სხვ.

საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება ასევე სასწრაფო დახმარების სამსახურიც (იხ. ცხრილი 8.5.2).

მოცემული ცხრილიდან გავაანალიზებთ ზოგიერთ მაჩვენებელს. როგორც ჩანს, 2016 წლისათვის 2008 წელთან შედარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებების რიცხვი მთლიანად 762 070-ით მეტია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სასწრაფო დახმარების რეაგირება დროულად მოხდა, რაც კარგია. მაგრამ სამწუხაროა ის, რომ 2016 წლისათვის უბედურ შემთხვევათა რიცხვმა იმატა 13 866-ით, რაც 2-ჯერ მეტია 2008 წელთან შედარებით. რაც შეეხება მოულოდნელად ავად გახდომის შემთხვევათა რიცხვს, 2016 წლისათვის, 2008 წელთან შედარებით 742 113-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ავადმყოფობის, მშობიარობისა და ახალშობილთა გადაყვანის რიცხვმაც იმატა. ეს მიუთითებს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაზე, მათ შორის, სასწრაფო დახმარების,

ასევე ჯანდაცვის სისტემაზე ხელმისაწვდომობის, მიმართულებისა და სამედიცინო დაზღვევის სისტემის გაფართოებაზე.

წლები	პირველადი სამედიცინო დახმარება - სულ	მათ შორის		
		უბედური შემთხვევების დროს	მოულოდნელად ავად გახდობის დროს	პათოლოგიური ფუნქციონირების და მშობიარობის დროს
2008	768167	10912	751945	5310
2009	883129	14579	863589	4961
2010	1074277	13286	1055719	5272
2011	881624	10246	867094	4284
2012	1035270	29242	1001494	4534
2013	1199884	15017	1179681	5186
2014	1221404	26074	1188006	6484
2015	1452857	24712	1417200	8734
2016	1530237	24778	1494058	9068

ცხრილი 8.5.2. 2008-2016 მოსახლეობის მომსახურება სასწრაფო დახმარებით

მეტად რთულია ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობის რეალური შეფასება მხოლოდ იმ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორცაა: მოსახლეობის ყოველ 1000 კაცზე ექიმებისა და საწოლების რიცხვი. კომერციულ საწყისებზე დაფუძნებული სამედიცინო დახმარების სხვადასხვა ფორმის გაფართოებასთან ერთად ხდება მომსახურების ხარისხის დიფერენციაცია, იქმნება მრავალფეროვანი სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებები.

გარდა ამისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან სახელმწიფო დანახარჯებში უნდა შეადგენდეს 15 %-ს. საქართველოში ამ მაჩვენებელმა, მიუხედავად მისი ზრდის ტენდენციისა, 2015 წლისათვის შეადგინა მხოლოდ 6.9%. ჯანდაცვის დაფინანსების შემდეგი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ჯანდაცვაზე სახელმწიფო ხარჯები მშპ-თან მიმართებით. ის 2.2% ტოლია, რაც ორ-ჯერ ნაკლებია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებულზე (5%).⁴⁹ თუმცა, 2020 და 2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად მეტი ხარჯებია ჯანდაცვაზე გამოყოფილი.

⁴⁹ ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <https://www.mof.ge/>

საკონტროლო კითხვები:

1. როგორია განათლების სტატისტიკური შესწავლის სოციალ-ეკონომიკური მნიშვნელობა?
2. დაახასიათეთ განათლების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა.
3. დაახასიათეთ მოსახლეობის განათლების სტატისტიკური მაჩვენებლები.
4. დაახასიათეთ სკოლამდელი დაწესებულებების სტატისტიკური მაჩვენებლები.
5. დაახასიათეთ უმაღლესი განათლების სტატისტიკური მაჩვენებლები.
6. რა არის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის ძირითადი ამოცანები?
7. როგორია ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა?

8.5. ტესტები

1. განათლების სისტემა მოიცავს:

1. სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებს;
2. მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს;
3. საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებს;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებათა რაოდენობა განისაზღვრება:

1. 1 000 მაცხოვრებელზე;
2. 10 000 მაცხოვრებელზე;
3. 100 მაცხოვრებელზე;
4. სამივე წესით.

3. განათლების სტატისტიკის კრებსითი მაჩვენებელია:

1. ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობა მოსახლეობის 10 000 მაცხოვრებელზე, მათი სტრუქტურა და დინამიკა.
2. ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობა მოსახლეობის 10 000 მაცხოვრებელზე;
3. ცალკეულ სპეციალობათა მიხედვით უმაღლეს დამთავრებულთა რაოდენობა მოსახლეობის 10 000 მაცხოვრებელზე და მათი დინამიკა.
4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

4. სპეციალისტთა გამოშვება გაიანგარიშება:

1. 1000 მაცხოვრებელზე;
2. 10 000 მაცხოვრებელზე;
3. 100 000 მაცხოვრებელზე;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი

5. თუ მოცემულია მოსწავლეთა რიცხვი დროის თანაბარი ინტერვალების მიხედვით, მაშინ მოსწავლეთა საშუალო რიცხვი განისაზღვრება:

1. საშუალო არითმეტიკულით;
2. საშუალო გეომეტრიულით;
3. საშუალო ქრონოლოგიურით;
4. საშუალო ჰარმონიულით.

6. განათლების სტატისტიკის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს:

1. მოსახლეობის აღწერები;
2. მიმდინარე აღრიცხვა;
3. მოსახლეობის აღწერები და მიმდინარე აღრიცხვა;
4. მოსახლეობის აღწერები, მიმდინარე აღრიცხვა და შინამეურნეობათა გამოკვლევები;

7. სკოლამდელი დაწესებულებებით ბავშვთა უზრუნველყოფის დონე გაიანგარიშება:

1. საბავშვო დაწესებულებებში 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობის შეფარდებით 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობისა და სკოლებში მოსწავლე 6 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვის სხვაობაზე;
2. საბავშვო დაწესებულებებში 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობის გამრავლებით 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობისა და სკოლებში მოსწავლე 6 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვის სხვაობაზე;
3. საბავშვო დაწესებულებებში 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობის შეფარდებით 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობისა და სკოლებში მოსწავლე 6 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვის განაყოფზე;
4. 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა საერთო რაოდენობისა და სკოლებში მოსწავლე 6 წლის ასაკის ბავშვთა რიცხვის სხვაობის შეფარდებით საბავშვო დაწესებულებებში 1 დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა რაოდენობაზე.

8. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა სტატისტიკური შესწავლა სქესის, ასაკისა და სპეციალობების მიხედვით არის:

1. ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდე;
2. დინამიკის შეფარდებითი სიდიდე;
3. კოორდინაციის შეფარდებითი სიდიდე;
4. სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდე.

9. თუ 6 წლის და უფროსი ასაკის მთლიანი მოსახლეობა 3,7 მლნ., ხოლო საერთო განათლების დონე 78%-ია, მაშინ განათლებული მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი ტოლია:

1. 3,5 მლნ;
2. 2,89 მლნ;
3. 4,74 მლნ;
4. 2,5 მლნ.

10. თუ 6 წლის და უფროსო ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 3,2 მლნ., ხოლო ამ ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხვი 3,8 მლნ. მაშინ წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი იქნება:

1. 84,0%;
2. 84,2%;
3. 119%;
4. 1,19%.

11. განათლების სტატისტიკის შესწავლის საგანია:

1. სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო, საშუალო პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თვისებრივი მოვლენები;
2. სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო, საშუალო პროფესიულ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი მხარე;
3. სკოლამდელი და ზოგად საგანმანათლებლო, საშუალო პროფესიულ და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე მოვლენების რაოდენობრივი მხარე თვისებრივთან მჭიდრო კავშირში;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

12. მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობას ახასიათებს:

1. დემოგრაფიული მაჩვენებლები;
2. ავადობის მაჩვენებლები;
3. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ავადობის მაჩვენებლები;
4. დემოგრაფიული მაჩვენებლები, ავადობის მაჩვენებლები;

13. ჯანდაცვის დაწესებულებებში ავადმყოფთა მოვლა და მკურნალობა წარმოადგენს:

1. ჯანდაცვის სტატისტიკის შესწავლის საგანს;
2. ჯანდაცვის სტატისტიკის შესწავლის მიზანს;
3. ჯანდაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას;
4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

14. ჯანდაცვის სტატისტიკა წარმოებაში პროფესიულ დაავადებათა რაოდენობას მიზეზების მიხედვით სწავლობს:

1. მომუშავეთა 1000 კაცზე;
2. მომუშავეთა 10 000 კაცზე;
3. მომუშავეთა 100 000 კაცზე;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

15. განათლების სისტემის დაწესებულებათა რაოდენობა, სტრუქტურა და დინამიკა წარმოადგენს:

1. განათლების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას;
2. განათლების სტატისტიკის მიზანს;
3. განათლების სტატისტიკის ამოცანებს;
4. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

16. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა კონტიგენტი შეისწავლება:

1. რაოდენობის მიხედვით;
2. სქესის მიხედვით;
3. ასაკის მიხედვით;
4. სამივე ნიშნის მიხედვით.

17. მოსწავლეთა განთესვის შესწავლა საჯარო სკოლებში:

1. არის განათლების სტატისტიკის ამოცანა;
2. სამართლებრივი სტატისტიკის ამოცანა;
3. მორალური სტატისტიკის ამოცანა;
4. არცერთი.

18. სასწავლო უნივერსიტეტი გულისხმობს:

1. სწავლების ორ საფეხურიან სისტემას;
2. სწავლების ერთ საფეხურიან სისტემას;
3. სწავლების სამ საფეხურიან სისტემას;
4. სწავლების ოთხ საფეხურიან სისტემას.

19. წლის განმავლობაში მოსწავლეთა მოძრაობა განისაზღვრება:

1. წლის დასაწყისში მოსწავლეთა რაოდენობას გამოკლებული სასწავლო წლის განმავლობაში წასულთა რაოდენობა;
2. წლის დასაწყისში მოსწავლეთა რაოდენობას დამატებული შემოსული და გადმოსული მოსწავლეების რიცხვი და გამოკლებული სასწავლო წლის განმავლობაში წასულთა რაოდენობა;
3. წლის ბოლოს მოსწავლეთა რაოდენობას გამოკლებული სასწავლო წლის განმავლობაში წასულთა რაოდენობა;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

20. მოსწავლეთა საშუალო რიცხვი გამოითვლება:

1. საშუალო არითმეტიკულით;
2. საშუალო გეომეტრიულით;
3. საშუალო ქრონოლოგიურით;
4. საშუალო ჰარმონიულით.

21. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა სტატისტიკური შესწავლა სქესის, ასაკისა და სპეციალობების მიხედვით, არის:

1. ინტენსივობის შეფარდებითი სიდიდე;
2. დინამიკის შეფარდებითი სიდიდე;
3. კოორდინაციის შეფარდებითი სიდიდე;
4. სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდე.

22. თუ 6 წლის და უფროსი ასაკის მთლიანი მოსახლეობა 2,7 მლნ., ხოლო საერთო განათლების დონე 73%-ია, მაშინ განათლებული მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი ტოლია:

1. 3,5 მლნ;
2. 1,971 მლნ;
3. 4,74 მლნ;
4. 2,5 მლნ.

23. თუ 6 წლის და უფროსი ასაკის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვია 2,2 მლნ., ხოლო ამ ასაკის მოსახლეობის საერთო რიცხვი 2,8 მლნ., მაშინ წერა-კითხვის მცოდნეთა ხვედრითი წილი იქნება:

1. 84,0%;
2. 78,6%;
3. 119%;
4. 118%.

24. საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური ანალიზი შეიძლება განხორციელდეს:

1. მთლიანად განათლების დონის მიხედვით;
2. სწავლების საფეხურებისა და ცალკეული დაწესებულებების მიხედვით;
3. რეგიონების, სწავლების საფეხურებისა და ცალკეული დაწესებულებების მიხედვით;
4. განათლების დონის, რეგიონების, სწავლების საფეხურებისა და ცალკეული დაწესებულებების მიხედვით.

25. მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი განისაზღვრება:

1. ექიმების რაოდენობა გამრავლებული მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;
2. ექიმების რაოდენობა გაყოფილი მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;
3. ექიმების რაოდენობასა და მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობას შორის სხვაობით;
4. ექიმების რაოდენობისა და მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობის ჯამით;

თემა 9. მორალურ–სამართლებრივი სტატისტიკა

9.1. მორალური სტატისტიკის არსის საკითხისათვის

სტატისტიკურ ლიტერატურაში მოცემულია მორალური სტატისტიკის შემდეგი განმარტება: „მორალური სტატისტიკა არის სოციალური სტატისტიკის განყოფილება, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებსა და პროცესებს, მის ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს, ახასიათებს ადამიანის მორალურ იერსახეს და საზოგადოებრივ მიზნებს. განყოფილების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იმ მაჩვენებლების განხილვა, რომელიც ახასიათებს საზოგადოებრივი ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს, სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს და ასევე სოციალურად ისეთ საშიშ მოვლენებს, როგორცაა მაწანწალობა, პროსტიტუცია, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია“.

მორალური სტატისტიკის ცნება კონცეპტუალურად და მეთოდოლოგიურად ნაკლებად დამუშავებულია სოციალურ სტატისტიკაში. ასეთი მდგომარეობა დაკავშირებულია ორ გარემოებასთან: პირველი, ჩვენთან, როგორც მსოფლიო პრაქტიკაში, მორალური სტატისტიკის პრობლემები შევიწროებულია სამართლებრივ სტატისტიკამდე, თუმცა ბოლოს გამოვიდა მორალური სტატისტიკის, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი. მეორეც, სამართლებრივი სტატისტიკა აღმოჩნდა განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმის გამო, რომ მრავალი წლის მანძილზე გასაიდუმლოებული იყო მონაცემები. ეს გარემოება მეტად ორგანიზაციულად დაკავშირებულია მასალების მოპოვებასთან, რადგან ქვეყნის მთავარი სტატისტიკური უწყება ჩარჩოებში იყო მოქცეული.

XIX საუკუნის დასაწყისში ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში და ასევე რუსეთში განხორციელდა პირველი სტატისტიკური კვლევა მორალურ სტატისტიკაში, მაგრამ ამ სფეროში პუბლიკაციების შეკრებას შეუდგნენ 70-იან წლებში. XIX საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა რუსეთში ამ მიმართულებას დიდი ყურადღება მიაქცია ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ. უკვე 1918 წელს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში შეიქმნა მორალური სტატისტიკის განყოფილება, რომელსაც მოგვიანებით სოციალური ანომალიების განყოფილება დაარქვეს. ჟურნალში „სტატისტიკის მოამბე“ გამოაქვეყნეს სტატია და სტატისტიკური მასალები სისხლის სამართლის საქმეებზე, თვითმკვლელობებზე, პროსტიტუციაზე, ალკოჰოლიზმზე, უპატრონო ბავშვებზე და სხვა. მეცნიერულ კვლევას მორალური სტატისტიკის დარგში ახორციელებდნენ სტატისტიკის მაღალკვალიფიციური პროფესიონალები.

1920-იან წლებში ჯერ კიდევ არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული „მორალური სტატისტიკის“ ცნება. უფრო მეტიც, დავა მიმდინარეობდა იმაზე, თუ მოვლენებისა და პროცესების რომელმა ჯგუფმა უნდა ასახოს მორალური სტატისტიკა. ფართო გაგებით, მას მიეკუთვნება არა მხოლოდ სისხლის სამართლის, პროსტიტუციის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის შესახებ მონაცემთა ნაკრები, არამედ ცნობები სარწმუნოებაზე, განათლებასა და ხელოვნებაზე და სხვ.

„მორალური სტატისტიკის“ ცნების სწორი შემადგენლობისა და მისი შესაბამისობის საკითხი რეალურად განიხილებოდა 1920-იან წლებში. მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

მორალური სტატისტიკა, როგორც აღინიშნა, მოიცავს ფართო სფეროს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ იგი მიმართულია სოციალური პათოლოგიების შესწავლისაკენ, რადგან საზოგადოებისათვის საშიში მოვლენები სწორედ სოციალურ პათოლოგიებში მჟღავნდება.

მორალური სტატისტიკის მაჩვენებლები რაოდენობრივად ასახავენ საზოგადოების ქცევის მდგომარეობას სხვადასხვა სფეროში - შრომის, ოჯახური ყოფის, სამშობლოს დაცვის და სხვ., საზოგადოების წინაშე განსაკუთრებულ დამსახურებას (ორდენებით დაჯილდოება, პრემიები და სხვ.), საქველმოქმედო და სპონსორულ საქმიანობას და ა. შ.

მორალურ სტატისტიკაში გამოყენებას პოულობს სტატისტიკურ მეცნიერებაში არსებული ყველა მეთოდოლოგიური ხერხი. ამასთან, საგნისა და ობიექტის კვლევის თავისებურება გაითვალისწინება მათი გაანგარიშებისა და გამოყენების დროს. მორალური სტატისტიკის განსხვავება სხვა დარგობრივი სოციალური სტატისტიკისაგან იმაში მდგომარეობს, რომ მისი პირველსაწყისია მორალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები, რომლებიც უფრო მეტად ატარებენ სუბიექტურ ხასიათს, ვიდრე ნებისმიერი სხვა სოციალური ასპექტები (განათლება, ცხოვრების დონე, დასაქმება და სხვ.). ეს გარემოებები წინასწარ განსაზღვრავენ მორალური სტატისტიკის ინფორმაციული ბაზის ორგანიზაციას, მისი უტყუარობის, სპეციალური შერჩევითი კვლევისა და სტატისტიკური მეთოდების ფართო გამოყენების აუცილებლობას. გარდა ამისა, ხშირად გამოიყენება სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური მეთოდებიც.

მორალური სტატისტიკის ინფორმაციულ წყაროებს წარმოადგენს სტატისტიკური ანგარიშგების, მოსახლეობის აღწერების, შერჩევითი დაკვირვების, სოციოლოგიური გამოკითხვების, სახელმწიფო და სამეცნიერო ინსტიტუციების მასალები.

სტატისტიკური ანგარიშგება შეიცავს მორალური სტატისტიკისათვის საჭირო ინფორმაციას. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები სამართალდარღვევის სახეების მიხედვით სქესობრივ-ასაკობრივ და ტერიტორიულ ჭრილში, ცალკეა მონაცემები არასრულწლოვანთა სქესისა და ასაკის მიხედვით.

მოსახლეობის აღწერების მასალები, მოსახლეობაში მიმდინარე ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მონაცემები საჭიროა ყველაზე ინტენსიურად გავრცელებული სოციალური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

სპეციალური შერჩევითი დაკვირვებით მიღებული მონაცემები დეტალურად ასახავს რეალურ მდგომარეობას. ისინი ტარდება ერთდროულად ან პერიოდულად შედარებით პატარა ჯგუფებში და მიღებული მონაცემები ვრცელდება მთელ ერთობლიობაზე. ასევე, მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია.

მორალური სტატისტიკა თავისი საგნის შესწავლისას გამოიყენებს სტატისტიკური მეცნიერების სპეციფიკურ მეთოდებს: დაკვირვების, დაჯგუფების, განზოგადებული მაჩვენებლების გაანგარიშების, საინდექსო, დინამიკურ, შერჩევით და ა. შ. მეთოდებს.

თანამედროვე მორალურ სტატისტიკაში დომინირებული ადგილი განეკუთვნება სამართლებრივ სტატისტიკას. ამიტომ საჭიროა მისი ცალკე დეტალური განხილვა, რაც მომდევნო პარაგრაფშია წარმოდგენილი.

9.2. სამართლებრივი სტატისტიკის ინფორმაციული წყაროები

სამართლებრივი სტატისტიკა სოციალური სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი შეისწავლის ისეთი მოვლენების რაოდენობრივ მხარეს, როგორცაა: დანაშაული, დამნაშავე, სასჯელი, სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობა (ადამიანის უფლებების, საზოგადოების ქონებრივი, მოქალაქეთა პირადი საკუთრების, ხელშეკრულების, ოჯახური და საბინაო უფლებების და სხვ. დაცვა). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივი სტატისტიკა შეისწავლის ძიებასა და სასამართლოს ან სანოტარო წარმოებას დაქვემდებარებულ მოვლენებს. ამდენად, სამართლებრივი სტატისტიკა აღრიცხავს არა მარტო სასამართლოების მუშაობას, არამედ ყველა სახელმწიფო ორგანოს მუშაობას, რომელიც ახორციელებს მოქალაქეთა და საწარმო-დაწესებულებების უფლებათა დაცვას. ასეთი ორგანოებია: პროკურატურა, პოლიცია, სასამართლოები, პენიტენციური დაწესებულებები, არბიტრაჟი, ნოტარიუსი და სხვ.

სამართლებრივი სტატისტიკა აღრიცხავს ყველა სამართალდარღვევის შემთხვევას სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის პროცესთა თითოეულ ეტაპზე. კერძოდ, გამოძიების, სასამართლო საქმის გადაწყვეტილების მიღების, განაჩენისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების ეტაპზე. სამართლებრივი სტატისტიკა აანალიზებს სამდარღვევების გამომწვევ მიზეზებსა და პირობებს, შეისწავლის დანაშაულისა და ანტისოციალური ქმედებების სტრუქტურასა და დინამიკას.

სამართლებრივი სტატისტიკის ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენს უწყებრივი სტატისტიკა, რომელსაც აწარმოებს შინაგან საქმეთა სამინისტრო, უზენაესი სასამართლო, სასჯელაღსრულების, მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო. ასევე, სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება და სპეციალურად ორგანიზებული დაკვირვებები.

სასამართლოები ახორციელებენ სისხლის, ადმინისტრაციული, სამოქალაქო სამართლისა და სხვა იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებისა და პროცესების აღრიცხვას, რომელიც წარმოშობიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში ძალიან ხშირად იცვლებოდა პროგრამის, ერთეულისა და შეფასების (გაზომვის) მიხედვით.

სისხლის სამართლის დანაშაულთა აღრიცხვა-რეგისტრაცია შესაძლებელია მომხდარი დანაშაულის (ან მცდელობის) ფაქტზე გამოძიების დაწყების ან სისხლის - სამართლებრივი დევნის განხორციელების სტადიიდან. მისი შემდგომი დაზუსტება-კორექტირება შეიძლება მოხდეს წინასწარი ან სასამართლო გამოძიების მთელ სტადიაზე და სრულდება კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, სადაც უკვე დაზუსტებულია

დანაშაულის ჩამდენი პირის (ან პირთა) ანკეტური მონაცემები, დანაშაულის კვალიფიკაცია, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი და ა. შ. მონაცემთა კორექტირება დასაშვებია მხოლოდ ერთი წლის (სააღრიცხვო პერიოდის დასასრულისათვის) განმავლობაში. საანგარიშო წლის შემდეგ წარმოქმნილი ცვლილებები დანაშაულისა და ჩამდენ პირთა პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებში არ შეიტანება.

აღრიცხვის აღნიშნული წესი ვრცელდება ყველა სამართალდამცავ ორგანოზე, რომლებსაც გააჩნიათ გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.

დანაშაულის პირველადი აღრიცხვა ხორციელდება პირველადი აღრიცხვის (სტატისტიკური ბარათების) დოკუმენტების შევსებით. ესენია:

- დანაშაულის გამოვლენაზე (ფ. 1);
- დანაშაულის გამოძიების შედეგებზე (ფ. 1.1);
- დანაშაულზე, რომლის ჩამდენი პირი დადგენილია (ფ. 1.2);
- დანაშაულის ჩამდენ პირზე (ფ. 2);
- სისხლის სამართლებრივი საქმის მოძრაობაზე (ფ. 3);
- მიყენებული მატერიალური ზარალისა და დანაშაულებრივი ქმედების იარაღის ამოღების შედეგებზე (ფ. 4).

ზემოთ ჩამოთვლილი ბარათების შევსება წარმოებს სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავედ ცნობის ადგილის მიხედვით. მონაცემები დოკუმენტებში ერთი დღის განმავლობაში უნდა ხვდებოდეს. ამის შემდეგ პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ ცენტრებს, სადაც წარმოებს დანაშაულის შესახებ ანგარიშების ყველა ფორმის პირველადი დამუშავება. დანაშაული, ჩამდენი პირი და სისხლის სამართლის საქმე რეგისტრირებულად ითვლება მაშინ, თუ მათ შესახებ მონაცემები შეტანილია პირველადი აღრიცხვის ბარათებში, გატარებულია დანაშაულის აღრიცხვის ჟურნალებში და საინფორმაციო ცენტრში დაყენებულია ცენტრალიზებულ აღრიცხვაზე.

სასამართლოებში პირველადი აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტია თითოეული განსასჯელის სტატისტიკური ბარათი, რომელშიც მოცემულია:

1. მონაცემები განსასჯელის შესახებ (გვარი, სახელი, მამის სახელი, სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი, განათლება, საქმიანობა, დაკავებული თანამდებობა, ნასამართლეობა და სხვ.);
2. მონაცემები დანაშაულის შესახებ (დანაშაულის ხასიათი, შესრულების სტადია, თანამონაწილეთა რაოდენობა, დანაშაულის ჩადენის ადგილი და სხვ.);
3. მონაცემები განაჩენის შესახებ;
4. მონაცემები საქმის საკასაციო გადაწყვეტილების შესახებ.

სტატისტიკური ბარათების, სარეგისტრაციო ჟურნალების და სხვა მასალების პირველადი აღრიცხვის დამუშავების საფუძველზე წარმოებს მთელი სტატისტიკური ინფორმაციის შედგენა. სტატისტიკური მასალის საიმედოობა კი პირველადი აღრიცხვის სწორ ორგანიზებაზეა დამოკიდებული.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მუშავდება პირველი ინსტანციის სასამართლოების

სტატისტიკური ანგარიშგება, რომელსაც ამტკიცებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პრაქტიკაში გამოიყენება უწყებრივი სტატისტიკური დაკვირვების შემდეგი ფორმები:

1. ფორმა #X-01 _ მონაცემები I ინსტანციის სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ. მასში მოცემულია საქმეების მოძრაობა დანაშაულის სახეების (დამთავრებული საქმეების რაოდენობა საანგარიშო პერიოდში, დაუმთავრებელი საქმეების ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის და განჩინება) და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განხილული (მ. შ. დაუკმაყოფილებელი) სხვა საქმეების მიხედვით ინფორმაცია;
2. ფორმა #X-04 - მონაცემები მსჯავრდებულების რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებათა შესახებ, რომელსაც წარუდგენენ საქართველოს უზენაეს სასამართლოს არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ათი რიცხვისა;
3. ფორმა #X-05 - მონაცემების ანგარიში დანაშაულის ჩადენის ადგილის, დროისა და მსჯავრდებულთა შემადგენლობის შესახებ;
4. ფორმა #X-06 - მონაცემები არასრულწლოვან მსჯავრდებულებზე;
5. ფორმა #X-06 - მონაცემები I ინსტანციის სასამართლოს მიერ საგამომიებო ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ;
6. ფორმა #X-08 - მონაცემები I ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის შესახებ;
7. ფორმა #X-09 - მონაცემები სასამართლოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაციის შესახებ;
8. ფორმა #X-10 - მონაცემები I ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის შესახებ;
9. ფორმა #X-11 - მონაცემები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა შესახებ;

ზემოთ განხილული ფორმები კვარტალურია და წარედგინება საქართველოს უზენაეს სასამართლოს არა უგვიანეს საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის ათი რიცხვისა.

სამართალდამცავი ორგანოების სახელმწიფო სტატისტიკური ანგარიშგება შედგება ხუთი ფორმისაგან:

1. ანგარიში რეგისტრირებულ გახსნილ და გაუხსნელ დანაშაულებებზე საანგარიშო პერიოდში. ცხრილის ქვემდებარეში მოცემულია დანაშაულის სახეები ყველაზე უფრო გავრცელებული სტადიებისა და სიმძიმის კატეგორიების მიხედვით, ხოლო შემასმენელში - სულ რეგისტრირებული დანაშაულებები, მათ შორის გახსნილი, გახსნის პროცენტი, მატება-კლება, მატება-კლების პროცენტი;
2. ერთიანი ანგარიში დანაშაულებებზე (წლიური), რომელიც იგზავნება შინაგან საქმეთა სამინისტროში;

3. ანგარიში პირებზე, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული. მასში ეს პირები განაწილებულია სქესის, ასაკის, განათლების, საცხოვრებელი ადგილის, სოციალური და თანამდებობრივი მდგომარეობის, სიმძიმის კატეგორიების, ჯგუფური დანაშაულის ხასიათის (ორგანიზებული ჯგუფები) და სხვა სისხლის სამართლებრივი, სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით;
4. ანგარიში საგამომიებო მუშაობის შესახებ (ნახევარწლიური), რომელიც წარედგინება მთავარ პროკურატურას;
5. პროკურორის მუშაობის შესახებ (ნახევარწლიური და წლიური), - ფორმა “პ”, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გენერალური პროკურორის 2000 წლის 30 ნოემბრის ბრძანებით.

„სტატისტიკურ წელიწდეულში” სამართალდარღვევების შესახებ მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაციები:

1. რეგისტრირებული დანაშაულის შესახებ (წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო);
2. მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ დანაშაულის სახეების მიხედვით (წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო);
3. მსჯავრდებულთა რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებათა შესახებ (წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო);
4. მსჯავრდებულთა შემადგენლობის შესახებ - ასაკისა და სქესის მიხედვით (წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო);
5. არასრულწლოვანი მსჯავრდებულების რაოდენობის შესახებ, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სახეების მიხედვით (წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო);
6. პატიმართა რაოდენობის შესახებ - სრულწლოვანი პატიმრების რიცხოვნობისა (მათ შორის ქალების), არასრულწლოვანი პატიმრების რიცხოვნობისა (მათ შორის ქალების) მიხედვით (წყარო: საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტრო);
7. რეგისტრირებული ხანძრების რაოდენობის შესახებ - ხანძრების საერთო რაოდენობის, მიყენებული ზარალისა და ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვის მიხედვით (წყარო: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური).

სოციალურად ყველაზე საშიშ და მძიმე დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც კლასიფიცირდება შემდეგი სახეების მიხედვით:

- განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული;
- განზრახ მკვლელობა;
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება;
- გაუპატიურება;
- ძარცვა;
- ყაჩაღობა;
- ქურდობა;
- ნარკოტიკების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან

გასაღება;

- ხულიგნობა;
- ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესების დარღვევა;
- თანამდებობრივი დანაშაული;
- ყალბი ფასიანი ქაღალდებისა და ფულის კუპიურების დამზადება ან გასაღება და სხვ.

დანაშაულის დონის საერთო მაჩვენებელია რეგისტრირებული დანაშაული. ამასთან, წარმოებს ზოგიერთი დანაშაულის დაყოფა დანაშაულის სიმძიმის კატეგორიების, დანაშაულის ჩადენის, დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების წესების სახეების მიხედვით.

სამართლებრივ სტატისტიკაში დაჯგუფება გამოიყენება არა მარტო დანაშაულის, არამედ დამნაშავეების დახასიათებისათვის. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და დანაშაულის სასჯელის ზომის მიხედვით. საქმის წარმოების შედეგების მიხედვით გამოიყოფა პირთა შემდეგი სახის ჯგუფები:

1. პირები, რომელთა საქმეები შეწყვეტილია საქართველოს სისხლის საქმეთა საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ნაწილების საფუძველზე;
2. შეურაცხადი პირები, რომელთა მიმართ განხორციელდა აუცილებელი სამედიცინო ღონისძიებები;
3. განსასჯელები.

სასჯელის ზომის მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები: უვადო პატიმრობა, თავისუფლების აღკვეცა გარკვეული პერიოდით, ჯარიმა, გარკვეული თანამდებობის ან საქმიანობის უფლების აკრძალვა, ქონების ჩამორთმევა და სხვ.

დამნაშავეთა შემადგენლობა განიხილება შემდეგი ძირითადი პოზიციების მიხედვით:

- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- სქესის მიხედვით - ქალები და მამაკაცები;
- დანაშაულში მონაწილეობის მიხედვით - ჯგუფური, ორგანიზებული, ინდივიდუალური;
- ასაკის მიხედვით - 14-17 წელი, 25-29 წელი, 50 და უფროსი ასაკი;
- დანაშაულის ჩადენის პერიოდში საქმიანობის მიხედვით - მუშები, მოსამსახურეები, კერძო საწარმოების მუშაკები, 18 წლამდე მომუშავეები, 18 წელზე მეტი ასაკის მქონე მომუშავეები, შრომისუნარიანი პირები, უმუშევრები, სტუდენტები, ადრე ნასამართლობის მქონე პირები და სხვ;
- განათლების მიხედვით - დამნაშავეთა საერთო რიცხვიდან უმაღლესი განათლების, საშუალო სპეციალური, საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე პირები;
- ნასამართლეობის - ადრე ნასამართლეობისა და ადრე ჩადენილი დანაშაულის სახეების მიხედვით;
- დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით და სხვ.

ადმინისტრაციულ დანაშაულთა სამართალდარღვევებს მიეკუთვნება: ცილისწამება, უკანონო მანიფესტაციებისა და მასობრივი ღონისძიებების დროს არეულობის მოწყობა, მოქალაქეთა თანასწორობისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სხვ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დამტკიცების დროს წარმოებს შემდეგი სახის ადმინისტრაციული სასჯელის გამოტანა: გაფრთხილება, ჯარიმა, კონფისკაცია, ადმინისტრაციული დაპატიმრება, სპეციალური უფლების ჩამორთმევა და სხვ.

სამოქალაქო სამართლის საქმეთა შორის გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

- საქმეები, რომელიც ეხება საოჯახო-ქორწინებით ურთიერთობებსა და წყვილთა განქორწინებას, ბავშვებზე ალიმენტის გადახდის დაკისრებას, მამობის დამტკიცებას, მშობლის უფლების ჩამორთმევას;
- სახელმწიფო და კერძო სექტორში შრომით უთანხმოებასთან დაკავშირებული საქმეები;
- საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული საქმეები;
- ბუნებათსარგებლობის კანონთა დარღვევის შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ;
- საწარმოთა პრივატიზაციასთან დაკავშირებული განჩინება;
- ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული განჩინება;
- საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებული საქმეები;
- სხვა სამოქალაქო სამართალდარღვევები.

სამოქალაქო საქმეთა მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებები იყოფა:

1. განჩინების დაკმაყოფილების;
2. განჩინების მიღებაზე უარის თქმის;
3. სხვა სასამართლოსათვის საქმის გადაცემის.

სპეციალურ შესწავლას ექვემდებარება ეკონომიკური დანაშაულის სასამართლო საქმეები. ამასთან დაკავშირებით, გამოიყოფა შემდეგი სახის დამნაშავე პირები:

- საწარმოების, დაწესებულებების ხელმძღვანელები;
- მოცემული საწარმოს, დაწესებულების სხვა მომუშავეები;
- ამ საწარმოში არამომუშავეები.

ამ სახის დანაშაულს მიეკუთვნება: დატაცება, ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა, სხვა თანამდებობრივი დანაშაული, მოძრაობისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა.

განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს არასრულწლოვან დამნაშავეთა საქმეები. ასეთი დანაშაული კლასიფიცირდება დანაშაულის ჩადენის გარემოებათა, დანაშაულის ჩადენის პირობებისა და სასჯელის ზომის მიხედვით. დამნაშავეს პიროვნების განხილვა სხვადასხვა ნიშნების მიხედვით წარმოებს. ამ მიმართულებით გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

- ასაკის მიხედვით - 14-15 და 16-17 წელი;
- სქესის მიხედვით - ვაჟები, გოგონები;

- ოჯახის მიხედვით, სადაც იზრდებოდნენ – ერთი მშობლის ოჯახში, ოჯახის გარეთ (ინტერნატში, საბავშვო სახლში და სხვ.), ნორმალურ ოჯახში;
- საქმიანობის მიხედვით – არ მუშაობს და არ სწავლობს, სწავლობს, მუშაობს;
- დანაშაულის ჩადენის მომენტში მდგომარეობის მიხედვით - ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი;
- დანაშაულის ჩადენის გარემოებათა მიხედვით - დანაშაული ჩაიდინა მარტომ, უფროსი ასაკის მქონე პირთან ერთად ჯგუფურად, უფროსი ასაკის მქონე პირის გარეშე ჯგუფურად.

არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება შემდეგი სახის სასჯელი:

- გამოსასწორებელი სამუშაო;
- პირობითი სასჯელი;
- თავისუფლების აღკვეთა ათ წლამდე;
- შრომა-გასწორების დაწესებულებებში სასჯელის მოხდა.

9.3. სამართლებრივი სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

სამართლებრივი სტატისტიკა ამ სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების დახასიათებისათვის იყენებს როგორც აბსოლუტურ, ისე შეფარდებით, საშუალო და ვარიაციის მაჩვენებლებს.

სამართლებრივი სტატისტიკის ძირითად აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: რეგისტრირებული დანაშაულისა და დამნაშავეთა რიცხვი, სასჯელის ზომა. მათი განსაზღვრა წარმოებს ზემოთ განხილული ჯგუფების მიხედვით.

სამართლებრივ სტატისტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონების მიხედვით კრიმინოგენური სიტუაციის შეფასება, რომლის დროსაც ძირითადად გამოიყენება ისეთი შეფარდებითი მაჩვენებლები, როგორცაა დამნაშავეობის კოეფიციენტი, მოცემული დასახლებული პუნქტის და დანაშაულის გახსნადობის კოეფიციენტი,⁵⁰ აგრეთვე ვარიაციის დიაპაზონი. პირველი განისაზღვრება ინტენსივობის შეფარდებითი მაჩვენებლის მიხედვით – რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვისა და მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობის ურთიერთშეფარდებით (ყოველ 100 000 კაცზე გაანგარიშებით), მეორე კი გახსნილი დანაშაულის პროცენტული რაოდენობის რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვთან შეფარდებით, ხოლო მესამე - უდიდესი და უმცირესი სიდიდის მაჩვენებლების სხვაობით.

თუ მოსახლეობის რიცხოვნობას აღვნიშნავთ H -ით, რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვს Π -თი, მაშინ დამნაშავეობის კოეფიციენტის (K_{Π}) გასაანგარიშებელი ფორმულა შემდეგ სახეს მიიღებს:

$$K_{\Pi} = \frac{\Pi}{H} \times 100000$$

⁵⁰ გაბიძაშვილი ბ., პოპულარული სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008.

ეს კოეფიციენტი დასახლებული პუნქტის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, უნდა გავიანგარიშოთ ყოველ ათას (%o), 10 ათას (%oo) და 100 ათას კაცზე გაანგარიშებით.

დამნაშავეობის კოეფიციენტის გაანგარიშებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი თავისებურებები:

1. დანაშაული უნდა ავიღოთ ამა თუ იმ წლის მიხედვით. შესაბამისად, იგი ინტერვალური მაჩვენებელია;
2. მოსახლეობის რიცხოვნობა არის სამომენტო მაჩვენებელი, გარკვეული თარიღის (ჩვეულებრივ, წლის დასაწყისის ან ბოლოსათვის) მიხედვით. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს მისი საშუალოწლიური რიცხოვნობა;
3. დემოგრაფები განასხვავებენ მუდმივ და სახეზე მყოფ მოსახლეობას. ასეთი დაყოფა მნიშვნელოვანია დროებით მცხოვრები მოსახლეობის მქონე ქალაქებისათვის, რადგან დანაშაულის ჩამდენი პირი შეიძლება იყოს როგორც მუდმივი, ასევე დროებით მცხოვრები მოსახლეობა. შესაბამისად, დანაშაულის კოეფიციენტის გაანგარიშება მიზანშეწონილია სახეზე მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით.

დამნაშავეობის კოეფიციენტის განსაზღვრა შესაძლებელია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის – არასრულწლოვნების, ქალებისა და მამაკაცების, ნასამართლეობის მქონე პირების და სხვ. მიხედვით. ამ შემთხვევაში კოეფიციენტის მრიცხველს წარმოადგენს თითოეული ჯგუფის შესაბამისი რიცხვი, ხოლო მნიშვნელი იქნება მოცემული კატეგორიის მოქალაქეთა შესაბამისი მთლიანი რიცხვი. კოეფიციენტთა ასეთი ერთობლიობა დამნაშავეობის დონის უფრო რეალური და ღრმა ანალიზის საშუალებას წარმოადგენს.

დამნაშავეობის დონე დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე. კერძოდ, მისი ზრდა იწვევს დამნაშავეობის დონის შემცირებას, ხოლო შემცირება – გადიდებას. ამიტომ უფრო სწორი იქნება დამნაშავეობის კოეფიციენტი გავიანგარიშოთ არა მთელი მოსახლეობის, არამედ 14 და მეტი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთი სახის ქმედებაზე 14 წლიდან და ყველა სახის დანაშაულზე - 16 წლიდან დგება. მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის დამნაშავეობის დონის მიხედვით შედარების დროს მიზანშეწონილია კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის გამოყენებაც, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი განსხვავებულია.

თუ რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის ნაცვლად ავიღებთ ჩამდენ პირთა რიცხვს, მაშინ მივიღებთ კრიმინოგენურობის კოეფიციენტს. ცალკეული ტერიტორიული დანაყოფებისა და მთლიანად ქვეყნის მასშტაბის მიხედვით, კრიმინოგენურობის კოეფიციენტის გასაანგარიშებელი ფორმულა შემდეგი სახისაა:⁵¹

$$K_{\Pi} = \frac{M}{S_{14-60(65)}} \times 100000$$

⁵¹ Социальная статистика. Под ред. И. И. Елисейвой. –М., „Финансы и статистика“, 1997.

სადაც M არის დანაშაულის ჩამდენ გამოვლენილ პირთა რიცხვი, ხოლო $N_{14-60(65)}$ მოცემული ტერიტორიის 14-დან 60 წლამდე ქალებისა და 65 წლამდე მამაკაცების საშუალოწლიური რიცხოვნობა.

ამ მაჩვენებლის მიხედვით შესაძლებელია ქვეყნის ცალკეული ტერიტორიები დავაჯგუფოთ შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის - დაბალი, საშუალო, მაღალი და ძალიან მაღალი დონის მიხედვით.

სამართლებრივ სტატისტიკაში, განხილული კოეფიციენტების გარდა, არსებობს სხვა სახის კოეფიციენტებიც, როგორცაა ვიქტიმოლოგიის კოეფიციენტი, რომელიც ასახავს ყოველ 100 ათას კაცზე დაზარალებულთა რაოდენობას, პატიმართა კოეფიციენტი – ყოველ 100 ათას კაცზე პატიმართა რიცხოვნობას.

სამართლებრივ სტატისტიკაში გაიანგარიშებენ როგორც ინდივიდუალურ, ისე კრებსით მაჩვენებლებს. კერძოდ, თუ დანაშაულისა და გახსნადობის კოეფიციენტებს გავიანგარიშებთ დანაშაულის სახეების, დამნაშავეთა ასაკის, სქესის მიხედვით, მივიღებთ ინდივიდუალურ მაჩვენებლებს, ხოლო ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება ყველა დანაშაულის (არასრულწლოვნები, სრულწლოვნები, ქალები, მამაკაცები) მიხედვით, მოგვცემს კრებსით მაჩვენებელს, რომლითაც შესაძლებელია სამართალდარღვევათა მდგომარეობის დახასიათება ცალკეული რაიონების, მხარეების, რეგიონების, ქალაქების, დასახლებული პუნქტებისა და მთლიანად ქვეყნის მიხედვით.

შეფარდებითი მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია დანაშაულის, მსჯავრდებულთა, პატიმართა, არასრულწლოვანთა სტრუქტურის მაჩვენებლები (გაანგარიშებული სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეების წესის მიხედვით).

სამართლებრივ სტატისტიკაში განისაზღვრება ასევე ზოგიერთი განზოგადებული მაჩვენებლებიც, როგორცაა: სასჯელის საშუალო ზომა, საქმის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა, დანაშაულებრივი ქმედების შედეგად მიყენებული ზარალის საშუალო თანხა. დანაშაულის გახსნის საშუალო პროცენტი, რომელიც კრებსით მაჩვენებელს წარმოადგენს, გაიანგარიშება საშუალო შეწონილი არითმეტიკულის საფუძველზე, სადაც ვარიანტებს წარმოადგენს გახსნის პროცენტი, ხოლო წონებად აღებულია რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვი.⁵²

ქვეყნის კრიმინოგენური სიტუაციის დახასიათებისათვის მნიშვნელოვანია ზემოთ განხილულ მაჩვენებელთა ანალიზი დინამიკის (დროითი) მწკრივების მაჩვენებლების მიხედვით, როგორცაა აბსოლუტური მატება, ზრდისა და მატების ტემპები, საშუალოწლიური მატების ტემპები და სხვ. ასევე, უფრო ღრმა და კომპლექსური ანალიზის დროს მიზანშეწონილია ვარიაციისა და კორელაციის სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება და შედეგების შეფასება.

⁵² გაბიძაშვილი ბ., პოპულარული სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“, 2008.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის მორალური სტატისტიკის ამოცანები?
2. დაახასიათეთ მორალური სტატისტიკის მაჩვენებლები.
3. დაახასიათეთ სოციალური ანომალიების სტატისტიკური მაჩვენებლები.
4. დაახასიათეთ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის სტატისტიკის მაჩვენებლები.
5. რა მაჩვენებლებით ხდება ქვეყნის კრიმინოლოგიური მდგომარეობის დახასიათება?
6. რა არის ვიქტიმოლოგიის კოეფიციენტი?

9.4. ტესტები

1. სისხლის სამართლის სტატისტიკის განყოფილებები:

1. სისხლის სამართლის წარმოების სტატისტიკა და წინასწარი გამოძიების სტატისტიკა
2. წინასწარი გამოძიების სტატისტიკა და სასჯელის აღსრულების სტატისტიკა;
3. წინასწარი გამოძიების სტატისტიკა, სისხლის სამართლის წარმოების სტატისტიკა და სასჯელის აღსრულების სტატისტიკა;
4. სამოქალაქო საქმეების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკა.

2. სამოქალაქო სამართლის სტატისტიკის განყოფილებას მიეკუთვნება:

1. სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა;
2. სამოქალაქო საქმეების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკა;
3. სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა და სამოქალაქო საქმეების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკა;
4. სამოქალაქო სამართალწარმოების სტატისტიკა, მოქალაქეთა უფლებების დარღვევისა და სამოქალაქო საქმეების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკა;

3. ვიქტიმოლოგია შეისწავლის:

1. სისხლის სამართლებრივ ურთიერთობებს;
2. დამნაშავეობის აღკვეთას;
3. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს;
4. დანაშაულის მსხვერპლებს ან დანაშაულისაგან დაზარალებულებს.

4. მოცემული ფორმულა $K = \frac{D \times 100000}{S}$ არის:

1. დამნაშავეობის კოეფიციენტი;
2. დამნაშავეობის სიზუსტის კოეფიციენტი;
3. დამნაშავეობის გავრცელების კოეფიციენტი;
4. არცერთი.

5. ქვეყანაში 2018 წელს მსჯავრდებულთა რაოდენობა შეადგენდა 20 804 კაცს. თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 8 846-ს, პირობითი მსჯავრი -10 601-ს, ჯარიმა - 1 010-ს, განაჩენის აღსრულება გადაიდო 7-ის მიმართ. გაინგარიშეთ სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდეები.

6. ადმინისტრაციული სამართლის სტატისტიკა არის:

1. სტატისტიკის ზოგადი თეორიის განყოფილება;
2. იურიდიული სტატისტიკის დამოუკიდებელი კომპლექსური დარგი;
3. დამოუკიდებელი სამართლებრივი დისციპლინა;
4. სოციალური სტატისტიკის შემადგენელი ნაწილი.

7. სისხლის სამართლის სტატისტიკა მოიცავს მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ:

1. დამნაშავეობას;
2. დამნაშავეობას და მასთან ბრძოლის ღონისძიებებს;
3. დამნაშავეობას, მასთან ბრძოლის ღონისძიებებს, ვიქტიმიზაციას და მის პროფილაქტიკას.
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

8. ვიქტიმოლოგია შეისწავლის:

1. სისხლის სამართლებრივ და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს;
2. დამნაშავეობის აღკვეთას;
3. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს;
4. არცერთი პასუხი არ არის სწორი.

9. სამართლებრივ სტატისტიკაში აღირიცხება:

1. სასამართლოების მუშაობა;
2. პროკურატურის მუშაობა;
3. პენიტენციალური დაწესებულებების მუშაობა;
4. ყველა.

10. ინფორმაცია სამართალდარღვევების შესახებ მოცემულია:

1. ჩადენილი დანაშაულის სახით;
2. რეგისტრირებული დანაშაულის სახით;

3. გამოძიებული დანაშაულის სახით;
4. სამივე სახით.

11. დანაშაულის ინდექსში სასჯელის ზომა აღებულია:

1. სასჯელის საერთო ზომის მიხედვით;
2. სასჯელის საშუალო ზომის მიხედვით;
3. სასჯელის აბსოლუტური ზომის მიხედვით;
4. სასჯელის შეფარდებითი ზომის მიხედვით.

13. სისხლის სამართლის სტატისტიკის განყოფილებებია:

1. სისხლის სამართლის წარმოების სტატისტიკა და წინასწარი გამოძიების სტატისტიკა;
2. წინასწარი გამოძიების სტატისტიკა და სასჯელის აღსრულების სტატისტიკა;
3. წინასწარი გამოძიების სტატისტიკა, სისხლის სამართლის წარმოების სტატისტიკა და სასჯელის აღსრულების სტატისტიკა;
4. სამოქალაქო საქმეების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სტატისტიკა.

13. მოცემული ფორმულა $K_{\Pi} = \frac{\Pi}{H} \times 100000$ არის:

1. კრიმინოგენურობის კოეფიციენტი;
2. დამნაშავეობის კოეფიციენტი;
3. დანაშაულის კოეფიციენტი;
4. ვიქტიმოლოგიის კოეფიციენტი.

14. დანაშაულის გახსნის საშუალო პროცენტი განისაზღვრება:

1. შეწონილი საშუალო არითმეტიკულით;
2. მარტივი საშუალო არითმეტიკულით;
3. შეწონილი საშუალო გეომეტრიულით;
4. მარტივი საშუალო გეომეტრიულით.

15. იუსტიციის სამინისტროს მიერ მუშავდება:

1. ანგარიში მსჯავრდებულების რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებათა შესახებ;
2. მონაცემები განაჩენის შესახებ;
3. მონაცემები დანაშაულის შესახებ;
4. სამივე.

16. სამართლებრივ სტატისტიკაში განისაზღვრება:

1. საქმის განხილვის საშუალო ხანგრძლივობა;
2. საქმის განხილვის პერიოდი;
3. დანაშაულის მოტივაცია;
4. დამნაშავეის პირადი საქმე.

17. ადმინისტრაციული სამართლის სტატისტიკა არის:

1. სტატისტიკისზოგადითეორიისგანყოფილება;
2. იურიდიულისტატისტიკისდამოუკიდებელიკომპლექსურიდარგი;
3. დამოუკიდებელისამართლებრივიდისციპლინა;
4. სოციალურისტატისტიკისშემადგენელინაწილი.

18. დანაშაულის გახსნადობის კოეფიციენტი განისაზღვრება:

1. გახსნილი დანაშაულის პროცენტული რაოდენობის რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვთან შეფარდებით;
2. გახსნილი დანაშაულის პროცენტული რაოდენობის მოსახლეობის საშუალო რიცხვთან შეფარდებით;
3. გახსნილი დანაშაულის ხვედრითი წილით რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვში;
4. გახსნილი დანაშაულისა და რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვის საშუალო არითმეტიკულით.

19. მოცემული ფორმულა $K_{\Pi} = \frac{M}{S_{14-60(65)}} 100000$ არის:

1. კრიმინოგენურობის კოეფიციენტი;
2. დამნაშავეობის კოეფიციენტი;
3. დანაშაულის კოეფიციენტი;
4. დამნაშავეობისგავრცელების კოეფიციენტი.

20. ვექტიმოლოგიის კოეფიციენტი ასახავს ყოველ 100 ათას კაცზე:

1. დაზარალებულთა რიცხვს;
2. პატიმართა რიცხვს;
3. ზარალის მოცულობას;
4. რეგისტრირებული დანაშაულის რიცხვს.

თემა 10. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა

1.1. პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკის ცნება

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა წარმოადგენს სოციალური სტატისტიკის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აღწერს ხელისუფლების სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების რაოდენობრივ მაჩვენებლებს, დამოკიდებულებებს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, სოციალურ ჯგუფებს, სახელმწიფო და მისი ცალკეული ტერიტორიების მოქალაქეებს შორის.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკის საგანს - მის რაოდენობრივ კანონზომიერებებს - წარმოშობს საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი მოძრაობა, ორგანიზაციები, გაერთიანებები, მუშათა კოლექტივები.

სტატისტიკური მონაცემები საშუალებას იძლევა ყოველმხრივ დაგვიანახოს საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების კანონზომიერებები, ასახოს წარმოშობილი მოვლენები და მისცეს მას შეფასება. ისინი გამოიყენება როგორც წარსულის გასააზრებლად, ასევე თანამედროვე პრაქტიკული საჭიროებისამებრ, სახელმწიფო ორგანოებში, პოლიტიკური კურსის კორექტირებისათვის, ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაში ძირითადი მიმართულებების შემუშავებისათვის.

საქართველოში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული. იგი ახალი, სწრაფად განვითარებადი დარგია სტატისტიკისათვის. მისი განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ იგი რამდენადმე დეცენტრალიზებულია. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში არ მუშავდება ამგვარი მონაცემები. მაჩვენებლები პარტიათა შემადგენლობის შესახებ მუშავდება შესაბამისი ხელმძღვანელ ორგანოთა სამსახურების მიერ, არჩევნების და რეფერენდუმის წინ. სოციოლოგიურ მომსახურებას ახორციელებენ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც გაიანგარიშებენ პროგნოზებს კენჭისყრის შესახებ, ახდენენ აგრეთვე კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების შეფასებას და შეაქვთ შესწორებები წინასაარჩევნო ბრძოლაში. შესრულებული სამუშაოები გამოიყენება სახელმწიფო და ცალკეული სოციალური სამსახურების მიერ, აგრეთვე მასმედიის საშუალებებში და ა. შ.

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების მაჩვენებლები იძლევიან რაოდენობრივ დახასიათებას საარჩევნო სისტემაში, ორგანოთა საქმიანობას წარმოდგენილ ხელისუფლებაში, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, სოციალურ დაპირისპირებას და პოლიტიკურ ბრძოლებს, აგრეთვე სახელმწიფოში არსებული საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას შორის არსებულ თანაფარდობას და ურთიერთობას. რამდენადაც პოლიტიკური სისტემა დაკავშირებულია საკუთრებასთან, ზოგი მეცნიერი გვთავაზობს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზში ჩავრთოთ მონაცემები საკუთრების შესახებ. მაგალითად, რეგისტრირებულ საწარმოთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით მეტყველებს იმაზე, რომ თანდათანობით ვითარდება დემოკრატიული საზოგადოება.

უნდა ითქვას, რომ სტატისტიკური მასალები ყოველთვის არ იყო ხელმისაწვდომი. მე-20 საუკუნის შუა ხანებში მასალები ყოფილი საბჭოთა ხელისუფლების სისტემაში ძირითადად გასაიდუმლოებული იყო. მთელი სტატისტიკური მასალა ადგილობრივი საჭიროების, მათი საქმიანობის შესახებ თავს იყრიდა უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში გრიფით „სრულიად საიდუმლო“.

ტერორისა და რეპრესიების სტატისტიკა, რომელიც იმ პერიოდში საკმაოდ არსებობდა, ხელმისაწვდომი არ იყო მკვლევართათვის. დღეისათვის კი ნათელია, რომ ტერორი არ ინდობდა თავად სისტემის შემქმნელებსაც. საბჭოთა საზოგადოება განსაკუთრებით ძლიერ რეპრესირებული იყო 1930-იანი წლების მეორე ნახევარში.

რიგი პროცესები აღმოიფხვრა 1990-იან წლებში, როცა მოხდა პოლიტიკური სისტემის შეცვლა. სწორედ ამ პროცესების რაოდენობრივ შეფასებას იძლევა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური მაჩვენებლები, რაც განხილულია მომდევნო პარაგრაფში.

1.2. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური მაჩვენებლები

პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებული საარჩევნო სისტემის სტატისტიკა;
- სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის სტატისტიკა;
- პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატისტიკა;
- მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების განხორციელების სტატისტიკა

თითოეულ მათგანში კი, თავის მხრივ, ჩართულია განსაზღვრულ მაჩვენებელთა ჯგუფები.

პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა ეყრდნობა, უპირველეს ყოვლისა, გამოკითხულ ამომრჩეველთა მონაცემებს მათ მიერ გაკეთებული არჩევანის შესახებ, არჩევნების შედეგებს, მონაცემებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში არჩეულთა შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

I ჯგუფი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- წარმოდგენილ კანდიდატთა რიცხვი;
- ამომრჩეველთა რაოდენობა;
- ბიულეტენების რიცხვი;
- კანდიდატთა რაოდენობა, რომლებმაც მეორედ უნდა გაიარონ ტური;
- არჩეულთა რაოდენობა და შემადგენლობა შესაბამის ხელისუფლებაში.

განვითარებულ ქვეყნებში ელექტორატის ანალიზი უფრო დაწვრილებით ხორციელდება. საარჩევნო ბიულეტენში გათვალისწინებულია ადგილი ხმის მიმცემთა

სქესისა და ასაკის შესახებ, რომელიც იძლევა შესაძლებლობას განვსაზღვროთ მათი სტრუქტურა.

II ჯგუფი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- სამინისტროებისა და უწყებების რაოდენობა;
- კომისიების რაოდენობა.

III ჯგუფი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა;
- ყოველ პარტიაში შემავალ წევრთა რიცხვი, მათი შემადგენლობა სქესის, ასაკის, განათლების დონის მიხედვით;
- ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა პარტიაში, მათ შორის განთავისუფლებულთა რაოდენობა;
- პარტიათა შემოსავლები;
- პარტიათა ხარჯები;
- პარტიათა მიერ გამოცემული გაზეთების, ჟურნალების რიცხვი;
- დემონსტრაციების რიცხვი წელიწადში
- დღესასწაულების რაოდენობა.

IV ჯგუფი მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ნებადართული მიტინგებისა და დემონსტრაციების რიცხვი;
- არასანქცირებული მიტინგებისა და დემონსტრაციების რიცხვი;
- მიტინგებზე და დემონსტრაციებზე მონაწილეთა, აგრეთვე, დაკავებულთა რიცხვი რომლებმაც დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი;
- გაფიცვათა რიცხვი;
- გაფიცულთა რიცხვი მთლიანად, გაფიცულთა დახასიათება მოტივების მიხედვით;
- რეგისტრირებული დანაშაულთა რიცხვი, რომელიც დარღვეულ იქნა საიდუმლო მასალების, სატელეფონო საუბრების მოსმენის გამო;
- რელიგიურ გაერთიანებათა რიცხვი;
- რელიგიური სასწავლო დაწესებულებების რაოდენობა;
- მონასტრების რიცხვი;
- დამოუკიდებელი ტელეარხების რიცხვი;
- დამოუკიდებელი გაზეთების, ჟურნალების რაოდენობა და სხვა.

ამ ბოლო წლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აწარმოებს მნიშვნელოვანი მოცულობის გენდერულ სტატისტიკას, რომელშიც გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი პოლიტიკურ საქმიანობაში ქალებისა და კაცების ჩართულობის საკითხებს. აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილია არაერთ პუბლიკაციაში სერიით „ქალი და კაცი საქართველოში“. შემდეგ ცხრილში მოცემულია საქართველოს პარლამენტში დეპუტატების რიცხოვნობა 2016 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით: ⁵³

⁵³ ქალი და კაცი საქართველოში“, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, თბ., 2017, გვ. 86.

ფრაქციები	რიცხოვნობა		პროცენტული განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ქართული ოცნება	13	79	14	86
ქართული ოცნება-კონსერვატორები	1	5	17	83
ქართული ოცნება-მრეწველები	-	6	-	100
ქართული ოცნება-რეგიონების განვითარებისათვის	-	6	-	100
ქართული ოცნება - სოციალ-დემოკრატები	-	6	-	100
საქართველოს პატრიოტები	3	3	50	50
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	4	17	19	81
ნაციონალური მოძრაობა-საქართველოს წინსვლისთვის	2	4	33	67
ფრაქციის გარეშე	1	-	100	-
სულ	24	126	16	84

ცხრილი 10.2.1. დეპუტატთა რიცხოვნობა ფრაქციების მიხედვით საქართველოს პარლამენტში (2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტში სულ 24 ქალი-დეპუტატია და ბევრ პარტიას დეპუტატთა შორის არცერთი ქალი არ ჰყავს.

1.3. საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკა

საზოგადოებრივი აზრი - ეს არის საზოგადოებრივი შეგნების გამოხატვის ერთგვარი გზა, აგრეთვე მსჯელობის, რეკომენდაციის მოთხოვნილებათა ერთგვარი გამოხატვის საშუალება. საზოგადოებრივი აზრი, როგორც წესი, გულისხმობს მოსახლეობის შეგნებას ცხოვრებაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების შესახებ, რომელიც აუცილებლად უნდა გადაიჭრას.

საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ჩამოყალიბდეს ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, მაგრამ ერთის მხრივ შეიძლება შეიქმნას განსაზღვრული ორგანიზაციების, დაწესებულებების, აგრეთვე პოლიტიკური პარტიების მიზანმიმართული ზემოქმედებით. საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობას განსაზღვრავს სახელმწიფოს სოციალური სტრუქტურა, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, აგრეთვე

კულტურა. საზოგადოებრივი აზრი წარმოადგენს სოციალური პოლიტიკის განხორციელების ეფექტიან ინსტრუმენტს.

საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც მთელი საზოგადოება, ასევე მისი ცალკეული ფენები, სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფები, მუშათა კოლექტივები.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლა წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში. აქ ძირითადად უნდა გამოვყოთ აქტუალური პრობლემები, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც მთელი ხალხისათვის, ასევე ცალკეული სოციალური ჯგუფისათვის. საზოგადოებრივი აზრი ხშირად წარმოადგენს ბაზას, როგორც სოციალური, ასევე მმართველობაში არსებული პრობლემების გადაჭრისას.

საზოგადოებრივი აზრის ანალიზის დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დოკუმენტების შესწავლა. ასეთი დოკუმენტის სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს: წერილები, ფილმები, ფოტომასალა, სატელევიზიო გადაცემები, პერიოდული გამოცემები, მოქალაქეთა წერილები. ამ დოკუმენტების ანალიზი საშუალებას იძლევა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს, როგორც მთლიანად მოსახლეობის, ასევე ცალკეული სოციალური ჯგუფების საზოგადოებრივი აზრი.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის მაჩვენებლები აიხსნება სხვადასხვა იერარქიულ დონეზე: მთლიანად მოსახლეობის, რეგიონული, სოციალური ჯგუფების, მომუშავეთა, ინტერესებისა და პროფესიის.

მთლიანად მოსახლეობის დონეზე - გულისხმობს გამოკითხვას სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. კერძოდ, პრეზიდენტის ნდობის შესახებ, კონსტიტუციის შესახებ და ა.შ. მაჩვენებლებში აისახება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, მოსახლეობის რიცხვი, რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული როგორც ქვეყნის მთელი მასშტაბით, ასევე ცალკეულ რეგიონებში, აგრეთვე წინადადებების ცვლილებების და დამატებების რიცხვი, რომელიც შეტანილ იქნა დოკუმენტების განხილვისას.

რეგიონულ დონეზე - გულისხმობს განსაზღვრული რეგიონის მოსახლეობის გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ეხება პრობლემას, რომელიც საცხოვრებლად საჭირო მნიშვნელობა გააჩნია რესპუბლიკის, ქვეყნის, ქალაქის, რაიონის მცხოვრებთათვის.

სოციალური ჯგუფის დონე - გულისხმობს ქალების, პენსიონერებისა და ახალგაზრდების გამოკითხვას. მთავარი მიზანია გამოავლინოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან მათი დამოკიდებულება.

მომუშავეთა დონე - გულისხმობს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების გამოკვლევას.

ინტერესის და პროფესიის დონე - გულისხმობს პიროვნების სტატისტიკურ შესწავლას, რომელსაც განსაზღვრული ინტერესები გააჩნია.

საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის ძირითად წყაროს წარმოადგენს გამოკითხვა. შერჩევითი ერთობლიობის ჩამოყალიბების დროს აუცილებლად შენახულ უნდა იქნას სოციალურ-დემოგრაფიული, საწარმოო, ტერიტორიული და გენერალური ერთობლიობის სხვა ნიშანი. საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის ორგანიზაცია

გაივლის შემდეგ ეტაპებს: გეგმის შედგენის შესწავლა, პროგრამის დამუშავების შესწავლა, მონაცემების ანალიზი.

გამოკვლევაში დიდ ყურადღება ექცევა შემდეგს: მიზნის ჩამოყალიბება და კვლევის ამოცანა, კვლევის ობიექტის შესწავლა, ჰიპოთეზის დასმა, გამოკვლევისათვის საჭირო ანკეტების ფორმირება, განხორციელებული გამოკვლევის გადასინჯვა.

მიზნის ჩამოყალიბება და ამოცანა გამომდინარეობს საკვლევი პრობლემიდან. გამოკვლევის ობიექტად გვევლინება სოციალური ჯგუფები, რეგიონის მცხოვრები, ხოლო გამოკვლევის ერთეულს წარმოადგენს პიროვნება, მისი აზრი საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. მოსამზადებელი სამუშაო სტადიის შემდეგ თეორიული ცოდნის საფუძველზე ყალიბდება სამუშაო ჰიპოტეზა, რომლის დასახმარებლად იქმნება სამუშაო პროგრამა და შესაბამისი ანკეტა. ანკეტის შევსება უნდა დაიწყოს რესპოდენტთან მიმართვით, სადაც მოკლედ არის მოცემული გამოკვლევის მიზნები და ამოცანები.

გამოკითხვებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა, თუმცა რიგი შეზღუდვების გათვალისწინება მათი ოპერირებისას აუცილებლობითაა გამოწვეული. მაგალითად, გამოკითხვის ერთ-ერთ ნაკლად მიჩნეულია ის, რომ ცალკეულმა რესპოდენტმა შეიძლება სხვანაირად გაიგოს დასმული კითხვა, ერთი და იგივე ფორმის კითხვები სხვადასხვა კატეგორიის რესპოდენტათვის შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელი იყოს. თითოეული კატეგორიის რესპოდენტისათვის სხვადასხვა კითხვარის შედგენა კი უაზრო იქნებოდა - ვერ შევადარებდით მიღებულ პასუხებს.

საზოგადოებრივი აზრის ყოველკვირეული მონიტორინგი - ყოველკვირეული გამოკითხვები გამოკითხვები გვეხმარება დავადგინოთ მაჩვენებლების დინამიკა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ვთქვათ საარჩევნო კომპანიის ინფორმაციული უზრუნველყოფის სასარგებლოდ მიცემულ ხმათა პროცენტები, თუმცა გამოკითხვების სტანდარტიზაცია საშუალებას გვაძლევს მივიღოთ გასაშუალებელი, განზოგადებული სურათი.

ან კიდევ შეიძლება წარმოდგენილი პრობლემატიკა არ აღეღებდეს რესპოდენტს. ამ შემთხვევაში ის ან არ პასუხობს, ანდა პასუხობს დაუფიქრებლად, რაც მოქმედებს გამოკითხვის სიზუსტეზე. პოლიტიკურ თემატიკაზე შემდგარ კითხვარებს გააზრებულად პასუხობენ მხოლოდ ის პირები რომლებიც კარგად ერკვევიან პოლიტიკაში, ან არიან ამა თუ იმ პარტიის წევრები. აქედან გამომდინარე, ასეთი კვლევებისათვის საშუალება გვეძლევა შევისწავლოთ მეტ-ნაკლებად პოლიტიზირებული საზოგადოებრივი აზრი, ხოლო იმათი აზრი, ვინც არ უპასუხებს ან უპასუხა დაუფიქრებლად, საერთოდ არ ფიგურირებს.

კვლევის პროცესში საკმაოდ ბევრია იმ პირთა რიცხვი, რომლებმაც პასუხისაგან თავი შეიკავეს. შედეგების ინტერპრეტირებისას მათი აზრის გათვალისწინება შეუძლებელი ხდება, თუმცა არა იშვიათად არჩევნების ბედს სწორედ საზოგადოების ეს ნაწილი წყვეტს. პოლიტიზირებული მოსახლეობის ხმები გამარჯვებისათვის ხშირად არასაკმარისია. ამიტომ სტატისტიკური კვლევის ჩატარებისას აუცილებელია გამოვლინდეს ამომრჩეველთა რეზერვები, დადგინდეს თავშეკავების მიზეზები, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენოს ამათუ იმ პოლიტიკურმა ძალამ, პარტიამ სასურველი შედეგების მიღწევისათვის.

გამოკვლევის შედეგების პუბლიკაცია დიდ გავლენას ახდენს არჩევნების მსვლელობაზე. ხშირად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აქვეყნებენ გამოკითხვის შედეგებს როგორც საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დელეგირების ფაქტს რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე გარკვეული სოციალური ჯგუფების მიერ, რაც ცხადია, არ შეესაბამება სინამდვილეს.

საზოგადოებრივი აზრის შესახებ მონაცემთა დამუშავება წარმოებს ტრადიციული სტატისტიკური მეთოდებით - თავმოყრა-დაჯგუფებით, ცხრილებით, საშუალო სიდიდეთა, ვარიაციის და სხვა ხერხებით.

საკონტროლო კითხვები:

1. რა არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკის ცნება?
2. რა არის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკის საგანი?
3. დაახასიათეთ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური მაჩვენებლები.
4. დაახასიათეთ საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკური შესწავლის ამოცანები.
5. რა სტატისტიკური მაჩვენებლებით ხდება საზოგადოებრივი აზრის ფორმირების დახასიათება?

10.4. ტესტები

1. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკა მოიცავს:

1. სახელმწიფო ხელისუფლებაში არსებული საარჩევნო სისტემის სტატისტიკას;
2. სახელმწიფო მმართველობის და ადგილობრივი თვითმმართველობის სტატისტიკას;
3. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სტატისტიკას;
4. სამივეს.

2. საზოგადოებრივი აზრი არის:

1. მოვლენა; 2. შეხედულება; 3. შეგნება; 4. გააზრება.

3. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური შესწავლისათვის გამოიყენება მაჩვენებელთა

1. 2 ჯგუფი; 2. 3 ჯგუფი; 3. 4 ჯგუფი; 4. 5 ჯგუფი.

4. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური შესწავლის მაჩვენებელთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება:

1. ამომრჩეველთა რაოდენობა და ბიულეტენების რიცხვი;
2. პარტიათა მიერ გამოცემული გაზეთების, ჟურნალების რიცხვი
3. სამინისტროებისა და უწყებების რაოდენობა;
4. ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობა, პარტიაში მათ შორის განთავისუფლებულთა რაოდენობა.

5. მიტინგებზე და დემონსტრაციებზე მონაწილეთა, აგრეთვე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის დაკავებულთა რიცხვი შედის:

1. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური შესწავლის მაჩვენებელთა პირველ ჯგუფში;
2. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური შესწავლის მაჩვენებელთა მეორე ჯგუფში;
3. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების სტატისტიკური შესწავლის მაჩვენებელთა მესამე ჯგუფში;
4. არცერთში.

6. საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელობას განსაზღვრავს:

1. სახელმწიფოს კონსტიტუცია;
2. ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე;
3. მოსახლეობის ცხოვრების დონე
4. სამივე.

7. 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტში ქალების რიცხოვნობა იყო:

1. 22;
2. 16;
3. 24;
4. 13.

8. 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტის მთლიან დეპუტაციაში ქალების პროცენტული წილი იყო:

1. 20;
2. 16;
3. 19;
4. 12.

9. 2016 წელს არჩეულ საქართველოს პარლამენტში ფრაქციაში „ქართული ოცნება“ ქალთა რიცხოვნობა იყო:

1. 9;
2. 14;
3. 17;
4. 13.

10. საზოგადოებრივი აზრის სტატისტიკური შესწავლა ხდება:

1. მთელი ქვეყნის მასშტაბით;
2. რეგიონულ დონეზე;
3. სოციალურ ჯგუფებში;
4. სამივე პასუხი სწორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. სახელმძღვანელო. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011.
2. გელაშვილი ს., ჩარეჭიშვილი ლ. გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2016.
3. ლიპარტია ზ., ბერიძე თ., ქინქლაძე რ. სტატისტიკა. ტ. I. სახელმძღვანელო. გამომც. „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2009.
4. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ., იურიდიული სტატისტიკა (თეორია, პრაქტიკა, ანალიზი). სახელმძღვანელო. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2011.
5. ნაჩიასი ჩ. ფ., ლეონ-გერერო ა. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის. მე-6 გამოცემა. ავტორიზებული თარგმანი ინგლისურიდან. გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. თბ., 2012.
6. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისთვის-2. დამხმარე სახელმძღვანელო. ავტორთა ჯგუფი. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2017.
7. ქინქლაძე რ. სტატისტიკური კვლევის თავისებურებანი სოციალურ სფეროში. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2008.
8. შონია ზ., სიღარიბის სტატისტიკა საქართველოში. მონოგრაფია. გამომც. „თბილისი“. თბ., 2007.
9. შონია ზ. საქართველოში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის სტატისტიკური ასპექტები. სამეცნიერო კრებული „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2018.
10. ხმაღალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. სახელმძღვანელო. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011.
11. ჩარეჭიშვილი ლ. უმაღლესი განათლების სტატისტიკა საქართველოში და გლობალიზაცია. სამეცნიერო კრებული „სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში“, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2018.
12. საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. www.moh.gov.ge
13. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, თბ., 2017.
14. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, თბ., 2013.
15. В.И. Гурьев. Основы социальной статистики. М., Финансы и статистика, 1991.
16. М.Р. Ефимова., С.Г. Бычкова. Социальная статистика. М., Финансы и статистика, 2003.
17. Проблемы социальной статистики (Ученые записки по статистике, т.50). Научный редактор тома проф. В. М. Симчера. М., Наука, 1985.
18. Социальная статистика. Под. ред. И. И. Елисейевой. М., Финансы и статистика, 1997.
19. Е.П. Тавокин, Социальная статистика, М., РАГС, 2001.
20. М. И. Турава, Очерки развития социальной статистики., Тбилиси, Изд-во ТГУ, 1989.
21. М. И. Турава, Социальная статистика. Изд. 2-ое, Тбилиси, Изд-во „Интеллект“, 2010.
22. Fielding, J. & Gilbert, N. Understanding Social Statistics (2nd ed.), Sage Publications INC. 2006.
23. Linneman, T. J. Social Statistics: Managing Data, Conducting Analyses, Presenting Results. Second Edition, NY, 2014.
24. United Nations Development Programme. Human Development Report, 2010. <http://undp.org/en/reports/global/hdr2010>
25. www.geostat.ge